The article deals with the influence of native lan-guage while studying a foreign one on the example of participles. It is noted, that participle is a very complex and less studied category in both Georgian and Russian language and is the reason of significant interference. This fact prompted the author to carry out comparative analysis of pesticide in Georgian and Russian. The article deals with the peculiarities of this grammatical category, it's types and means of formation active and passive participle.

As a result of provided work, it is shown resemblances and differences of the given category in both languages, and defined the ways, means and methods of teaching Russian participles to Georgian auditorium.

# მომავლის საგანმანათლებლო გარემოები

*ჯ. ნიკურაძე, ვ. მელაძე, ვ. კვინტრაძე*

*საკვანძო სიტყვები: კოგნიტური საზოგადოება, კამპუსი, პერსონალური განათლება, ინტეგრაცია, აგრეგაცია.*

**შესავალი.** გამოკვლეულია მომავლის განათლების დიდაქტიკის განვითარების თეორიული კონცეფციის ძირითადი საფუძვლები, კერძოდ ინფოკოგნიტური დიდაქტიკის, რომელიც შეესაბამება კოგნიტური (შემეცნებითი) საზოგადოების მოთხოვნებს. კვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ განათლების განვითარების მიმართულებების ანალიზისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კოგნიტურ საზოგადოებაში სწავლებისა და სამუშაოთა დიდი ნაწილი განხორციელდება ერთიან განაწილებულ ინფორმაციულ-საგანმანათლებლო გარემოში "სამუშაო-სწავლება". სწავლება ხდება სულ უფრო ინდივიდუალური, გადადის რა პერსონალურში და მისი განვითარება განისაზღვრება საგანმანათლებლო გარემოს ინფორმატიზაციის დონით.

**ძირითადი ნაწილი.** საგანმანათლებლო გარემოების ინფორმატიზაციამ დიდი გზა განვლო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, კონტენტის მართვის სისტემებიდან (CMS-Content management System) და საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემებიდან (LMS-Learning management System) თანამედროვე პერსონალურ საგანმანათლებლო გარემოებამდე (PLE-Personal Learning Environments), ანუ კონტენტის დამუშავების ავტომატიზაციიდან, მისთვის შემდგომი ფუნქციების დამატებით, (უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური ადმინისტრირება და სამეურნეო მართვა) მოსწავლის/სტუდენტის ჩართვით საგანმანათლებლო გარემოს ჩარჩოში მისი ადაპტაციით კონკრეტულ მოსწავლე/მოსამსახურეთვის. ასეთ გარემოში, მომავალი საზოგადოების მოსამსახურე/მშრომელი მიიღებს უწყვეტი, დამოუკიდებელი განათლების შესაძლებლობას "კონკრეტული საწარმოო დანიშნულებით".

CMS და LMS-ის პირველი თაობები ვითარდებოდნენ კამპუსის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში და ამიტომაც ორიენტირებული იყვნენ, პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლის და ლექტორების მოთხოვნებზე (institution centered). ისინი სავსებით ადეკვატურად წყვეტდნენ მართვის პრობლემებს კამპუს-ორიენტირებულ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შემთხვევაში.

შემდგომ, მე-20-ე საუკუნის ბოლოს, განათლებაში, სწავლების პარადიგმის პოზიციის განმტკიცების პროცესში, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტზე (teaching-ის მაგივრად learning), თანამშრომლობის პედაგოგიკაზე და რომელშიც ლექტორი დიქტატორიდან გარდაიქმნება სტუდენტის დამრიგებლად და დამხმარედ, შუალედურ რგოლად, სტუდენტსა და საგანმანათლებლო გარემოს შორის, სტუდენტი კი ხდება საგანმანათლებლო პროცესის თანამმართველი. როდესაც წარმოიშვა სწავლების ინდივიდუალიზაციის აუცილებლობის შეგნება, LMS-ში გამოჩნდა სწავლების პროცესის ინდივიდუალური დაგეგმარების (სასწავლო პროცესის ლოგისტიკა) ქვესისტემები.

თუმცა, 21-ე საუკუნის დასაწყისში სწავლება კამპუს-ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში-LMS-წააწყდა რიგ პრობლემებს, რომელთა დაძლევა პრინციპულად შეუძლებელი აღმოჩნდა:

პირველ რიგში ეს არის აუცილებლობა განათლებისა მთელი ცხოვრების მანძილზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყოფილი სტუდენტი უკვე აღარ იმყოფება კამპუსის ფარგლებში და მისი კონტაქტი შორიდან ამ გარემოსთან ყოველთვის არ იძლევა აუცილებელი ცოდნის მიღების შესაძლებლობებს-იგი უბრალოდ შეიძლება აღმოჩნდეს განსხვავებული ყოფილი ალმა-მატერის პროფილისგან, ამ ცოდნის მიღება შეიძლება სხვა უამრავი წყაროს საშუალებით.

მეორე რიგში, ცოდნა, შრომით პროცესში, წარმოადგენს ისეთივე აუცილებელ რესურსს, როგორც მოწყობილობები, ნედლეული, ენერგია, მასალები. წარმოების თანამედროვე კონცეფციები უკვე დიდი ხანია იყენებენ იაპონიაში აღმოცენებულ სასაწყობო რესურსების მინიმიზაციის პრაქტიკას (Supply just in time)-მიწოდება გამოყენების მომენტისთვის. ანალოგიურად ამისა, დღესდღეობით სულ უფრო მეტი რაოდენობა სპეციალისტებისა აცნობიერებს, რომ მოსწავლისათვის არ არის აუცილებელი დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ცოდნის მარაგი, არამედ ისწავლოს როგორ შეიძინოს ცოდნა იმ მოცემულ მომენტში როცა საჭირო გახდება საწარმოო პრობლემების გადაწყვეტა. ანუ სპეციალისტებმა, ცოდნის მიღების საქმეში, გაათვითცნობიერეს კონცეფციის "Supply just in time" რეალიზაციის და სწავლებისა და სამუშაოს ინტეგრაციის აუცილებლობა.

მესამე რიგში, კოგნიტური საზოგადოების პირობებში, პროფესია/სპეციალობების რიცხვის ზრდას მივყავართ იქამდე, რომ კვალიფიკაციები ხდებიან ინდივიდუალურები, მათთვის საჭიროა სწავლების ინდივიდუალური შინაარსის პროგრამების ფორმირება ამასთან საჭირო ხდება ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მთლიანობაში არც ერთ ორგანიზაციაში არ არსებობს.

უწყვეტი პერსონალური განათლება თავისი არსით არის განაწილებული, რადგან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები ცოდნით სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამიტომ, არსებული პრინციპული წინააღმდეგობისა თანამედროვე ინფორმაციულ სისტემების განვითარების განაწილების ხასიათსა და კამპუსური უ/სასწავლებლების თავმოყრილ სტრუქტურებს შორის, სრულყოფილი ლოგიკური განვითარება სწავლების პერსონალიზაციისკენ სწავლების კამპუსური ტექნოლოგიებით შეუძლებელია. აუცილებელია განაწილებული სწავლების კონცეფციაზე გადასვლა. ამრიგად აღნიშნული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა კამპუსურ ტექნოლოგიებს არ შეუძლიათ, მიუთითებენ განაწილებული განათლების განვითარების აუცილებლობაზე, ანუ უნდა გადავიდეთ მოსწავლის ცოდნისკენ მოძრაობიდან ცოდნის მიტანაზე მოსწავლის ადგილსამყოფელისკენ.

ზემოაღნიშნული ყველა ფაქტების გაცნობიერებამ და განზოგადოებამ, ასევე ინფორმატიზაციის სფეროში მეცნიერულმა მიღწევებმა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, მიგვიყვანა პერსონალური საგანმანათლებლო გარემოების პროგრამული გარსების განვითარების კონცეფციისკენ (-Personal Learning Environments). ამასთან აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს ან როგორი თვისებებით უნდა აღიჭურვოს პერსონალური საგანმანათლებლო გარემო. ჩვენ აქ მოვიყვანთ PLE-ს რამოდენიმე განსხვავებულ შეხედულებას, გამოთქმულს ამ სფეროში მოღვაწე უცხოელი სპეციალისტების მიერ. ასე მაგალითად, გრეჰემ ატუელმა განსაზღვრა PLE, როგორც იდეა, რომელიც პირველად აერთიანებს ხანგრძლივ არაფორმალურ განათლებას, სწავლების სტილს, შეფასების ახალ მიდგომებს, კოგნიტურ ინსტრუმენტებს. "PLE-ს სასარგებლოდ ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი არის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დამუშავება, რომლებიც აჩვენებენ თუ როგორ გამოიყენებიან ტექნოლოგიები სწავლებაში, ასევე საშუალებას აძლევენ მოსწავლეს/სტუდენტს განსაზღვრონ თავიანთი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, შექმნან, შეაჯამონ, გაანაწილონ მასალა". ატუელისგან განსხვავებით, მარკ ვან ჰარმელენი PLE-ს განსაზღვრავს როგორც " სისტემას, რომელიც ეხმარება მოსწავლეს/სტუდენტს მართოს თავისი საკუთარი სწავლება. ის მოიცავს მოსწავლეთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას მათ მიერ სწვლების საკუთარი მიზნების გააზრებაში, სწავლების მართვაში, სხვა მოსწავლეებთან ურთიერთქმედებაში სწავლების პროცესში, და ამით სწავლებაში საკუთარი მიზნების მიღწევაში. PLE შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ქვესისტემისგან: როგორც ასეთი იგი შეიძლება იყოს როგორც კომპუტერული დამატება, ან შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ვებ-სერვისისგან".

მ. ა. ჩატი თვლიდა, რომ: " PLE ხასიათდება მოსახერხებელი სერვისების და ინსტრუმენტების ნაკრებთა თავისუფალ გამოყენებით, რომლებიც

განეკუთვნებიან ცალკეულ მოსწავლეებს და იმართებიან მათ მიერ. ცენტრალიზებული სისტემის ჩარჩოში არსებული ცალკეული ინტეგრირებული სერვისებისგან განსხვავებით, PLE-ს იდეა მდგომარეობს მოსწავლეთა უზრუნველყოფაში მრავალი სერვისებით და PLE-ს საშუალებით ამ სერვისების არჩევით და გამოყენების მართვის შესაძლებლობით, რაც გათვალისწინებულია ამ სისტემით. მიდგომა, რომელიც იმართება PLE-თ არამარტო უზრუნველყოფს პერსონალურ სივრცეებს, რომლებიც ეკუთვნის და იმართება მომხმარებლის მიერ, არამედ მოითხოვს სოციალურ კონტექსტს სხვა პერსონალურ სივრცეებთან შეერთებისათვის, ცოდნის ეფექტურად გაცვლისათვის და ერთიანი ძალით ახალი ცოდნის შექმნისათვის".

აქ ჩვენის აზრით ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის, რომ PLE-ს არსის, არაერთგვაროვანი გაგების მიუხედავად, მრავალი უცხოური უ/სასწავლებლების მიერ გაცნობიერებულია პერსონალურ, უწყვეტ განათლებაზე გადასვლის აუცილებლობა. იმის გაცნობიერებამ, რომ მომავალი ეკუთვნით პერსონალურ საგანმანათლებლო გარემოებს, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში მიგვიყვანა პერსონალური საგანმანათლებლო გარემოების პროგრამული გარსების შექმნის მრავალრიცხოვან და საკმაოდ წარმატებულ ცდებამდე, ისეთები როგორიც არის მაგალითად: Epsilen Environment (ა.ჯაფარი), PLEF-Personal Learning Environment Framework (ა.მ. ჩატი), PLEX-Personal Learning Environment project (ბოლტონის უნივერსიტეტი), The Manchester Personal Learning Environment (მარკ ვან ჰარმელენი) და ა.შ

### ლიტერატურა:


1. The Graham Attwell Daily http;//paper.li/Graham Attwell/
2. EDu TECH WIKI.http://edutechwiki. unige.ch/en/ Personal learning environment
3. http:// mohamedaminechatti. blogspot.com/2007/01/ personal environments-loosely-joined.html.
4. Ali Jafari. http//www.epsilen.com/jafari
5. Personal Learning Environment Framework. http:// eiche. informatik.rwth-aachen. de:3333/PLEF/index.jsp
6. http://zope.cetis.ac.uk/members/ple/blogview?entry=20060331172835
7. The Manchester Personal Learning Environment.http:// www.jisc.ac.uk//events/2009/03/ngtip/mple.aspx.



***Дж. Гр. Никурадзе, В. Д. Меладзе, В. И. Квинтрадзе***

*Грузинский технический университет*


**Образовательные среды будущего**

**РЕЗЮМЕ**


***Ключевые слова:*** *Когнитивное общество, кампус, персональное обучение, интеграция, агрегация*

В работе приведено сравнение двух направлений образовательных систем (Распределенное непрерывное персональное образование и кампус-ориентировнная система образования). Подчеркивается, что в силу принципиального противоречия между распределенным характером развития современных информационных систем и сосредоточенной системой кампусного вуза, полноценного логического развития в сторону движения к персонализации обучения при кампусной технологий обучения достичь невозможно.



***J. Nikuradze, V. Meladze, V. Kvintradze***

*Technical University of Georgia,*


**Educational Environments of Future**

**REZUME**


***Key words:*** *Cognitive society, campus, personal education, integration, aggregation*

In the article are compared two directions of education system (distributed personal education and campus-oriented educational system). It is said, that continuous personal education itself is distributed, because it has to deliver education to working or living places of citizens. There is contradiction between distributive character of modern information systems and campus education system that is why it is impossible to logical development towards personal education by campus technology.

# მთელის თვისება სპეციფიკურია და ნაწილების თვისებებს არ უდრის

*თამაზ ნუცუბიძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*საკვანძო სიტყვები: ფაზა, ფსიქოლოგიზმი, ფსიქიკური, მთელის ცოდნა, კანონზომიერება.*

**შესავალი.** რუსეთის იმპერიაში გრანდიოზული მოვლენების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. იმპერიული თვითმპყრობელობის ავტორიტეტის ძლიერმა შერყევამ, იძულებითმა დემოკრატიულმა დათმობებმა ახალი ვითარება და შესაძლებლობები შექმნა, ახალი სოციალური ძალები წარმოაჩინა, რის გამოც იდეოლოგია დაზუსტებას მოითხოვდა ახალი ვითარების შესაბამისად, რაც მომდევნო თაობას უნდა გაეკეთებინა. აქ წინა პლანზე ისევ წამოიწია იდეოლოგიისადმი ფილოსოფიურ-მეცნიერული მიდგომა. ჭეშმარიტებისათვის პირდაპირ და გაბედულად უნდა შეეხედათ და მეცნიერული ანალიზით ლოგიკური დასკვნა გამოეტანათ, ამიტომ შემეცნების თეორიის პრობლემები აქტუალური კვლევის საგნად იქცა.

ამ მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლო 15 წელიწადში, ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა დაიწყო თავისი განვითარების ახალ ეტაპში შესვლა და, უნდა სიამაყით აღინიშნოს, რომ ამ განვითარების სათავეებთან იდგა შალვა ნუცუბიძე, რომელიც იკვლევდა შემეცნების, ჭეშმარიტების ურთულეს პრობლემებს და დიმიტრი უზნაძე, რომელმაც ძირითადად ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევაში შეიტანა არსებითი წვლილი. პირველის ტიტანურ მეცნიერულ-ფილოსოფიურ კვლევას (ურთულეს და უმძიმეს პირობებში) მოჰყვა სახელოვნო ქართული ფილოსოფიური სკოლის ჩამოყალიბება, მეორისას კი _ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შექმნა.

ამ პერიოდში შ. ნუცუბიძემ შექმნა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო ფილოსოფიური შრომები: ,,ბოლცანო და მეცნიერების თეორია'', ,,ცნების ბუნების შესახებ'', ,,ფილოსოფიის შესავალი'', ,,ალეთოლოგიის საფუძვლები'' და სხვა მრავალი. რაც შეეხება დ. უზნაძის გამოკვლევებს, აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: ,,რა არის შემეცნების თეორია'' და ,,ინდივიდუალობა და მისი გენეზისი''. დ. უზნაძემ პირველმა დასვა საკითხი ,,ფსიქოლოგიზმისა და მისი დაძლევის აუცილებლობაზე.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მომდევნო თაობიდან, რომელთაც წარმატებით გააგრძელეს კვლევა შემეცნების თეორიის პრობლემებზე, გამოირჩევიან კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი და სხვები.

აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი იცნობდა რა ორივე ამ სკოლის მიღწევებს, თავად შექმნა უაღრესად საყურადღებო გამოკვლევები, როგორიცაა: ,,ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები'', ,,ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში'', ,,ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის'' და სხვა მრავალი. იკვლევდა რა სხვა მეცნიერებათა სფეროში ფსიქოლოგიის შეჭრის ფაქტს, მიზეზსა და შედეგს, ფსიქოლოგიზმის უარყოფით შედეგებს როგორც სხვა მეცნიერების, ისე თვით ფსიქოლოგიისათვის, ანგია ბოჭორიშვილმა გააკეთა ორი მნიშვნელოვანი დასკვნა: 1. ,,ყოველ მეცნიერებას, თუ ის ყოველმხრივ გამართლებული და კანონიერია, აქვს კვლევის საკუთარი საგანი, რომელსაც მხოლოდ ეს მეცნიერება იკვლევს, და იკვლევს მას, ყოველმხრივ, რა მხრივაც მისი კვლევა საჭიროა და შესაძლებელი. ვერცერთ სხვა მეცნიერებას არა აქვს უფლება ამ მეცნიერების საგანი იკვლიოს''; 2. მცდარია ,,დებულება'', რომლის მიხედვით მთელი მხოლოდ უბრალო არითმეტიკული ჯამია ნაწილებისა, რომ ნაწილების

ცოდნა იმავე დროს იყოს მთელის ცოდნაც...

მთელის ცოდნა სპეციფიურია და ნაწილების თვისებებს არ უდრის, ამიტომ რჩება შესასწავლი მთლიანი, ნაწილების მდგარი კანონზომიერება.

აღმოჩნდა, რომ, როგორც ფსიქოლოგიის, ასე პედაგოგიკის გასაჭირი ამ პრინციპული მნიშვნელობის მეთოდოლოგიურ დებულებათა უგულებელყოფითაა გამოწვეული. მსჯელობს რა ფსიქოლოგიის მეცნიერების გასაჭირზე, აკად. ანგია ბოჭორიშვილი წერს: ,,მომავალ თაობას უთუოდ უცნაურად მოეჩენება ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგთა ერთ-ერთი თაობირი იმით დამთავრდა, რომ ფსიქიკურის კანონზომიერების საკითხი ღიად დატოვა და მისი გამორკვევა შემდგომი კვლევაძიებისათვის გადაიდო''.

ა. ბოჭორიშვილის ისევ უბრუნდება აღნიშნულ ფაქტს და წერს: ,,აქვს ფსიქიკურს თავისი კანონზომიერება თუ არა? რა უნდა აღმოაჩინოს ფსიქოლოგიამ და როგორ, რათა მან ნამდვილი მეცნიერების სახელი გაამართლოს?

უნდა გვახსოვდეს როცა რომელიმე კერძო მეცნიერული დისციპლინაა გასარკვევი, ამ მეცნიერებას სპეციალისტები იკვლევენ'', ამასთან კვლევის მეთოდი ,,უნდა შეესაბამებოდეს საგანს, ე.ი. ამ საგანთან მივიდეს, მისი ,,ხილვა'' შეძლოს'', რაც შეეხება კერძოდ ფსიქოლოგიას, ,,ფსიქოლოგიის საგნის ძებნა და მისი მეთოდის ძებნა ერთი პროცესია, რომელსაც ორი მხარე, ორი პოლუსი აქვს. სადაც ეს პრინციპული მნიშვნელობის დებულება უგულებელყოფილა... და ცალ-ცალკე წარმოებს საგნისა და მეთოდის ძებნა, იქ წარმატებას არ უნდა ველოდეთ.

რადგან ,,მეცნიერების ბუნებას მისი საგნის ბუნება განსაზღვრავს'', ზემოთ დასახელებული ორი მეთოდოლოგიური დებულების თანახმად, ,,ფსიქოლოგიის საგანი არის განცდა, ფსიქიკა როგორც განცდა, არის ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი... საქმე ეხება არა იმას, თუ რა არის და როგორ არის რაიმე ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად, არამედ იმას, თუ როგორ არის ,,იგი'' ,,რაიმე'' ჩვენთვის''.

ქართული ფილოსოფიური სკოლის მიღწევების გათვალისწინებით და ქართველ ფსიქოლოგწა სკოლის სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის შედეგად, განსხვავებით რუსეთის ცნობილ ფსიქოლოგთაგან, ფსიქოლოგიას განსაზღვ არვენ როგორც ,,მეცნიერებას ფსიქიკის შესახებ. ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკა შეადგენს... ფსიქოლოგია ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებას იკვლევს''. რაც შეეხება ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორიცაა ,,აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ფანტაზია, ემოციები და ნებისყოფა დამოუკიდებლად არც არსებობენ და არც მოქმედებენ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს პიროვნება - კონკრეტული მთლიანი ადამიანი ამ ფუნქციათა ამოქმედების გზით''.

**დასკვნა.** მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლის მეთოდოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მცდარია ,,დებულება, რომლის მიხედვით მთელი მხოლოდ უბრალო არითმეტიკული ჯამია ნაწილებისა, რომ ნაწილების ცოდნა იმავე დროს იყოს მთელის ცოდნა.. მთელის თვისება სპეციფიკურია და ნაწილების თვისებას არ უდრის, ამიტომ რჩება შესასწავლი მთლიანი ნაწილების ზევით მდგარი კანონზომიერება''.

**ლიტერატურა:**


1. ნუცუბიძე შ., ,,ქართული ფილოსოფიის ისტორია'', ტ. II, თბ., 1958.
2. ბოჭორიშვილი ა., ,,ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში'', თბ., 1967.
3. ნუცუბიძე თ., ,,გლობალიზაცია და დემოკრატია'', თბ., 2012.

*Tamaz Nutsubidze, Professor of GTU*

## The Whole Part is Specific and is not Equal to the Feature of Particles

**SUMMARY**

***Keywords:*** *phase, psychologism, the mental, knowledge of the whole, regularity*

After the famous great events of Russian Empire Georgian national-liberation movement entered a new phase. The heavy undermines of the authority of imperial autocracy, the forced democratic concessions caused the new circumstances and opportunities. As a result there grew up new social forces and in order to be in accordance with the new situation the ideology had to be clarified.

Precisely at that time Sh. Nitsubidze created new extremely important from the methodological point of view philosophical works: "Boltsano and the Theory of Science", "The Concept of Nature", "Introduction to Philosophy", "The Basics of Aletology", etc. As for the researches of D. Uznadze, here first of all we have to mention his great works: "What is the Theory of Science" and "Individuality and its Genesis". D. Uznadze was the first one who spoke about "The Necessity of Psychology and its Overcome". Academician Angia Bochorishvili was well aware about the achievements of these two schools and did very important surveys. It appeared that, both: the psychological and pedagogical problems were caused by the lack of this above mentioned important methodological regulations.

The survey of 20 century Georgia's psychological and philosophical school showed that, "Regulations, according to which the only simple arithmetic sum of the particle is at the same time equal to the knowledge of the each separate particle is wrong… The feature of the whole part is specific and is not equal to the feature of particles. That's why the whole part of the above standing regulations is still to be studied".

*Тамаз Нуцубидзе, Профессор ГТУ*

## Целая Часть Определенная и не Равная Особенности Частиц

**РЕЗЮМЕ**

***Ключевые слова:*** *фаза, психологизм, психический, знание целого, закономерность*

После известных крупных событий в Российской империи, движения грузинского национального освобождения вошли в новую фазу. Тяжелое подрывает власти имперской автократии, принудительные демократические концессии вызвали новые обстоятельства и возможности. В результате там рос новые социальные силы и чтобы быть в соответствии с новой ситуацией, идеология должна была быть разъяснена.

Точно в то время Sh. Ницубидзе создал новый чрезвычайно важный с методологической точки зрения философские работы: "Boltsano и Теория Науки", "Понятие Природы", "Введе-ние в Философию", "Основы Aletology", и т.д. Что касается исследований Д. Узнадзе, здесь в первую очередь, мы должны упомя-нуть его большие работы: "Что является Те-орией Науки" и "Индивидуальности и ее Происхождения". Д. Узнадзе был первым, кто говорил о "Необходимости Психологии и его Преодоленного". Академик Ангия Бочоришвили хорошо знал о достижениях этих двух школ и сделал очень важные обзоры. Казалось что, оба: психологические и педагогические проб-лемы были вызваны отсутствием этого вышеупомянутые важные методологические инструкции.

Обзор 20-го века, психологическая и философская школа Джорджии показала, что, "Инструкции, согласно которым единственная простая арифметическая сумма частицы в то же время равна знанию каждой отдельной частицы, являются неправильным…, особенность целой части определенная и не равная особенности частиц. Вот почему целая часть вышеупомянутых постоянных инструкций должна все еще быть изучена".

# К вопросу о методах работы социального педагога

***Натела Парцхалая***
*Учебный Университет им. Эквтиме Такаишвили*

***Ключевые слова:*** социальная педагогика, социаль-ный педагог, методы социализации, социально-педагог-ическая технология

Социальная педагогика - новая отрасль педагогики. Исходя из этого, при определении методов социально-педагогической деятельности следует опираться на традиционные методы обучения и воспитания, используемые в педагогике. С Другои стороны, следует учитывать и специфику социального воспитания и обучения и взаимосвязь социальнои пе-дагогики и социальнои работы. Техно-логия последнеи – это практическая деятельшость социального работника, которая характеризуется рационалнои последовательностио при использовании различных методов и средств с целью достижения качественных результатов труда.

Социально-педагогическая технология является интегративнои разновидностью социальнои и педагогическои технологии. Она имеет свою структуру, благодаря которои может поэтапно последовательно реализовываться.

В поле нашего зрения находится ребенок и окружающая его социальная среда, а социальныи педагог помагает решернию проблем ребенка в его социализации. Социальныи педагог может разработать непосредственно с ребенком или же опосредстванно -через семью, детскии коллектив воздеиствуя на ребенка. Он может решать какие-то частные, кратновременные задачи, а может работать с ребенком в течение деительного времени. С помощью методов социалныи педагог может оказывать целенаправленное воздеиствие на сознание, поведение, а также воздеиствовать и на окружающую его социальую среду.

Решение лубои проблемы ребенка, требуюшеи в мешательства социального педагога, начинается с диагностирования проблемы которая включает себя обязательныиэтапсбора,анализаисистематизации информации на основании, которои может быть сделано то или иное заключение. Особенностью деятельности социального педагога является то что ребенок не всегда может сформировать проблему которая у него возникает и обяснить чем она вызвана (конфликтом с родителями, конфликтом с учителями, конфликтом с группои и др), поэтому задача социального педагога заключается в том, чтобы самому вявить значимые обстоятельства ситуации ребенка и поставить диагноз.

Следующии этап – поиск путеи решения этои проблемы. Для этого на основании диагноза ставится цель и в соответсвии с неи выделяются конкретные задачи деятельности. Выпольнение поставленных задач может осуществляться двумя путями. Первыи – такую проблему можно решить известным способом, сприменением уже разработнных технологии поэтому задача социального педагога заключается в выборе именно тои технологии, которая обеспечит успешное разрешение проблемы. Для этого социальныи педагог должен быть вооружен знанями о всех существуюших социально-педагогических технологиях, а также умениями выбирать ту, которая необхадима в данном конкретном случае.

Если ему не удается , тогда социальныи педагог должен уметь составить свою собственную программу решения проблеми, т.е. самостоятельно разработать технологию своеи деятельности в данном случае. Для этого необхадимо знать, что такое индивидуальная программа как она составляется как при этом учитываются особенности ребенка и особенности его проблемы.

В любом случае эти две вешьи ведут к решению проблемы. Для этого социальныи педагог в зависимости от того какую технологию он применяет выбират соответсвующие методы.

Методы-это способы взаимосвязаннои деиятельности, как и в педагогике широко используются понятия «прием» и «средство». Прием понимается как частное выражение метода, его конкретизация носит по отношению к методу частныи подчененныи характер. Фактическии каждыи метод реализуется через совокупность отдельных приомов, в которые накапливаются практическои теориеи и рекомендуются к их использованию в семи специалистами.

Применение того или иного приема социальным педагогом зависит от конкретнои социально-педагогическои ситуации, арсенала приемов которые он имеет в запасе. Однако использование того или иного приема зависит не только от того насколько хорошо социальныи педагог владеет методикои, какие приемы являются для него предпочтительными, какими он владеет в совершенстве но также и от субьективных особенностеи самого специалиста : какими методами руководствуется социальныи педагог, насколко искренне он хочет помочь ребенку как он обращается к нему , от его тона, позы, мимики.

Средство является более широким понятием, чем прием и метод, поскольку последние сами в определенных обстоятельствах могут выступать средствами. Средства- это совокупность материальных, эмоциональных, интелектуальных и других условии, которые испольсуются социальным педагогом для достижения поставленнои цели. Средствами по себе по своеи сути не являются способами деятельности а становятся ими только тогда, когда используются для достижения какоито цели. В качестве средств социально-педагогическои деятельности могут выступать природа, произведения искусства, книги, средства массовои информации и много другое.

Различая эти пониятия, следует понимать что в реальном процессе деятельности четкую границу между ними провести весма сложно так как методам своиственна подвижность, изменчивость. Водних ситуациях метод выступает как самостоятельныи путь решения задачи, в других он входит в прием которыи используется в различных обстоятельствах по-разному.

Для выполнения своеи профессиональнои деятельности социальному педагогу следует овладеть методами которые как было отмечено выще состоят из отдельных приемов. Методы ппиемы и средства взаимосвязаны между собои таким образом что методы и приемы могут выполнять в отдельных случаях роль средств.

Наиболее широко в социально- педагогическои деятельности используются такие методы как убеждения и упражнение. Особенность использования этих методов, заключается в том , что социальныи педагог имеет дело с детьми у которых по каким-либо причинам не сформированы обшепринятые нормы и правила поведения в обшестве.

Приобшение к нормам жизни, принятым в данном обшестве , морали, труду, создание

ясных представлении о них , которые в конечном итоге формируют убедения личности ее жизненную позицию, зависят от знании представлении о них. Метод убеждении содеиствует трансформации принятых норм в обшестве в мотивы деятельности и поведения ребенка что способствует формироанию убеждении.

Убеждение выступает формои регуляции отношении ребенка и социума. Воспитательная сила убеждения обусловливааеться тем, как внутренне воспринимает его ребенок. Если убеждение не вызивает положительнои внутреннеи настроенности ребенк, оно теряет свои основнои смысл и тогда ничем не отличается от авторитарных методов воздеиствия на ребенка. Чтобы убеждения достигли своеи цели, необхадимо учитывать психологические особенности детеи, их уровень воспитанности, интересы, личныи опыт.

Органическая часть убеждения- это требование без которого невазможно перестроить неверно сложившиеся представления ребенка о правилах и нормах поведения принятых в обшестве. Требование могут быть различны: безоговоротное, не допускающее возражении, более легкие требование в виде обрашения. Требования должны быть, основаны на уважении к личности ребенка понимании его душевного состояния пронизани гуманностью заинтересованностью в случае ребенка, разумностью предлагаемых деиствии по их выпольнению; они должны выдвигаться с учетом мотивов и внешних обстоятельств вызвавших те или иные поступки ребенка.

Убеждение может реализоваться через такие известные в педагогике методы, как рассказ, лекция, беседа диспут.

Рассказ и лекция монологические формы метода которые ведутся от одного лица социального педагога. И тот и другои метод используется для того, чтобы разяснить детям определенные и равственные понятия.

Беседа и диспут – диалогические формы метода, при их использовании важное место имеет работа самих детеи. Поэтому важно место в использовании этих методов играет: выбор и актуальность обсуждаемои темы, опора на положительныи опыт детеи, позитивныи эмоциональныи фон беседы. Беседа – это вопросно-ответныи метод. Искуство социального педагога проявляется в том, какие вопросы он полагает для обсуждения: это могут быть вопросы на воспроизведение каких-либо фактов и явлении уточнения этических понятии, сравнение и анализ конкретных форм поведения.

Для подростков и юношеи используется диспут метод, способствуюшии формированию суждении. Диспут выявляет разные точки зрения детеи на этические понятия противоречивость в оценке разных форм поведения. Поэтому необходимо учить детеи аргументировать свои взгляды, уметь выслушать другово, возразить ему.

Важным в деятельность социального педагога, является учет нравственного идеала, которому следует ребенок. Нравственныи идеал, это емоционально-окрашенныи внутренне принятыи ребенком образ, которыи становится регулятором его поведения и критерием оценки поведения гругих людеи. Помочь ребенку выбрать пример идеал сложная задача для социального педагога но, она способствует ускорению духовного развития ребенка. Энергия про этом возникает из сравнения себя с идеалом и она побуждает ребенка работать над сабои.

Если убеждение «программирует» сознание ребенка, то упражнение формирует умения навыки и привычки. Упражнения

необходимы для того чтобы в конечном итоге сформировать у детеи нравственное поведение. Поведение широкое понятие она состоит из более узких поступков а поступок выражается в деиствии.

Всякое деиствие или состояние становится поступком, если оно рассматривается во взаимосвязи с порождаюшими его целями и методами деятельности . Если характеризовать отдельно взятыи поступок в нем можно выделить два элемента: первыи составляет его внешнюю сторону и выражается в деиствии, второи -внутреннюю и выражается в целях намерениях и мотивах проявляюшихся в отношении личности к обшеству и другим людям.

Метод упражнения связан с формированием у детеи определенных нравственных умении привычек. Воспитание же привычек требует многоктаных деиствии и многократных повторении.

Формирование навыков и привычек включает следуюшие приемы работы: постановку задачи, возбуждение потребности и стремления выпольнить эту задачу практическии показ, организацию практическои тренировки, предявление требовании напоминание о выпольнении этих требовании и контроль за правильностью их виполнения. Между умением и привычкои сушествует определенная дистанция. Вначале мы формируем умения, затем на протяжении определенного времени систематически их закрепляет и добиваемся того чтобы умения переросли в привичку.

Методы убеждения и упражнения тесно между собои взаимосвязаны. В педагогике краснои нитью проходит мысль слова и дела, убеждения и упражнения.

Среди социально- педагогических методов особую группу составляют методы корекции к ним относятся поошрение и наказание. Отношение к этим методам воспитания в разны периоды развития педагогическои мыслы было разное: от необходимости применение наказании до полного их отрицания.

Методы корекции сложнеишие способы воздеиствия на личность ребенка. Чтобы использовать их в практическои деятельности необходимо хорошо представлять их природу.

Поошрение должно быть направлено на подкрепление положительных деиствии поступив ребенка. Наказание должно оказывать сдерживаюшее влияние на негативное поведение ребенка.

Наказание и поошрение должны напоминать ребенку о неизбежнои связи между поступком и его последствиями (поошрение удовлетворение наказание – стыд)

Нельзя дать обшие рецепты по использованию этих методов, ибо каждыи поступок всегда индивидуален. Однако сушествуют некоторые правила успешности применения этих методов, котирые необходимо знать социальному педагогу: поошрения и наказания должны бить мобильны и индивидуальны, променятся авторитетным в лице ребенка человеком; пооширения и наказания требуют уважительного отношения к ребенку; в практическои деятельности социального педагога должны применяться разнообразные виды этих методов.

Рассмотренные выше методы социального педагога применяются не изолированно и не обособленно друг от друга, а в теснои взаимосвязи между собои.

## ЛИТЕРАТУРА:

1) Журавлев И. А. Этика обшения. М. 1999
2) Методика воспитательнoи работы. М., 2004
3) Мудрик А.В. Социальная педагогика. М, 2001
4) Социальная работа. м 1991

*ნათელა ფარცხალაია*
*ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის*
*სასწავლო უნივერსიტეტი*

### სოციალური პედაგოგის მუშაობის მეთოდები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, სოციალური პედაგოგიკა, როგორც პედაგოგიკის ახალი მიმართულება. ავტორი მიმოიხილავს სოციალურ-პედაგოგიური საქმიანობის ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება აღზრდისა და სწავლების პროცესში. კერძოდ: „დარწმუნება" და „დავალება". „დარწმუნება" შეიძლება გამოიხატოს, ლექციის, დიალოგის და კამათის ფორმით. რაც შეეხება, „დავალება"-ს, აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ამა თუ იმ ამოცანის დასახვას, ამოხსნას და კონკრეტული მიზნის მიღწევას.

ნაშრომში, ასევე მოცემულია სოციალური პედაგოგის საქმიანობის ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის მიერ რაციონალური და ადეკვატური მეთოდის გამოყენებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

ავტორი აღნიშნავს, რომ სოციალური პედაგოგის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს წარმოადგენს: პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, მოპოვებული მასალის შედეგად, საკითხის მოგვარების გზების მოძიება.

***Natela Partskhalaia***
*Professor Ekvtime Takaishvili*
*Teaching University*

### The Social Teacher's Methods of Work

SUMMARY

The role of schools and teachers is always significant in the educational system. Teachers are an authority figure in the educational process.

The paper deals with the question with the social pedagogy as pedagogy of a new direction. As is known social work is based on humanitarian democratic ideals.

The author discusses the social and educational activities of traditional methods, which are used in the training and learning process, on particular "persuasion" and"assignement". "Persuasion" can be expressed in a lecture, dialogue and debate form. As for"assignments" this method involves various tasks, specific in order to solve a specific goal. This paper also touches upon the technologies of social teacher's activities and the usage of rational an adequate model for achievement of specific goals.

The author notes that the social teacher's the most important stages activities are search and analysis of information connected with the given problem, finding ways to resolve the issue.

## ფილოლოგია
## ФИЛОЛОГИЯ
## PHILOLOGY

# კოჰეზია და კოჰერენტულობა ტექსტის ცენტრალური კატეგორიები

*მერი ცუცქირიძე*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

***საკვანძო სიტყვები:*** *ტექსტის ლინგვისტიკა, ტექსტი, კოჰეზია, კოჰერენტულობა, შეკავშირებულობა.*

ტექსტობრივი კატეგორიები, ზოგადად კატეგორია ეს არის ცნება, რომელშიც ასახულია ობიექტური სამყაროს მეტ - ნაკლებად ზოგადი და არსებითი ნიშან - თვისებები, კავშირები და ურთიერთმიმართებები საგნებსა და მოვლენებს შორის. ხოლო ტექსტის კატეგორია არის ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი ტექსტისთვის და მის გარეშე არ შეიძლება მოიაზრებოდეს რაიმე სახის ტექსტი. როდესაც დგება ტექსტის განსაზღვრისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშან - თვისებების გამოყოფის საკითხი, მრავალი ლინგვისტის აზრით, უპირველეს ყოვლისა ტექსტი უნდა გაიმიჯნოს „არატექსტისაგან". რას ნიშნავს არატექსტისაგან გაიმიჯვნა? ტექსტის ლინგვისტიკაში ეს საკმაოდ რთული საკითხია და ტექსტის კატეგორიათა ირგვლივ დღევანდელ ეტაპზეც არ არსებობს სრული თანხმობა მეცნიერთა შორის ,ასევე ტექსტის დეფინიციის შესახებ, ტექსტის დეფინიციათა უმეტეს ნაწილში ტექსტად მიჩნეულია სამეტყველო წარ-მონაქმნი, რომელიც რაოდენობის მხრივ ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს, ამგვარი გაგება გულისხმობს ტექსტის სტრუქტურულ გაგებას, რომლის მიხედვითაც ტექსტი წინადადებათა ჯაჭვია, რომლებიც ერთმანეთთან სპეციალური საშუალებებით არიან დაკავშირებული. ზემოთ განხილული კრიტერიუმების მიხედვით, ავტორები ტექსტის ამგვარ დეფინიციას გვთავაზობენ: ტექსტი არის კომპლექსური, კოჰერენტული, ფაქტობრივად დასრულებული წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც ორგანიზებულია გრამატიკული, კომუნიკაციურ - პრაგმატიკული და ტექსტობრივ - კომპოზიციური წესებით.

ტექსტობრივ კატეგორიებზე მსჯელობას კოჰეზიურობისა და კოჰერენტულობის კატეგორიების დახასიათებით ვიწყებთ, ვინაიდან ისინი ისეთი კატეგორიებია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ტექსტი მივიჩნიოთ ტექსტად და, სწორედ აქედან გამომდინარე, მათ ტექსტობრივ კატეგორიათა შორის ცენტრალური ადგილი უკავიათ.

კოჰერენტულობა, როგორც გ.ლებანიძე აღნიშნავს, "ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას - ე. ი. იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და არა მის შინაარსს, არამედ ორივეს ერთად. ენობრივი ერთეულების ურთიერთკავშირი, მათი ერთმანეთთან შეკავშირება არის საფუძველი

ტექსტის საერთო შინაარსის გამოხატვისათვის." [ლებანიძე, 1998:146]. ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია არა მარტო მეორადია კოჰერენტულობასთან შედარებით, არამედ, იგი ნაწარმოებია მისგან და გულისხმობს მას როგორც თავის საფუძველსა და საყრდენს.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით ტერმინებს - „შეკავშირებულობა" ან „შეჭიდულობა", რომლებშიაც ყველაზე ფართო გაგებით მოიაზრება ის შინაარსი, რაც აერთიანებს ტერმინებით - „კოჰეზიურობა" და „კოჰერენტულობა" - ნაგულისხმევ შინაარსს. თუმცა, ეს ორი ტერმინი ერთმანეთს არ უდრის. მათი გამიჯვნის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული.

გ.ლებანიძე მიიჩნევს, რომ კოჰერენტულობა ეკუთვნის როგორც ტექსტის შინაარს, ასევე მის ფორმას [ლებანიძე,1998:142-143]. მეორე მხრივ კი, კოჰერენტულობა უკავშირდება ტექსტის შინაარს, ხოლო კოჰეზია - მის ფორმას. მისი აზრით, უპირატესობა პირველ თვალსაზრისს უნდა მიენიჭოს, რომლის თანახმადაც კოჰერენტულობა არის სინთეზური კატეგორია, რომელიც ცენტრალურ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ცენტრალურობა "ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ეს კატეგორია სინთეზური ხასიათისაა და მოიცავს როგორც ფორმას, ისე შინაარსს, არამედ იმასაც, რომ იგი შეიცავს თავის სტრუქტურაში ყველა დანარჩენ ტექსტობრივ კატეგორიას" „კოჰერენტულობა იმ-გვარ ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც თავის სტრუქტურაში შეიცავს ყველა დანარჩენ ტექსტობრივ კატეგორიას. კოჰერენტულობა ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის ნებისმიერ ნაწილს (ასპექტს). ასეთი კავშირის გარეშე არ არსებობს ტექსტის არც ერთი ნაწილი, ენის რომელიმე დონის, რომელიმე ქვესისტემის ერთეული, რომელშიც არ მონაწილეობდეს კოჰერენტულობის რეალიზაციაში." [ლებანიძე, 1998:143].

რ.ბოგრანდისა და ვ. დრესლერის თეორიის მიხედვით, კოჰერენტულობის კრიტერიუმში იგულისხმება შინაარსობრივი (კოგნიტური) ურთიერთმი-მართებები ტექსტში. ადრესანტი (ტექსტის მწარმოებელი) და ადრესატი (ტექსტრის მიმღები), მიუხედავად სირთულეებისა, მაინც ახერხებენ ტექსტის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის დადგენას, როდესაც კავშირი არ არის მარკირებული ტრადიციული კოჰეზიური საშუალებებით. ამ თვალსაზრისით, კოგნიტურად განპირობებული არის არა მხოლოდ ტექსტის აღქმის, არამედ ტექსტის წარმოქმნის პროცესიც. ამ მეცნიერთა აზრით სადაც დარღვეულია კოჰერენტულობა დარღვეულია კომუნიკაციურობაც [ბოგრანდი, დრესლერი,1981:82].

ხოლო კოჰერენტულობა როგორც ტოინ ვან დეიკი აღნიშნავს არის: „დისკურსის თემა, იდეა, შედეგი (რეზულტატი), ან კიდევ მისი შინაარსი "[Van Dijk 1981:268].

რაც შეეხება კოჰეზიურობის კრიტერიუმს, მათი თეორიის მიხევით, იგი გულისხმობს ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის წარმოქმნას. მოცემულ შემთხვევაში, ზედაპირულ სტრუქტურაში მოიაზრება ტექსტის ფორმალური სტრუქტურა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა საშუალებით უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს ანუ ტექსტის კომპონენტები, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდებიან გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ურთიერთობების საშუალებით. კოჰეზიური მიმართებების საშუალებებად მათ მიერ სახელდება ნაცვალსახელები, სიტყვათა თანმიმდევრობა, კავშირები, ზმნის ფორმები. კოჰეზიური ურთიერთობების სტანდარტულ მაგალითად ისინი ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის კავშირს ასახელებს.

როდესაც საუბარი გვქონდა ტექსტის განსაზღვრის პრობლემაზე, ავღნიშნეთ, რომ ყველა იმ განსაზღვრების თანახმად, რომელიც შემუშავებული აქვს ტექსტის ლინგვისტიკას, წამყვანი როლი აკისრია კოჰეზიის კრიტერიუმს. საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, წარმოუდგენილია ტექსტი არსებობდეს შეკავშირებულობის გარეშე. "ტექსტის მთლიანობის საფუძველს მისი შეკავშირებულობა წარმოადგენს. ვ. ლუკინი აღნიშნავს რომ შეკავშირებულობა უპირველესია, რასთანაც საქმე აქვს მკითხველს (ადრესატს) მზა ტექსტის

მიღების დროს. "იგი უფრო ზუსტად აღიქვამს ენობრივ ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრული გზით არიან ურთიერთდაკავშირებულნი" [ლუკინი,1999:22].

კოჰეზიურობა ტექსტის მაკონსტიტუირებული ნიშანია, რომელიც სხვადასხვა პარამეტრებში, ტექსტის სხვადასხვა დონეებზე და ცალკეული კავშირების ერთობლიობაში ვლინდება. მაგრამ ამასთან ერთად, კოჰეზიის საშუალებები, რომლებიც ტექსტის მთლიანობას განაპირობებენ, სხვადასხვა სახისაა და, ამდენად, ერთნაირად არ უწყობენ ხელს მთლიანის შეკავშირებას.

თუ შევეცდებით გრაფიკულად გამოვხატოთ ტექსტის შეკავშირებულობა და ტექსტის მთლიანობა - მაშინ მთლიანობა - სქემის ვერტიკალურ, ხოლო შეკავშირებულობა ტექსტის ჰორიზონტალურ ადგილს დაიკავებს, სწორედ ამ ორი ფუნდამენტალური კატეგორიის ირგვლივ ხდება დანარჩენი კატეგორიების ფორმირება და სწორედ მათთან შესაბამისობა. ი.გალპერინი მიიჩნევდა, რომ კოჰეზიისა და მთლიანობის კატეგორიები ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიებია, მაგრამ ისინი განსხვავდებიან მათი ფორმისა და გამოხატვის საშუალებებით. „კოჰეზია მისი აზრით, წარმოადგენს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს შორის გრამატიკული, სემანტიკური, ლექსიკური შეკავშირების ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტექსტის კონტექსტურ ვარიაციული დანაწევრების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლას" [გალპერინი,1981:125].

ზემოთ განხილული კრიტერიუმების მიხედვით, ავტორები ტექსტის ამგვარ დეფინიციას გვთავაზობენ: „ტექსტი არის კომპლექსური, კოჰერენტული, ფარდობითად დასრულებული წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც ორგანიზებულია გრამატიკული, კომუნიკაციურ-პრაგმატიკული და ტექსტობრივ კოჰეზიური წესებით" [ზოგრანდი,1981:82].

ტექსტის თეორიამ გვიბიძგა გავცდენოდით იმ მოდელს, რომელიც შემუშავდა სოსიურიდან მოყოლებული. იმპულს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ ცენტრალური კატეგორია-კოჰერენტულობა სწორედ ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება ტექსტის ნიშნობრივ გაგებას, მაგრამ ამავე დროს ეფუძნება სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენირებულ, წარმოდგენას ე.ი იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და არა მის შინაარს, არამედ ორივეს ერთად. ჩვენ ვთქვით, რომ არსებობს ამ კატეგორიის მეორე გაგებაც - კოჰერენტულობა ამ შემთხვევაში უკავშირდება ტექსტის შინაარსს, ხოლო კოჰეზია - მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა მაინც პირველ თვალსაზრის ენიჭება, რომლის თანახმადაც კოჰერენტულობა არის სინთეზური კატეგორია.

რაც შეეხება თვით ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას, როგორც უკვე ავღნიშნეთ ცენტრალურ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ კოჰერენტულობის (კოჰეზიის) კატეგორია. რომელი ტექსტობრივი კატეგორიაც არ უნდა ავიღოთ, აუცილებლად დავინახავთ, რომ იგი არის კოჰერენტულობის რომელიმე მომენტი თუ ასპექტი. კოჰერენტულობა ახდენს ყველა დანარჩენი კატეგორიის ინტეგრირებას იგი ყველა დანარჩენი კატეგორიის ინტეგრალია, ცალკეული კატეგორიები კი კოჰერენტულობის დიფერენციალია.

კოჰერენტულობა ითარგმნება, როგორც უკვე ავღნიშნეთ შეკავშირებულობა. თვით ტერმინი სემანტიკა გვიჩვენებს, რომ ეს კატეგორია არ შეიძლება არ იყოს ცენტრალური, ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის (ტექსტობრიობის) რომლის იერარქიული დონეც არ უნდა ავიღოთ, ტექსტი მუდამ წარმოადგენს ისეთი წინადადების თანმიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი თემით: „ტექსტი ქმნის თემატურ ერთიანობას და ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა ანუ მთავარია შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის" [ლებანიძე, 2004 :298].

კოჰერენტულობა არის ცენტრალური კატეგორია იმიტომ, რომ იგი ასახავს ტექსტის ძირითად მაკონსტიტუირებელ ნიშანს.

არსებობს კოჰერენტულობის სამი ძირითადი ფუნქცია:

1. კოჰერენტულობა ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის ნებისმიერ ნაწილს (ასპექტს). ასეთი კავშირის გარეშე არ არსებობს ტექსტის არცერთი ნაწილი;

2. მეორე ფუნქცია გვიჩვენებს ტექსტის ლინ-

გვისტიკისა და პრაგმატიკის ღრმა კავშირებს: კოჰერენტულობა ამზადებს ადრესატს ტექსტის ჯერ არარეალიზებული სეგმენტების აღქმა - გაგებისათვის.

3. კოჰერენტულობა უკავშირებს ტექსტს ამ მომენტში რეალიზებულ სეგმენტს უკვე რეალიზებულ სეგმენტებთან.

როგორც ვხედავთ, კოჰერენტულობა არის არა სტატიკური, არამედ დინამიკურ-ტემპორალური კატეგორია. იგი რეალიზებულია მუდამ მოძრაობასა და დროში. იგი მიუთითებს იმაზე, რომ თვით ტექსტი წარმოადგენს დინამიკურ, პროცესუალურ, დროში მომხდარ ენობრივ წარმონაქმნს. ტექსტი მუდამ არის პროცესი, სწორედ ამიტომაა, რომ მისი ცენტრალური კატეგორია კოჰერენტულობა არის დინამიკურ-პოცესუალური ბუნების.

როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, „ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია ეს არის იგივე კოჰერენტულობა დაკონკრეტებული გარკვეული ასპექტით“ [ ლებანიძე.1998;146].

მაშასადამე თუკი კარგად გავიგებთ ტექსტს, შეგვიძლია დავადგინოთ, იმ ერთეულთა რაობა, რომლებისაგანაც იგება იგი და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი; მაგრამ თუნდაც ძალიან კარგად ვიცოდეთ, რას წარმოადგენენ ერთეულები, რომლებისგანაც იგება ტექსტი, და როგორია მათ შორის კავშირები, ვერ შევძლებთ ტექსტი გავიგოთ როგორც მთლიანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაბარ პირობებში მთლიანიდან შეგვიძლია მივიდეთ კოჰე-ზიურობასთან (შეკავშირებულობასთან), მაგრამ კოჰეზიურობიდან მთლიანამდე მისვლა შეუძლებელია. [ლუკინი,1999:42].

მაშასადამე ლუკინის აზრით „ტექსტის მთლიანობის კატეგორია შეკავშირებულობის კატეგორიის შესაბამისობასთან ერთად უნდა იქნეს განხილული“ [ლუკინი,1999:4]. ა.ნოვიკოვი კი მიიჩნევს რომ, „მთლიანობა ეს არის მახასიათებელი შინაგანად შეკავშირებული ტექსტის აღქმის რეზულტატისა, ხოლო თავად შეკავშირება - საშუალება, რომელიც შესაძლებელს ხდის მოცემული მახასიათებლის მიღებას [ნოვიკოვი, 1983:27]. სწორედ ამ ორი ფუნდამენტალური კატეგორიის ირგვლივ ხდება დანარჩენი კატეგორიების ფორმირება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ი. გალპერინი მიიჩნევდა რომ, „კოჰეზიისა და მთლიანობის კატეგორიები ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიებია, რომლებიც განსხვავდებიან მათი ფორმისა და გამოხატვის საშუალებებით. კოჰეზია, მისი აზრით, წარმოადგენს ტექსტის მონაკვეთებს შორის გრამატიკული, სემანტიკური, ლექსიკური შეკავშირების ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტექსტის კონტექსტურ - ვარიაციული დანაწევრების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლას. მთლიანობა კი ტექსტის ყველა მონაკვეთის, ყველა ნაწილის გაერთიანებას გულისხმობს მისი მთლიანობის მისაღწევად.“ მთლინობა შეიძლება განხორციელდეს კოჰეზიის საშუალებებით, მაგრამ შეიძლება აგებულ იქნეს ასოციაციების ან პრესუპოზიციების საშუალებით. კოჰეზია ლოგიკური პლანის კატეგორიაა, მთლიანობა კი ფსიქოლოგიური“ [გალპერინი,1981:125].

ფსიქოლინგვისტთა გამოკვლევებმა გვიჩვენეს რომ, თავად ტექსტის აღქმა, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მისი მთლიანობის გაცნობიერებასთან, რაც მჟღავნდება საკვანძო სიტყვების (მაკროკავშირის) და ტექსტის მთლიანი სქემის (მიკროკავშირის) აღქმაში. ტექსტის მთლიანობა განისაზღვრება მისი დენოტაციური სივრცით და მისი აღქმის კონკრეტული სიტუაციით: ვინ აღიქვამს ტექსტს? სად? როდის? რატომ? თუ კოჰეზია რეალიზდება სინტაგმატურ ჭრილში, მთლიანიბა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც პარადიგმული პროცესი, ამგვარად კოჰეზია ლინეალურია, მთლიანობა კი ვერტიკალური [ზაბენკო, 2004:41].

მაშასადამე როდესაც საუბარი გვქონდა კოჰეზიურობაზე, დავასკვენით რომ, იგი არის ტექსტის შემადგენელი ელემენტების ამავე ტექსტის სხვა ელემენტებთან დაკავშირების უნარი.

ხოლო რაც შეეხება კოჰერენტულობას, იგი გამოხატავს ტექსტში არსებულ კოგნიტურ (შინაარსობრივ) ურთიერთმიმართებებს, რომლებიც ეფუძნება ტექსტის სამყაროს აზრობრივ უწყვეტობას.

ლიტერატურა:


1. ლებანიძე, გ. 1998, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, ენა და კულტურა.
2. ლებანიძე, გ. 2004. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა.
3. Baugrande R.A.; Dressler W. 1982. An Introduction to Text Linguistics.
4. Dijk Van. 1981. Discourse Studies and Education in: Applied Linguistics.
5. Л.Г. Бабенко, Ю.В.Казарин. 2004. Лингвистический анализ художественного текста. Теория и практика: Учебник; Практикум\ Л.Г., М.
6. Гальперин И.Р. 1981. Текст как обьект лингвистического исследования, М., Нау-ка.
7. Лукин В.А. 1999. Художественныи текст – Основы лингвистическои теории и элементы анализа.
8. Новиков А.И. 1983. Семантика текста и ее формализация, М.
9. Тураева З.Я. 1986. Лингвистика текста, М., Просвешение.


*Мери Цуцкиридзе*

## Когезия и когерентность как центральные категории текста

### РЕЗЮМЕ

***Ключевые слова:*** *лингвистика текста, текст, когезия, когерентность, связность*

Статья посвящена рассмотрению основных текстообразующих параметров текста – когезии и когерентности. Когезия объясняет происхождение поверхностной структуры текста, лексико-грамматические способы связи его компонентов. Под когерентностью подразумевается смысловая связность текста, лежащая в основе всех остальных текстообразующих категорий.

*Mary Tsutskiridze*

## Cohesion and coherence as the central categories of the text

### SUMMARY

***Keywords:*** *text linguistics, text, cohesion, coherence, connectivity.*

The paper deals with two main text-forming notions – cohesion and coherence. Lexico-grammatical means of cohesion explain creation of the surface structure of a text. Coherence implies principles of semantic unity of a text and is treated as the main text-forming category that underlies all the other principles of text formation.

## Интертекст и интертекстуальность в текстах современных медиа

*Глория Чотулиди*

***Ключевые слова:*** *интертекст, интертекстуальность, текст, прецедентный текст, цитата, медиа*

Современный анализ текста предполагает изучение объекта через анализ его связей в пространстве культуры. Сохраняя собственную референцию, текст (а он репрезентирует некоторую объективно существующую или воображаемую реальность) невозможен без опоры на уже существующие тексты. Французский исследователь Ролан Барт, исследующий в своих работах проблему интертекстуальности, утверждает: «Текст образуется из анонимных, неуловимых и вместе с тем уже читанных цитат – цитат без кавычек» (1,417).

также обусловлено демассовизацией СМИ, индивидуализацией потребления контента, нарастанием интеррактивной составляющейв медийных взаимодействиях, наконец, трансформацией современной аудиториеи из пассивного потребителя информации в активного со-творца актуального медиадискурса. На примере грузинских СМИ можно увидеть, что они не могут не выступать одним из наиболее значимых факторов в системах, где имеет место конфликтная ситуация. А в нашей стране с такими ситуациями можно столкнуться, к сожалению, в любой сфере. Как раз именно этот медиадискурс , даже на его явную виртуальность, больше всего становится наиболее реальной площадкой развертывания и экскалации конфликтов. Иными словами, вышеупомянутый факт, имевший место быть в 2012 году, является прямым доказательством тому, что СМИ играют роль прямого или косвенного участника конфликта посредством осуществления информационного сопровождения конфликтной ситуации, а еще и отражали потребительские потребности своего телезрителя.

Разделяют понятия спонтанного и целенаправленного информационного сопровождения на телезрителя, поскольку последнее предполагает серьезную вовлеченности средств массовой информации в конфликтное противоборство, которое мы моли наблюдать не раз с экранов наших информациооных выпусков ведущих телеканалов «Рустава-2», «Маэстро» и других.

« Потребность в информации современного общества  как бы пронизывает все другие человеческие потребности и в то же время носит и самостоятельный характер, выражая творческую сущность человеческого сознания. Ведь информация обеспечивает процесс мышления, который, имеет своей основной функцией опережение, предвосхищение, активное отношение к извне поступающим данным»[2. 115].

Теперь проанализируем информационное поле СМИ с точки зрения представленности в нем передач различных типов и жанров. Безусловно, жанровые предпочтения современного телевидения, в массе своей, практически одинаковые, хотя нельзя отрицать, что существуют все же определенные особенности этих предпочтений и их в отдельных странах. Так, например, если сравнивать сетку телевещания европейских стран и грузинское то, можно привести следующую статистику. Самая большая доля эфира наших телевизионных каналов отдана кинопоказу (45% времени вещания), причем несколько большая часть приходится на кинофильмы. Телевидение как «кинобудка» - отличительная особенность именно нашего телевидения. Такого объема кино на общедоступных телеканалах нет в европейских странах. К примеру, во Франции доля кинопоказа на бесплатных эфирных каналах составляет всего 26 % от общего времени вещания, а кинофильмов –всего лишь пять процентов, причем, кинофильмы показывают платные киноканалы. У нас же кинофильмы в большом количестве, «напичканные» рекламой, доступны зрителям на бесплатных каналах. Можно сказать, что телеменю современного грузинского телезрителя почти наполовину состоит из кинопродукции (кинофильмов и телесериалов). А если добавить еще анимацию и документальные фильмы,то и более чем наполовину.

В целом соотношение «легких» развлекательных жанров (кинофильмы и телесериалы, развлекательные передачи, спорт) и «серьезных» (информационных, публицистических, просветительских) - примерно 75:25, что неудивительно, поскольку прак-

тически все наше телевидение стало коммерческим и существует  за счет рекламы. Это значит, что все каналы ориентируются на массовую аудиторию и формируют свой эфир, опираясь на рейтинговые показатели, дающие ориентиры о степени востребованности у зрителей программ определенных жанров. А наиболее востребованными у зрителей, как известно, являются развлекательные программы. В эфире «Рустави 2» и «Имеди» появляется огромное количество развлекательных передач, поскольку сейчас именно такое телевидение удерживает максимальное число телезрителей у своего экрана. И этому есть очень простое объяс-не-ние: массово-коммуникационная дея-тель-ность современного человека связана с потреблением, использованием и производством массовой информации. Нельзя забывать, что «удовлетворение информационных потребностей аудитории необходимо включать в число целей коммуникатора как цель-средство для достижения других, управленческих задач массового воздействия» [3.233].

Говоря об информациооных потребностях современной телеаудитории, то нельзя не учитывать все потребности в сообщениях определенного содержания и формы, которые нужны людям для ориентации в окружающем мире, для складывания в единое целое разных картин мира. Это будет способствовать выбору линии поведения, решения проблемных вопросов и ситуаций. Ведь каждому человеку необходимо чувство внутреннего равновесия и согласованноститис социальной средой, тем более, в наше, столь насыщенное событиями и сложностями время. Без удовлетворения этих потребностей невозможна целенаправленная разумная деятельность человека. Поэтому степень развития информационных потребностей и их удовлетворения тесно связаны с социальной активностью человека. Не всегда эти потребности могут быть поняты и четко обозначены медийным пространством, да и не только им. Далеко не все информационные потребности осознаны самим субъектом и выражены в его тематических интересах и коммуникационном поведении. Часть из них остается неосознанной и потому нереализованной из-за отсутствия необходимых сведений, недостаточности источников информации, неразвитости коммуникативных навыков и т.д.

Анализируя содержание информационных потребностей и их удовлетворение разными, в том числе и массовыми, средствами общения, следует учитывать образ жизни населения. Это позволяет объяснить закономерности формирования аудитории СМИ, а также причины неодинаковой эффективности использования отдельных каналов информации определенными группами населения. Так, например, если эффективность телевидения зависит от факторов внетрудовой сферы, то обращение человека к газетам, журналам, книгам связано в первую очередь с характером их профессиональной деятельности, статусом личности, т.е. с его трудовой сферой. Традиционно механизм развития, изменения такого сложного объекта как аудитория СМИ «раскрывается системой показателей, создание которых опирается на выявление его целостности и четкое представление его структуры и функций» [2, 62].

Затрагивая эту тему, нельзя не коснуться характеристик групп аудиторий, потребности которых удовлетворяются информационным полем.  К первой группе характеристик аудитории относятся признаки внутренней структуры аудитории, относительно независимые от системы СМИ. Вторая специфическая группа характеризует аудиторию в её непосредственных взаимоотношениях со СМИ

и описывает процесс потребления массовой информации. Третья группа связана с изучением воздействия сообщений СМИ на сознание аудитории.

Современные медийные отношения предполагают взаимодействие двух субъектов: информационное пространство и сам потребитель этого пространства,иными словами аудитории. Причем, связь этих двух субъектов взаимообоюдна. Лишь в этом случае аудитория включена во всю систему общественных отношений. В заключении хочется выразить надежду на то, что в Грузии все-таки сложится телевидение нового типа и соответствующая ему молодая аудитория. Безусловно, нельзя отказываться от собственного журналистского опыта прежних лет и осмысления опыта западной журналистики. Их взаимодействие, взаимовлияние приведет в будущем к тому, что система грузинских средств массовой информации приобретет свое оригинальное лицо, что несомненно отразится на вкусах и предпочтениях ее потребителя – современного телезрителя.

### ЛИТЕРАТУРА:


1. Харрис Р. «Психология массовых коммуникаций» СПб-М, 2001г.
2. ПочепцовГ.Г.Коммуникативные технологии двадцатого века. http://www.socium.ge/downloads/komunikaciisteoria/pochepcov%20teoria%20komunikacii.pdf
3. В. Л. Музыкант «Реклама в действии: история, аудитория, приемы» СПб, 2006г.
4. Л.В. Матвеева, Т.Я Аникеева, Ю.В Мочалова «Психология телевизионной коммуникации» М, 2004г.


*ლ. სიდამონიძე, დოქტორანტი*

**თანამედროვე ქართველი მაყურებლის ინფორმაციული მოთხოვნილებები**

**რეზიუმე**

***საკვანძო სიტყვები:*** *ვიდეოკულტურა, სტატისტიკა, სოციალური აქტიობა, მიზნობრივი აუდიტორია, საინფორმაციო უზრუნველყოფა.*

სტატიაში ნათქვამია თანამედროვე ტელეაუდიტორიის ინფორმაციული მოთხოვნების შესახებ, რომელიც თავის არჩევანში იხელმძღვანელებს საკუთარი მიდრეკილებებით თანამედროვე მსოფლიოში სამომავლო ორიენტაციისთვის, რაც სამომავლოდ ადამიანის მოქმედების, პრობლემური საკითხების, სიტუაციების გადაწყვეთის განსაზღვრელი ფაქტორი ექნება. თითოული ადამიანისთვის აუცილებელია იყოს შინაგანად გაწონასწორებული და სოციალურ გარემოსთან შეთანხმებული, მით უმეტეს დღევანდელ სირთულეებისა და მოვლენების სავსე დროში. ინფორმაციული მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების ხარისხი ადამიანის სოციალურ აქტივობასთან მჭიდროდ არის კავშირში.

***L. Sidamonidze. PhD.***

**Information Needs of Modern Georgian TV Viewer**

**SUMMARY**

***key words:*** *Video culture, statistics, social activity, primary audience, sources of information*

The article in question describes the information needs of the modern TV audience which goes mainly by its liking in its subsequent orientation in the modern world. It will facilitate the selection of future line of man's behavior, his endeavors to find solutions to problematic matters, because every man must have a feeling of internal balance and consistency of social environment in our eventual life which is full of challenges and different events.

# თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება და ენობივი დემოკრატიზაციის პრინციპები

*ირინე ცინცაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

*საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, საზოგადოება, ენობრივი დემოკრატიზაცია*

თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება გულისხმობს კომუნიკაციისა და ინფორმაციის უმთავრეს კაპიტალად დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, ენობრივი კომუნიკაციის პრობლემა უძირითასედი ხდება. მისით არის განსაზღვრული არამხოლოდ პიროვნებათშორის ან ჯგუფთაშორის დონეებრივი კომუნიკაციები, ანდა მხოლოდ რეტიალური კომუნიკაციები, არამედ, კომუნიკაციურ კულტურათა დიალოგისა და ურთიერთობის დონეზედაც. თანამედროვე საზოგადოების ერთი სპეციფიკა ენის დემოკრატიზაციის მიმართულებით სვლაა. დღეს გრამატიკული სისტემით ბუნებრივი ენის შეზღუდვები უარყოფით მოვლენად ფასდება. იმის გამო, რომ გრამატიკულ ენათმეცნიერებას ჩაენაცვლა შინარსობრივი ენათმეცნიერება, წინა პლანზე წამოიწია ტექსტის შინაარსობრივმა კომუნიკაციურმა ასპექტებმა.

აქვე განვმარტოთ, რომ თანამედროვე კომუნიკაციაზე ორიენტირებულ ლინგვისტიკაში ტექსტი გაიგება როგორც უმაღლესი რიგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო ურთიერთობა. ტექსტის დინამიკური გაგება - ,,ტექსტი მოქმედებაში" - წინა პლანზე სწევს მისი ფუნქციური ასპექტის შესწავლას. ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში და ამიტომ მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გახსნა შეუძლებელია რეალური კომუნიკაციის პირობებისაგან იზოლირებულად. ამგვარად, ტექსტზე ორიენტაცია ნიშნავს ამავე დროს კომუნიკაციურ პროცესზე ორიენტაციას. ტიპიური სამეტყველო აქტი ქმნის საფუძველს სამეტყველო ნაწარმოების განსაზღვრული ტიპის აღმოცენებისა და ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ტექსტის ტიპოლოგიური ნიშნების კვლევა სამეტყველო აქტის პირობების მიხედვით წარმოადგენს ლინგვისტიკის უპირველეს ამოცანას (1, 140).

ენის სისტემურ-სტრუქტურული შესწავლისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ენობრივი ერთეულების იერარქიული წყობის განსაზღვრაა. ამ კონცეფციის თანახმად, დაბალი იერარქიული დონის ერთეულები შეადგენენ მასზე მაღალი დონის ერთეულს. მაგალითად, ფონემა ფუნქციონირებს მორფემის, მორფემა - სიტყვის, სიტყვა კი - წინადადების შემადგენლობაში. არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, ენის უმაღლესი ერთეული შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თავად ნიშანს არ წარმოადგენს. ტექსტის ლინვისტიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიჩნეულ იქნა, რომ ენობრივი დონის უმაღლეს ერთეულს წარმოადგენს სწორედ ტექსტი და მას ისეთივე ენობრივი ერთეულის სტატუსი მიენიჭა, როგორიც სიტყვასა და წინადადებას.ტექსტის, როგორც ენობრივი იერარქიის უმაღლესი ერთეულის სტატუსის მინიჭება, უშუალოდ ეფუძნება ენობრივი ნიშნის დონეებრივ მოდელს (2, 37).

კომუნიკაციის პრობლემების კვლევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა. ამ მიმართულებით მუშავდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული (გამოყენებით-მეთოდიკური და მეთოდოლოგიური) პრობლემები. შემთხვევითი სულაც არ არის ის მოვლენა, რომ სახელმღვანელოებსა და მეთოდიკებში საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია არსებითი სახელებით, რომლებიც სხვებზე მეტად გამოირჩევიან საგნობრივ-შინაარსობრივი მნიშვნელობით. რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლებაში, ამგვარი მიდგომა შემდეგნაირად რეალიზდება: სიტყვის სემანტიზაციის ბუნებრივი თვალსაზრისის განხორციელებით, ნახატების, სქემების, ფოტო-

ების გამოყენებით და ა.შ. საკუთრივ ლინგვისტიკურ (შიდალინგვისტიკურ) კანონზომიერებებზე დამყარებული მიდგომები, ხერხები სიტყვის სემანტიზაციის პროცესში ნაკლებად გამოიყენება. (3, 87).

როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესახებ, შეუძლებელია ციტირება არ მოვიტანოთ გურამ ლებანიძის ნაშრომიდან ,,კომუნიკაციური სამყარო და თანამედროვე ლინგვისტიკა" - ,,კომუნიკიაციური სამყარო და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა" - ამ გამოთქმაში თეორიული თვალსაზრისით ფუძემდებელი, ცხადია, კომუნიკაციური სამყაროა და მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავიგებთ შეპირისპირებით ლინგვისტიკას. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა კი თავის მხრივ განსაზღვრავს, თუ რატომ უნდა ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ სამყაროზე.

ჩვენი საბოლოო მიზანია, დავინახოთ ქართული ენობრივი სამყარო ევროპული ენობრივი სამყაროს ფონზე და პირუკუ, ანუ რა მიმართებაშია ქართული ენობრივი სამყარო ევროპულ სამყაროსთან და პირუკუ. ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ამ ორი სამყაროს დიალოგურ - შეხვედრით კვლევას. კომუნიკაციური სამყაროს აგება თავიდანვე უნდა გულისხმობდეს ენათა სიმრავლის დიალოგური ურთიერთ მიმართების გათვალისწინებას. ენათა სიმრავლე თავდაპირველად და ყოველგვარ სხვა დიალოგამდე უკვე ნიშნავს, რომ ადამიანის სამყარო დიალოგიზირებულია. ჩვენი მიზანია, თანდათანობით მივუახლოვდეთ იმ კონცეპტუალურ სინამდვილეს, რომელსაც გულისხმობს გამოთქმა ,,კომუნიკაციური სამყარო". რას ნიშნავს ,,კომუნიკაციური" და რას ნიშნავს ,,სამყარო"? რატომ იძლევა ეს შერწყმა ისეთ იდეას, რომელსაც შეუძლია თავისი შინაგანი ლოგიკით დაიტიოს თავის თავში ის, რასაც ,,შეპირისპირებით ლინგვისტიკას" ვუწოდებთ? გამოთქმაში ,,კომუნიკიაციური სამყარო" ჩვენ ვაერთიანებთ ორ თეორიულ ფაქტს. პირველი - ეს არის დღევანდელი ლინგვისტური აზროვნება მის ყველაზე უფრო აქტიურ და შინაგანად ყველაზე უფრო ,,წინ" წასულ ასპექტში. XX საუკუნის ლინგვისტიკა, როგორც თეორიული ხაზი, ხასიათდება გარკვეული დინამიკით. ეს დინამიკა დაიწყო სოსიურიდან და დღემდე გრძელდება. ამ დინამიკის შედეგი დღეს არის ის, რასაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა. (4, 148)

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მთავარ ამოცანად გაგებინებას აცხადებს. წარსულს ჩაბარდა კოდიფიცირებული, კანონიკური, სტანდარტიზებული ბუნებრივი ენის ცნება, რომელსაც ქართულ სინამდვილეში სალიტერატურო ენა ეწოდებოდა. თავისთავად ამ დადებით მოვლენას მცირერიცხოვანი ენების მაგალითზე, რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება და სადაც ეროვნული თვითმყოფადობა პირდაპირ არის მიბმული, ეროვნული ბუნებრივი ენის სიძლიერეზე, სიმტკიცესა და შეუვალობაზე, გლობალიზაციით გამოწვეულმა ენობრივი დემოკრატიზაციის პროცესებმა ერთგვარად საფრთხე შეუქმნა არამხოლოდ სალიტერატურო ანუ კანონიკური ენის დარღვევას, არამედ, საფრთხის წინაშე დააყენა ენობრივი და კულტურული ცნობიერება.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ არის ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილი თუ დარგი. იგი არის თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე უფრო აქტუალური და პერსპექტიული მიმდინარეობა. როგორც შინაარსით, ისე სტრუქტურით იგი მიისწრაფვის იმისკენ, რომ გახდეს ენის თანამედროვე თეორია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეს მისწრაფება აღსრულდება, მაშინ ძალიან მალე შეიძლება დადგეს დრო, როცა ორი გამოთქმა: ,,ენის თეორია" და ,,ენის კომუნიკაციური თეორია" ერთმანეთს დაემთხვევა.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვითვისებთ ან ვაღრმავებთ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, იმდენად ვიმყოფებით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე ,,მოწინავე" ხაზზე. კომუნიკაციური ლინგვისტიკა - ეს არის ახალი ან უახლესი ლინგვისტური აზროვნება მის ქმნადობაში. (4, 285)

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ სალიტერატურო ენის "დემოკრატიზაციისა", რომელსაც შერყვნას ვუწოდებთ. კანონიკურ ენას შეერია არამხოლოდ ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა და ფრაზე-

ოლოგია, არამედ სოციოლექტების ლექსიკაც და არცთუ იშვიათად გამონათქვამები (ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიონალიზმები, ბარბარიზმები).

თანამედროვე ბეჭდური მედია უამრავი დასახელებისაა. იბეჭდება მრავალფეროვანი მასალა. ეს ჟურნალ-გაზეთები განსხვავდებიან პოლიტიკური მიმართულებებით, თემატიკით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, ენობრივი შეცდომებით თითქმის იდენტურია.

მოგვეძალა ქართული ენისათვის არაბუნებრივი, უჩვეულო კონსტრუქციები, აქცენტუაცია, ფრაზეოლოგია. ბევრი ქართველის სმენას თითქმის აღარ ეუცხოება ისინი, რადგან ყოველდღე ესმის, კითხულობს, ნელ-ნელა თითქოს ეჩვევა კიდეც.

როდესაც გვსურს ტექსტის შინაარსის, მისი სემანტიკის კვლევა, მეტად მნიშვნელოვანი მომენტია ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ცნებების - ,,მნიშვნელობის", ,,შინაარსისა" და ,,აზრის" ურთიერთმიმართების პრობლემის განსაზღვრა. განსხვავება ,,აზრსა" და ,,მნიშვნელობას" შორის XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ლ. ვიგოტსკის მიერ არის მოცემული: ,,თუ სიტყვის ,,მნიშვნელობა" კავშირისა და შესაბამისობის სისტემის ობიექტურ გამოხატულებას წარმოადგენს, ,,აზრი" - კონკრეტულ მომენტსა და სიტუაციაში მნიშვნელობაში სუბიექტური ასპექტის შეტანას ნიშნავს" (ვიგოტსკი, 1934).

,,აზრი", ,,მნიშვნელობა" და ,,შინაარსი" ენაში გამოხატულებას პოულობს სიტყვებში, წინადადებებში, გამონათქვამებში და, ცხადია, ტექსტშიც.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიას. პრესაში დაშვებული შეცდომები სხვადასხვა სახისაა, ხშირად, ,,აზრი", ,,მნიშვნელობა" და ,,შინაარსი" სრულიად შეუსაბამოა. არსებობს ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური შეცდომები, რომლებიც ენის ნორმათა უცოდინარობის შედეგია.

ქართული პრესის ენაში გვხვდება უზუსტობანი კონტექსტში სიტყვათა შერჩევის თვალსაზრისით. ხშირია სინტაგმები, რომელთა წევრები მნიშვნელობის მიხედვით არ შეეფერებიან ერთმანეთს.

ქართული ენა იმ ენების რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც სიტყვათა რიგი წინადადებაში თავისუფალია, მაგრამ არა აბსოლუტურად თავისუფალი. იმის გამო, რომ დარღვეულია რიგი სიტყვებისა, ხშირად აზრი შეცვლილი ან ბუნდოვანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მთავარ ამოცანად გაგებინებას აცხადებს, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე პრესის ენის შესახებ. მეცნიერებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა კვლევის მიზანი სწორედ აღნიშნული პრობლემების კვლევა, მიზეზების დადგენა და მათი შესაძლებელი ან უფრო სწორად, სავარაუდო გამოსწორების გზების ძიებაა, რომელსაც რა თქმა უნდა, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი და პერიოდი სჭირდება.

**ლიტერატურა:**

1. მარინა ჯაში, ,,კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტრადიციულ ლინგვისტურ ცნებათა გადააზრება", თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსტეტი, კრებული - ენა, თარგმანი, ლიტერატურა, თბ. 1999.
2. ნინო თევდორაძე, ,,ტექსტის ლინგვისტიკა", თბ. 2011.
3. ბორის იმნაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი, ,,ვერბალური კომუნიკაცია და სიტყვა-ფორმათა ლექსიკური მნიშვნელობა", ჟურნ. ,,განათლება", №3(9), თბ. 2013
4. გურამ ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ. 2004.

*Ирина Цинцадзе*

**Современное информационное общество и принципы языковой демократизации**

**РЕЗЮМЕ**

Современное информационное обществоподразумеваеткоммуникацию и информацию как основной капитал. Таким образом, проблема языковой коммуникации становится наиважнейшей, так как ей определяется не толькоуровни межличностнх или групповых коммуникаций, но и уровни отношений и диалога коммуникационных культур.

Сегодня мы являемся свидетелями нарушений норм литературного языка, который мы называем искажением. с «законным» языком перемешалась не только лексика и фразеология территориальных диалектов, но и лексика социолектов, а также часто встречаемые выражения (сленг, арго, жаргон, профессионализмы, заимствования).

Что касается грузинской печатной медии, то здесь встречаются ошибки различных видов, зачастую„„мнение”, «значение” и «содержание» абсолютно не соответствуют друг другу. Имеютсяортографические, морфологические и синтаксические ошибки, которые являются следствием незнания норм языка. Целью исследования ученых, а также лиц, заинтересованных этим вопросом, и являются вышеперечисленные проблемы, установление причин из возникновения и пути их возможного исправления или решения, что. конечно же, является достаточно длительным процессом и займет много времени.

*Irina Tsintsadze*

**Modern information society and the principles of linguistic democratization.**

**SUMMARY**

Modern information society implies communication and information as a main capital. Thus, the problem of language communication becomes the most crucial, since it defines not only on the levels of interpersonal or group communication, but also the levels of relationship and dialogue of communication cultures.

Today we are witnessing violations of literary language, which we call distortion. So called “canonic” language has been mixed up not only with vocabulary and phraseology of territorial dialects, but also with sociolect vocabulary and frequently used expressions such as slang, jargon, professionalisms, borrowings.

As for the Georgian print media, there are mistakes of various kinds;in most cases „ opinion “,” meaning”and” content “do not correspond to each other. There are orthographic, morphological and syntactic errors that are the result of ignorance of the rules of the language.

The aim of the scientists, as well as those interested in the issue,is a researchof above mentioned problems, an establishmentof the causes of their occurrence and the way of their possible fixes or solutions. Of course, it is quite a long process and will take a lot of time.

# სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები

# СОЦИАЛЬНЫЕ И ОБЩЕНАУЧНЫЕ ДИСЦИПЛИНЫ

# SOCIAL AND SCIENTIFIC DISCIPLINES

## Некоторые причины жестокого обращения с детьм[1]

***Е.А. Антонян – кандидат юридических наук,***
*доцент кафедры криминологии*
*и уголовно-исполнительного права*
*Московского государственного юридического*
*университета имени О.Е. Кутафина (МГЮА)*

Насилие над детьми - сложная психолого-криминологическая проблема, охватывающая вопросы самоуважения, близости, отчуждения, реальности в ожиданиях, в успехе, напряженности. Эта сложность и глубина предполагает необходимость долгосрочного «лечения» семей, где дети подвергаются тем или иным формам насилия.

Дети, безусловно, самая незащищенная, уязвимая социальная группа. По данным ООН, от произвола родителей ежегодно страдают около 2 млн. детей до 14 лет; каждый десятый из них умирает, а 2 тыс. кончают жизнь самоубийством. Под уголовное преследование попадают действия с очевидным и ощутимым ущербом для здоровья - убийства, телесные повреж-дения, истязания. Официальные данные о детях, переживших насилие в семье, нигде не приводятся; латентность таких действий велика.

Проникновение насилия в жизнь семьи ведет к деконструкции нравственных, гуманистических основ семейного воспитания, к росту детской беспризорности, вовлечению несовершеннолетних в потребление спиртных напитков, наркотиков, в проституцию и криминальную деятельность. В такой обстановке совершенствование мер предупреждения и насилия в семье становится важнейшей задачей не только органов внутренних дел, но и всего общества.

Насилие в семье может иметь различные формы - от эмоционального и морального шантажа до применения физической силы, и именно последнее практикуется наиболее часто.

По статистике наиболее частыми проявлениями плохого обращения является лишение еды, питья (20 - 24%), запирание в темноте (10 - 15%), изгнание из дома (12,6%).

Есть несколько факторов, которые способствуют жестокому обращению с детьми и отсутствию родительской заботы о ребенке.

1. В семье, где принято жестокое отношение к детям, часто есть ребенок – «мишень»,

[1] Данная статья подготовлена в рамках Программы стратегического развития ФГБОУ ВПО Московский государственный юридический университет имени О.Е. Кутафина (МГЮА); НИР «Предупреждение насилия в отношении детей в семьях и на улице: психолого-криминологическое исследование», проект № 2.2.1.1.

поведение которого порицаемо. Его считают особенным, отличающимся от других, либо слишком активным, либо чересчур пассивным и так далее, и он становится объектом агрессии членов семьи. Ребенок может напоминать о ненавистном родственнике, являться любимчиком одного из родителей, может иметь недостаток, который раздражает его мучителя, иметь физические и умственные недостатки.

2. Критическая ситуация или истечение обстоятельств часто вызывают вспышки жестокого поведения, к которым можно отнести: потерю работы, разлуку с любимым человеком, смерть, нежелательную беременность или другое событие принципиально важное для взрослого.

3. Очень часто причиной жестокого отношения к ребенку является недостаток элементарных знаний о детском развитии. Ожидание, что двухмесячный ребенок отреагирует на наказание, а в шесть месяцев сможет следить за своим мочевым пузырем или стулом, наивно, так как ребенок не может контролировать эти процессы ни физиологически, ни психически. Не зная этого, родители могут наказать ребенка.

4. Модель домашнего насилия, как правило, передается от одного поколения другому. Строгие наказания обычно не считают насилием по отношению к детям, а рассматриваются в качестве семейной традиции.

Таким образом, дети, подвергающиеся жестокому обращению со стороны своих родителей, имеют особые черты: физические недостатки, инвалидность или задержки в развитии, тяжелый характер, поведенческие трудности. Дети-инвалиды и отстающие в развитии дети, так же, как и дети с трудным поведением, составляют группу высокого риска подвергнуться жестокому обращению. Все это создает дополнительное напряжение в семье, укрепляет чувство собственной несостоятельности как родителя и вызывает реакцию со стороны родителей, выражающуюся в насилии над ребенком и пренебрежении по отношению к нему.

Причины, провоцирующие насилие над детьми в семье, пытаются объяснить многие существующие в настоящее время теории.

Социологический подход ссылается на влияние социокультурных факторов (стереотип семейных отношений, усвоенный в детстве), на жилищные и материальные условия, порождающие хронический психологический стресс и посттравматическое расстройство.

С психиатрической, медицинской точки зрения жестокое обращение и пренебрежение ребенком - следствие патологических изменений в психике родителей, деградации, алкоголизации.

Социально-психологический подход объясняет проявление насилия личным жизненным опытом родителей, их «травмированным» детством.

Психологическая теория основывается на том, что ребенок сам «участвует» в создании предпосылок для жестокого обращения, что автоматически выливается в концепцию плохого обращения как конечного результата деструктивных детско-родительских отношений.

Следовательно, насилие можно трактовать как многомерный фактор, порождаемый взаимодействием сразу нескольких элементов: личностными особенностями родителя и ребенка, внутрисемейными процессами, стрессами, вызываемыми социально-экономическими условиями, обстоятельствами общественного характера.

Накоплен достаточный материал для того, чтобы сделать некоторые общие выводы относительно родителей, плохо обращающихся с детьми.

Взрослые - жертвы насилия, пережитого в

детстве, стремятся к одиночеству, они часто подозрительны, испытывают трудности в общении с другими. Многие из них имеют низкую самооценку, считают себя недостойными, неадекватными, нелюбимыми. Редко испытывавшие глубокие привязанности в детстве, они часто ищут любовь и понимание у тех, кто не может оправдать их ожиданий, вступая в супружеские или партнерские отношения с людьми, имеющими сходный опыт семейного насилия. Становясь родителями, они требуют от своих детей как отражение своей собственной компетентности и самоценности. Все это служит причиной для возникновения у них нереалистичных ожиданий в отношении поведения, успехов и развития своих собственных детей.

Предполагается, что 90% родителей, жестоко обращающихся с детьми, имеют шансы на «излечение». Оставшиеся 10% родителей, имеющих серьезные эмоциональные расстройства, рассматриваются как группа, недоступная для «лечения» с точки зрения общих терапевтических подходов.

Выделяют четыре вида жестокого обращения с детьми:

1. Физическое насилие - это любое неслучайное нанесение повреждения ребенку в возрасте до 18 лет родителями или лицом, осуществляющим уход или опеку. Такие повреждения могут включать побои, встряхивания, ожоги, человеческие укусы, удушение, приводящие к синякам и рубцам, переломам, шрамам или внутренним повреждениям.

Каждый год более 50 тыс. российских детей убегают из дома, спасаясь от побоев; 38% от общего количества убитых на почве семейно-бытовых отношений составляют неспособные защищаться дети, инвалиды, женщины.

2. Сексуальное насилие - это использование ребенка или подростка другим лицом для получения сексуального удовлетворения.

По разным источникам в 75 - 90% случаев насильники хорошо знакомы жертвам; в 35 - 45% насильником является близкий родственник, а в 30 - 45% - дальний.

Российским законодательством дети, подвергнувшиеся насилию незнакомцами, и дети, вовлеченные в сексуальные отношения родителями или близкими, определяются как жертвы одного и того же деяния.

3. Пренебрежение - это хроническая неспособность родителя или лица, осуществляющего уход, обеспечить основные потребности ребенка, не достигшего 18 лет, в пище, одежде, жилье, медицинском уходе, образовании, защите и присмотре.

4. Психологическое жестокое обращение включает в себя психологическое пренебрежение - последовательную неспособность родителя или лица, осуществляющего уход, обеспечить ребенку необходимую поддержку, внимание и привязанность, и психологическое жестокое обращение - хронические модели поведения, такие, как унижение, оскорбление, высмеивание ребенка.

Как правило, насилие в семье имеет следующие особенности:

- если уже имело место физическое насилие, то обычно с каждым последующим разом возрастает частота его повторения и степень жестокости;

- насилие и оскорбительное поведение чередуются с обещаниями измениться и извинениями, приносимыми обидчиком;

- при попытке порвать отношения наблюдается эскалация опасности для жертвы;

- насилие в семье происходит в любых слоях и категориях населения, невзирая на классовые, расовые, культурные, религиозные, социально-экономические аспекты.

Домашнее насилие является сегодня одной из важнейших причин, которые способствуют

социальному и психологическому нездоровью семьи, лишают ее стабильности и безопасности.

Существование в обществе проблемы домашнего насилия имеет серьезные последствия. Семьи, в которых отношения строятся на насилии, входят в группу риска, так как выросшие в такой атмосфере дети становятся жертвами насилия либо сами подвергают насилию своих близких. Если проанализировать историю жизни мужчины-насильника, то зачастую выясняется, что он принес в семью модель поведения своих родителей. Женщины нередко рассказывают, что мальчики проявляют агрессивность по отношению к своим младшим сестрам, копируя отношение отца к матери.

Рассматривая семью как один из основных источников сохранения культурных и духовных ценностей, необходимо осознавать, что традиции насилия могут передаваться следующим поколениям как часть негативного опыта. Рост насилия в обществе и его криминализация напрямую связаны с взаимоотношениями в семье.

Выделение насилия в семье в самостоятельную и значимую проблему - только первый шаг, направленный на ее разрешение. Но на этом пути возникает ряд препятствий: недостаток информации о степени распространения и причинах применения силы в семье, слабость законодательной базы. Для разрешения этой сложной ситуации необходимы совместные усилия государственных и общественных организаций, работников органов внутренних дел, социальных педагогов, социальных работников. В России, к примеру, до сих пор не разработан федеральный закон о предотвращении насилия в семье.

Таким образом, вопросы социальной защиты несовершеннолетних в последнее время стали приоритетными для большинства стран мира. Формирование в Российской Федерации правого государства должно опираться на высокую социальную защищенность детей, оказание им такой помощи, которая бы обеспечивала социальное и психическое здоровье каждому ребенку. Сегодня дети все чаще сталкиваются с кризисными ситуациями, выход из которых требует помощи компетентных специалистов-социальных работников, педагогов, способных не только разобраться в этих ситуациях, выявить причины их возникновения и возможные последствия, но и подобрать наиболее рациональный путь выхода из кризиса. В настоящее время жертвы семейного насилия могут обратиться за помощью практически в любой из государственных центров социального обслуживания семьи и детей.

Наиболее эффективным является тот кризисный центр, который имеет нестандартную обстановку, приближенную к домашней, что создает особый психологический климат и имеет важное психотерапевтическое значение. Для предотвращения самого факта насилия надо изменить менталитет человека, создать условия, при которых любое попирание прав, в том числе и семьи, недопустимо и осуждается обществом. И здесь основную роль должны сыграть средства массовой информации. Сегодня необходимы программы, направленные на повышение правовой грамотности, обучающие общению в семье, психологии поведения, уходу от конфликта; публикации не просто осуждающие факты семейного насилия, а предлагающие иные, ненасильственные пути разрешения возникающих конфликтов; подходы к вопросам предупреждения и сдерживания насилия в семье.

# ქართულ-ევროპული ნაციონალიზმი

*მარიამ გაბუნია, სტუ-ს დოქტორანტი*

**საკვანძო სიტყვები:** ნარატივი, ნაციონალიზმი, ნაცია, ერი, მართლმადიდებლობა.

წარმოდგენილ სტატიაში „ქართულ-ევროპული ნაციონალიზმი", საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გაცნობისა და გაანალიზების შედეგად განხილულია ქართულ-ევროპული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ეტაპები, ძირითადი არგუმენტების დასასაბუთებლად მოყვანილია სათანადო მაგალითები და ამონარიდები. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა მახასიათებლებით შეიძლება ქართულ-ევროპული ნაშრომების გაანალიზება. ახსნილია თუ როგორ იბადება ნაცია საფრანგეთში, აშშ-ში. განმარტებულია თუ რას წარმოადგენს ნაციონალური ნარატივი, რა აყალიბებს ფრანგულ და ამერიკულ ნაციონალურ ნარატივს. სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართული ნაციონალური ნარატივის გაანალიზებას. დახასიათებულია სამი ნარატივის ვიზუალური გამოხატულება. განმარტებულია, რომ ამ სამი ნარატივის ურთიერთობა დღევანდელი ქართული ნაციონალიზმის სახის ერთგვარი განმსაზღვრელია. ნაშრომში მოყვანილია იდენტობათა და ნა-ციონალურ ნარატივთა რამდენიმე ფორმა, გაანალიზებულია ქართული ნაციის ჩამოყალიბების პროექტის გზები.

ქართული ნაციონალიზმი XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსული იმპერიის წიაღში დაიბადა. ქართული ნაციონალიზმის მამად ილია ჭავჭავაძე უნდა მივიჩნიოთ. ამ ნაციონალიზმის მთავარი სლოგანია: მამული (ტერიტორია), ენა (ერთიანი განათლების სისტემა) და სარწმუნოება (ქრისტიანული ტრადიციები). ილია ჭავჭავაძე ერთ პირად წერილში წერდა: „ქართლის ცხოვრებას" ვკითხულობდი და ხალხი ვერ დავინახე, ჩვენი ისტორია მეფეთა ისტორიაა"-ო. ვახუშტი ბატონიშვილის წიგნს ჰქვია „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ივანე ჯავახიშვილისას კი „ქართველი ერის ისტორია". ამ ორ ფუნდამენტურ ნაშრომს შორის 130 წელი და უზარმაზარი განსხვავებაა, სადაც მეფე და სამეფო იყო, იქ ერი და ნაცია გაჩნდა. ილია ჭავჭავაძე თავისი ცნობილი სლოგანით: „მამული, ენა, სარწმუნოება", შეეცადა ამოევსო ის წყვეტა, რომელიც სამეფოსა და ნაციონალიზმს შორის არსებობდა. უფრო მეტიც, ილია შეეცადა მეფის ნაცვლად ერი გამოეცხადებინა ქვეყნის წარმმართველ მთავარ ძალად. ამიტომ მას „ერის მამა" და „საქართველოს ერის მამა უწოდეს".

სამეფოში ყველაფერი მეფისადმი ლოიალურობით იზომება. მაგალითად, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროს ქართველები და სომხები რელიგიურად დაპირისპირებულები იყვნენ, მაგრამ ნაციონალური დაპირისპირება მათ შორის არ არსებობდა. იმიტომ, რომ არ არსებობდა, ნაციონალიზმი. ეს დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, რუსეთის იმპერიაში ჩვენი ყოფნის დროს, როცა ქართული არისტოკრატია და გლეხობა გაუუცხოვდა სომხურ ბურჟუაზიას. ეს ძალიან კარგად არის ნაჩვენები დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმაში", როცა ქეთოსა და კოტეს ქორწინების სახით ხდება ქორწინება რეალური კაპიტალის მქონე სომხურ ბურჟუაზიასა და სიმბოლური კაპიტალის მქონე ქართულ არისტოკრატიას შორის.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მიმდინარე ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლა" იყო არა იმდენად თაობათა შორის ბრძოლა, რამდენადაც ბრძოლა მონარქიზმსა და ლიბერალურ ნაციონალიზმს შორის. მონარქიზმი გულისხმობს იერარქიულობას, ლიბერალიზმი - თანასწორობას. მონარქიზმი აგებულია დინასტიზმის პრინციპზე, ის არ არის ტერიტორიაზე მიბმული - სადაც მეფეა, იქაა სამეფოც. ტერიტორიული პრობლემები მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებში, მაგრამ არაა გადამწყვეტი. იმპერია თავისი არსით უპირისპირდება ნაციონალიზმს. იმპერიაში მთავარია, რომ ის ფართოვდება გარ-

კვეული სამეფოების დინასტიურ პრინციპში ერთგვარი ჩართვით, იმპერია გაფართოებადი მონარქიაა. ნაციონალიზმს კი სჭირდება კონკრეტული ტერიტორია და სისხლიც ბევრი იღვრებოდა ამ ტერიტორიის შესანარჩუნებლად თუ დასაკავებლად. გარკვეული აზრით - ნაციონალიზმი სამოქალაქო ომსა და გენოციდს მოითხოვს. მაგალითად, ფრანგებს დასჭირდათ საკუთარი ხალხის გენოციდი - ვანდეა, თურქებს I მსოფლიო ომის შემდეგ - სომხების გენოციდი, იმიტომ, რომ ერთ ტერიტორიაზე ორ ერს ჰქონდა სხვადასხვა ნაციონალური პროექტი. არადა, სომხები საუკუნეების მანძილზე მშვიდად ცხოვრობდნენ თურქეთის (ოსმალეთის) ფარგლებში. იმისათვის, რომ გაჩენილიყო თურქეთის ნაციონალური სახელმწიფო (1923 წელს დაიბადა თურქეთის რესპუბლიკა), თურქებს დასჭირდათ სომხების გენოციდი (რასაც სომხები დღემდე ვერ პატიობენ) [3,25].

ქართული ნაციონალიზმი განსხვავდება ევროპული ნაციონალიზმისგან. ჩვენ „ეთნიკური ნაციონალიზმი გვაქვს“, ხოლო ევროპული ნაციონალიზმი „სახელმწიფო ნაციონალიზმია“. ქართული ნაციონალიზმი, ევროპულისაგან განსხვავებით, ეკლესიასთან დაპირისპირების გზით არ ჩამოყალიბებულა, პირიქით. ქართული ნაციონალიზმი სხვა „აღმოსავლურ ნაციონალიზმებთან“ (რუსულ, ბულგარულ, რუმინულ) ერთად, სეკულარიზაციის, ეკლესიის საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევის გზით არ ჩამოყალიბებულა. ზოგადად, სეკულარიზაცია გულისხმობს ეკლესიის გამოთიშვას ძალაუფლებიდან, როცა ეკლესია აღარ მიიჩნევა ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყაროდ. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე ეკლესია ევროპაში ძალაუფლების ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა [2,112]. ილიას ფორმულა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ გვიჩვენებს, რომ ეკლესია ქართული ნაციონალური პროექტის ნაწილია, როგორც „კულტურული მემკვიდრეობა“. საგულისხმოა, რომ ეკლესია სტალინმაც კი ჩართო საბჭოთა „ნაციონალურ“ პროექტში.

ქართულ ნაციონალიზმს ნაციონალიზმის ევროპული მოდელისაგან გამოარჩევს სარწმუნოება, ქრისტიანული ტრადიცია, როგორც ნაციონალური მემკვიდრეობა. ევროპულ მოდელში ნაციონალიზმი სწორედ მონარქიასა და ეკლესიასთან დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა. ამავე დროს, თუ ევროპაში ნაციონალიზმსა და ნაციონალურ იდენტობას ბურჟუაზია, იმდროინდელი სამოქალაქო საზოგადოება აყალიბებს, საქართველოში ნაციონალურ იდენტობას ძირითადად არისტოკრატიული წარმოშობის ინტელექტუალური ელიტა, კერძოდ, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები - „თერგდალეულები“ ქმნან. ქართულ სინამდვილეში ძალაუფლება ყოველთვის პიროვნებაზე იყო მიბმული და პიროვნებიდან მომდინარეობდა (მაგალითისთვის, გავიხსენოთ ი. სტალინი, ლ. ბერია, ე. შევარდნაძე, ზ. გამსახურდია, მ. სააკაშვილი, ბ. ივანიშვილი). „ქართული ძალაუფლება“ ქარიზმული ფენომენია (მჯერა, რომ 2013 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ახალი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ ეს შეხედულება დაიმსხვრევა). ძალაუფლების მატარებელი პერსონის მიმართ ჩვენში არ არსებობს მშვიდი და კრიტიკული დამოკიდებულება. ის ან მხსნელია ან დამაქცეველი. ასეთი განწყობა იყო, როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის თუ ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

გავიხსენოთ, რა მოხდა საფრანგეთში დიდი რევოლუციის (1789-1792 წწ.) შემდეგ: 1793 წლის 21 იანვარს ქვეყნის მონარქს - ლუი XVI-ს თავი მოჰკვეთეს. ეს იყო საშინელი, მაგრამ რეალური ქმედება, რომელსაც უდიდესი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. დაიბადა ახალი ფენომენი - ნაცია. მან ახალი წესები დანერგა, რომელთა წინაშე ყველა უნდა იყოს თანასწორი, აღარ არსებობდა ბურბონთა დინასტია, იერარქია, აღარ არსებობდა არისტოკრატთა პრივილეგიები. გაძლიერებული ბურჟუაზია, ე. წ. „მესამე წოდება“ აცხადებს, რომ ის ნაციაა და რომ მოწოდებულია საკანონმდებლო ორგანოში ილაპარაკოს ერის სახელით. სწორედ აქედან იბადება ნაციონალიზმი, ერთი კლასი, თითქოსდა, ერის ნაწილი, რომელიც თავის თავს ერს უკავშირებს და მასთან აიგივებს. შედეგად -

არისტოკრატია, მეფე და სამღვდელოება ნაციის მოღალატეებად შეირაცხა [3, 29-30]. საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ მეფის მოჭრილი თავის ადგილი ნაციამ დაიკავა. მეფე იყო სუვერენი, რომელსაც ჰქონდა ნება, ის აღასრულებდა კანონებს, კანონს სჭირდება ნება, ეს მეფის ნებაა, მაგრამ მეფის ნება, ხომ ღვთის ნებისაგან მომდინარეობს. კანონის უზენაესობა და ნაციის სუვერენულობა სწორედ მეფის სუვერენულობის და იმ ლეგიტიმურობის ჩანაცვლებაა, რომლის წყაროც არის ღმერთი. ფრაზა: „კანონის უზენაესობა" მალავს გარკვეულ სევდას მეფის ლეგიტიმურობის კანონიერების მისამართით. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ლეგიტიმურობა შემცირდა ან გაიზარდა. არადა, ლეგიტიმურობა ან არის, ან არა. თუ ის იცვლება, მაშინ ის უკვე რეიტინგია და არა ლეგიტიმურობა. ეს პრობლემა საფუძველშივე უდევს დემოკრატიას - ევროპული დემოკრატია და ნაცია ხომ, თითქმის, ერთი და იგივეა [2,118].

ქართულ საზოგადოებას, ხშირ შემთხვევაში, არ ესმის ნაციონალიზმის ფენომენის თავისებურება. ჩვენ გვგონია, რომ ნაციონალიზმი ოდითგანვე არსებობდა. ამ დროს, ის XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს ისახება და შემდეგ ვრცელდება. ჩვენ გვგონია, რომ ქართული ნაციონალიზმი შუა საუკუნეების ქართული სამეფოს გაგრძელებაა. სინამდვილეში, ეს ასე არ არის. ერთია სამეფო, თავის იერარქიულობით და სულ სხვაა - ნაციონალიზმი. ნაცია თანასწორობას გულისხმობს, მაშინ, როდესაც რაც არის ნაციამდე, ანუ სამეფო - პრინციპულად სხვანაირია, იერარქიულია და ლეგიტიმურობის სულ სხვა წესი აქვს [5, 21].

საკამათოა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი იმპერიულ პრინციპზე აგებული არ ყოფილა. საბჭოთა კავშირი იყო თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი მცდელობა (ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაც გლობალიზაციის ადრეულ ნიმუშად მიმაჩნია). საბჭოთა კავშირი XX საუკუნის 20-იან წლებში ნაციონალურ-ტერიტორიული ნიშნით მოაწყვეს. საბჭოთა კავშირი მუდამ ორიენტირებული იყო ამ კავშირის შენარჩუნებაზე და ამიტომაც არსებობდა ე. წ. „რკინის ფარდა" (უ. ჩერჩილი), საბჭოთა კავშირი „რკინის ფარდის" გარეშე ხომ წარმოუდგენელია. იმხანად, მის ტერიტორიაზე და შემდეგში უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეთნო-კონფლიქტებიც ხომ სინამდვილეში ნაციონალურ-ტერიტორიული კონფლიქტებია.

ქართველები აღმოვჩნდით იმ სიტუაციაში, რომ ჩვენ და აფხაზებს ერთ ტერიტორიაზე სხვადასხვა ნაციონალური პროექტი გვაქვს (სამაჩაბლოს ანუ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" სიტუაცია აფხაზეთის ანარეკლს წარმოადგენს) - ესაა სამოქალაქო ომის სიტუაცია. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია სიტყვა „გენოციდი", ნებისმიერი ნაციონალიზმი გენოციდით მკვიდრდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ნაციონალიზმი თავისი არსით, შინაგანად გულისხმობს სამოქალაქო ომს, ან საკუთარი, ან სხვა ხალხის წინააღმდეგ. ნაციონალიზმი, ერთგვარად, ქრისტიანულ პოზიციას უპირისპირდება. ნაციონალიზმი ქრისტიანობის ჩანაცვლების მცდე-ლობად უნდა მივიჩნიოთ. გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ცნობილი ტაეპი „ჩემი ხატია სამშობლო...". ამჟამად მიმდინარეობს ქართული ნაციონალიზმის ჩაწერა ევროპულ კონტექსტში. ევროპული ნაციონალიზმი დღეს ახალ სტადიაზე გადავიდა. პოსტმოდერნისტული გლობალიზაცია არის ევროპული ტიპის გლობალიზაცია მთელ დედამიწაზე. გლობალიზმი ევროპული ნაციონალიზმის, ერთგვარი, გაგრძელებაა.

განვიხილოთ ზოგადად ნაცია და ნაციონალური ნარატივი. სწორედ ნაციონალური ნარატივია ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი. ნაციონალური ნარატივების მეშვეობით ახდენს ნაცია საკუთარი თავის ფორმირებას. ნაციონალურ ნარატივებს აყალიბებს ნაციონალური პოლიტიკურ-ინტელექტუალური ელიტა (მასმედიის, თუ განათლების სხვა დაწესებულების სახით). ნაცია ხომ ეს არის ერთი ნაციონალური ნარატივი და ერთი ეკონომიკა ერთ მთლიან ტერიტორიაზე. ტერიტორიული მთლიანობის იდეა, საბაზრო ეკონომიკა და განათლების ერთიანი სისტემა ქმნის ნაციას, როგორც მთლიანობას, რომლის აუცილებელი თვისებაა სუვერენულობა.

ამიტომ, ლეგიტიმურობის წყაროს წარმოადგენს „ერთი ხალხი ერთ ტერიტორიაზე“. ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები პირველად ჩამოყალიბდა XVIII-XIX საუკუნეების ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. პირველი ორი ნაციაა - ფრანგული და ამერიკული ნაციები. ფრანგულ ნაციონალურ იდენტობას აყალიბებს ფრანგული რევოლუცია (1789 წლის 14 ივლისი - ბასტილიის აღება) და „ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია“ (1789 წლის 26 აგვისტო). ამერიკულ ნაციონალურ ნარატივს კი აყალიბებს ამერიკული რევოლუცია და ტომას ჯეფერსონის მიერ გამოქვეყნებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ (1776 წლის 4 ივლისი), ინგლისის მონარქ ჯონ უმიწაწყლოს მიერ გამოცემულ „თავისუფლების დიდ ქარტიასთან“ (1216 წლის 26 ივლისი) ერთად [1, 49].

თანამედროვე კულტურის კონტექსტში განვიხილოთ სამი ნაციონალური ნარატივი. **პირველი ნარატივი:** ესაა - ქართველი ერის ხსნისა და გადარჩენის ისტორია, თუ როგორ გადარჩა ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი შემოსევებისა და იმპერიული აგრესიის მიუხედავად. ამავე დროს, მას ერთგვარი მისტიური განზომილება აქვს: აწმყო ყოველთვის ტრაგიკულია, ხოლო მომავალი - ნათელი ( გავიხსენოთ ილია: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“). ამ ნარატივის სათავეში ქართული ლიბერალური ნაციონალიზმის ფუძემდებელი „ერის მამა“ - ილია ჭავჭავაძე და იმ დროის სხვა ქართველი ლიბერალი მწერლები და პუბლიცისტები დგანან. პირველი ნარატივის დამკვიდრება ლიტერატურისა და ისტორიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინების, მეშვეობით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. ამ ნარატივის მატარებელი ინსტიტუცია ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრა იყო, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1918 წლის 26 იანვარს დაფუძნდა.

ნაციონალური ნარატივის ოქროს ხანა გასული საუკუნის 60-80-იანი წლები იყო, როცა საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ნაწილს წარმოადგენდა. ეს ნარატივი იმ წლებში განსაკუთრებულად ლიტერატურის, კინემატოგრაფიისა და თეატრის მეშვეობით წარმოჩინდა. მაგრამ, მისი ნამდვილი ტრიუმფი იყო მაშინ, როცა მ. გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ტალღაზე ქართულმა ნაციონალურმა მოძრაობამ 1990 წლის ოქტომბრის მაშინდელი, ჯერ კიდევ, საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) არჩევნებში კომუნისტები დაამარცხა, ხოლო 1991 წლის მაისში საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად დისიდენტი მწერალი **ზვიად გამსახურდია** აირჩია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრიუმფი სამხედრო გადატრიალებით და სამოქალაქო ომით დასრულდა (1991-1993წწ.). თუ პირველი ნარატივი ხსნისა და გადარჩენის ნარატივია, **მეორე ნარატივს** "ახალი ინტელექტუალები“ წარმოგვიდგენენ. ესაა ვარდების რევოლუცია, რომელიც 2003 წლის გიორგობის დღესასწაულის დღეს - 23 ნოემბერს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის გადადგომით და მ. სააკაშვილის მმართველობის დასაწყისით აღინიშნა. ამ ნარატივის ვიზუალურ გამოხატულებად საბჭოთა პერიოდის წარმატებული ქართველი ხელოვანის ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი წმ. გიორგის მონუმენტი იქცა, სადაც ცხენზე ამხედრებული შუბოსანი ჭაბუკი სამყაროს (კოსმოსი) შემოქმედს განასახიერებს, ხოლო შუბით განგმირული გველეშაპი - ქაოსს. მნიშვნელოვანია, რომ ეს მონუმენტი სწორედ - დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღიმართა იქ სადაც, კომუნისტურ პერიოდში ვ.ი. ლენინის ძეგლი იდგა. ეს ძეგლი 1990 წელს - საბჭოთა კავშირის პერიოდში დაანგრიეს. მოედანს „თავისუფლების მოედანი“ უწოდეს სადაც 2006 წელს მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ წმ. გიორგის მონუმენტი აღმართა.

**მესამე ნარატივი** - ესაა მართლმადიდებლური რელიგია. მისი ინსტიტუციური ბაზა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოა. მესამე ნარატივი პრეტენზიას აცხადებს, რომ სწორედ ისაა ქართული კულტურის ერთადერთი სრულფასოვანი რეპრეზენტატორი (წარმო-

მადგენელი). ქართული ეკლესია დღეს ქართველი ერის ნაციონალური ეკლესიაა, ხოლო მისი ნარატივი - ნაციონალური რელიგია. ამ ნარატივის ვიზუალური გამოხატულებაა თბილისის სამების ეკლესია, რომლის მშენებლობა, ჯერ კიდევ, 1996 წელს დაიწყო და 2005 წელს დასრულდა.

სწორედ ზემოთ დასახელებული სამი ნარატივის ურთიერთობა განსაზღვრავს დღევანდელ ქართულ ნაციონალიზმს. „ვარდების რევოლუციამ“, როგორც ახალმა ნაციონალურმა ნარატივმა, ახალი ნაციის დაბადების შესახებ მარცხი განიცადა. ამან განაპირობა მართლმადიდებლობის, როგორც ქართული ნაციონალური იდენტობის, ერთგვარი, საფუძვლის გააქტიურება. მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ, მთელი რიგი ნეგატიური მოქმედებებითა და არასწორი პოლიტიკით (მაგალითისთვის, „აგვისტოს ომი“) ნებსით თუ უნებლიეთ, ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებათა სერიოზული დისკრედიტაციაც მოახდინა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ „აგვისტოს ომი“ იქცეს ლიბერალური ნაციის დაბადების ახალ წერტილად (მაგალითისთვის, ჰოლოკოსტის ტრავმულმა ნარატივმა ხელი შეუწყო გერმანიის ლიბერალურ ნაციად ჩამოყალიბებას). მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, „აგვისტოს ომი“ ქართული ინტელექტუალური ელიტის მიერ გააზრებულ უნდა იქნეს არა როგორც ბრძოლა „რუსულ იმპერიალიზმთან“, არამედ, როგორც ქართული სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ეტაპი. ქართულ „სამოქალაქო ომში“ უნდა ვიგულისხმოთ ქართული და აფხაზური ნაციონალური პროექტების დაპირისპირება, რომელიც სიმბოლურად აფხაზეთის სოფელ ლიხნის ცნობილი პირველი წერილით დაიწყო (გასული საუკუნის 50-იანი წლები) [5,23].

დღეს, ჩვენ წინაშეა იდენტობათა და ნაციონალურ ნარატივთა ფრაგმენტები: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ფრთოსანი ფრაზა საქართველოს ევროსაბჭოში მიღების დროს (1999 წელი) წარმოთქმული იდენტობის ერთ პოლუსს ხაზავს: „ჩვენ ევროპა ვართ!“. ამავე დროს, არსებობს იდენტობის ამგვარი ვექტორიც - „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ კავკასიელი“. იდენტობის კიდევ ერთი ფორმაა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მართლმადიდებელი“ (მართლმადიდებლური იდენტობის გაძლიერება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც საგულისხმო პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. ერთ-ერთ ასეთ შედეგს წარმოადგენს მაღალ მთიანი აჭარისა და მესხეთის მოსახლეობის გამართლმადიდებლობის პროცესი, რომელიც დღემდე მიმდინარეობს ზოგჯერ, საკმაოდ, კონფლიქტური ფორმითაც).

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაში ქართული ნაციის ჩამოყალიბების პროექტი ორი პარალელური გზით მიდიოდა - რელიგიურ განსხვავებათა წაშლისა და ტერიტორიული ერთობის წაშლის მეშვეობით. მაგრამ, სამოქალაქო ომის კატალიზატორი სწორედ ეთნოლინგვისტური ნიშნით შექმნილი ტერიტორიული ერთეულები - აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთი (სამაჩაბლო) აღმოჩნდა და არა რელიგიური ნიშნით შექმნილი ავტონომიური აჭარის რესპუბლიკა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაციონალური პროექტის შესაქმნელად აუცილებელია „წარმოსახვითი გეოგრაფია“ - ანუ ტერიტორიული ხატი, რომელიც საქართველოში მხოლოდ აფხაზებმა შექმნეს.

იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს ახალი ქართული იდენტობა? შესაძლებელია თუ არა ახალი ქართული იდენტობის შექნა? ევროპული ქვეყნების თანამედროვე ისტორია მოწმობს, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამას დრო და ხელშემწყობი ფაქტორები სჭირდება. ერთი ძირითადი ფაქტორია ტერიტორიის ხატი, მეორე - ერთიანი სალიტერატურო ენა და განათლების სისტემა, რომელიც ნერგავს ამ ენას და შესაბამის ნაციონალურ ნარატივებს, მესამე ფაქტორია -ერთიანი ეკონომიკა. ამ ყველაფერს კი ესაჭიროება ნაციონალური ბურჟუაზია - ბიზნესი, მესამე წოდება, რომელიც იერარქიული პრინციპების მაგივრად, კაპიტალის დაგროვების ერთგვაროვან წესს ამკვიდრებს. დღევანდელი ქართული ბიზნესი იმ დროს ყალიბდება, როცა **მსოფლიო,** კლასიკური კაპიტალიზმის პერიოდიდან გლობალური

კაპიტალიზმის პერიოდში გადადის და როცა წამყვანი ძალა არის არა ნაციონალური ბურჟუაზია, არამედ ტრანსნაციონალური კორპორაციები.

### ლიტერატურა:

1. ჰეტჩერი მაიკლ, ნაციონალიზმის შეჩერება, თბ., CSS -2009;
2. გელნერი ერნსტ, ერები და ნაციონალიზმი, თბ., 2005;
3. იდენტობა და ნაციონალიზმი, თბ., 2009;
4. ამირგულაშვილი მაია, ნაციონალიზმის თეორია, თბ., 2013;
5. შათირიშვილი ზაზა, ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები, 2013.

*Mariam Gabunia, PHD, GTU*

## Georgian-European Nationalism

### SUMMARY

In the present article, “European-Georgian nationalism”, is discussed the literature review and analysis of the stages of the formation of European-Georgian nationalism, the main arguments in support of some relevant examples and excerpts. The article analyzes what characteristics can be analyzed by the European-Georgian writings. Explains how the nation was born in France, the United States. Explains what a national narrative is and what forms French and American national narrative. The article analyzes the important role of the Georgian national narrative. The article provides several forms of identity and national narratives, analyzes the ways of forming a project of the Georgian nation.

*Мариам Габуния, докторант ГТУ*

## Европейско-грузинский национализм

### РЕЗЮМЕ

В представленной статье «Европейско-грузинский национализм», вопрос обсуждается в обзоре литературы и анализа этапов формирования европейско-грузинского национализма, основными аргументами в поддержку некоторых соответствующих примеров и выдержек. В статье анализируются какими характеристиками могут быть проанализированы европейско-грузинский труды. Объясняет, как нация родилась во Франции, США. Объясняет ,что представляет из себя национальный нарратив и то, что формирует французский и американский национальный нарратив. В статье важная роль посвящена анализу грузинского национального нарратива. Характерны три формы визуального выражения нарратива. Уточняется, что отношения между этими тремя формами определяет грузинский национализм. Статья предусматривает несколько форм самобытности и национальных нарративов, анализируются пути формирования проекта грузинской нации.

# ახალი ელემენტების გავლენა მოდის ტენდენციაზე

*ლია კაპანაძე, მაკა ჟღენტი,*
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**შესავალი.** ტანსაცმელს სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულება აქვს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ადამიათა ესთეტიკურ, საყოფაცხოვრებო და ასევე მოდის ტენდენციის მოთხოვნებს. როგორც ცნობილია მოდა სტოქასტიკური პროცესია, თუმცა რეალური პროცესიდან გამომდინარე მოდა იცვლება პერიოდულ და არაპერიოდულ ინტერვალებში. დროის პერიოდულ ინტერვალში ცვლილება სეზონური ხასიათისაა და მათი პროგნოზირებისათვის საკმარისია ერთი წლის მონაცემების გაანალიზება. რაც შეეხება არაპერიოდულ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია მოდის ტრანსფორმაციებით, მათი პროგნოზირება გართულებულია ამ პროცესის სპეციფიკური თვისებების გამო.

**ძირითადი ნაწილი.** მოდის მოდელირების სისტემა დამოკიდებულია ადამიანის ინტელექტუალურ და შემოქმედებით პროცესთან, ცხოვრების წესთან, ადამიანთა კულტურული განვითარების ეტაპებთან, შიდა და გარე ფაქტორებთან, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებთან და სხვ. დღეისათვის საინფორმაციო წყაროების სიმრავლე და ხელმისაწვდომობა მკვეთრ გავლენას ახდენს მოდის გავრცელების სისწრაფეზე, რაც აისახება ადამიანების რეაგირებაში [1]. თუ გავიხსენებთ მე-XX საუკუნის დასაწყისს, ახალი მოდელის ადაპტაციისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის პერიოდი განისაზღვრებოდა 10 - 12 წლით, მე- XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და საუკუნის დასასრულს მიაღწია 3 -4 წელს. ხოლო XXI საუკუნის დასაწყისიდან ეს მაჩვენებელი - ახალი მოდელის შეგუების პერიოდი - სეზონურობით განისაზღვრა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ სრულად შეცვალა ახალგაზრდების ცხოვრების წესი, გაიზარდა მათი ინტერესთა სფერო, სიახლისადმი სწრაფვა, ჩაცმის სტილი და მანერა. თუ გასულ საუკუნეში ტანსაცმლის შერჩევა ხდებოდა ფუნქციონალური დანიშნულებით, ამჟამად ამ ფაქტორს ისინი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. შეიძლება ითქვას რომ XX1 საუკუნე „გაშიშვლების“ საუკუნეა, რაც ახალგაზრდების გემოვნებას სავსებით აკმაყოფილებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩაცმის ასეთი სტილი მისაღები გახდა სხვა ასაკის მქონე ადამიანებისათვისაც, რამაც მოშალა თაობათა შორის რეალური წინააღმდეგობის ზღვარი და ბრძოლის აპრობირებული წესები. დაიწყო საზოგადოების გაახალგაზრდავების ეტაპი, რომელშიც აქტიურად ჩაერთო საზოგადოების ყველა ფენა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფემ შეცვალა ადამიანთა თვალთახედვა სხვადასხვა მოვლენებისა და საგნების მიმართ.

ცვლილება მოხდა მოდის მიმართულებაშიც. ხმარებიდან ამოღებული იქნა ტანსაცმლის ზოგიერთი მეორეული ნიშანი და მისი შევსება მოხდა ახალი ნიშნებით. გამარტივდა ტანსაცმლის სილუეტური ფორმა, რამაც გამოიწვია აქსესუარების გამოყენების გააქტიურება. განსაკუთრებით გამოყენებაში შემოვიდა ნატურალური და ხელოვნური ქვებისაგან და ფერადი მეტალისაგან დამზადებული ბიჟუტერია, რომელთა გამოყენება დაიწყო ყველა ასაკის ადამიანმა.

იმის დასადგენად, თუ რა ცვლილებებს ველოდებით მოდის მიმართულებით XX1 საუკუნეში, შესწავლილ იქნა ქალის ტანსაცმლის 9 ძირითადი და 31 მეორეული ნიშნი, რომელთა გამოყენება ხდებოდა 2001 - 2014 წლებში. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი და მეორეული ნიშნები, რომლებიც აქტიური იქნება XX1 საუკუნის პირველი 20 წლის განმავლობაში. შედგენილი იქნა მატრიცა,

სადაც ყურადრება მიექცა იმ მეორეულ ნიშნებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მოდელის შექმნაში. ნიშანთა სიმრავლის რანჟირება მოხდა მოდელის ძირითადი თვისებების მიხედვით, სადაც თითოეული დამოუკიდებელი თვისობრივი ნიშანი წარმოდგენილი იქნა რაოდენობრივი მაჩვენებლით, ამ ნიშნების არსებობა ან არ არსებობა მატრიცაში მოცემულია შესაბამისად ერთით (1) ან ნულით (0). ცხრილში №1 მოცემულია მეორეული ნიშნების გააქტიურების მაჩვენებელი 2001 – 2020 წლებში.

მატრიცაში მოცემული მონაცემების ანალიზით ყოველწლიურად შეიმჩნევა მეორეულ ნიშანთა რაოდენობის ზრდის ტემპი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოდის ცვლილებას არ აქვს სტაბილურობის წლები, რის გამოც ძველი და ახალი მოდელის თანაკვეთის შემთხვევაში ხდება არსებული და ახალი მეორეული ნიშნების ერთდროულად გამოყენება. მეორეულ ნიშანთა ასეთი ცვლილების მახასიათებელი არ იძლევა იმის საშუალებას რომ წინასწარ განვსაზღვროთ თუ რომელი მეორეული ნიშანი მოექცევა აქტიურ ფაზაში და შესაბამისად რომელი მოდელი გააქტიურდება მომავალ წლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოდის ცვლილების ტენდეციაზე გავლენა მოახდინა ახალმა ელემენტებმა, რომელმაც შეცვალა მოდის მიმართულების შესწავლის დადგენილი წესები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მხატვრებსა და მოდელიორებს მიეცათ ახალი იდეების განხორციელების საშუალება, რამაც გამოიწვია მოდის მიმართულებაში მრავალფეროვნება. მოდის ცვლილებაზე ასევე გავლენას ახდენს ახალი ქსოვილები. ამის ნათელი მაგალითია ხელოვნური და სინთეზური ქსოვილების გამოჩენა მოდის სამყაროში, რომლებმაც გარკვეულ წილად შეცვალა ტანსაცმლის სილუეტური ხაზები. გამორიცხული არ არის მომავალშიც ახალი სატანსაცმლე ქსოვილების შექმნა.

მონაცემთა მატრიცის (ცხრილი1) საშუალებით, თითოეული წლის მიხედვით დავითვალეთ ნიშანთა რაოდენობა და მივიღეთ გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული სიდიდეები, რომელთა რანჟირება მოვახდინეთ ვარიაციული მწკრივის სახით. საშუალო კვადრატული გადახრის დასადგენად გამოვთვალეთ საშუალო მნიშვნელობის სიდიდე $\bar{X}$ =26,5 და განვსაზღვრეთ თითოეული მონაცემისათვის გადახრა საშუალო მნიშვნელობიდან. არსებული მონაცემების მიხედვით

**2001 - 2020 წლის მონაცემებით ძირითადი და მეორეული მიშნების განაწილების მატრიცა**

ცხრილი №1

| | ძირითადი ნიშნები | მეორეული ნიშნები | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 0117 | 2018 | 2019 | 2020 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საყელო | პატარა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | დიდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 11 |
| | | დეკოლტე | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | ნავისებრი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 |
| 2 | სახელო | ჩაკერებული | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | რეგლანი | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 18 |
| | | ვიწრო | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 16 |
| | | განიერი | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 19 |
| 3 | ლიფი | გამოყვანილი | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| | | თავისუფალი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| 4. | წელის ხაზი | ამაღლებული | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 17 |
| | | ბუნებრივი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | დადაბლებული | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 |

ცხრილი N1 (გაგრძელება)

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ქვედაკაბა | ვიწრო | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | განიერი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 17 |
| | | ირიბი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 20 |
| | | მაქსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 15 |
| | | მინი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 17 |
| | | მიდი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| 6 | შარვალი | ვიწრო | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | განიერი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | გრძელი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | მოკლე | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 17 |
| | | შლაქსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 |
| | | შორტი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| 7 | ჯიბე | ჩაჭრილი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| 8 | აქსესუარი | ქუდი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | ქამარი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | ხელთათმან. | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | სათვალე | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | სამხრეები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 6 |
| | | ბიჟიუტერი | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 |
| | | სულ | 21 | 23 | 23 | 26 | 26 | 26 | 26 | 27 | 26 | 26 | 26 | 28 | 28 | 28 | 28 | 28 | 29 | 28 | 28 | 29 | |

გამოვთვალეთ დისპერსია - საშუალოს მიმართ გაფანტულობის სიდიდე და სტანდარტული გადახრა. სტანდარტული გადახრა, ისევე როგორც დისპერსია ზომავს გაფანტულობას საშუალოს მიმართ და გამოიყენება მაშინ, როცა საშუალო კვადრატული გდახრა უფრო მგრძნობიარეა საწყისი ინფორმაციის ექსტრემალური ცვლილების დროს.

| X | 21 | 23 | 26 | 27 | 28 | 29 |
|---|---|---|---|---|---|---|
| $\bar{X}$-m | -5,5 | -3,5 | -0,5 | 0,5 | 1,5 | 2,5 |
| $(\bar{X}$-m$)^2$ | 30,25 | 12,25 | 0,25 | 0.25 | 2,25 | 6,26 |
| სიხშირეები | 1 | 2 | 7 | 1 | 7 | 2 |

რადგან დაკვირვებების შესწავლაში უდიდეს როლს ასრულებს შერჩევითი დისპერსია, რომელიც წარმოადგენს გადახრათა კვადრატების საშუალოს, ამიტომ შერჩევითი დისპერსიის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა ფორმულა;

$$\sigma^2 = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(x - \bar{x})^2$$

სადაც $(X - \bar{X})$ არის გადახრები საშუალოდან, n - მონაცემთა რაოდენობაა.

შერჩევითი ანალიზისათვის ხელსაყრელია გაფანტულობის ისეთი ზომის გამოთვლა, რომელიც იმავე ერთეულებში იქნება გამოთვლილი, რაც საწყისი მონაცემები. ასეთი ზომა მარტივად მიიღება შერჩევითი დისპერსიიდან კვადრატული ფესვის ამოღებით. გდახრების კვადრატების საშუალო $(\bar{X}$-m$)^2$ =4,25, საიდანაც საშუალო კვადრატული გადახრა σ=2.06. გაფანტულობის ხარისხის შესამოწმებლად გამოვთვალეთ ვარიაციის კოეფიციენტი

$$C = \frac{\sigma}{M} \cdot 100\%$$

$$C = \frac{2.06}{26.5} \times 100\% = 7,8\%$$

ვარიაციის კოეფიციენტის გამოთვლა ასევე მოვახდინეთ პირობითი ნულის შერჩევით, რისთვისაც გამოვიყენეთ მედიანის თვისება. მონაცემების მიხედვით A=26.

პირობითი ნულიდან გადახრის სიდიდის დასადგენად გამოვთვალეთ შემასწორებელი რიცხვები $b_1$ და $b_2$

$$b_1 = \frac{a}{n}; \qquad b_2 = \frac{a^2}{n}$$

არსებული მონაცემების გამოყენებით $b_1$=0.8, $b_2$=4,5 შემასწორებელი რიცხვების გათვალისწინებით გამოვთვალეთ არითმეტიკული საშუალო $M = A + b_1$ M=26,8; საშუალო კვადრატული გადახრა

$\sigma = \sqrt{b_2 - b_1^2}$ $\sigma$= 1,97

ვარიაციის კოეფიციენტი

$C = \frac{\sigma}{M} \cdot 100\%$ $C = 7{,}35\%$

მიუხედავად იმისა, რომ ვარიაციის კოეფიციენტი არ აღემატება 8%-ს, ასევე მონაცემთა გაფანტულობის სიდიდე მნიშვნელოვანი არ არის, მოდის მიმართულებაზე მაინც გარკვეულ გავლენას ახდენს ახალი ელემენტების დამკვიდრება ტანსაცმელში.

მოდის ნიშნების აღნიშვნით მიღებული მატრიცა (ცხრილი №1) წარმოდგენილია ორობით სისტემაში, რაც ცხადია გვაძლევს საჭირო ინფორმაციას, მაგრამ შემდგომი დამუშავებისათვის გაძნელებულია ამ შედეგებზე დაყრდნობით მათემატიკური სტატისტიკის ცნობილი მეთოდებისა და არსებული პროგრამული საშუალებების გამოყენებით მოხდეს მოდის პროგნოზირება. თუ მონაცემებს წარმოვადგენთ ათვლის ათობით სისტემაში, მათი სტატისტიკური დამუშავებისათვის შესაძლებელი გახდება გამოვიყენოთ თანამედროვე პროგრამული პაკეტი Sdpro [2].

### ლიტერატურა:

1. Н. Стивенсон – История моды в деталях. С XVIII века до нашей дней. Москва 2012г.
2. ქ. ყაჭეიშვილი, მ. ტაბატაძე - მოდის ცვალებადობის ფორმალიზებული აღწერა და პროგნოზირება. სტუ, შრომები №1 (451) 2004 გვ. 1

***Л. Капанадзе, М. Жгенти***

*Грузинский Технический Университет*

## Влияние новых элементов на направление моды

### РЕЗЮМЕ

***Ключевые слова:*** *Мода, аксессуары, брюки, манжеты, трансформация моды, основные и вторичные знаки.*

В статье рассмотрены тенденции направления моды в первой половине XXI века. С помощью анализа данных установлено, что мода находится под влиянием введения новых элементов в одежде.

Изучение базы данных с помощью статистических методов дает возможность предположить какие вторичные признаки активизируются в 2014-2020 годах. Для обработки статистических данных предложен современный програмный пакет.

***L. Kapanadze, M. Jgenti***

*Georgian Technical University*

## Impact of new elements on the direction of fashion

### SUMMARY

***Keywords:*** *Fashion, accessories, pants, cuffs, transformation of fashion, the first and secondary characters.*

In the article is discussed the directions of the fashion trends in the first half of the century. According to the research has been found out that the new element established clothing will influence new directions.

Database study by statistical methods allow us to suppose which secondary signs are going to activated in 2014-2020 years. Statistical items processing is proposed for a modern project package.

# ნაციონალური პოპულიზმი საქართველოში

*ლალი კაპანაძე*
*სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

*საკვანძო სიტყვები: ნაციონალური პოპულიზმი, მანიპულირება, სოციალ-პოლიტიკურ მანევრირება, სუვერენული სახელმწიფო, ჰელსინკის ჯგუფი, ეთნოკონფლიქტები, სეპარატიზმი, პოლიტიკური ლიდერი, შოვინიზმი, საბჭოთა სისტემა*

ნაციონალური საკითხი მუდამ მნიშვნელოვანი იყო ქართული პოლიტიკის ისტორიაში, მისი ახალი ძალით გააქტიურება განსაკუთრებით შეინიშნება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან. მწვავე პოლემიკას იწვევს ნაციონალიზმის საკითხი, რომლის აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებული სიმწვავით აისახება ქართულ პრესასა თუ ტელევიზიაში. რის გამოც საჭიროდ ჩავთვალეთ ნაციონალიზმის პოპულიზმის ჭრილში განხილვა.

პოპულიზმი ფართო ცნებაა. ის გამოიყენება სრულიად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობების და იდეოლოგიების აღსანიშნავად. პოპულიზმი შეიძლება იყოს იდეოლოგია, სოციალ-პოლიტიკური მოძრაობა, სპეციფიკური პოლიტიკური ფსიქოლოგია, ეკონომიკური, აგრალური, ნაციონალური ან ნაციონალისტური. ნაციონალური პოპულიზმის განსაზღვრისათვის, ჯერ ნაციონალიზმის არსი უნდა ავხსნათ: ნაციონალიზმი ლათინური სიტყვაა და პოლიტიკაში ინგლისელებმა დაამკვიდრეს, წარსულში ის ასახავდა ირლანდიის ბრძოლას ავტონომიისათვის. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში კი ეს ტერმინი საბჭოთა პოლიტიკურ სივრცეს იპყრობს და ასახავს სსრკ რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნული თვითგამორკვევის პროცესებს რამაც განაპირობა ახალი სახელმწიფოების შექმნა.

ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპია საკუთარი ერის პრიორიტეტი. ეს ერთგვარი განყენებული პოლიტიკური აზროვნებაა, რომელიც ამტკიცებს საკუთარი ერის უნივერსალობას. **ცნობილი ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი წერდა, რომ - ნაციონალიზმი არის მთელი სისტემა იმ იდეებისა, რომლებიც ერს შეეხება. იგი იცავს ერის ინტერესებს სხვა ეროვნულ ორგანიზმთა შემოსევისაგან, ქადაგებს შინაური სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებას, მუდამ იბრძვის ერის ინდივიდუალურობის შენახვისათვის და იცავს მას სიკვდილისაგან.**

ნაციონალიზმი უნდა გავმიჯნოთ შოვინიზმისაგან. ეს უკანასკნელი არის საკუთარი ერის დაპირისპირება სხვა ერებთან. შოვინისტი, ცნობს მხოლოდ საკუთარი ერის ღირსებას, უპირატესობას ანიჭებს მას სხვა ერების წინაშე; ასეთი დაპირისპირება კი მიდის იმის მტკიცებამდე, რომ სხვა ერები არასასურველნი არიან. აქედან გასაგებია, რომ შოვინისტს სძულს სხვა ერები და მზადაა მათ გასანადგურებლად.

**ნაციონალური პოპულიზმის მეთოდები:** მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები, პოლიტიკური ცხოვრების თვალსაზრისით, მეტად დაძაბული და მრავალფეროვანი იყო მთელ მსოფლიოში. მაგალითად: ევროპის სოციალისტური ქვეყნები ანტიკომუნისტურმა მოძრაობამ მოიცვა. მიზანი კომუნისტური რეჟიმის დამხობა იყო. 1989 წელს ჩეხოსლოვაკიაში განხორციელდა ეგრეთ წოდებული "ხავერდოვანი რევოლუცია", იმავე წელს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასაჯა რუმინეთის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ. კომუნისტურ-დიქტატორული რეჟიმები დაემხო ასევე პოლონეთსა და ბულგარეთში, გაერთიანდა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია. ამ პროცესებმა გამოხმაურება ჰპოვა სსრკ-ს ქვეყნებშიც სადაც ფართოდ გაიშალა ნაციონალ-პოპულისტური მოძრაობა.

ნაციონალური პოპულიზმის ჩასახვა და შემდგომში მისი განვითარება განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ: ტოტალიტარული სახელმწიფოს ფონზე, სადაც სუსტად იყო განვითარებული ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციები, აღმოცენდა სრული სოციალური და იდეოლოგიური ვაკუუმი. ამ ვაკუუმის შევსება კი დაიწყო ნაციონალური, იდეოლოგიით, რომლის არსი ეროვნული სუვერენიტეტი და ეროვნული აღორძინება იყო. სსრკ-ს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, შექმნილი ნაციონალური პოპულიზმის წინაპირობები იყო:

**ეკონომიკური:** ეკონომიკის განვითარების ტემპების ვარდნა; ცხოვრების განვითარების დაბალი დონე; დეფიციტი სხვადსხვა პირველადი მოხმარების საქონელზე.

**ისტორული:** ერის ღირსების და დამოუკიდებლობის უგულებელყოფა.

**სამართლებრივი:** არათანაბარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური ურთიერთობები ცენტრსა და მის რეგიონებს შორის.

**დემოგრაფიული:** ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება; შობადობის დაბალი დონე.

**ეკოლოგიური:** მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების პრობლემა; უკმაყოფილების გამოხატვა ატომური თუ ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის გამო მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხის მიზნით.

**ეროვნული კულტურა:** ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციების, სიმდიდრეების განადგურების საფრთხე; კულტურისა და ისტორიული ძეგლების მდგომარეობა.

**ეროვნული ენა:** ენის სოციალური ფუნქცების დაკარგვის საფრთხე მეორე - ამ შემთხვევაში თავსმოხვეულ რუსულ ენასთან მიმართებაში.

**ეროვნული სიმბოლიკა:** დროშის, გერბის, ჰიმნის, მატერიალური თუ სულიერი კულტურის აღორძინება.

**თვითგამორკვევის უფლება:** სსრკ რესპულიკების თავისუფალი გასვლის უფლება სსრკ შემადგენლობიდან.

საბჭოთა სისტემა მისი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ მუდამ ახორციელებდა შეუპოვარ და თანმიმდევრულ უნიტარიზმის კურსს. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საზოგადოებაში შემორჩენილი ეროვნული ტრადიციების აღმოსაფხვრელად, რასაც ხალხის "ინტერნაციონალისტური" აღზრდა ერქვა, მაგრამ "მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმმა თავის ძირითად დოქტრინად ინტერნაციონალიზმი გამოაცხადა, სინამდვილეში ხალხში გაამძაფრა ნაციონალური გრძნობები [1] " - აღნიშნავს ამერიკელი პოლიტოლოგი ზზ. ბზეჟინსკი.

როგორც პოსტსაბჭოური პრაქტიკა გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, ხელისუფლების სათავეში თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი ნაციონალური პოპულიზმის გამოყენებით მოვიდა. ასეთი პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური მანიპულირება და სოციალ-პოლიტიკური მანევრების გამოყენება. **მანიპულირებაში იგულისხმება ზემოქმედება საზოგადოების ცნობიერებაზე მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით - ბეჭდვითი სიტყვით, რადიოთი, ტელევიზიით. სოციალ-პოლიტიკურ მანევრირებაში კი იგულისხმება პოპულისტური ლოზუნგები, დროებითი პოლიტიკური Bბლოკებისა და ალიანსების შექმნა, საზოგადოების ყურადღების გადატანა იმ პრობლემებზე რომლებსაც თავად პოლიტიკოსი მიიჩნევს საჭიროდ.**

1966 წლის 16 დეკემბერს გაერომ მიიღო დადგენილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის, საკუთარი პოლიტიკური სტატუსის დადგენის, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფლება. 1975 წლის 1 აგვისტოს კი ჰელსინკის კონფერენციაზე მიღებულ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ადგენდა: სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობას, საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაურღვევლობას, ერთა თვითგამორკვევას, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას განურჩევლად რასის, სქესის, ენის თუ რელიგიური აღმსარებლობისა და ასე შემდეგ. ამ ხელშეკრულებას ხელს აწერდა სსრკ-ც, თუმცა მისი შესრულება არასოდეს

მოსვლია აზრათ. საბჭოთა იდეოლოგები ერთა თვითგამორკვევის ნაცვლად, მუდამ მიილტვოდნენ შეექმნათ "საბჭოთა ადამიანი", რაც თავისთავად უკვე აშკარა დარღვევა იყო ზემოთხსენებული ხელშეკრულებისა.

1975 წელს, საქართველოში შეიქმნა ეგრეთ წოდებული "ჰელსინკის ჯგუფი" ზ. გამსახურდიას თავმჯდომარეობით. ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა და მისი შესრულების მოთხოვნა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება. **"ჩვენ ვიბრძვით პოლიტიკური ბრძოლის გზით, ვამხელთ უსამართლობას, უკანონობას... ჩვენი ჯგუფი იბრძვის ყოველი ადამიანის კონკრეტული უფლებისათვის, საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის** [2]"- **აღნიშნავდა ზ. გამსახურდია.**

საქართველოში ნაციონალ-პოპულიზმის ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 1956 წლის 9 მარტი. როგორც ცნობილია კომუნისტური პარტიის XX-ე ყრილობის დასკვნით დახურულ სახდომაზე, მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი პიროვნების კულტის შესახებ. მან ქართველებს ბრალი დასდო ნაციონალიზმში, რაც საბჭოთა კავშირში ანტიკომუნისტურ გამოხდომად და ბურჟუაზიულ გადმონაშთად ითვლებოდა. 1937-1938 წლების ავადსახსენებელი კომუნისტური რეპრესიები მან სრულიად უპასუხისმგებლოდ, სტალინისა და ბერიას "ქართულ ფენომენს" მიაწერა, რითაც მან მრავალეროვან საბჭოთა კავშირში ბიძგი მისცა სხვა ერების მიერ ქართველი ერის ათვალისწუნებას და შეძულებას. ხრუშოვის დემაგოგია განგებ ემსახურებოდა ქართველთა წინააღმდეგ ეროვნული შუღლის გაღვივებას და ქსენოფობიას. მისმა შოვინისტურმა გამოხდომამ და სრულიად მოულოდნელმა პროვოკაციამ, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია გამოიწვია, ქართველმა ხალხმა სტალინის კრიტიკა საკუთარი ეროვნული სიამაყის შეურაცხოფად მიიღო.

ქართულმა ნაციონალურმა-პოპულიზმმა ახლი ძალით იფეთქა 1978 წელს როდესაც რესპუბლიკაში ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა დაიწყო. საბჭოთა ხალხის ერთიანობის ყალბი კონცეფციის მოშველიებით, საბჭოთა იდეოლოგები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ერების ენობრივი ბარიერის დრომოჭმულობა და კონსტიტუციურად დაეკანონებინათ რუსული ენის შემოღების მიზანშეწონილება მთელ საბჭოთა ქვეყანაში. ამიტომ, კონსტიტუციის პროექტიდან გაქრა მუხლი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ. ამას მოჰყვა ჯერ სტუდენტების, შემდეგ კი მთელი ქართველი ერის ერთსულოვანი აღშფოთება. 1978 წლის 12 აპრილიდან უკმაყოფილება გრანდიოზულ დემონსტრაციებში გადაიზარდა. ხალხი მზად იყო სისხლის ფასად დაეცვა მშობლიური ენა. შექმნილი რთული სიტუაციის განსამუხტავად ხალხში თავად ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გავიდა და მათ ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტას დაპირდა. ასე რომ ენის სახელმწიფო სტატუსი ძალაში დარჩა.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ნელნელა გაჩნდა პირველი იატაქქვეშა ანუ არალეგალური გამოცემები: **"ოქროს საწმისი"**, **"საქართველოს მოამბე"**, **"მატიანე"** და სხვა. აქ იბეჭდებოდა ეროვნული სუვერენიტეტის იდეები, რაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან ჩაისახა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ პროცესებმა მოამწიფა პოლიტიკური ნიადაგი ნაციონალური პოპულიზმის ასაღორძინებლად.

1988 წლიდან საქართველოში თავი იჩინა სტუდენტობისა და ინტელიგენციის დაინტერესებამ ეკოლოგიური პრობლემებით. ეს იყო საუღელტეხილო რკინიგზის, ხუდონჰესის მშენებლობა და სხვა გიგანტური პროექტები. ოპოზიციამ ხმა აიმაღლა ეროვნული კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და პირველ რიგში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენისათვის. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იყო იმ რაიონიდან რუსული სამხედრო პოლიგონის გატანის გარეშე. ეკოლოგიური პრობლემა თანდათანობით გადაიზარდა უფრო ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამაც საფუძველი და-

უდო ნაციონალური **პოპულიზმის აღმავლობას, რაც გამოიხატა ფრთიან ლოზუნგში: "დაე, ვიყოთ მშივრები, ოღონდ დამოუკიდებლები!".** ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში გაჩნდა და დამკვიდრდა ახალი პოლიტიკური ტერმინები: **დემოკრატია, ეროვნული აღორძინება, ეროვნული დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, თვითგამორკვევა, სამართლიანობის აღდგენა, ეროვნული დროშა, რუსული საოკუპაციო ჯარი, ანექსია და სხვა.**

80-იან წლებში ნაციონალ-პოპულიზმის ძირითად საკითხად იქცა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მიზნის მისაღწევად კი გამოყენებულ იქნა არაძალადობრივი ბრძოლის მაჰათმა განდისეული მეთოდები: შიმშილობა, მიტინგები, სასწავლო პროცესის ჩაშლა, გახშირდა მოწოდებები სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ. დედაქალაქის მომიტინგეებს შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, ხშირად ჩნდებოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მხარდამჭერი ლოზუნგები: "ქართველებო, თქვენთან ვართ!" ამ პერიოდში გამოჩნდა მივიწყებული ეროვნული სიმბოლოები და ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებული ლოზუნგები. ეს ლოზუნგები იყო: **"გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!", "ძირს იმპერია!", "ჩვენთან არს ღმერთი!", "სიკვდილი ან თავისუფლება!", "ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!", "ენა, მამული, სარწმუნოება!", "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!", "შეუერთდით საყოველთაო გაფიცვას!", "დიდება ერთობას ჩვენი ერისას"...და სხვ.**

ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ დისიდენტები, ე. წ. არაფორმალი ლიდერები: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ.ჭანტურია, ი. წერეთელი, თ. ჩხეიძე, ი. შენგელაია და სხვა. "ჩვენი ჯგუფი იბრძვის ყოველი ადამიანის კონრეტული უფლებებისთვის, საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის[3]"– აღნიშნავდა ზვიად გამსახურდია, რომელიც თანდათან გამოკვეთილ ლიდერად იქცა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ნაციონალური პოპულიზმი ძირითადად მასების ემოციებსა და გრძნობებს ეყრდნობოდა, რაც სავსებით გასაგებია თუ გავითვალისწინებთ კომუნისტური რეჟიმის პირობებში არსებულ ყველანაირ აკრძალვებს და ამასთანავე ქართულ ექსცენტრიულ, ემოციურ ხასიათს. ხალხი თითქმის მოწყურებული იყო ეროვნული სიმბოლიკის აღდგენას, საკუთარი ისტორიის ობიექტურად გაშუქებას, ეკლესია-მონასტრებში თავისუფლად სიარულს და ასე შემდეგ. ამ პროცესების პარალელურად საქართველოში აღორძინდა პოლიტიკური პარტიები, თითქმის ყველა მათგანი იყო მემარცხენე - რადიკალური მიმართულების, თუმცა ყველას ერთი სტრატეგია ჰქონდა – ეროვნული დამოუკიდებლობა და დემოკრატია, იდეოლოგია კი, შესაბამისად -ეროვნული.

მსოფლიო ისტორია დამაჯერებლად მოწმობს, რომ პოლიტიკური ლიდერები, ნაციონალური იდეებით იხვეჭენ სახელს და იკეთებენ პოლიტიკურ კარიერას. ნაციონალური პოპულიზმის მეთოდი ყოველთვის აქტუალურია და დიდ ეფექტს ახდენს მასების ფსიქოლოგიაზე. ამ მეთოდს ეყრდნობოდნენ მსოფლიოში ცნობილი ლიდერები. ნაციონალური პოპულიზმის თემა თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერის სავიზიტო ბარათია.

ნაციონალური პოპულიზმი პოლიტიკური მოღვაწეობის სახესხვაობაა, რომელიც ექსპლუატაციას უწევს ადამიანების ნაციონალურ გრძნობებს და ტოლერანტულია სხვა ერებთან მიმართებაში. ზოგადად ნაციონალური პოპულიზმისათვის დამახასიათებელია:

- ლტოლვა თავისუფალი და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ;
- არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების შეცვლა ეროვნულ ტრადიციებზე და ინტერესებზე აღმოცენებული ხელისუფლებით;
- პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და პირადი კონტაქტების დამყარება-გაღრმავება მოწინავე ქვეყნებთან;
- საზღვარგარეთ გასვლის უფლებების გამარტივება; ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროსთან.

ნაციონალიზმი არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური და ნაციონალური იდეები ან საკითხები მუდამ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი საშიშროება: **ნაციონალური-პოპულიზმი ეთნოკონფლიქტების პოტენციური მატარებელია,** ამის მიზეზია ის, რომ პირველ რიგში პრიორიტეტი ენიჭება არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმრავლესობას, მის კულტურას, რელიგიას, ენას, ისტორიული ტერიტორიების აღდგენა-შემომტკიცებას და ა.შ. ამას ეროვნული უმცირესობა კი საკუთარი უფლებების შეზღუდვად აღიქვამს. მაგ: ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ მთავრობის სათავეში მოსულმა ვ. ჰაველმა აღნიშნა, რომ: **აღორძინებადი ნაციონალიზმი" საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს კონფლიქტების აღმოცენების საქმეში,** მართალია, ამ ქვეყანაში ჩეხეთი და სლოვაკია შედარებით უმტკივნეულოდ გაიყო, მაგრამ სამაგიეროდ იუგოსლავია ვერ გადაურჩა სისხლისმღვრელ ომს. იუგოსლავიის ლიდერი – ს. მილოშევიჩი მუდამ ღიად აქცენტირებდა, რომ იყო ნაციონალისტი და ღიად მანიპულირებდა სერბების ნაციონალური გრძნობებით. ამ ფაქტმა ბოსნიელი სერბების აგრესია და შოვინისტური დამოკიდებულება გამოიწვია ბალკანეთის დანარჩენი ეთნიკური ნაწილის მიმართ, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ომი და ქვეყნის დაქუცმაცება (სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, ბოსნია, ჰერცოგოვინა. ლ.კ.) უნდა აღინიშნოს, რომ ომამდე, ხორვატებსა და ბოსნიაკებს (ბოსნიაკები ჰერცოგოვინას მუსლიმანური მაცხოვრებლები არიან. ლ.კ.) მშვიდობიანი თანაცხოვრება ჰქონდათ, მათ შორის ხშირი იყო შერეული ქორწინებაც, რის გამოც სუფთა ეთნიკური სახით თითქმის არც-ერთი აღარ არსებობს. ამ კონფლიქტში დიდი როლი ითამაშა რელიგიურმა თემამაც, ისტორიულად ამ რეგიონში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხი ცხოვრობდა: კათოლიკეები – ხორვატები; მართლმადიდებლები – სერბები და მუსლიმანები. "ზავშვობაში, ჩემი სახლის ფანჯრიდან ერთდროულად შეიძლებოდა კათოლიკური ტაძრის, მართლმადიდებლური ეკლესიის ჯვრის და მუსილმანური მეჩეთის მინარეთის დანახვა, თუმცა ომმა ყველაფერი ეს გაანადგურა[4] – აღნიშნავს ბოსნიის პრემიერ-მინისტრი ჰარის სილადჯიჩი. უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოში ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ეთნიკური კონფლიქტების საკითხს,** რაც სამწუხაროდ მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული, კერძოდ XX-ს 80-იანი წლების ბოლოს უკვე აშკარა გახდა, რომ სსრკ იშლებოდა ამიტომ მოსკოვმა დაიწყო სხვადასხვა სქემის შემუშავება, რათა როგორმე შეენარჩუნებინა თავისი გავლენა მოკავშირე რესპუბლიკებზე, ამ მიზნით საქართველოში შეიქმნა სეპარატისტული პოლიტიკური გაერთიანებები: აფხაზეთში "აიდგილარა", სამაჩაბლოში "ადამონ ნიხასი", ქვემო ქართლში "ჯავახკი". მოსკოვმა მოახერხა თბილისისგან შეექმნა მტრის ხატი, რომელიც ვითომდა ავიწროებდა საკუთარ ავტონომიებს, თუმცა სეპარატიზმი თავად ავტონომიებისგან წამოვიდა ცენტრის (თბილისის) მიმართ, არძინბას, ჩიბიროვის, კოკოითის შოვინისტური და ნაციონალისტური პოლიტიკის გამო ეთნოკონფლიქტები სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა, სადაც ლტოლვილად ქცეული და გენოციდისმსხვერპლიგახდაარაზემოთაღნიშნული ეროვნული უმცირესობანი, არამედ – თავად ადგილობრივი ქართული მოსახლეობა. Aასე, რომ სსრკ-ს იდეოლოგების მიერ ინტერნაციონალური თეორიის ქადაგება სრული დემაგოგია აღმოჩნდა, ვინაიდან ეს იყო ძალადობასა და შიშზე აგებული ე.წ. "ხალხთა მეგობრობა". დაიწყო თუა არა აღმავლობა ნაციონალურმა პოპულიზმმა, მითი ინტერნაციონალიზმის შესახებ მყისვე დაიმსხვრა და თითქმის ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა ეთნოკონფლიქტებმა მოიცვა.

არსებობს რიგ პოლიტოლოგთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება ნაციონალ-პოპულიზმს, გადის რამოდენიმე ეტაპს: პოპულიზმიდან - ავტორიტარიზმამდე, ამის შემდეგ კი დგება ან დემოკრატია, ან ტოტალიტარიზმი.

**ასე რომ, ნაციონალური პოპულიზმი პოლი-**

ტიკური ბრძოლის დროს იყენებს პოპულიზმის მეთოდებს, ამასთან ერთად, იგი მძლავრი სოციალური ენერგიის მატარებელია და გააჩნია როგორც მშვიდობიანი, შემოქმედებითი ხასიათი, ასევე დამანგრეველი ძალაც, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელია ლიდერი, როგორ იყენებს ამ მეთოდებს პოლიტიკური ბრძოლის დროს და როგორ უთავსებს ერთმანეთს სახელმწიფოებრივ და ნაციონალურ ინტერესებს.

## ლიტერატურა:


1. BrzezinskiZ.Post-communistNationalism.// Foreign Attars.V68 #5. winter, 1989/90. p.2
2. გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, № 109, 14 სექტემბერი. 1989.
3. გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, № 109, 14 ოქტომბერი. 1989
4. Госпожа госсекретарь. Мемуары Мадлен Олбрайт. с 251


*Lali Kapanadze, PHD*

## National populizm in Georgia


**SUMMARY**

Political Phenomenon - Populism has multiple meaning: It may be considered as Agrarian, Social, Economic, National, as a style of activity of nationalistic political leader or specific Political Psychology. The rise of National Populism in former Soviet Republics and in Georgia became obvious in 80-ies, this was the reason of formation of new independent countries in Soviet space. . But Georgian Populism, was always built on the respect of other nations and on tolerance. World history has already proved that Political leaders for the most part gain popularity and make their political carrier by pronouncingt heir national ideas. National Populism is always very actual and has pretty big impact on the psuchology of people? This is the method, used by wellknown political figures.


***Лали Капанадзе,***
*Акад. доктор социальних иаук*

## Национал-популизм в политике Грузии


**РЕЗЮМЕ**

Популизм имеет широкое понятие. Его используют, чтобы отметить совершенно различные социально-политические движения и идеологии. Вместе с тем, он может быть экономическим, политическим, национальным, аграрным или вовсе стилем правления политического лидера.

В вышеизложенной статье мы рассмотрели национальный популизм, как ведущий вопрос грузинской политики. Для национального популизма характерно создание национального и независимого государства, привод нацинального правительста во главу правительства, национализация экономических ресурсов и т.д.

Если мы пересмотрим мировую историю, то легко обнаружим, что много известных политиков сделали себе имя благодаря национальным идеям. Отсюда следует, что методы национального популизма всегда актуальны и оказывают большой эффект на расположение духа народных масс.

# სამოქალაქო საზოგადოების არსი

*ლალი კაპანაძე*
*სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

*ადამიანები ბევრს ფიქრობენ უფლებებზე და ამასობაში თავიანთი მოვალეობანი ავიწყდებათ*
*/მარგარეტ ტეტჩერი/*

*საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, „ დეკლარაცია ემანსიპაციის შესახებ"; „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, "სატიაგრახა", "ხარტალა", უტილიტარული, რადიკალიზმი, კონსოლიდაცია.*

დღესდღეისობით, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, დემოკრატიული სახელმწიფოების აუცილებელი ატრიბუტია. სამოქალაქო საზოგადოება, არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, მისი საფუძველია თავისუფალი ინდივიდი. მისი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა სოციალური თანასწორობა, დემოკრატიული მმართველობა, საჯაროობა, პოლიტიკური დისკუსიები, მოქალაქეთა მაღალი ინფორმირებულობა, სამართლებრივი და საკანონმდებლო გარანტიები. სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მთელ სპექტრს, იგი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და მის ჩარჩოებს მიღმა ვითარდება, თუმცა თვალ-ყურს ადევნებს სახელმწიფო პოლიტიკას და შესაბამისად (არძალადობრივი გზით) რეაგირებს მისთვის მიუღებელ საკითხებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახალი არ არის, მაგრამ მან დროთა განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელობა, მაგალითად; **არისტოტელესთვის** სამოქალაქო საზოგადოება იგივე იყო, რაც "პოლიტიკური ერთობა", "პოლიტიკური საზოგადოება", ან "სამოქალაქო საზოგადოება". იგი თვლიდა, რომ ადამიანი "პოლიტიკური ცხოველია", ვინაიდან მას შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო, ანუ პოლიტიკურ საზოგადოებაში.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-IV-III სს-ში, მოქალაქეობა საპატიო სტატუსს წარმოადგენდა ათენში, აქ მოქალაქეობის მიღება შეეძლოთ მათ, ვისი წინაპრები ორივე მხრიდან, ათენის მოქალაქეები იყვნენ, ძალზე შეზღუდული იყო ეს პროცესი, მაგალითისთვის - პერიკლემ, რომელიც ერთი პერიოდი ათენის არქონტ-სტრატეგოსი (მთავარსარდალი) იყო, ვერ მოახერხა თავისი შვილებისა და ცოლისათვის მოქალაქეობის მიცემა. ათენის მოქალაქეები განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისგან და ანაზღაურებასაც კი იღებდნენ ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

ძვ. წ. აღრ. 212 წელს **კარაკალას** იმპერატორობის დროს, რომის იმპერიაში შემოღეს მოქალაქეობის ცნება. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ რომის მოქალაქეებს ენიჭებოდათ.

ზოგადად მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთის რევოლუცია - **1789 წელი** და ამავე წლის 26 აგვისტოს თვეში მიღებული **"ადამიანთა და მოქალაქის უფლებათა დაცვის დეკლარაცია"**, რითაც საფრანგეთში ახალი პოლიტიკური კულტურის ერა დაიწყო. აქცენტები გაკეთდა ადამიანთა უფლებებზე, თავისუფლებებზე, თანასწორობაზე, უსფრთხოებასა და საკუთრების დაცვაზე. ყველა ადამიანს მიენიჭა აზრისა და შეხედულებების გამოხტვის თავისუფლება, ქვეყნისათვის უზენაესი მსაჯული გახდა კანონი და შესაბამისად კანონით დაგენილი ნორმები. შეიცვალა პოლიტიკური ლექსიკონიც, შემოვიდა ახლი ტერმინები: "ერი", "მასები",

"პატრიოტი", "ადამიანთა უფლებები", "კანონი" და სხვა. აიკრძალა "ბატონი" და მის ნაცვლად დამკვიდრდა "მოქალაქე". თანასწორობის ხაზგასასმელად დამკვიდრდა "შენობით" მიმართვა. ისტორიის დროის ხაზს თუ გავყვებით, შემდეგი ნაბიჯი ადამიანთა მოქალაქეობის და მათი უფლებების შესახებ გადაიდგა **1763წ**. აშშ-ში სადაც აბრაამ ლინკოლნის ინიციატივით მიიღეს „ **დეკლარაცია ემანსიპაციის შესახებ"**; შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო ვენესუელის ეროვნული კონგრესის მიერ მიერ მიღებული „დეკლარაცია ხალხის უფლებების შესახებ" (სიმონ ბოლივარის დროს.) და ბოლოს რაღა თქმა უნდა **1948** წელს გაეროს მიერ მიღებული **„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია"**

შემდეგი წვლილი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში, აშშ- ში არსებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეიტანა, კერძდ, 1846 წელს, აშშ-ის მიერ ადგილი ჰქონდა მექსიკის რიგი ტერიტორიების დაპყრობას, სადაც მონათმფლობელობამ მოიკიდა ფეხი. ამ მოვლენების წინააღმდეგ გამოვიდა ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი - **ჰენრი დევის ტორო** (1817-1862) და შექმნა **"სამოქალაქო დაუმორჩილებლობის"** მოძრაობა.. ასეთი დაუმორჩილებლობის ძირითად მეთოდად ტორო მიიჩნევდა:

**უარის თქმას გადასახადების გადახდაზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე,**

**დემონსტრაციების მოწყობას, სახელმწიფო დაწესებულების საბოტაჟს და** ა.შ.

ტოროს ფილოსოფიამ და დემოკრატიზმმა ასახვა ჰპოვა მოჰანდას კარამჩანდ განდის (1869-1948წ.წ.) პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც. განდი თავისი უბრალოებით, ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით მთელი კაცობრიობის სინდისი გახდა. მან შეიმუშავა მშვიდობიანი და მორალური მეთოდების მთელი რიგი სისტემა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება უახლოვდება ღვთაებრივ იდეალს, ეს იყო **"სატიაგრახა"** (წინააღმდეგობა და ჭეშმარიტება) და **"ხარტალა"** რაც ნიშნავს უარის თქმას ყველა სახის საზოგადოებრივ მონაწილეობაზე. განდის მიერ შემოთავაზებულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდებში შედიოდა:

- სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ ბოიკოტი;
- სასწავლო პროცესების ჩაშლა;
- მშვიდობიანი დემონსტრაციების მოწყობა;
- უარის თქმას კოლონიზატორებისგან მინიჭებულ ტიტულებზე, პოლიტიკური გაფიცვების მოწყობა;
- შიმშლობა - როგორც პროტესტის ერთერთ ფორმა;
- გადასახადების გადაუხდელობა და ა.შ.

**1957** წელს აშშ-ის ალაბამას შტატის ბაპტისტმა პასტორმა, მარტინ **ლუთერ კინგმა** დააარსა **"სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენცია"**, რომელიც კოორდინირებას უწევდა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას. მისი თაოსნობით მოხდა მონტგიმერის შავკანიანთა საზოგადოების მიერ ბოიკოტის გამოცხადება ქალაქის ავტობუსების მიმართ, სადაც მიუხედავად თეთრკანიანთათვის გამიზნული ცარიელი ადგილებისა, ზანგები მხოლოდ შავკანიანთათვის გამოყოფილ შესაბამის ადგილებზე უნდა დამსხდარიყვნენ ან ფეხზე მდგომთ ემგზავრათ. მარტინ ლუთერ კინგმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა შავკანიანთა ულებების დასაცავად. იგი ატარებდა მშვიდობიან აქციებს და ხალხს მოუწოდებდა უსამართლო კანონების მიმართ დაუმორჩილებლობისაკენ და არაძალისმიერი დარღვევისაკენ. მარტინ ლუთერ კინგი განდის არაძალადობრივი, სამოქალაქო პროტესტის პრინციპების მიმდევარი იყო."**მე ვოცნებობ ჩემმა პატარებმა იცხოვრონ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მათ განსჯიან არა კანის ფერის, არამედ მათი პიროვნული თვისებების მიხედვით**" ასეთი იყო მისი სამოქალაქო მოძრაობის ძირითდი მიზანი.

ასე, რომ თუ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ისტორიას, დავინახავთ, რომ ადამიანებს ყოველთვის სურდათ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოეთქვათ თავიანთი პროტესტი თუ შეხედულება ქვეყანაში არსებული საკითხების მიმართ, გააჩნდათ სურვილი და უნარი სხვადასხვა ასოციაციებში გა-

ერთიანებისა და მითუმეტეს ეს განსაკუთრებით აქტუალური საკითხი გახდა თანამედროვე ადამიანებისათვის.

დღესდღეისობით, **სამოქალაქო საზოგადოება, არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით. ის არასახელმწიფო და არაპოლიტიკური სისტემაა** და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ვითარდება. მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად, საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატავად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო საზოგადოება ღია საზოგადოებაა და ის თვითონ არეგულირებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მობილობასდ, აკონტროლებს ხელისუფლებას, დაკავებულია იმ პრობლემებით, რომელიცმოცემულსიტუაციაშიდგასქვეყნისწინაშე, ეს შიზლება იყოს: სამოქალაქო სამართლიანობა, მოქალაქეობრივი კეთილდღეობა, სამოქალაქო უფლებები, სოციალაური თუ გენდერული თანასწორობა და ა. შ. როგორ ც ცნობილა სამოქალქო საზოგადოება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მუშაობს, მაგრამ ეს ორი ინსტიტუტი მუდმივად თანამშრომლობს ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებნ. აცნობიერებს რა სახელმწიფო თავის ვალდებეულებებს საზოგადოების, ქვეყნის წინაშე, იგი ვალდებულია:

- ემსახუროს ხალხს;
- უზრუნველყოს სამართლებრივი ნორმები;
- განახორციელოს ქვეყნის თავდაცვა და სუვერენიტეტი;
- მართოს ეფექტურად.

სამოქალაქო საზოგადოება თვითრეგულირებადი სისტემაა და რაც უფრო ძლირია სახელმწიფო ხელისუფლება, ისიც უფრო წარმატებულად ვითარდება. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ სახელმწიფოსთან, ამ უკანასკნელის ძირითადი მახასიათებელი კი არის სუვერენიტეტი, რაც იმადს ნიშნავს, რომ მხოლოდ ხალხია იმ ხელისუფლების წყარო, რომელიც მოდის ხელისუფლების სათავეში.

სამოქალაო საზოგადოება ავტონომიურ ორგანოს წარმოადგენს, იგი თავისი ორგანიზაციებისა და ასოციაციების საშუალებით აკონტეროლებს სახელმწიფოს. ეს ორგანიზაციები კი შეიძლება იყოს: მომხმარებელთაა კავშირი, მეწარმეთა კავშირი, ან სახვადასხვა პროფესიული კავშირები. ხელისუფლებასთან მიმართებაში მათ შეუძლიათ დაიკავონ განცხვავებული პოზიციები დაწყებული თანამშრომლობით, დამთავრებული ღია კონფრონტაციით. ისტორიაში არსებობს პრეცენდენტები, როდესაც პროფკავშირულმა გაერთიანებებმა თავის თავზე აიღო საზოგადოების დაცვა და თავად გახდა პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე. მაგლითად 1976 წელს, პოლონეთში შეიქმნა თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფკავშირის კომიტეტი და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია **"სოლიდარნოსტი" ლეხ ვალენსას** მეთაურეობით. ამ გაეთიანებამ სოციალური და პოლიტიკური პრობლემებიდან მასობრივი საპროტესტო მოძრაობის ორგანიზება მოახერხა და აიძულა ხელისუფლება გაეუქმებინა ცენზურა, გაეუმჯობებსებინა სურსათით მომარაგება, შეემცირებინათსამუშაო საათები და ა. შ.

**სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნებს, რომლებიც საზოგადოებრივია და არა პირადი.** სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ გზით ამყარებენ კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობენ მის ჩარჩოებში ფორმალური პოსტის ან ძალაუფლების მოპოვებას. ამის სანაცვლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსაგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, პოლიტიკური კურსის ცვლილება, თანადგომა, კომპენსაცია ან ანგარიშგება.

**პოლიტიკის და სოციოლოგიის პროფესორი, ლარი დაიმონდი - სამოქალაქო საზოგადოების**

**რამოდენიმე ფუნქციას გამოყოფს:** პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეზღუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში - მათი დემოკრატიზება. საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტივობა, პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ადგილი, როგორიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა. სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულ არხებს ქმნის ინტერესების გამოსათქმელად და დასაბალანსებლად. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ჯგუფებს – როგორიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა ახალი პოლიტიკური ლიდერების რეკრუტირება და სწავლება. ისინი სწავლობენ, თუ როგორ მოახდინონ ადამიანების მობილიზება და მოტივირება, საკითხების განხილვა, ფონდების მოპოვება და მართვა, ბიუჯეტების შედგენა, პროგრამების გამოქვეყნება, პერსონალის მართვა, შეთანხმებების მიღწევა და კოალიციების შექმნა, გარდამავალ პერიოდში მათ შეიძლება თვალყური ადევნონ არჩევნებს, იმუშაონ საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით, შეიმუშაონ ხელისუფლების დეცენტრალიზების და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზების გეგმები და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოება ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში, ასევე შეუძლიათ მიაწოდონ საზოგადოებას ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია თვით მთავრობის საქმიანობის შესახებაც კი.

საინტერესოა თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში. ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციები არიან მეტად ვიწრო ჯგუფები სადაც თითოეული წევრი მიმართულია საკუთარი მუშაობისთვის ანაზღაურების მიღებაზე, ეს არის ხელფასი ან ჰონორარი, რაც ბევრად აღემატება ქვეყნის მოქალაქეთა საშუალო შემოსავალს.Kკიდევ ერთი თავისებურება სამოქალაქო საზოგადოების საქართველოში არის ის, რომ ამ ორგანიზაციების პერსონალი უმეტესად წარმოადგენს პროფესიულ, ენერგიულ და პროდასავლურ ახალგაზრდობას და ზღვარი სამოქალაქო და პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის დიდწილად წაშლილია, ვინაიდან სახეზეა პიროვნებათა უშუალო მონაწილეობა პოლიტიკაში, ბრძოლა ძალაუფლებისათვის და მას შემდეგ, ლიდერები აღწევენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ამით, არსებითად თავდება ამ სექტორის განვითარების გარკვეული ციკლი. **ქართული პოლიტიკური საზოგადოების სუსტი მხარეებია:** ზედმეტად პოლიტიზირება და რადიკალიზმი, კომუნიკაციის ნაკლებობა ფართო საზოგადოებასთან; კონფლიქტებისა და დარმატული ცვლილებების გარეშე განვითარება; კონსოლიდაცია; ნდობა; სოლიდარობა; გულგრილობა; უტილიტარული (პრაქტიკული, გამოყენებითი) მიზნები.

საქრთველოში, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, ქართულ პოლიტიკურ კულტურაში ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს ქარიზმატული ლიდერისადმი რწმენა, ასეთი დამოკიდებულება კი ხშირად ამა თუ იმ პოლიტიკოსს ხელსაყრელ გარემოს უქმნის იმისათვის, რომ მან განუსაზღვრელი უფლებებით ისარგებლოს.

**ლიტერატურა:**

1.Политология Издательский центр „МарТ“ 2002.
2. Larry Diamond : The Spirit of Democray 2007

# პიროვნების ფორმირება

*ლია მეტრეველი*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

პიროვნება არის ადამიანი, რომელიც განიხილება მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი, სოციალური არსება. როცა ვლაპარაკობთ პიროვნების შესახებ, მხედველობაში არ ვიღებთ მის ბიოლოგიურ მხარეს.

ფსიქოლოგიაში ადამიანისა და პიროვნების ცნებასთან ერთად იხმარება ინდივიდუალურობის ცნებაც. არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი პიროვნება. ინდივიდი არის თითოეული, ცალკეული, კონკრეტული ადამიანი, რომელიც ავლენს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უნიკალურობას.

ადამიანი არ იბადება პიროვნებად. ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენს კვალობაზე პიროვნებად იგი შედარებით გვიან ყალიბდება. თვლიან, რომ ადამიანი იბადება ორჯერ. პირველად 2-3 წლის ასაკში, როცა ბავშვი იწყებს პირის ნაცვალსახელის „მე"-ს ხმარებას. ამ ასაკში იწყება თვითცნობიერების ჩასახვა. ბავშვი თავის თავს სხვებისგან გამოყოფს, როგორც განსაზღვრული სახელის მატარებელს. ამ ასაკში ბავშვს ეწყება სქესობრივი მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება, ყალიბდება სქესობრივი იდენტიფიკაცია.

პიროვნების მეორე დაბადება ხდება გარდამავალ ასაკში, როცა მოზარდში ვითარდება ნამდვილი შეგნებული პიროვნება. მოზარდი იწყებს ე.წ. „დამოუკიდებლობის მაქსიმალიზმის" პოზიციის დაკავებას. იგი ახლა საკუთარ პიროვნებას უპირისპირებს გარესამყაროს. პიროვნების მეორე დაბადება დაკავშირებულია მსოფლმხედველობისა და მრწამსის ჩამოყალიბებასთან.

ადამიანი პიროვნებად იქცევა ადამიანთა საზოგადოებაში. ადამიანური ურთიერთობების გარეშე პიროვნება არ არსებობს. ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა სიკეთე, სიავე, მზრუნველობა, შური, ეჭვი, მოუთმენლობა, უხეშობა და სხვა მრავალი, ვლინდება მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებში.

პიროვნება არის კონკურენტული ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. კითხვაზე, რა არის პიროვნება, ფსიქოლოგები განსხვავებულად პასუხობენ.

პიროვნების, შედარებით ყველაზე უფრო გავრცელებულ დეფინიციად ითვლება გ. ოლპორტის განსაზღვრება. ოლპორტისათვის პიროვნება არის ადამიანის ფსიქო-ფიზიკური სისტემების ინდივიდუალურ თავისებურებათა ერთობლიობა, ის რითაც ერთი კონკრეტული ადამიანი მეორისაგან განსხვავდება. ამიტომაცაა, რომ ყველა ადამიანი განუმეორებელია.

ჯ. კელი თვლიდა, რომ პიროვნება დამახასიათებელია თითოეული ინდივიდისათვის, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილების გაცნობიერების უნიკალური ხერხი.

კ. როჯერსის მიხედვით პიროვნება არის ინდივიდის გამოცდილების ნაწილი. იგი აღმოცენდება ინდივიდის გამოცდილების პროცესში და თავის თავში მოიცავს საკუთარ გამოცდილებას, ყოფიერებას და „მე"-ს.

გ. აიზენკი პიროვნებას განსაზღვრავს, როგორც ხასიათის, ტემპერამენტის, ინტელექტისა და ფიზიკური აგებულების მეტ-ნაკლებად უცვლელ, მუდმივ მყარ ორგანიზაციას, რომელიც აპირებს მის ერთადერთობას. აიზენკი თვლის, რომ პიროვნებულ თვისებათა წარმოშობაში ძალიან დიდი როლი ენიჭება მემკვიდრეობას. მისი აზრით, პიროვნება 75 პროცენტით განპირობებულია მემკვიდრული ფაქტორებით.

დ. უზნაძის მიხედვით პიროვნების სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აგრეთვე გაუცნობიერებელი აღმძვრელებიც, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს განწყობას, რომელიც არის პიროვნების გაუცნობიერებელი მზაობა და რომლის საშუალებითაც მას შეუძლია განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. განწყობა არის არაცნობიერი მზაობა, რომელიც

გულისხმობს რა განსაზღვრული სახით იქნება აღქმული საგნები და მოვლენები. განწყობის კანონზომიერებები საფუძვლად უდევს პიროვნების ქცევას.

პიროვნებას ძირითადად ახასიათებს შემდეგი ფსიქოლოგიური თავისებურებები: თვითცნობიერება, თვითშეფასება, ზნეობრივი იდეალები, ინდივიდუალობა, თვითრეგულაცია, აქტივობა და სოციალურ გარემოსთან ურთიერთობა.

იხილავენ პიროვნების სამ უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ მახასიათებელს:

1. **პიროვნების გამძლეობა,** სიმყარე. პიროვნების ფსიქიკური მოვლენები საშუალებას გვაძლევენ ვივარაუდოთ მოცემული პიროვნების ქცევა ამა თუ იმ სიტუაციაში.

2. პიროვნების ერთიანობა. პიროვნება ერთიანი, მთლიანობითი ბუნებისაა და მასში ყველა თვისება მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება ერთმანეთთან, ამიტომ პიროვნება ვლინდება არა დანაწევრებულად, არამედ - მთლიანობაში.

3. პიროვნების აქტიურობა. პიროვნების აქტიურობა გამოიხატება მის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოქმედებაში. აქტივობა სამი სახისაა: ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური.

პიროვნების ფორმირება ხდება გარესამყაროსთან მისი აქტიური ურთიერთქმედების პროცესში. აქტივობა არის ცოცხალი ორგანიზმის მნიშვნელოვანი ზოგადი თვისება, რომელიც ვლინდება მოქმედებაში. პიროვნების აქტივობის უშუალო მიზეზი და ძალის მიმცემი არის მოთხოვნილებები. პიროვნების აქტივობა ვლინდება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში.

რა განსხვავებაა ცხოველისა და ადამიანის მოთხოვნილებებს შორის?

ცხოველის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საგნის მომწოდებელი არის ბუნება. მზამზარეული საგანი, რომელსაც ცხოველი სახეს არ უცვლის, მათი მოთხოვნილებები იცვლებიან ბუნების გარემოს შეცვლასთან ერთად.

ადამიანს ბუნება ყოველთვის არ აწვდის მზამზარეულ საგნებს. აწვდის მასალას, ხოლო იგი მას აძლევს სასურველ ფორმას. შრომის პროცესში ადამიანს უჩნდება ახალი მოთხოვნილებებიც, რომლებიც დასაკმაყოფილებლად მოითხოვენ ახალი საგნების გაჩენას. ადამიანთა მოთხოვნილებების განვითარება განსაზღვრულია წარმოების განვითარებით. ინდივიდი ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა შეივსოს ის დანაკლისი, რომელსაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია.

ა. მასლოუმ გამოყო ხუთი დონე, ადამიანური მოთხოვნილების იერარქიიდან. ესენია: 1) ფიზიოლოგიური – შიმშილი, წყურვილი, სექსუალობა. 2) დაცვითი – დაცვა ტკივილისაგან, ტანჯვისაგან. 3) სოციალური – ჩართულობის, სიყვარულის, ნდობის. 4) თვითპატივისცემის – აღიარების, მოწონების, მიღწევის. 5) თვითაქტუალიზაციის – საკუთარი შესაძლებლობების და ნიჭის რეალიზაციის გზის გაზიარება და გაგება.

ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, აღმოცენდება წინააღმდეგობები და სიძნელეები, რომელიც ხანდახან, როგორც დაუძლეველი ისე აღიქმება. ამის გამო პიროვნებაში აღმოცენდება ერთგვარი დაძაბულობა, რომელსაც ეწოდება ფრუსტრაცია. ფრუსტრაცია ცვლის პიროვნების ქცევას, ადამიანს უჩნდება უკმაყოფილების განცდა ან სულაც - აგრესია. ფრუსტრაცია არის მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული ფსიქიკური მდგომარეობა, სტრესის ერთ-ერთი კომპონენტი. სტრესი კი არის უკიდურესი ფსიქიკური დაძაბულობა, რომელიც იწვევს მოულოდნელ ცვლილებებს და რომლის თავიდან აცილება ადამიანს არ შეუძლია.

ქცევის მოტივები – პიროვნების კონკრეტული ქცევის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ამ ქცევის აღმძვრელი მიზეზები. თუ ვიცით ადამიანის კონკრეტული ქცევის მოტივი, შეიძლება დავასკვნათ შემთხვევითია და არა კანონზომიერი მისი საქციელი, გაიმეორებს თუ არა იგი ამ ქცევას შემდგომში.

ინტერესი. ინტერესი არის პიროვნების აქტუალური შემეცნებითი მიმართულება ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე. ინტერესი პიროვნებას აღძრავს ცოდნის მიღებისკენ. არჩევენ ფართო და

ვიწრო, გამძლე და მყარ ინტერესებს. ინტერესთა სისუსტე განპირობებულია ასაკობრივი თავისებურებებითაც. ინტერესი პიროვნების ქცევის მნიშვნელოვანი მოტივია, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი. ქცევის არსებითი ხასიათის მოტივია მრწამსი და მსოფლმხედველობა. მრწამსი არის პიროვნების გაცნობიერებული მოთხოვნილებათა სისტემა, რომელიც მას აღძრავს მოქმედებისაკენ მისი შეხედულებების, პრინციპებისა და მსოფლმხედველობის შესაბამისად, მსოფლმხედველობა არის შეხედულებათა სისტემა ბუნებაზე, საზოგადოებასა და ცნობიერებაზე. ის არის პიროვნების ქცევის უმაღლესი რეგულატორი.

ადამიანის ქცევის მორალური მოტივები აისახება, აგრეთვე იდეალებშიც, რომლის მიხედვითაც პიროვნება ახორციელებს ამა თუ იმ ქცევას, იგი არის პიროვნების ძირითადი მოტივი. ბუნებრივ იდეალში კონცენტრირებულია ადამიანის მრწამს და ცნობიერებისეულ პოზიცია, რომლითაც პიროვნება ხელმძღვანელობს აწმყოში და რომლითაც იგი სამომავლო გეგმებსაც განსაზღვრავს.

**ლიტერატურა:**


1. თ. გოგიჩაიშვილი, ზოგადი ფსიქოლოგია, 1996;
2. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1975;
3. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1940;
4. ნარიზაშვილი ნ., პრაქტიკული ფსიქოლოგია, თბ. 2011;
5. მასლოე ა., თვითაქტუალიზაცია /პიროვნების ფსიქოლოგია/ : ტესტები, 1982;


*Lia metreveli, associate professor, GTU*

## Psychology of person


**SUMMARY**

The person is formed and existed in society and there is no other way for its formation. The person as a biosocial creatureis formed in the process of education and learning, but heis nourished withtendencies of internal development and due to education is gaining the ability of conscious of this internal management.

# ინტელექტი და ინტელექტის კოეფიციენტი IQ

*ლია მეტრეველი*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

ინტელექტი - (ლათ. intellektws - გონებრივი, გააზრებული შემეცნება) ადამიანური აზროვნების შესაძლებლობათა კომპლექსი, რომელიც ცოდნის შეძენის გარემოში ორიენტირებს. პირობითად ინტელექტი ასახავს ადამიანის უნარს მეტ-ნაკლები სიადვილით გადაწყვიტოს ცხოვრებილეული და ლოგიკური ამოცანები.

ინტელექტს აქვს სპეციალური რაოდენობრივი მახასიათებელი IQ ინტელექტის კოეფიციენტის სახით. იგი სპეციალური ტესტების დახმარებით განისაზღვრება. მისი მაჩვენებლის დადგენისას ითვალისწინებენ ადამიანის უნარს, გადაამუშაოს ინფორმაცია, რომელთა მიმართაც შეძენილი უნარ ჩვევები არ გააჩნია. სწორედ ეს მაჩვენებელი იძლევა ინტელექტის დონით ადამიანების ერთმანეთისგან განსხვავების საშუალებას. ამრიგად, გონებრივი მოქმედების შესრულების სისწრაფე და სიზუსტე ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინტელექტს იხილავენ ბიოლოგიური, პედაგოგიური და სტრუქტურული თვალსაზრისით. ბიოლოგიური მიდგომის მიხედვით, ინტელექტი არის სიტუაციებისადმი შეგნებული შეგუების უნარი. პედაგოგიური თვალსაზრისით სწავლის უნარი, ხოლო სტრუქტურული მიდგომის მიხედვით კი სხვადასხვა უნართა ერთობლიობა, რომლის ძირითადი ფუნქცია გარესამყაროსთან შეგუებაა (4).

ინტელექტის გაგება თავისი მნიშვნელობით უტოლდება გონის, ცნობიერების გაგებას და ხშირად გამოიყენება მათ სინონიმებად - ინტელექტი გონის უმაღლესი ფორმაა.

არსებობს ინტელექტის სხვადასხვა ეტაპები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან აქტიურობით, პროდუქტიულობით, მიმართულებით, აზროვნების სტილით და სხვა (4).

წინა საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფსიქოლოგებს ჰქონდათ მცდელობა ინტელექტის გაზომვის. პირველად ინტელექტუალური ტესტები მე-7 საუკუნეში ჩინეთში გაჩნდა, მათი საშუალებით ამოწმებდნენ ჩინოვნიკთა შესაძლებლობებს, მე-20 საუკუნის დასაწყისში ადამიანის აზროვნების შესაძლებლობათა „გასაზომი“ მეთოდის ძებნა საფრანგეთში დაიწყო. 1905 წ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფრანგული ლაბორატორიის დამაარსებელმა, დოქტორმა დავით ბინემ და პარიზის პედაგოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა თეოდორ სიმონმა შექმნეს პირველი პრაქტიკული ტესტი ინტელექტუალური დონის შესამოწმებლად. ეს ტესტი იმ ბავშვების განსათესად იყო განკუთვნილი, რომლებიც გონებრივი განვითარებით ვერ ეწეოდნენ თანაკლასელებს და განსაკუთრებული პროგრამით სჭირდებოდათ სწავლა. ბინეს იდეებმა განვითარება პოვა ბერძენი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის უილიან შტერნის ნაშრომებში. სწორედ ამ უკანასკნელმა შემოიღო 1912 წ. ინტელექტის კოეფიციენტის ცნება. შტერნის მიხედვით ინტელექტს ზომავენ ფორმულით, (გონებრივი ასაკი - ფიზიკური ასაკზე, პირველად 1916 წ, იქნა გამოყენებული სფენფორდ-ბინეს ინტელექტის სკოლაში. აშშ-ში ინტელექტის ტესტის გამოყენება 1917 წლიდან დაიწყო, როცა ქვეყანა პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო. ფსიქოლოგ ლუის ტერმენის მიერ ადაფტირებული IQ ტესტებით განისაზღვრებოდა არმიაში შესული ახალწვეულთა დონე.

როგორც აღვნიშნეთ ბინეს ტესტი პირველად დამუშავდა ბავშვის ინტელექტის გასაზომად, მაგრამ მალევე გაჩნდა მოზრდილთა ინტერესების გაზომვის მოთხოვნა. ამან განაპირობა მოზრდილთათვის ვექსელერის სკოლის დამუშავება. ყველა არსებული ტესტი შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, სისწრაფის ტესტად და დონის ტესტებად. პირველ ტიპში მთავარ სიძნელეს დროის შეზღუდვა წარმოადგენს, რომელიც მკაცრადაა ლიმიტირე-

ბული, მეორე ტიპის ტესტებში მთავარია დავალების სიძნელე (3).

რას ზომავენ ინტელექტის ტესტები? ერთი მიდგომით ინტელექტი ეს არის უნარი, რომელიც ანიჭებს ადამიანს უპირატესობას ყოველგვარ ინტელექტუალურ საქმიანობაში, მეორე მიდგომის მიხედვით არსებობენ განსხვავებული პირველადი უნარები და ლაპარაკი ერთიან ინტელექტზე, უსაფუძვლოა.

არჩევენ არავერბალურ და ვერბალურ ინტელქტს, ინტელექტს. ვერბალური ინტელექტი დამოკიდებულია თითოეული ინდივიდის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, განათლების კულტურის დონეზე და სოციალურ გარემოზე. არავერბალური ინტელექტი ძირითადად ადამიანის უნარებსა და სენსომოტორულ მაჩვენებლებშია გამოხატული. დამოკიდებულია ფსიქიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, საბოლოო ანგარიშით ინტელექტი გამოისახება, როგორც ნიჭთა და ნასახთა სისტემა, სადაც წამყვან როლს სააზროვნო შესაძლებლობებში ასრულებენ (გოგ).

კომპიუტერული ტექნიკის განვითარების ეპოქაში, დიდ ინტერესს იწვევს „ხელოვნური ინტელექტის“ შექმნის შესაძლებლობა, „მოაზროვნე“ მანქანები წარმატებით ხსნიან მათემატიკურ რთულ ამოცანებს, თამაშობენ ჭადრაკს და ა.შ. მიუხედავად ამისა, რომ კომპიუტერებს არ შეუძლიათ მუშაობის პროცესში სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება, ისინი მაინც სასწაულს ახდენენ. ცნობილია, რომ საჭადრაკო კომპიუტერისა და მსოფლიო ჩემპიონის გარი გასპაროვის შეხვედრა დამთავრდა კომპიუტერის გამარჯვებით.

საკამათო საკითხთა რიგს ეკუთვნის ინტელექტის მემკვიდრეობითი პრობლემა. ცხადია ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ინტელქტის დონით, მაგრამ როგორ გამოვყოთ გენეტიკური ფაქტორი გარემო ფაქტორისაგან. ინტელექტი ძლიერ არის განსაზღვრული გენეტიკური ფაქტორებით, მაგრამ გარემოს მრავალფეროვნებაც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ინტელექტის გასაზომ ტესტების შედეგებზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გენები და გარემო ურთიერთკავშირშია. ინტელექტის გამოვლინებაზე მრავალი სოციალური ფაქტორი მოქმედებს (1). ინტელექტის განვითარება არ არის შეუძლებელი. მნიშვნელოვანია გარემოს გავლენა. ასეთია ოჯახში არსებული ინტელექტუალური ატმოსფერო, მშობლების ბავშვებთან ურთიერთობის ხანგრძლივობა, ბავშვთა რაოდენობა ოჯახში და სხვა. ინტელექტის დონეს განსაზღვრავს არა მხოლოდ თანდაყოლილი ფაქტორები, არამედ მათი ურთიერთქმედება გარემოსთან.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს გენდერული საკითხიც. რაც შეეხება სქესს მეცნიერების აზრით ინტელექტის დონე მამაკაცებსა და ქალებში საერთო ჯამში ერთნაირია (არსებობს მოსაზრება, რომ მამაკაცის ინტელექტი აღემატებოდა ქალისას, ამის შესახებ დარვინი წერდა: „მამაკაცები ძლიერნი, მამაცნი, აგრესიულნი, ენერგიულნი და ქალებზე გაცილებით მოაზროვნეები არიან“). მამაკაცებში უფრო მეტია განსხვავება ანუ არსებობენ, როგორც ძალიან ჭკვიანი, ასევე ძალიან გონებაშეზღუდულებიც, ინტელექტის სხვადასხვა გამოხატვის კუთხით, მამაკაცებსა და ქალებს შორის შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ხუთწლამდე ეს სხვაობა არ არსებობს. ამ ასაკის ზემოთ ბიჭებს ერთგვარი უპირატესობა უჩნდებათ სივრცითი ინტელექტით და მანიპულირების შესაძლებლობით გოგონებს უსწრებენ. სამაგიეროდ, გოგონები ბიჭუნებს ვერბალური შესაძლებლობებით იტოვებენ უკან. მამაკაცები გაცილებით მაღალ შედეგებს აჩვენებენ მათემატიკაში, ხოლო ქალები კითხვასა და აღქმის სისწრაფეში. განსხვავება, ინტელექტში სქესის მიხედვით არ არსებობს. ერთადერთი, რაშიც მამაკაცების უნარი ქალებისას აღემატება, სივრცეში ორიენტირება ყოფილა.

დღეს ქალებისა და მამაკაცების ინტელექტის კოეფიციენტს შორის განსხვავების დადგენა ე.წ. ინტელექტის კოეფიციენტის საშუალებით ხდება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს ხედვა ინტელექტთან დაკავშირებით (იგი იყო გონებრივად დაჯილდოვებული მაღალი ინტელექტის მქონე, გამოირჩეოდა მაღალი IQ-თი ასაკთან შედარებით საგრძნობლად

განვითარებული, ვუნდერკინდი). მან 10-15 წლის ასაკში გამოაქვეყნა მეცნიერული სტატიები.

ჟ. პიაჟეს მიხედვით ინტელექტი არის „ახალი პირობების შეგუება“. იგი თვლიდა, რომ არ ხდება გარესამყაროდან მიღებული ყოველგვარი ინფორმაციის შეთვისება. შეთვისება მხოლოდ ის ინფორმაციაა, რომელიც შეესაბამება ინდივიდის შენაგან სტრუქტურებს. შეთვისება (ასიმილაცია) და შეგუება (აკომოდაცია) ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დაუბალანსებელ წონასწორობაში. პიაჟესთვის ინტელექტი არის ყოველი დონის ქცევის რეგულატორი. ინტელექტი - ინდივიდის გონებრივი უნარების მყარი სტრუქტურაა. მისი შემეცნებითი შესაძლებლობების დონე ინდივიდის ცხოვრებისეული სიტუაციებისადმი ფსიქიკური ადაპტაციის მექანიზმი, სინამდვილის არსებთი ურთიერთკავშირების გაგება, ინდივიდის ჩართულობა სოციუმის სოციოკულტურულ გამოცდილებებში.

***Lia metreveli, associate professor, GTU***

**SUMMARY**

The very popular way for summarize of intelligence coefficient is to use IQ. IQ is the conditional name of intelligence level. It is also mental quality index, calculated since 1919. In many countries (for example - United States) the distribution of people to different types of institutions, recruitment, promotion, etc is based on IQ tests. The average of IQ increases for three points in every ten years.

Intellect reflects the ability of people with more or less volunteer to decide the vital or logical tasks. Intellect determines the physiological factors, genetic, brain size and structure, on the other hand the social and cultural environment, education and development.

# Возможности школьного воспитания для профилактики отклоняющегося поведения несовершеннолетних

***Елена Михайловна Тимошина***
*кандидат юридических наук*

Отклоняющееся, в том числе, противоправное поведение несовершеннолетних демонстрирует существование серьезных проблем, связанных с организацией не только деятельности государства по предупреждению правонарушений, но процесса воспитания в целом.

Анализ статистики преступности несовершеннолетних свидетельствует о стабильном снижении их криминальной активности за последние 16 лет. Это подтверждает и динамика абсолютных показателей (числа выявленных несовершеннолетних, совершивших преступления (рис.1), и динамика коэффициента несовершеннолетних, совершивших преступления (соотношение числа выявленных несовершеннолетних, совершивших преступления на сто тысяч населения страны в возрасте от 14 до 17 лет.




**Рис. 1**. **Динамика числа выявленных несовершеннолетних, совершивших преступления**

Однако необходимо учитывать, что преступность несовершеннолетних – это лишь, своего рода, вершина айсберга противоправного и аморального поведения детей в целом.

Так, в 2013 г. в органы внутренних дел Российской Федерации за совершение правонарушений было доставлено 405309 несовершеннолетних, из которых 27070 – совершили преступление; 16925 – совершили общественно опасные деяния до достижения возраста привлечения к уголовной ответственности; 205375 – совершили административные правонарушения, в том числе, 84395 – связанные с употреблением спиртных напитков, 6033 – связанные с употреблением наркотических средств, психотропных либо одурманивающих веществ. За рассматриваемый год 22023 несовершеннолетние ушли из дома, 18104 – из государственных учреждений.

В декабре 2013 года на учете в подразделениях по делам несовершеннолетних органов внутренних дел Российской Федерации состояло 174477 несовершеннолетних, из которых 44834 человека не достигли 14 лет. Среди этих лиц 7039 – нигде не работали и не учились; 3184 – употребляли наркотики; 4017 – употребляли одурманивающие вещества, 4362 – совершили

правонарушение, повлекшие применение мер административного взыскания; 38501 – совершили правонарушение до достижения возраста, с которого наступает административная ответственность; 46043 – не подлежали уголовной ответственности вследствие не достижения возраста уголовной ответственности.

Таким образом, несмотря на зафиксированное криминальной статистикой снижение числа преступлений, совершаемых несовершеннолетними за последние годы, попрежнему, серьёзную опасность представляет ситуация в сфере негативного отклоняющегося поведения несовершеннолетних. Среди наиболее массовых в настоящее время, статистически устойчивых и социально опасных форм такого поведения детей, способствующих росту криминальной активности личности и общества, можно выделить: курение, употребление алкогольных напитков, пьянство, алкоголизм, наркотизм, суицид и самоповреждения, безнадзорность и беспризорность, игромания, ранние половые связи, а также иное безнравственное и аморальное поведение.

Учитывая, что до момента постановки на учет многие из несовершеннолетних характеризовались отклоняющимся поведением, существующую взаимосвязь негативного отклоняющегося поведения с преступностью, которая доказана многими криминологами, можно сделать вывод о необходимости совершенствования предупредительных мер борьбы с преступностью, направленных, прежде всего на раннее выявление и предупреждение отклоняющегося поведения детей.

Бесспорно, основную обязанность по воспитанию несовершеннолетних, ответственность за их поведение, несут родители. Вместе с тем, принимая во внимание, что в силу объективных причин (трудовой занятости полный рабочий день), они не могут в должной мере обеспечить надзор за детьми в рабочие часы, мы полагаем, что образовательные учреждения должны восполнять эту функцию, а также осуществлять воспитание несовершеннолетних в указанное время. С этой целью, по нашему мнению, необходимо активизировать и развивать воспитательный потенциал общеобразовательных учреждений, прежде всего, школ.

Этот вывод согласуется с положениями Федерального закона Российской Федерации от 24 июня 1999 года N 120-ФЗ «Об основах системы профилактики безнадзорности и правонарушений несовершеннолетних», который закрепляет в числе субъектов профилактики «федеральные органы государственной власти и органы государственной власти субъектов Российской Федерации, осуществляющие государственное управление в сфере образования, и органы местного самоуправления, осуществляющие управление в сфере образования».

Тем более, что в Федеральном законе «Об образовании в Российской Федерации», хоть и не прописывается целенаправлен-ная деятельность по индивидуальной профилактике правонарушений несовершеннолетних, но предусматривается для этого определенная основа. Так, кроме возможности создания специальных учебно-воспитательных учреждений открытого и закрытого типов для обучающихся с девиантным поведением, федеральный закон обязывает школы обеспечивать «профилактику и запрещение курения, употребления алкогольных, слабоалкогольных напитков, пива, наркотических средств и психотропных веществ, их прекурсоров и аналогов и других одурманивающих веществ»[1]. А «психолого-педагогическая, медицинская и социальная

[1] П.7 ст. 41 Федерального закона Российской Федерации «Об образовании в Российской Федерации» № 273 – ФЗ от 29 декабря 2012 г.

помощь обучающимся, испытывающим трудности в освоении основных общеобразовательных программ, развитии и социальной адаптации»[1], также могла бы применяться в рамках индивидуальной профилактики отклоняющегося, в том числе, противоправного поведения, если учитывать, что такое поведение всегда сопутствует наличию у несовершеннолетнего трудностей социальной адаптации.

Таким образом, антикриминогенное воздействие школы может заключаться в профилактике наиболее массовых и социально опасных форм отклоняющегося поведения детей, способствующих росту криминальной активности личности и общества, среди которых: курение, употребление алкогольных напитков, пьянство, алкоголизм, наркотизм, суицид и самоповреждения, безнадзорность и беспризорность, игромания, ранние половые связи, а также иное безнравственное и аморальное поведение.

Мы полагаем, что для предупреждения отклоняющегося поведения детей в школах должны быть созданы Советы по нравственности, включающие преподавательский и ученический состав школы, представителей родительских комитетов, а также профессиональных психологов, которые будут заниматься выявлением фактов отклоняющегося поведения школьников, разработкой и реализацией программ по предупреждению отклоняющегося поведения и исправления детей. В рамках деятельности Советов любой факт отклоняющегося поведения не должен оставаться без внимания со стороны преподавательского состава, психологов и активистов из числа школьников. Советы по нравственности могли бы разбирать аморальные поступки и иное отклоняющееся поведение учеников, разрабатывать мероприятия помощи и поддержки с активным вовлечением других школьников, возобновлением института «шевства». Все эти мероприятия должны ставить перед собой цель сохранения нравственного и физического здоровья детей, не допущения «выпадения» школьников из социально значимой жизни коллектива и криминализации несовершеннолетних. В полномочие Советов по нравственности могло бы входить участие в межведомственных программах по профилактике преступлений.

Для достижения обозначенных целей считаем целесообразным активное участие родителей в реализации школьных воспитательных программ. Например, совместная деятельность детей и родителей в лекциях о духовно-нравственном воспитании; творческих мастерских; патриотических организациях; встречах с интересными людьми, доб-росовестно трудящимися на благо общества; в составлении генеалогического древа семьи; участие в военно-патриотических играх; экскурсиях по памятникам культуры, истории, местам боевой славы и т.п.

Ещё одной разновидностью антикриминогенного воздействия школы может стать грамотная профилактика и борьба с таким отклоняющимся поведением детей как уклонение от учебы и систематические пропуски занятий. По данным исследований большинство таких подростков отличаются определенными психологическими особенностями и имеют психические отклонения, что при отсутствии адекватных психопрофилактических и лечебно-коррекционных мероприятий может привести в дальнейшем к более серьезным психическим расстройствам, нарушению социальной адаптации и асоциальному поведению[2].

По мнению специалистов в сфере меди-

[1] Там же, ст. 42.

[2] Андреюк В.Ю. Факторы школьной дезадаптации и психосоциальная реабилитация подростков, систематически пропускающих занятия: Автореф. дис…к-та мед. наук. – М, 2009. С. … (-26 С.)

цины, возникновение школьной дезадаптации в форме систематических пропусков занятий обусловлено различными факторами: личностными психологическими особенностями и психопатологическим состоянием подростков со школьной дезадаптацией, а также микросоциально-средовыми влияниями, которые в комплексе приводят к возникновению «порочного круга» и усугублению как социальной дезадаптации, так и психопатологических нарушений. Именно поэтому своевременное выявление и комплексная психосоциальная реабилитация, направленная на коррекцию всех выделенных выше факторов может быть эффективным средством борьбы со стороны школы с систематическими пропусками занятий.

Разработка и применение методических комплексов позволит производить диагностику факторов школьной дезадаптации и своевременно намечать задачи психопрофилактической работы и психосоциальной реабилитации. Эффективность подобных мероприятий уже была доказана специалистами: после проведения программы психосоциальной реабилитации школьников отмечалось улучшение их психоэмоционального состояния, снижение поведенческих расстройств и тенденция к ослаблению психопатологических нарушений. У детей, ранее пропускающих занятия, уменьшилось количество прогулов, улучшились успеваемость, отношение к учебе, отношения с учителями и одноклассниками, школьная ситуация в целом, повысилась просоциальная направленность поведения, а родители таких детей начинали больше интересоваться их учебой[1].

Важной задачей образовательных учреждений в рамках профилактики преступности в отношении детей и правонарушений несовершеннолетних должно стать обеспечение полной досуговой, творческой, воспитательной и образовательной деятельности учащихся среди недели с 9.00 до 19.00 часов – когда родители детей находятся на работе, чтобы полностью исключить безнадзорность детей как самый распространенный криминогенный фактор, способствующий совершению преступлений, как самими несовершеннолетними, так и в отношении них.

Для этого, полагаем целесообразным внести ряд существенных преобразований, прежде всего, в воспитательную деятельность школ: сохранить бесплатной услугой группу продлённого дня (ГПД), качественно изменив содержание её программы; включить обязательной составляющей ГПД спортивные и интеллектуально-творческие занятия. Сущность и разновидности этих занятий должны быть таковыми, чтобы у школьников возникала мотивация и заинтересованность к деятельности, а занятия выполняли функцию предварительного профессионального ориентирования и задействовали всех школьников без исключения.

С этой целью необходимо развивать круг секций и кружков в достаточном объёме и направлении деятельности, например, минимальным набором школы могут быть кружки: фотографии, журналистики, театрального и ораторского искусства, художественной поделки, вязания, шитья, радиотехники, научной направленности, не требующие серьезных материальных затрат и дорогостоящего оборудования, которые нуждаются только в руководстве взрослых, а существуют преимущественно за счёт деятельности самих учеников; а также спортивные секции, обязательными из которых должны быть игровые виды спорта и плавание.

Важным аспектом формирования гражданского общества является развитие у детей ответственной гражданской позиции и самосознания, способности самостоятельного

[1] См.: там же.

принятия решений и ориентирования во взрослом мире, чему будет способствовать создание в школах общественных организаций и ассоциаций школьников, налаживание общественной деятельности в различных актуальных для современности направлениях: защита окружающей среды, помощь детям-инвалидам и престарелым, участие в программах по профилактике преступлений и пр.

Главным смыслом этой деятельности в целом должно являться абсолютное вовлечение всех учащихся школ в социально-полезную деятельность, успешная социализация и личностная реализация всех детей независимо от их интеллектуальных, физических, психических и иных характеристик, успеваемости и поведения, а также предупреждение безнадзорности – одного из самых основных криминогенных факторов.

В рамках работы по духовно-нравственному воспитанию в школах необходимо разрабатывать и внедрять программы, направленные на формирование у детей глубокой духовности и нравственности, стереотипа здорового образа жизни, отрицательного отношения к курению, алкоголю и наркотикам, культуры поведения, законопослушания и активной гражданской позиции, патриотизма, уважительного отношения к историческим традициям, культуры межнациональных отношений, умение детьми строить позитивные взаимоотношения в коллективе, положительные жизненные планы, развитие полезных знаний навыков, интересов, способствующих приобретению опыта социального взаимодействия, стимулирование участия в социально значимой деятельности.

Важным этапом на пути к духовно-нравственному воспитанию посредством школы, по нашему мнению, может стать обязательное преподавание основ православной культуры вне зависимости от атеистических убеждений учащихся, поскольку православие является основой духовной культуры нашей страны и ядром национальной идентичности. Светская этика, «освобожденная» от обязательного следования духовным традициям основных мировых религий, не может рассматриваться как основа нравственного воспитания человека.

Способствовать профилактике отклоняющегося поведения школьников и духовно-нравственному воспитанию личности, на наш взгляд, может и активное использование посильного труда ребёнка на благо общества, как то: озеленение и уборка школьной территории, проведение субботников и классные дежурства, шефская помощь пожилым людям и инвалидам т.п.

Таким образом, в рамках школьного воспитания можно успешно реализовывать раннюю профилактику отклоняющегося, в том числе, противоправного поведения несовершеннолетних, перспективность которой обусловлена предотвращением появления или устранением относительно слабых изменений личности, не успевших развиться в стойкую негативную установку, а также тем, что такая профилактика оставляет запас времени для принятия дальнейших профилактических мер, если в этом будет необходимость. Кроме того, ранняя профилактика наиболее выгодна для государства и общества в экономическом аспекте: затраты на развитие системы ранней профилактики компенсируют сэкономленные средства, которые могли быть израсходованы на усиление борьбы с преступностью, устранение экономических и нравственных последствий преступлений, на содержание исправительных учреждений, увеличения штата сотрудников подразделений по предупреждению правонарушений среди несовершеннолетних, на реабилитацию лиц, отбывших наказание и другие сопутствующие затраты.

# ასოცირების ხელშეკრულება და საქართველო

*ნინო ფიფია, დოქტორანტი*

*საკვანძო სიტყვები: ასოცირების ხელშეკრულება, ევროკავშირი, ასოცირების დღის წესრიგი, სავაჭრო ზონა, რატიფიცირება.*

**შესავალი.** ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კონკრეტულად კი ,,პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით" (PCA) დაიწყო. ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან საქართველოს ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, ევროკავშირთან სხვადასხვა სფეროში არაერთი შეთანხმება გაფორმდა, ესენია: პარტნიორობა მობილურობისათვის; ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია; სავიზო დიალოგი; შეთანხმება ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ. [5]

2010 წლის 15 ივლისს, ქ. ბათუმში ფორმალურად გაიხსნა „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" ტექსტზე მოლაპარაკებები (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტზე მოლაპარაკებები დაიწყო 2011 წლის დეკემბერში). შეთანხმების სრული სახელია „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის" (შემდგომში ასოცირების ხელშეკრულება). მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა სესიები, ჩატარდა 60–მდე ვიდეო კონფერენცია და 12 პლენარული სხდომა, რაშიც ჩართული იყო საქართველოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და უწყება. მოლაპარაკებები სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2013 წლის 29 ნოემბერს ვილნიუსის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე განხორციელდა **შეთანხმების პარაფირება.**

2014 წლის 27 ივნისში, ბრიუსელში ევროკავშირის ოფისში ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ხოლო ევროკავშირის მხრიდან – ევროკომისიის პრეზიდენტმა და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა. ხელშეკრულებაზე ხელი ასევე მოაწერეს ევროკავშირის 28 ქვეყნის მეთაურებმა. ხელშეკრულების მხარეები არიან, ერთის მხრივ, 4 მილიონიანი საქართველო და მეორეს მხრივ, 500 მილიონიანი ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები. ასოცირების ხელშეკრულება 1 135 - გვერდიანი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც შედგება პრეამბულის, 23 თავის, 8 კარის, 34 დანართისა და 4 ოქმისაგან. დანართში ჩამოთვლილია ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივი აქტი და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები, რომლებიც ორიდან ათ წლამდე მერყეობს, ეს პროცესი უამრავი რეფორმის განხორციელებას მოითხოვს. [1]

ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების სამართლებრივი საფუძველია "ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების" (TFEU) (1957 წ.) 217-ე თავის 127-ე მუხლი, (რომის ხელშეკრულების ყოფილი 310-ე და 238-ე თავები), რომელიც არეგულირებს სხვა ქვეყნებისა და ტერიტორიების ასოციაციის საკითხს. ასოცირებული წევრობის სტატუსის სანაცვლოდ ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს აკისრებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და სასამართლო რეფორმების გატარების ვალდებულებას, ამის სანაცვლოდ კი, ასოცირებულ წევრებს ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე თავისუფალი წვდომა (თავისუფალი ვაჭრობის უფლება) აქვთ, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზეც. გამარტივდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ექსპორტისა და იმპორტის პროცედურები, განვითარდება ინფრასტრუქტურა, მომსახურების სფერო, გაიზრდება საექსპორტო შესაძლებლობები. ეს ინტეგრაციის უფრო ღრმა სახეობაა ვიდრე პრეფერენციალური

შეთანხმებები. თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრები ასევე ინარჩუნებენ უფლებას თავად განსაზღვრონ ვაჭრობის რეჟიმი მესამე ქვეყნებთან. უმრავლეს შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის ზონის წესები ვრცელდება ყველა სახის საქონელზე, თუმცა ზონაში შემავალ ქვეყნებს შორის არსებობს საბაჟო საზღვრები და პოსტები, სადაც საქონლის წარმომავლობას ამოწმებენ.

საქართველო ასევე გააქტიურებს თანამშრომლობას ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებაში ასევე დახმარებას გაუწევენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა დონორები, საკუთარი დახმარების პროგრამების მეშვეობით. ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველო და ევროკავშირი განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყონ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა. შეთანხმების განხორციელება საქართველოს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოხდება. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს რეფორმების განხორციელებაში ექსპერტებით და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თანხების გამოყოფის გზით. საქართველო ასევე შეძლებს თანხების გამოყოფას ევროპის საფინანსო ორგანიზაციებიდან ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის, გზების, ხიდების, წყალმომარაგების სისტემის და ა.შ.) განსახორციელებლად. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ეხმარება საქართველოს მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

ევროკავშირი გეგმავს საქართველოს დასახმარებლად 101 მილიონი ევროს ღირებულების ახალი პროგრამები დაამტკიცოს მართლმსაჯულების სფეროში რეფორმების და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების პროგრამების დასაფინანსებლად.

ევროპული ბაზრისგან განსხვავებით, სადაც ევროპული სტანდარტების მიღება სავალდებულოა, ეკონომიკისა და სექტორული თანამშრომლობის სხვა სფეროებში, ევროკავშირს აქვს „არჩევის პრინციპი" ("pick-and-chose approach"), რაც იმას გულისხმობს, რომ თითოეულ პარტნიორ ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს ევროკავშირისგან მისაღები ნორმების რაოდენობა. არჩევის პრინციპი არ ეხება თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სადაც სტანდარტები ყველა პარტნიორისთვის ერთნაირია. [4]

ჩვეულებრივ, თანამშრომლობა ევროკავშირის წევრებს შორის გაცილებით ღრმაა, ვიდრე ევროკავშირსა და ასოცირებულ წევრ ქვეყნებს შორის. ის არ აძლევს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანების გარანტიას, თუმცა ევროკავშირთან ურთიერთობაში გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს და ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების ხელშეკრულება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის, თუმცა, არ გამორიცხავს ურთიერთობის სამომავლო განვითარებას ევროკავშირის ხელშეკრულების შესაბამისად. [3]

ბრიუსელში 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეს, 26 ივნისს მიღებულ იქნა ევროკავშირსა და საქართველოს ასოცირების შესახებ დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას წარმოადგენს და რომელიც მიღებულ იქნა ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების მომზადების თვალსაზრისით. "ასოცირების დღის წესრიგმა" ჩაანაცვლა 2006 წლის ევროკავშირ–საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმა. ის ქმნის განახლებულ ჩარჩოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის, რაც მოიცავს პოლიტიკურ ელემენტებს, მათ

შორის პოლიტიკურ დიალოგს, რეფორმებს (რათა გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები), კანონის უზენაესობას, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, ადამიანის უფლებების პატივისცემას, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და თანამშრომლობას მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების მიმართულებით, ეკონომიკურ და სავაჭრო ელემენტებს, მათ შორის DCFTA- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ თავს (საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციის პოლიტიკა და სხვ.) (აღნიშნულის წინმსწრებად ამოქმედება შემოდგომისთვის არის ნავარაუდები) და თანამშრომლობას მთელ რიგ სფეროებში. ეს სფეროებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, დასაქმება, გარემოს დაცვა და სოციალური პოლიტიკა. [2]

2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა 123 ხმით მოახდინა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება. დოკუმენტმა ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. ხელშეკრულების ძალაში სრულად შესასვლელად საჭიროა შეთანხმების რატიფიცირება ევროპარლამენტის და ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ. მის ძალაში სრულად შესვლამდე გათვალისწინებულია დროებითი გამოყენების წესი. ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წლისთვის არის ნავარაუდევი. შეთანხმებაზე ხელმოწერით შეიქმნება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალი სამართლებრივი ჩარჩო, **რომელმაც უნდა განამტკიცოს დემოკრატია.**

### ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის;
2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი;
3. Speech: EU-Georgia: About myths and true benefits of Association Agreement European Commission - SPEECH/14/180 04/03/2014;
4. http://eeas.europa.eu ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. ოფიციალური ვებ გვერდი;
5. Wikipedia.

***Nino Pipia***
***Georgian Technical University***

## Association Agreement (AA) and Georgia

**SUMMARY**

***Keywords:*** *Association Agreement, EU, agenda of association, trade zone, ratification.*

"Georgia– EU AssociationAgreement" is an agreement between the EU and EU nonmember states, which creates the structures of co-operation. EU shares the competence between the EU member states in the political, social, economical and cultural fields.

On 18th of July 2014 Georgia has full field the ratification of this AA. The parties of this agreement are Georgia from one side and EU and its member countries from another side. A.A is the international document of 1 135 pages, which points Georgia to bring its legislation in accordance to the laws of EU. The terms for the fulfillment of these obligations are from 3 to 10 tears. From its side EU takes responsibility of political, technical and financial support and offers Georgia the free access to the EU market.

.

*Нино Пипия*

*Грузинский Технический Университет*

## Соглашение об Ассоциации и Грузия

**РЕЗЮМЕ**

***Ключевые Слова:*** *Соглашение об ассоциации, Евросоюз, распорядок дня ассоциации, торговая зона, ратификация.*

Соглашение об ассоциации – это соглашение между Евросоюзом и государствами, которые не являются членами Европейского Союза и определяет структуру сотрудничества между ними. Евросоюз с помощью соглашения распределяет компетенции между странами в сферах политики, социальной, экономики, культуры и безопасности.

Грузия ратифицировала вышеупомянутое соглашение 18 июля 2014 года. Сторонами соглашения об ассоциации является, с одной стороны Грузия, а с другой стороны Евросоюза и ее страны представители. Соглашение – это один из важнейших в истории Грузии международных документов, изложенных на 1 135 страницах, который обязывает Грузию привезти законодательство в соответствие со стандартами Евросоюза. Срок изменений подразумевает период от 3 до 10 лет. Со своей стороны Евросоюз берет на себя обязательство оказать Грузии политическую, техническую и финансовую поддержку и обеспечить свободный доступ на 500 миллионный рынок Евросоюза.

# ნანოტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ენერგეტიკაში და ტელეკომუნიკაციაში

*ელისაბედ ხახუტაშვილი*
*ასოცირებული პროფესორი*

ნანოტექნოლოგია არის თანამედროვე ტექნიკის ახალი რევოლუციური მეცნიერების დარგი, მეცნიერებისა და ტექნიკის დისციპლინათშორისი სფერო, რომელიც საგნების ატომურ და მოლეკულურ დონეზე მანიპულირების მეთოდებსა და ხერხებს შეისწავლის. ნანოტექნოლოგია იკვლევს სტრუქტურებს, რომელთა ზომა 100 ნანომეტრს არ აღემატება.

ნანოტექნოლოგია მრავალფეროვანია, რომელიც მოიცავს როგორც არსებული მოწყობილობების ახლებურად აწყობის საშუალებებს, ისევე სრულიად ახალი მასალების შექმნას ნანოსკალის დონეზე.

ნანოტექნოლოგიების და ნანომასალების ფუნქციაა სიახლეების გატარება, რითაც სტიმულაციას უკეთებენ წარმოებას. ხდება იმ ობიექტებით ოპერირება, რომელთა სიდიდის რიგი ნანომეტრების ფარგლებშია. ეს იმდენად მცირე სიდიდეებია, რომ შეესაბამება ატომების ზომებს და ბევრად ნაკლებია, ვიდრე სინათლის ტალღების სიგრძე. ამიტომ „მიკროდან „ნანოზე" გადასვლა არის არა რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი, რის შედეგადაც კეთდება ნახტომი ნივთიერებით მანიპულირებიდან ცალკეულ ატომებით მანიპულირებაზე.

დღეისათვის ეს ყველაზე პერსპექტიული ტექნიკის დარგი აერთიანებს ორი ცნობილი მეცნიერის **რიჩარდ ფეინმანის და ჯონ ფონ ნეიმანის** იდეებს.

რიჩარდ ფეინმანმა, 1959 წელს გააჟღერა სრულიად უცნობი ნანოტექნოლოგიური მეცნიერების კონცეფცია. რომ კაცობრიობა მალე დაიწყებს **ცალკეული ატომებით, მოლეკულებით ან ცოცხალი უჯრედებით მანიპულირებას.** ამ პროცესების განსახორციელებლად საჭიროა ბუნებრივი ცვლადი სიდიდეების, **გრავიტაციის** და ვანდერ-ვაალსის მიზიდულობის ძალების გამოყენება, ყველაფრის სინთეზირება [1].

ცალკეული ატომებით მანიპულირება შესაძლებელი გახდა შვეიცარული მეცნიერების **გ. ბინინგის და გ. როოერნის** მიერ შექმნილ ელექტრონულ-გვირაბისებრ ატომურ-ძალურ მიკროსკოპზე, რომელიც მუშაობს ატომებს შორის ურთიერთქმედების ძალების გამოყენებით. მოგვიანებით შეიქმნა ნანო-ელემენტები, სადაც ფუნქციონირებს ატომები და მოლეკულები, რის შედეგადაც შეიქმნა პრინციპულად ახალი მოწყობილობები. ეს არის ნანოსტრუქტურები დამამახსოვრებელი მოწყობილობებისათვის, როგორიც არის ერთელექტრონიანი ტრანზისტორები, მაგნიტურ-რეზისტული აფსკები, კვანტური წერტილები, ნანოკლასტერები და ნანომილაკები. ნახშირბადის ნანომილაკები კომპიუტერის გაბარიტების შემცირების საშუალებას იძლევა მოლეკულურ დონეზე.

როგორც იაპონელი მეცნიერი ნორიო ტანიგუჩიმ აღნიშნა, ნანოტექნოლოგია ძირითადად მოიცავს სხვადასხვა ნივთიერების სეპარაციის, კონსოლიდაციის და დეფორმაციის პროცესებს ერთეული ატომების ან მოლეკულების დონეზე".

ნანოტექნოლოგია უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგია და მისი მთავარი თემაა მოლეკულურ დონეზე მართვა. მასში ყველაზე მნიშვნელოვანია მცირე ზომების მასალათა განსხვავებული თვისებები, შექმნილი ნანონაწილებით.

აღსანიშნავია ნანოტექნოლოგიების გამოყენება საინფორმაციო-საინჟინრო ხელოვნებაში. ახალი ფუნქციური და კონსტრუქციული მასალების და კომპონენტების შექმნა პერსპექტიული მასალების და კომპონენტების შექმნა პერსპექტიულია ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციაში მათი ნანოსტრუქტურების მართვის გზით – ისინი უზრუნ-ველყოფენ ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გამოყენების ფართო არეალს. წარმოადგენენ სიახლეების გამტარებს ტექნოლოგიებში, მოწყო-

ბილობებში და სისტემებში. მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციაში, მშენებლობაში.

ახალი მასალების შექმნის დროს ხდება „ინტელექტუალური პროდუქციის“ და „ინტელექტუალური გამოყენების“ დაკავშირება იმ მიზნით, რომ დაიძლიოს თანამედროვე მრეწველობის სუსტი ადგილები.

ნანოტექნოლოგიის საშუალებით ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციაში ტრადიციული მეთოდები შეიცვლება მოლეკულური რობოტების საშუალებით, ატომებიდან და მოლეკულებიდან შეიქმნება პერსონალური სინთეზატორები და მაკოპირებელი მოწყობილობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დავამზადოთ ნებისმიერი საგანი.

მოლეკულურ რობოტებს შეუძლიათ განახორციელონ სხვადასხვა პროცესები მოკლე და ეფექტური გზით.

**ენერგეტიკაში** ენერგია შეიძლება მიღებული იქნას პირდაპირ ჰაერიდან და წყლიდან ყოველგვარი ჰიდროელექტრო ჰესების მშენებლობის გარეშე, ვინაიდან მათში არის ამისთვის საჭირო ყველა ატომი. თავიდან აცილებული იქნება შესაძლო ეკოლოგიური საფრთხეები, ანალოგიური შედეგები იქნება **ტელეკომუნიკაციაში**. სინთეზატორის საშუალებით წყლიდან და ჰაერიდან შეიძლება მიღებული იქნას კომპიუტერი, **ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია**. ადამიანი ეუფლება მატერიის აგებულებას. შეიძლება მიღებულ იქნას „ჩიპლაბორატორიები“, ინტერფეისები, მიკროამოფრქვევის ტექნიკა, ნანოსისტემები და ნანოტექნიკის ინტეგრაციის სხვა არეები“. [1].

ნანოტექნოლოგია, როგორც მულტიდისციპლინური გამოყენებითი სფეროს მეცნიერება ყოვლისმომცველია.

კომპიუტერების სწრაფმოქმედება ტერაჰერცებს მიაღწევს, ინფორმაციის ჩაწერის სიმკვრივე კი – ათასობით ტერაბიტს, კვადრატულ სანტიმეტრს; შეიქმნება ზემტკიცე მასალები ნანომილაკებისა და ნანოსტრუქტურული კომპოზიტების საფუძველზე.

ნანოტექნოლოგიების საშუალებით მოხდება ბირთვული ენერგეტიკის ნარჩენების დამუშავება. ახალი კატალიზატორების და ნანოფოროვანი ფილტრების საშუალებით მოხდება წვრილდისპერსული დაბინძურებული აგენტების მოშორება.

აღსანიშნავია, რომ ნანოტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა **ენერგეტიკაში**, რომელიც ხელს შეუწყობს წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლას; სითბური ელემენტების შექმნას; ნავთობისა და ბუნებრივი აირების მინიმუმამდე გამოყენებას.

ნანოტექნოლოგიებით მოხდება მზის ენერგიის 40%-ით გამოყენება. ნანოტექნოლოგიებით მიღებული ნანოპროდუქტებია: აეროგელი მზის ენერგიის კოლექტორების ზემოდან დასაფარავად; მზის ბატარეები ორგანული საღებავებით; ფოტოვოლტანური ელემენტები კვანტური წერტილებით, შეერთებული ერთმანეთთან ნახშირბადოვანი ნანომილაკებით; ასევე მოქნილი მზის ბატარეები ნანოკომპოზიციური მასალების საფუძველზე, რომლებიც შედგება არაორგანული ნანოღეროებით ჩანერგილი ფირზე ორგანულ ნახევარგამტარებში. ნანოპროდუქტების კატალიზატორები, რომლებიც შედგებიან ლითონის ნაწილაკებისაგან 1-5 ნმ წყალბადის მატრიცაში; თერმოელექტრო მასალები, ორგანიზებული სუპერგისოსები, კონვერტირებული სითბო; ნანოკრისტალური მასალები და ნანომილები, რომლებიც არსებითად ზრდიან ენერგიის სიმკვრივეს; ნანომილებს ცვლიან აგრეთ-ვე ჩვეულებრივი გრაფიტის და ჩამოსხმულიგრაფიტის ელექტროდები; ნანოფოროვანი აეროგელი გამოიყენება ელექტროქრომიანი ზედაპირის დასაფარავად, თბოდანაკარგების შესამცირებლად [1].

უფრო ეფექტური განათებისთვის გამოიყენება ნანოფოსფორი, ხოლო შიდა წვის ძრავისთვის საჭიროა ნანოფოროვანი კატალიზატორები, რომლებიც აუმჯობესებენ კონვერსიას.

ნანოტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი სფერო და მათი კომერციული პერსპექტივები 2015 წლისთვის ეს არის ნანოკატალიზატორები გამათბობელი ელემენტებისათვის, აკუმულატორები ნახშირბადოვანი ნანომილებისათვის; წყალბადის ბაკები ნახშირბადოვანი ნანომილაკებით. მოსალოდნელი ეფექტური შედეგები ნანოტექნოლოგიებით შეადგენს: ენერგის გარდაქმნას 49%-ით, ენერგიის

დაგროვება 32%-ით იზრდება ასევე მოთხოვნა ნანომასალებზე მსოფლიო ბაზარზე 29%-ით.

მსოფლიოს პლანეტის რესურსების გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია ალტერნატიული მასალების გამოყენებით. მაგალითად, აღდგენილი წყაროების გამოყენება (მზის ბატარეები, თერმოელექტრული ხელსაწყოები, სათბობის ელემენტები); ასევე ენერგიის შენახვა ხელახალი დამუხტული ბატარეებით, სუპერკონდენსატორებით, წყალბადის ბაკებით; მასალების გამოყენების შემცირებით უფრო მსუბუქი და მტკიცე კონსტრუქციული მასალებით მათი აქტიურობის გაზრდით. ალტერნატიული მასალების გამოყენება (უფრო გავრცელებული) იშვიათი მიწიერი ელემენტების შეცვლა ნანოსტრუქტურირებული ლითონის ოქსიდებით კატალიზის დროს [2].

ყველაზე განვითარებული ნანოპროდუქტები ენერგეტიკაში არის: 1) ენერგიის შენახვა; 2) ენერგიის გარდაქმნა; 3) გაუმჯობესება ენერგიის წარმოებაში; 4) ენერგომომარაგება.

ნანოტექნოლოგიის საშუალებით შეიძლება რიგი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ენერგიის წყაროების გამოყენებით, რითაც არსებით განძს შეიტანს წარმოებასა და დაგროვებაში.

განსაკუთრებით იზრდება მსოფლიო ბაზარზე უფრო ეკოლოგიური ნანოსტრუქტურირებული და „ჭკვიანი“ მასალების გამოყენება.

პროგნოზების თანახმად, 2015 წლისათვის ნანოტექნოლოგიის საფუძველზე მასალები და პროცესები შეფასებული იქნება 4.92 მლ დოლარი აშშ, ხოლო ენერგეტიკის სფეროში ნანოტექნოლოგია შეადგენს 36,3%. [3].

ყველაზე დიდი წილი ამ პროცენტიდან მოდის ენერგიის დაგროვებაზე და მზის გამოსხივების ენერგიად გარდაქმნაზე.

ნანოტექნოლოგიის საშუალებით შეიძლება ნიკელის შეცვლა არამგრძნობიარე მასალით. ამ ტექნოლოგიის უნიკალური თვისებაა ბატარეების და აკუმულატორების მუშაობის გაუმჯობესება. მაგალითად, ნახშირბადოვანი ნანომილებით შეიძლება დიდი რაოდენობა ენერგიის მარაგის შესაძლებლობას ტრადიციული გრაფიტული ელექტროდებთან შედარებით, ელექტროდები მონოფენოვანი ნახშირბადოვანი ნანომილაკები ზრდიან როგორც აკუმულატორების, ასევე სათბობი ელემენტების წარმადობას.

ერთ-ერთი ხერხი აკუმულატორების წარმოების გაზრდისა ხდება ნანოტექნოლოგიით – მასალების ფიზიკური თვისებების გამოყენება, რომელიც მჟღავნდება ნანოსტრუქტურირებისას. კომპანია Toshiba-მ გამოიყენა ნანონაწილები თხევადი ორგანული ელექტროლიტის რედუქციის შემცირებით ჩამოსხმული – იონური ბატარეების ხელახალი გატენვით.

მნიშვნელოვანია ნანოტექნოლოგიები ზეჩქარულ **ტელეკომუნიკაციაში.** შექმნა ფოტონური კრისტალები და ნანოსტრუქტურები: შემუშავდა ელექტროქიმიური მეთოდიკა ორგანზომილებიანი ნანოსტრუქტურები ალუმინის ოქსიდირებით, შემუშავებულია ორიგინალური მეთოდიკა ერთ- და ორგანზომილებიანი სეგმენტელექტრული და ნახევარგამტარების ფოტონური კრისტალების მეთოდებით ფოკუსირებული იონური ზონდის შექმნისა;

ენერგეტიკასა და ტელეკომუნიკაციაში ნანოტექნოლოგიით გამოწვეული რეალური რევოლუციური ცვლილებები უფრო აქტიურად დაიწყება მსოფლიოში 2025 წლიდან.

## ლიტერატურა:

1. დადუნაშვილი, ს. ნანოტექნოლოგიების შესავალი. თბ., 2002.
2. www.geworid.net. ყველაფერი ნანოტექნოლოგიების შესახებ. გაზეთი საქართველო და მსოფლიო, 2014 წელი, №30(271) 8-14 ოქტომბერი.
3. Нанотехнологии для сверхскоросной телекоммуникации. М., 2013.

*Е. Хахуташвили, асоц. профессор*

**ерспективы использования нанотехнологий в энергетике и телекоммуникаций**

**РЕЗЮМЕ**

Нанотехнология является новой революционной отраслью междисциплинарной современной науки и техники, которая изучает методы и средства манипуляции на атомной и молекулярном уровне.

Нанотехнология исследует структуры, размер которых не превышает 100 нанометра.

В настоящее время эта самая перспективная отрасль техники объединяет идеи двух самых известных ученых Ричарда Феинмана и Джона Фон Неимана.

Следует отметить использование нанотехнологии в энергетике и телекоммуникации, где традиционные методы подменяются молекулярными работами, из атомов и молекул создаются персональные синтезаторы и копирующие устройства, которые позволяют изготовить любой предмет.

В энергетике энергия может быть получена прямо непосредственно из воздуха и воды без строительства каких-либо гидроэлектро-гэсов.

Посредством нанотехнологий происходит разработка остатков ядерной энергетики. Нанотехнология также будет способствовать переходу на водородную энергетику, созданию тепловых элементов, доведению до минимума использования нефтяных и естественных газов, созданию нанопродуктов.

Использование нанотехнологий важно в сверхскоростной телекоммуникации. Созданы фотонные кристаллы и наноструктуры; разработана электрохимическая методика двухмерных наноструктур с алюминиевым оксидированием.

Реальные и революционные изменения, вызванные нанотехнологиями в мире активно начнутся с 2025 года.

*Elisabed Khakhutashvili, Associated Professor*

**Nanotechnologies usage Perspectives in Energetic and Telecommunications**

**SUMMARY**

Nanotechnology is interdisciplinary field of technique and new revolutionary science of modern technology, which studies the manipulation methods and technologies on the atomic and molecular level. Nanotechnology examines structures, which size doesn't exceeds 100 nanometer.

Nowadays this most perspective technique sphere unites two famous scientists Richard Feynman's and Jon von Neumann's ideas.

Must be outlined Nanotechnologies use in Energetic and Telecommunication, where the traditional methods will be changed through molecular robots, from atoms and molecules will be created personal synthesizers and copying equipments, which gives opportunity to create any object.

In the energetic, the energy can be generated directly from air and water without building any Hydroelectric Power Stations.

Through the Nanotechnology will be carried out the utilization of Nuclear Energy waste. Also, Nanotechnology promotes the transition on Hydrogen Energy, and generation of heating elements; Minimize the use of oil and natural gas, and Nan products creation.

Nanotechnologies usage in highly rapid technologies is very important. Was created photonic crystals and Nanostructures; Has been elaborated electrochemical methodic two-dimensional nanostructures with aluminum oxides, focused ion probe with photonic crystals methods using one and two-dimensional segment-electrical and Semiconductors.

In the Word, the actual revolutionary changes in Energetic and Telecommunication will start more actually from 2025 year.

# ონლაინ მარკეტინგის თავისებურებანი

*მალხაზ ნიკოლაშვილი,*
*სტუ-ს დოქტორანტი*

ინტერნეტ ბაზარზე წარმატების მიღწევა თანამედროვე კომპანიებისათვის ნიშნავს ნებისმიერი იმ საშუალების გამოყენებას, რომელიც მიმართულია კიბერ-სივრცეში ბიზნესის განსავითარებლად და წასახალისებლად. მარკეტინგული წარმატების მეთოდები რადიკალურად შეიცვალა და განვითარდა ბოლო წლების განმავლობაში და ეს შეიძლება ძალიან დამაბნეველიც იყოს ბიზნესისთვის.

განსაკუთრებით სოციალური მედია წარმოადგენს იმ სფეროს, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ბიზნესის წარდგენისა და წახალისების გზები კიბერ-სივრცეში. დღევანდელი მომხმარებელი ბევრად ჭკვიანია და ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ იმ შეტყობინებებით, რომლებიც მათ მიეწოდებათ ცალმხრივად - მათთვის უფრო მიმზიდველი და სანდოა სოციალური ქსელებით გადაცემული და გაზიარებული ინფორმაცია. ამ გზით ისინი ეძებენ, თუ რა პროდუქტი შეიძინონ ან რა მომსახურება თუ სერვისი გამოიყენონ სანდო რეკომენდაციების საფუძველზე მათი მეგობრებისა და ოჯახის წევრებისაგან. კვლევების თანახმად, თუ მომხმარებელი წაიკითხავს მისი მეგობრის რეკომენდაციას ინტერნეტით ნდობის ხარისხი 78%-მდეა, მაგრამ უფრო საინტერესო ის არის, რომ თუკი თქვენ კითხულობთ რეკომენდაციას ადამიანისგან რომელსაც საერთოდ არ იცნობთ, თქვენ მაინც ენდობით 60%-იანი ალბათობით.

დღეისათვის მარკეტინგული საქმიანობის განხორციელების ორ ფორმას გამოყოფენ

- მარკეტინგი გამავალი ინფორმაციით, ანუ პროაქტიული მარკეტინგი
- მარკეტინგი შემომავალი ინფორმაციით, ანუ რეაქტიული მარკეტინგი

გამავალი მარკეტინგი, როგორც წესი, ყოველთვის იყო ბიზნესის მარკეტინგის და რეკლამირების ტრადიციული მეთოდი - როგორც ყურადღების მიქცევის მარკეტინგი. ამ შემთხვევაში თქვენ გადასცემთ თქვენს მიმართვას რეკლამებით და სხვა საშუალებებით, რათა მიიქციოთ მომხმარებლის ყურადღება. როდესაც მომხმარებელს ყოველდღიურად მისდის 3000- ზე მეტი მესიჯი, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ხდება ამ სახით რაიმეს მარკეტინგი და წახალისება სულ უფრო და უფრო ძნელი. გარკვეულად ზოგიერთ შემთხვევაში ეს მეთოდი ჯერ კიდევ მუშაობს ინტერნეტითაც (მაგალითად ძალიან ეფექტური შეიძლება იყოს Google-ის სტატიკური რეკლამა, ან ბანერები); თუმცა დღეისათვის უკვე არსებობს უფრო ეფექტური გზებიც.

შემომავალი მარკეტინგი არის მარკეტინგის სახეობა, სადაც თქვენ აწოდებთ მომხმარებელს რაღაც მისთვის ღირებულ ინფორმაციას/მესიჯს, რათა მოიზიდოთ ისინი თქვენკენ. როდესაც თქვენ იზიდავთ მომხმარებელ, თქვენ ცდილობთ დაამყაროთ და ააგოთ ურთიერთობა. მას შემდეგ რაც ააწყობთ ურთიერთობას, მოიპოვებთ ნდობას რაც გაძლევთ საშუალებას გაყიდოთ პროდუქტები ან სხვა მომსახურების სერვისები მასზე. ამ სახის მარკეტინგი, მიუხედავად იმისა რომ ძნელი განსახორციელებელია, დღეისათვის სულ უფრო და უფრო ეფექტური და პოპულარული ხდება.

ნებართვაზე დაფუძნებულ მიდგომას, როგორიცაა შემომავალი მარკეტინგი, ბევრად უკეთესი შედეგების მოტანა შეუძლია რადგან:

1. როდესაც თქვენ ამყარებთ სანდო ურთიერთობას ნებისმიერ მომხმარებელთან ინტერნეტში ან მის გარეთ, ეს მნიშვნელოვნად ზრდის თქვენს გაყიდვებს. მაგალითად როდესაც თქვენ მიდიხართ შეხვედრაზე გაყიდვების მიზნით და ვერ ამყარებთ სანდო ურთიერთგაგებას მომხმარებელთან (როცა ბოლომდე არ გენდობათ მომხმარებელი), ძნელია გაყიდო რაიმე პროდუქტი. იგივე ხდება ინტერნეტშიც.

2. ეს ზოგადად უფრო მომგებიანია. ეს მიდგომა მოითხოვს უფრო მეტ დროს, მაგრამ საბოლოო ჯამში გრძელვადიანი პერსპექტივით ნაკლებად ხარჯიანია.

3. შედეგების კონტროლი და გაზომვა შედარებით ადვილია, ასე რომ თქვენ შეგიძლიათ იმოქმედოთ მოქნილად და მორგებულად უკეთესი შედეგის მისაღებად და გასაუმჯობესებლად.

განვიხილოთ ინტერნეტში ბიზნესის მარკე-

ტინგის განხორციელების სხვადასხვა საშუალებები. აგრეთვე მიდგომები და სფეროები რომელიც ეხმარება თანამედროვე ბიზნესს წარმატების მიღწევაში.

ვიდრე ბიზნესი გადაწყვეტს თუ რომელი მეთოდები გამოიყენოს ინტერნეტ მარკეტინგისათვის, საჭიროა დრო დაუთმოს შემდეგს:

- კვლევა - პირველ რიგში კვლევა იმისთვისაა საჭირო, რომ გაიგოთ, თუ სხვები რას აკეთებენ, რა მუშაობს ან არ მუშაობს. აუცილებელი არ არის სხვა კომპანიის ბოლომდე მიბაძვა, მარგამ შეიძლება გარკვეულად იხელმძღვანელოთ სხვისი გამოცდილებით, როდესაც ჩამოაყალიბებთ თქვენს სამოქმედო გეგმას.
- სტრატეგია - თქვენ უნდა განსაზღვროთ მკაფიო და ეფექტური სტრატეგია. ძალიან ადვილია გაფლანგოთ დრო და ფული ინტერნეტ მარკეტინგში, ნათელი სტრატეგია დაგეხმარებათ ამის არიდებაში. საჭიროა განსაზღვროთ როგორ აპირებთ პოტენციური მომხმარებლის მოზიდვას, როგორ აპირებთ მათთან ურთიერთობას, როგორ აპირებთ მათთან კავშირის შენარჩუნებას და როგორ აპირებთ დაარწმუნოთ მომხმარებელი.
- ბრენდინგი - ბრენდინგი კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ინტერნეტ სამყაროში. რა შეტყობინებას აგზავნით ინტერნეტში? ხელმისაწვდომი კომპანია ხართ? არის თქვენი ინფორმაცია მკაფიო და დამაჯერებელი? რა არის უნიკალური თქვენს შემოთავაზებაში? ბრენდინგის თანამიმდევრულობა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ატყობინებთ, რას ატყობინებთ და როგორ გამოიყურება ეს ყველაფერი. მაგალითად, ყოველთვის უზრუნველყავით იმ მეთოდების ვიზუალი და შინაარსი, რასაც იყენებთ ინტერნეტში მომხმარებლისათვის შეტყობინების მისატანად, მაქსიმალურად შეესაბამებოდეს თქვენი ვებსაიტის დიზაინსა და შინაარსს.
- შიგთავსი - თქვენ უნდა ეცადოთ გქონდეთ მაქსიმალურად ნათელი და გასაგები შიგთავსი. რა შინაარსის გამოყენებას აპირებთ, რაც გაზრდის სარგებელს, რაც საინტერესო იქნება პოტენციური მომხმარებლისთვის.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინტერნეტ მარკეტინგის სახეობების ჩამონათვალი რომლებიც ეხმიანებიან ზემოთ მოყვანილ პრინციპებს:

| სახეობა | განმარტება |
|---|---|
| საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO) | ეს არის პროცესი, რომელიც გამოყენება თქვენი ვებსაიტის ოპტიმიზაციისთვის, ისე რომ ის უფრო ხშირად და ეფექტურად გამოჩნდეს Google-ის ან სხვა მსგავსი სისტემის ძიებაში. |
| სოციალური მედია | სოციალური მედიის მარკეტინგს, შეუძლია მარკეტინგი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის საშუალებით თქვენ პოტენციურ მომხმარებელთან ისეთი სისტემების გამოყენებით როგორებიცაა Facebook, Twitter, LinkedIn -და ასე შემდეგ. |
| ელექტრონული ფოსტის მარკეტინგი | ელფოსტის მარკეტინგს, შეუძლია მარკეტინგის განხორციელება თქვენით ელექტრონული წერილების გაგზავნით არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთან. ეს შეიძლება იყოს ხელმოწერების საშუალებით ელექტრონულ წერილზე (მაგალითად როდესაც უთითებთ თქვენი Facebook-ის მისამართს და ა.შ.), საინფორმაციო ბიულეტინებით, გზავნილების გამოწერებით და სხვა. |
| ონლაინ რეკლამა | არსებობს ბევრი სახეობა ონლაინ რეკლამირებისა. თუმცა, რეკლამირება გაზეთის მსგავსი საშუალებებებით არც ისე ეფექტურია. მიზნობრივი რეკლამირება ონლაინ შეიძლება იყოს გაცილებით უფრო ეფექტური. მაგალითად, თუ თქვენ ეძებთ ქენონის კამერას საყიდლად და რეკლამა საკმაოდ შესაბამისი და რელევანტურია, შენ აღმოაჩენ, რომ ასეთი რეკლამა არც თუ ისე ცუდია და უარყოფით ემოციას არ ტოვებს რადგან რეკლამა არის უშუალოდ დაკავშირებული იმ ინფორმაციასა და თემასთან, რასაც ეძებთ. |
| პარტნიორული მარკეტინგი (Affiliate marketing) | პარტნიორული მარკეტინგთან გვაქვს საქმე როდესაც თქვენს კომპანიას ხელს უწყობენ და ეხმარებიან მესამე მხარის კომპანიები გარკვეული საკომისიოს ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით. |
| ვებ-გვერდი | შენი ვებ-გვერდი არის შენი მთავარი მარკეტინგული საშუალება, რითაც წარმოაჩენთ თქვენს ბიზნესს ინტერნეტში. |
| ონლაინ პიარი | პიარი შეიძლება იყოს ძალიან ეფექტური საშუალება ბიზნესის ონლაინ დასარეკლამებლად და წარმოსაჩენად ინტერნეტში ძალიან დიდი და ფართო ასპარეზია ამის მისაღწევად. |

ცხრილი 1. ინტერნეტ მარკეტინგის სახეობები

ძნელია ტექნოლოგიების განვითარების მომავლის პროგნოზირება რადგან განვითარების ტემპი ძალიან დიდია, მაგრამ ერთი კი ნათელია, რომ იზრდება მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა, მობილური მოწყობილობების გამოყენება და სოციალური ქსელებით სარგებლობა. ასე რომ, ეს ნიშნავს უფრო მეტი ადამიანი ხარჯავს დროს ინტერნეტში და ყველას აქვს საშუალება ინტერნეტის გამოყენებისა.

დღეისათვის ბიზნესები, რომლებიც არ იყენებენ ინტერნეტს, როგორც მარკეტინგულ არხს, ადრე თუ გვიან ჩამორჩებიან კონკურენტებს და ეს ყოველივე უარყოფითად იმოქმედებს ბიზნესის მომავალზე.

### ლიტერატურა:


1. Online Marketing - New models of advertising? http://projekter.aau.dk/projekter/files/16056831/081103_Speciale.pdf
2. The Small Business Online Marketing Guide. http://static.googleusercontent.com/media/www.google.com/ka//ads/pdfs/small_business_online_marketing_guide.pdf
3. თურქია ეკატერინე, ძმანაშვილი იოსებ. ინტერნეტ-ბიზნესი (პირველი ნაწილი). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008
4. Wikipedia, Online advertising, http://en.wikipedia.org/wiki/Online_advertising
5. Wikipedia, Web banner, http://en.wikipedia.org/wiki/Web_banner
6. Wikipedia, Mobile advertising. http://en.wikipedia.org/wiki/Mobile_advertising
7. Forbes, Jayson DeMers. The Top 7 Online Marketing Trends That Will Dominate 2014. http://www.forbes.com/sites/jaysondemers/2013/09/17/the-top-7-online-marketing-trends-that-will-dominate-2014/
8. GetSmarter, Internet Marketing Textbook, Alex Trengove Jones; Anna Malczyk, Justin Beneke. https://vula.uct.ac.za/access/content/group/95dfae58-9991-4317-8a1d-e2d58f80b3a3/Published%20OER%20UCT%20Resources/Internet%20Marketing%20textbook.pdf


*Malkhaz Nikolashvili, GTU*

## Online Marketing Peculiarities


### SUMMARY

***Keywords:*** *Electronic Commerce, Marketing, Internet*

In line with the development of the Internet and network communication technologies the marketing success methods has evolved and changed in recent years. Especially social media has dramatically changed the way businesses are presented and promoted to the public in the cyberspace. Today's customer are smart and the one way information is not any more enough for them. In the article there are discussion about the outbound and inbound marketing and communication. Specifically the differences of the inbound marketing are discussed. Finally the different methods of online marketing are briefly presented and described.


*Малхаз Николашвили, Докторант ГТУ*

## Особенности Интернет-маркетинга


### РЕЗЮМЕ

***Ключевые слова:*** *электронная коммерция, маркетинг, интернет*

В соответствии с развитием Интернета и сетевых коммуникационных технологий методы достижения успеха маркетинга менялись в последние годы. Особенно социальные медиа коренным образом изменило представление предприятии и способствовало общественности в киберпространстве. Сегодняшний клиент умны и один способ информация больше для них не достаточно. В статье есть дискуссия о входящей и исходящей маркетинга и коммуникаций. В частности, обсуждаются различия входящего маркетинга. Вконце, различные методы интернет-маркетинга кратко представлены и описаны.

# ელექტრონული კომერციის მომავალი: სოციალური კომერცია

*მალხაზ ნიკოლაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

ელექტრონული კომერციის განვითარებასთან ერთად იცვლება როგორც ბიზნესის კეთების მოდელები ისევე ეკონომიკური სისტემის მოდელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 2013 წელს გლობალური B2C ტიპის ელექტრონული კომერციის ბრუნვა მსოფლიო მასშტაბით 1.2 ტრილიონ დოლარს აღემატება და უკვე 1 მილიარდზე მეტი ადამიანი ვაჭრობს ონლაინ [1]. პროგნოზის მიხედვით ელ-ვაჭრობის ბრუნვა 2017 წელს 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. დღეისათვის დიდი ბრიტანეთი ლიდერია ელექტრონული კომერციის სფეროში ერთ სულ მოსახლეზე ონლაინ დახარჯული თანხის მიხედვით. პროგნოზის მიხედვით მომდევნო 5 წლის მანძილზე დიდი ბრიტანეთის ინტერნეტ ეკონომიკა წლიურად 10%-ით გაიზრდება და 2015 წელს საერთო ეროვნული პროდუქტის 13% მიაღწევს. ანალოგიური მაჩვენებელი 2009 წელს 9% იყო. აღნიშნული ცვლილებები რეკლამის ინდუსტრიაში გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს. [2]

განვითარებად ბაზრებზეც მზარდი ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად ჩინეთში ელექტრონული კომერციის გამოყენება დიდი ტემპებით იზრდება. ქვეყანაში 450 მილიონზე მეტი ინტერნეტ მომხმარებელია და აქედან მესამედი ანუ 150 მილიონი ინტერნეტ მყიდველია. 2009 წელს ონლაინ გაყიდვებმა $32 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბეს. ყოველწლიურად გაყიდვები ბოლო 5 წლის მანძილზე საშუალოდ წლიურად 90%-ით იზრდება. გათვლების მიხედვით 2014 წლისათვის კი ონლაინ გაყიდვების მოცულობა $175 მილიარდს მიაღწევს. 2009 წლის ჩინეთის ელექტრონული კომერციის ბაზრის 85% C2C (Consumer to Consumer - მომხმარებლებს შორის ვაჭრობა) ტიპის ონლაინ ვაჭრობაზე მოდიოდა, თუმცა B2C (Business to Consumer - ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ვაჭრობა) სეგმენტი ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია და მისი წილი 2015 წლისათვის სავარაუდოდ 40%-მდე გაიზრდება. მზარდი გამოცდილების შემდგომ სულ უფრო და უფრო მეტი C2C ტიპის გამყიდველი B2C ტიპის საიტებს ხსნის. კვლევების მიხედვით დღეისათვის ყველაზე დიდი გამოწვევა ჩინეთის ელექტრონული კომერციის ბაზრის განვითარებისათვის ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებაა. [3]

ელექტრონული კომერცია წარმატებით იკიდებს ფეხს ახლო აღმოსავლეთშიც. რეგიონი 21 საუკუნის პირველ დეკადაში ხასიათდებოდა ინტერნეტის მომხმარებელთა ყველაზე სწრაფი ზრდით. დღეისათვის ამ ტერიტორიაზე 60 მილიონზე მეტი ინტერნეტ მომხმარებელია. საცალო ვაჭრობა, მოგზაურობა და თამაშები არის რეგიონის ელექტრონული კომერციის ბაზრის ყველაზე დიდი სეგმენტები. [4]

სოციალური ქსელების მზარდ პოპულარიზაციასთან ერთად იზრდება ელექტრონული კომერციული მიზნებისათვის მათი გამოყენებაც. დღეს უკვე ყველა სოლიდურ კომპანიას გააჩნია საკუთარი გვერდი ფეისბუკზე.

დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე პროდუქციის გაზიარებისა და საზიარო საყიდლების სიის სერვისებიც. მომხმარებლები სულ უფრო ხშირად ინტერესდებიან თუ რას ყიდულობენ სხვა მომხმარებლები და რომელი პროდუქცია სარგებლობს პოპულარობით, განსაკუთრებით ნაცნობ-მეგობრების წრეში. სწორედ ამის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს სოციალური ქსელების თანამედროვე ფუნქციონალობა.




დიაგრამა 1. გაზიარების ციკლი სოციალური კომერციაში

სოციალური კომერცია ელექტრონული კომერციის ფორმაა, რომლის დროსაც ხდება სოციალური მედიის გამოყენება. სოციალური მედია გახლავთ ინტერნეტ მედიის საშუალებები რომლებიც მხარს უჭერენ სოციალურ ურთიერთქმედებას, კავშირსა და მომხმარებლის მიერ აზრის გამოხატვას და გაზიარებას, რაც ხელს უწყობს პროდუქციისა და სერვისის ყიდვა-გაყიდვის პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვას. სხვანაირად რომ ვთქვათ სოციალური კომერცია გახლავთ სოციალური ქსელების გამოყენება ელექტრონული კომერციის ოპერაციების შესრულების კუთხით.

სოციალური კომერცია, როგორც ტერმინი 2005 წლის ნოემბერში პირველად Yahoo-მ გამოიყენა რათა დაეხასიათებინა გარკვეული ონლაინ ურთიერთობის საშუალებები რომლითაც ხდებოდა სავაჭრო სიების, რეიტინგების, შეფასებების, განხილვების და სხვა მომხმარებლის მიერ შექმნილი შიგთავსის (ქონთენთის) გაზიარება პროდუქციის ინფორმაციისა და რჩევების შესახებ მომხმარებლებს შორის. [5]

სოციალური კომერციის კონცეფცია პირველად დევიდ ბეისელმა შემოგვთავაზა 2005 წელს, რომელმაც იგი განმარტა როგორც მომხმარებელთა მიერ ელექტრონულლო კომერციის საიტებზე გაკეთებული სარეკლამო ქონთენთი. [6]. სოციალური კომერცია გახლავთ საშუალება მიიღოს მომხმარებელმა რჩევა მისთვის სანდო პირებისაგან და მოძებნოს მისთვის საჭირო პროდუქტი და მომსახურება მათი შემდგომი შეძენის მიზნით. კვლევებმა აჩვენეს რომ სოციალური ქსელები რომლებიც ავრცელებენ რჩევებს, ზრდიან მომხმარებლის ნდობას გამყიდველი საიტების მიმართ:

- 90% გაყიდვებისა ხორციელდება სოციალურ გავლენით
- 90% მომხმარებლებისა ენდობიან იმ ადამიანთა რეკომენდაციებს ვისაც იცნობენ.
- 2015 წლისათვის სოციალური კომერციის ბაზრის მოცულობა 30 მილიარდს მიაღწევს
- მომხმარებლები 67%-ით მეტს ხარჯავენ რეკომენდაციის შემდგომ.

დღეისათვის სოციალური კომერციის გამოყენების სფერო კიდევ უფრო გაიზარდა და მოიცავს ელექტრონული კომერციის კონტექსტში გამოყენებული სოციალური მედია საშუალებების ფართო სპექტრს. მაგალითად მომხმარებლის რეიტინგები და განხილვები, მომხმარებელთა რეკომენდაციები და რჩევები, ვაჭრობის პროცესის გაზიარება (სოციალური შოპინგის საშუალებები), ფორუმებისა და დისკუსიების გამოყენება, სოციალური ოპტიმიზაციის საშუალებები, სოციალური აპლიკაციები და სოციალური რეკლამები. [7]

ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმულია გარკვეული მოსაზრება რომ არსებობს განსხვავება სოციალურ შოპინგსა და სოციალურ კომერციას შორის. სოციალური კომერცია გულისხმობს ონლაინ გამყიდველების სოციალურ საკომუნიკაციო ქსელს, მაშინ როცა სოციალურ შოპინგში ძირითადად მოიაზრება ონლაინ მყიდველების კოლაბორაციული ქმედება. [8]

მთავარი წარმატების ფაქტორი სოციალური კომერციისა გახლავთ მისი საშუალება მიაწოდოს მომხმარებელს მისთვის საიმედო და საჭირო ინფორმაცია უფრო ინფორმირებული და ჭკვიანური გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული პროცესი საბოლოოდ იძლევა მომხმარებლის მოლოდინების უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას, რაც ზრდის ლოიალობასა და სხვისთვის რეკომენდირების შანსს.

აგრეთვე გარკვეულად სოციალური კომერცია ზრდის იმპულსური ელექტრონული შესყიდვების შესაძლებლობასაც - ეს ის სფეროა სადაც ელექტრონული კომერციის დიდ ფარული პოტენციალია შენახული.

სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სო-ციალური კომერცია გახლავთ კომერციის ეფექტური საშუალება, რადგან მყიდველი როგორც წესი ინტუიტიური გადაწყვეტილების მისაღებად იყენებს გარკვეულ მარტივ გონებრივ შეხედულებებსა და წესებს და ხშირად არ აქცევს ყურადღებას დეტალურ ინფორმაციასა და მონაცემებს. ფსიქოლოგები გამოყოფენ 6 ასეთ გონებრივ წესსა და „შეხედულებას" რომელთაც მყიდველები იყენებენ ყიდვის გადაწყვეტილების მისაღებად. სოციალური

კომერციის საშუალებები კი სწორედ ამ ჭრილში ახდენენ მომხმარებლის უკეთ ინფორმირებას და ამით ზრდიან ყიდვის გადაწყვეტილების მიღების ალბათობას. [9] ეს წესებია:

- **სოციალური სიმართლე**

უმრავლესობის გაყოლა, როცა მომხმარებელი ამჯობინებს მიბაძოს სხვებს და გააკეთოს ის რასაც უმრავლესობა აკეთებს, იძენს და მოიხმარს. ანუ პოპულარულობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება.

- **ავტორიტეტი**

ავტორიტეტის გაყოლა, როცა მომხმარებელი მიყვება ექსპერტისა, ავტორიტეტის აზრსა და რჩევებს, იმისდა მიუხედავად თუ რას ამბობენ ისინი. ანუ ავტორიტეტული რეკომენდაციის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება.

- **იშვიათობა**

ადამიანის გონება იშვიათ საქონელს უფრო დიდ ღირებულებას ანიჭებს. ადამიანები ინსტიქტურად უფრო მეტ ღირებულებად აფასებენ იმ შესაძლებლობას რომელიც უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან ფსიქოლოგიურად განიცდის ამ პოტენციალის დაკარგვის შიშს. ანუ იშვიათობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება

- **მოწონება**

ადამიანს გააჩნია ბუნებრივი მიდრეკილება მოიწონოს და დაეთანხმოს იმ ადამიანთა მოსაზრებებს რომლებიც მოსწონს, აფასებს და მიაჩნია მიმზიდველად. ეს გარკვეულად განპირობებულია იმით რომ დათანხმება სოციალური თანადგომისა და ნდობის გამოხატვის ფორმაა, და აგრეთვე იმითაც რომ ადამიანი ასოცაციით თავის იმიჯსა და იდენტობას ქმნის. ანუ მოწონებული ადამიანების მიყოლით გადაწყვეტილების მიღება.

- **თანამიმდევრულობა**

გაურკვევლობის წინაშე ადამიანი არჩევანს საკუთარ რწმენასა და წარსულის ქცევაზე აკეთებს. როდესაც ადამიანის შინაგანი რწმენა მის ქმედებებთან არ არის თანხვედრაში, იგი ფსიქოლოგიურ დისკოფორტს განიცდის, რაც აიძულებს მას იყოს თანამიმდევრული, განსაკუთრებით საზოგადოებრივი და საკუთარი ნებაყოფლობითი ვალდებულებების მიმართ.

- **სამაგიეროს გადახდა**

ადამიანს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება მიაგოს სამაგიერო მიღებული მომსახურებისა, სარგებელის, ან დახმარების სანაცვლოდ. ეს გარკვეულად გამოწვეულია ადამიანის სამართლიანობის აღქმასა და სოციალურ ურთიერთ ვალდებულებასთან. გარკვეულად სამაგიეროს დაბრუნების მოთხოვნილება სოციალური წებოს ფუნქციას ასრულებს რაზეც არის დაფუძნებული სოციალური ურთიერთობა, კოოპერირება და ზოგადად საზოგადოება. ანუ სამაგიეროს გადახდის მოთხოვნილების გამო გადაწყვეტილების მიღება.

სოციალური ქსელები და სოციალური კომერციის საშუალებები საშუალებას აძლევენ ადამიანებს იყვნენ ადამიანურები და სწორედ ეს არის ასეთი ქსელების ეფექტურობისა და წარმატების ძირითადი გასაღები.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური კომერციის ქსელებია

- ფეისბუკი
- ტვიტერი
- გროუპონი

საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია ფეისბუკი რომლის საქართველოდან რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობამ 2013 წლის ბოლოსათვის 1 მილიონს გადააჭარბა.

- ფეისბუკ-კომერცია (f-Commerce)

ფეისბუკ-კომერცია გულისხმობს პროდუქციისა და სერვისის ყიდვა-გაყიდვას ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეწყობას ფეისბუკის საშუალებით. 2010 წელს 1.5 მილიონ ბიზნესს ქონდა საკუთარი გვერდი ფეისბუკზე. [11] ექსპერტების პროგნოზით ფეისბუკზე კომერციული ტრანზაქციების მოცულობა 5 წელიწადში გაუსწრებს ამაზონის გაყიდვებს.

- ტვიტერ-კომერცია (t-Commerce)

ბრაზილია ტვიტერ-კომერციის პიონერია, სადაც PayPal გადახდის სისტემით ინტეგრირებული პლატფორმა Compritada$ საშუალებას იძლევა საქონლის და მომსახურების ყიდვა-გაყიდვისა ტვიტერზე.

- ფასებისა და პროდუქციის შედარება სოციალურ ქსელებზე (GuruLike)

ასობით მაღაზიის არსებობამ ფეისბუკსა და ტვიტერზე, რომლებიც ათასობით პროდუქციასა და მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს, გააჩინა საჭიროება შექმნილიყო სერვისი რომლის საშუალებითაც მომხმარებელი შეძლებდა მაღაზიებს შორის პროდუქციის ფასებისა და მახასიათებლების შედარებისა. ასეთი სერვისის მაგალითს წარმოადგენს GuruLike.




დიაგრამა 2. ფეისბუკის მომხმარებელთა სტატისტიკა 2013 ქვეყნების მიხედვით. [10]

## გამოყენებული ლიტერატურა


1. eMarketer.com, „Worldwide B2C Ecommerce: 2013 Forecast and Comparative Estimates," eMarketer Inc., 2013.
2. J. Robinson, „UK's internet industry worth £100bn - report," [ინტერნეტი]. Available: http://www.guardian.co.uk/technology/2010/oct/28/net-worth-100bn-uk.
3. A.T. Kearney, „China's E-Commerce Market: The Logistics Challenges," [ინტერნეტი]. Available: http://www.atkearney.com/index.php/Publications/chinas-e-commerce-market-the-logistics-challenges.html.
4. „Now a digital mall boom in the Middle East," [ინტერნეტი]. Available: http://www.thomaswhite.com/explore-the-world/postcard/2012/middle-east-online-retail.aspx.
5. „Social Commerce via the Shoposphere & Pick Lists," [ინტერნეტი]. Available: http://www.ysearchblog.com/2005/11/14/social-commerce-via-the-shoposphere-pick-lists/.
6. D. Beisel, „(The Beginnings of) Social Commerce," [ინტერნეტი]. Available: http://genuinevc.com/archives/2005/12/6/the-beginnings-of-social-commerce.html.
7. „The 6 dimensions of social commerce," [ინტერნეტი]. Available: http://socialcommercetoday.com/the-6-dimensions-of-social-commerce-rated-and-reviewed/.
8. Wikipedia, „Social Commerce," [ინტერნეტი]. Available: http://en.wikipedia.org/wiki/Social_commerce.
9. „How Social Commerce Works," [ინტერნეტი]. Available: http://socialcommercetoday.com/how-social-commerce-works-the-social-psychology-of-social-shopping/.
10. SocialBakers, „visualizing.info," SocialBakers, 2013. [ინტერნეტი]. Available: http://visualizing.info/cr/facebook/users/. [წვდომილი 25 3 2014].

*Malkhaz Nikolashvili, GTU*

## The Future of the E-Commerce: Social Commerce

SUMMARY

***Keywords:*** *Electronic Commerce, Social Networks, Internet*

Together with Internet development, the business models of the modern Electronic Commerce are also evolving and changing. Increasing popularization of the social networks creates the new opportunities for the evolution of the electronic commerce services. Everyday social services more and more become the part of our everyday life and influence our commercial decision making. Article describes the current trends of the social commerce services and social psychology factors determining the effectiveness of the social commerce. Also development trends of the popular social commerce platforms are discussed such as f-Commerce, Twitter-Commerce and others.

*Малхаз Николашвили, Докторант ГТУ*

## Будущее электронной коммерции: Социальная коммерция

РЕЗЮМЕ

***Ключевые слова:*** *электронная коммерция, социальные сети, интернет*

Вместе с развитием Интернета, бизнес-модели современного электронной коммерции также развивается и меняется. Увеличение популярности социальных сетей создает новые возможности для развития электронных услуг коммерции. Повседневные социальные услуги все больше и больше становятся частью нашей повседневной жизни и влиять на принятия наших коммерческых решений. Статья описывает современные тенденции услуг социальной коммерции и социальных факторов психологии, определяющих эффективность социальной коммерции. Также обсуждаются тенденций развития популярных платформ социальной коммерции таких как феисбук-торговли, Twitter-торговли и других.

# საბუნებისმეტყველო დისციპლინები

# ЕСТЕСТВОВЕДЧЕСКИЕ ДИСЦИПЛИНЫ

# SCIENCE

## ძელქვის ბუნებრივი განახლება სხვადასხვა მიკროეკოლოგიურ პირობებში

*ჯუმბერ ლომიძე, მაია გოგოტიშვილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საკვანძო სიტყვები: რცხილისებრი, ძელქვა, ბუნებრივი განახლება, კორომი, ფესვის ნაზარტყი.*

**შესავალი.** ძელქვა - Zelkova Spach - თელისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. ამ სახელწოდებით იგი პირველად აღწერა მეცნიერმა შპახმა 1841 წელს და მას ლათინურადაც ქართული სახელი - Zelkova (ძელქვა, ქვასსავით მაგარი) დაუტოვა. სხვადასხვა ენებზე ძელქვას უწოდებენ სახელწოდებებს, რომელიც ძელქვის მერქნის მაღალი ღირსების გამომხატველია. აზერბაიჯანულად - აზატ, სომხურად - ნილ, იაპონურად - კეაკი, ჩინურად - ჩუ მუ და სხვ. ძელქვის გვარში შემავალი სახეობები მესამეული პერიოდის ფლორის რელიქტებია, ისინი ფართოდ იყვნენ გავრცელებული ევროპაში აზიაში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

საქართელოში გავრცელებულია ძელქვის ერთი სახეობა - Zelkova Carpinifolia, რომელსაც ვ. მირზაშვილი (1947, 1948), გ. გიგაური (2000) ქართულად უწოდებდნენ რცხილისებრ ძელქვას, ხოლო დ.მანჯავიძე (1962) კავკასიურ ანუ რცხილაფოთოლა ძელქვას.

ძელქვის შესწავლაში მნიშვლენოვანი წვლილი შეიტანეს ნ. კეცხოველმა (1959 ) ი. აბაშიძემ (1947), მ. ექვთიმიშვილმა (1948), მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასიური ძელქვა, ტყის სხვა სახეობებთან შედარებით, დღემდე სუსტად არის შესწავლილი. განსაკუთრებით არასაკმარისად არის შესწავლილი ძელქვის ბიოეკოლოგიური თავისებურებები, რის გამოც ამ უძვირფასესმა სახეობამ დღემდე ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება ტყის კულტურების წარმოშობის საქმეში.

დასავლეთ საქართველოში, ხარაგაულის, ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის, ვანის და ბაღდათის რაიონებში, ძელქვა ცალკეული ხეების ან ბიოჯგუფების სახით არის გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოში ძელქვის საუკეთესო კორომი გვხვდება ახმეტის რაიონის სოფ. ბაბანეურში. ძელქვის ცალკეული ბიოჯგუფები გვხვდება საქართელოს ეროვნული ბოტანიკური ბაღისა და თბილისის დენდროპარკის მიდამოებში.

ლ. პრილიპკო ძელქვას სინათლის სახეობას აკუთვნებდა (1954 ), რაც უარყოფილი იქნა დ. მანჯავიძის (1962 ) მიერ. მანჯავიძე აღნიშნავს, რომ ძელქვა ტიპური სინათლის სახეობა არ არის, მაგრამ სინათლის სახეობასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ჩრდილის სახეობასთან. სითბოს მიმართ, ძელქვა მომთხოვნია, მაგრამ უძლებს ყინვებს (-22$^0$ C). ნიადაგის მიმართ იგი საშუალო მომთხოვნია.

ბუნებრივ პირობებში ძელქვის განახლება-გავრცელება ხორციელდება თესლით, ძირკვის ამონაყარით, ფესვის ნაზარტყით, ზოგჯერ გადაწვენით

გამრავლებით. ვ. გულისაშვილის მიხედვით (1974 ), ძელქვის თესლი ხასიათდება დაბალი აღმოცენების უნარით. ახალგაზრდა და საშუალო ხნოვანების ძელქვა უხვად იძლევა ძირკვის ამონაყარს, რომელიც პირველ წლებში სწრაფად იზრდება და 1,5-2 მ შემატებას იძლევა სიმაღლეზე.

ამიერკავკასიაში ძელქვის გამრავლება ხდება, უმთავრესად ფესვის ნაზარტყით, რომელსაც იგი დიდი რაოდენობით იძლევა ნიადაგის ზედა ფენებში. (0-15 სმ სიღრმეზე) განლაგებული წვრილი (0,5 -1,5 სმ დიამეტრის) ფესვები. ნაზარტყი პირველივე წლებში ივითარებს საკუთარ ფესვებს.

დ. მანჯავიძის (1962 ) მონაცემების მიხედვით, მართალია კავკასიური ძელქვა ფესვის ნაზარტყის მოცემის უნარს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებს, მაგრამ მაქსიმუმს -- შუახნოვანების პერიოდში აღწევს.

**ძირითადი ნაწილი.** ჩვენს მიერ ძელქვის ბუნებრივი განახლება შესწავლილი იქნა ბაბანეურის ნაკრძალში, სადაც იგი ქმნის თითქმის წმინდა ან შერეულ დაჯგუფებებს მუხასთან, რცხილასთან, ჯაგრცხილასთან, იფანთან, თელასთან ერთად და საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, სადაც ძელქვის გამრავლება ძირითადად ფესვის ნაზარტყით ხდება, მაგრამ გვხვდება თესლით განახლებული მოზარდიც.

განახლება მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაგალითად, სინათლე აღმონაცენისთვის აუცილებელია პირველსავე წელიწადს. აღმონაცენის განვითარებისთვის სინათლის საჭირო ინტენსივობა, სახეობის ეკოლოგიურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. სინათლის სახეობების აღმოცენების და ზრდა-განვითარებისთვის მეტი სინათლეა საჭირო, ვიდრე ჩრდილის სახეობებისთვის. საერთო კლიმატური პირობების გაუარესებასთან ერთად, აღმონაცენის მოთხოვნილება სინათლის მიმართ იზრდება. დიდია მკვდარი საფარის მნიშვნელობა, ზრდა-განვითარებისთვის. მისი თხელი ფენა ხშირად იცავს ნაზარტყს გვიანი და ადრეული ყინვებისგან, ხოლო ჩამონაცვენის სქელი ფენა - ხშირად უარყოფითად მომედებს ნაზარტყის განვითარებაზე.

ფესვის ნაზარტყის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ზედა ფენის სიფხვიერეს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ფესვის ნაზარტყის ჩამოყალიბებასა და ზრდა-განვითარებაზე, ვინაიდან მკვრივი და დაკორდებული ნიადაგი დიდ წინააღმდეგობას უწევს ნაზარტყის განვითარებას.

ტყის ცოცხალი საფარი ერთერთი ძლიერი ფაქტორია ნაზარტყის განვითარებისთვის. მეჩხერ კორომებში ან პირწმინდა ჭრების ჩატარების დროს მკვეთრად იცვლება მიკროკლიმატი და ცოცხალი საფარის შემადგენლობა. ხშირად ცოცხალი საფარი ხასიათდება მაღალი, მძლავრი ღეროებით და მძლავრი ფესვთა სისტემით, რითაც ძლიერ კონკურენციას უწევენ ნაზარტყის ჩამოყალიბებას.

ფესვის ნაზარტყის ზრდა-განვთარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქვეტყის სიხშირეს და შემადგენლობას, ისე მარადმწვანე ქვეტყეს, რომლებიც ინტენსიურად ვითარდებიან კორომის გამეჩხერების ან პირწმინდა ჭრების ჩატარების შემთხვევაში.

ძელქვის ბუნებრივი განახლება შესწავლილი იქნა საბურველის სხვადასხვა შეკრულობისა და სხვადასხვა სიღრმის ნიადაგებზე .

ტყის ბუნებრივი განახლების შეფასების საკითხს არა ერთი მეტყევე-მეცნიერი შეხებია, რის გამოც ლიტერატურაში ბუნებრივი განახლების რამდენიმე სკალა არსებობს (ვ.გულისაშვილის, ნ.მარგიშვილის, დ.ტოვსტონოგოვის, მ. ტკაჩენკოს, ვ. ნესტუროვის, და სხვ. მიხედვით), რომლებიც კონკრეტული ტყეებისთვისაა დამახასიათებელი. ტყის ბუნებრივი განახლების შეფასების სკალა საქართველოში შემუშავებული იქნა ვ. გულისაშვილის (1958) მიერ, რომლის მიხედვითაც განახლება შეისწავლება 2 მეტრიანი სიგანის ზოლებზე, ყოველ 2 მეტრზე მიჯრით (ბაქანი 2/2მ$^2$), როგორც დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ისე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ.

პირველი სანიმუშო ფართობი აღებული იქნა ბაბანეურის ძელქვნარის აღმოსავლეთ ექსპოზიციის ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ყალთაღში.

მეორე სანიმუშო ფართობი აღებული იქნა 8-10$^0$ დაქანებულ ფერდობზე, სადაც ძელქვნარი

წარმოდგენილია რცხილის შერევით (9 ძელქვა, 1 რცხილა 9/1) სიხშირე 0,4- 0,5 , ძელქვის საშუალო სიმაღლე 15-16 მ, საშუალო დიამეტრი 58 სმ. ქვეტყეში გავრცელებულია შინდი, შინდანწლა, ზღმარტლი და კუნელი. ბალახეული საფარი სუსტადაა განვითარებული.

მესამე სანიმუშო ფართობი აღებული იქნა მცირე დაქანების (5-8$^0$) სამხრეთ ფერდობზე, კორომის შემადგენლობაა 7 ძელქვა, 2 რცხილა, 1 მუხა. სიხშირე -0,8, საშუალო სიმაღლე 12-13მ, გვხვდება შინდი, შინანწლა, კუნელი და სხვა.

ბაბანეურის ნაკრძალში აღწერილი იქნა კორომის ორი ტიპი: ნაირბალახიანი ძელქვნარები და წივანიანი ძელქვნარი.

ბაბანეურის ძელქვნარების ბუნებრივად წარმოქმნილ ყალთაღში 20/20 მ, ძირითადად გვხვდება ძელქვის სხვადასხვა ხნოვანების ფესვის ნაბარტყი. მათი საერთო რაოდენობა ჰექტარზე გადაყვანით (იხ. ცხრილი N1) შეადგენს 67350 ძირს, აქედან ფესვის ნაბარტყის მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნება 1-2 წლის ხნოვანებაში, ხოლო მინიმუმი - 40-50 ძირი 11 წელზე მეტ ხნოვანებაში.

**ძელქვის ბუნებრივი განახლება სხვადასხვა მიკროეკოლოგიურ პირობებში**

ცხრილი N1.

| საბურველის შეკრულობა | ნიადაგის სიღრმე (სმ) | ფესვის ნაბარტყის რაოდენობა ცალობით | | | | ნაბარტყის საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1-2 წ | 3-5 წ | 6-10 წ | 11-ზე მეტი | |
| ბუნებრივი ყალთაღი | 60 | 38150 | 17050 | 8100 | 4050 | 67350 |
| 04 | 54 | 30200 | 1100 | 4550 | 2250 | 38100 |
| | 22 | 25850 | 6750 | 2150 | 1050 | 35800 |
| 08 | 62 | 16400 | 4650 | 1050 | 750 | 22850 |
| | 25 | 9650 | 3050 | 650 | 250 | 13600 |

მონაცემებიდან (ცხრილი N1) ნათლად ჩანს, რომ ძელქვა იძლევა ფესვის ნაბარტყის დიდ რაოდენობას, რომელიც ხნოვანებასთან ერთად, მნიშვნელოვნად მცირდება. ლიტერატურაში (მანჯავიძე 1962) ცნობილია, რომ ფესვის ნაბარტყი 1მ$^2$ 20დან 30 ძირამდე მერყეობს, რაც ჰექტარზე გადაყვანით - 200,0 – 300, 0 ათასს შეადგენს.

ჩვენი კვლევებით დგინდება ძელქვის საუკეთესო განახლება ღრმა ნიადაგებზე არსებულ ბუნებრივ ყალთალებში.

ფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს, როგორც საბურველის შეკრულობა, ისე ნიადაგის სიღრმე. 0,4 სიხშირის კორომის ღრმა (54სმ) ნიადაგებზე ძელქვის ფესვის ნაბარტყის რაოდენობა ბუნებრივ ყალთაღთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება და იგი 38 100 ძირს შეადგენს 1 ჰა-ზე, მაშინ, როცა იგივე 0,4 სიხშირის ძელქვნარების თხელ (22 სმ) ნიადაგებზე ნაბარტყის რაოდენობა მხოლოდ 35 800 შეადგენს, რაც ნიადაგის თხელი ფენითა და დაბალი ტენიანობითაა განპირობებული.

მონაცემებიდან (ცხრილი N1) ნათლად იკვეთება საბურველის შეკრულობის გავლენა ფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე, მიუხედავად ღრმა ნიადაგური საფარისა, მაღალი საბურველის შეკრულობა უარყოფითად მოქმედებსფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე. ეს უარყოფითი გავლენა აღინიშნება როგორც 1-2 წლიან, ისე 11 წელზე მეტი ხნოვანების ნაბარტყზე. აღნიშნულ საკვლევ ობიექტზე აშკარად აღინიშნება სინათლის ფაქტორის გავლენა ცუდად განვითარებულ ნაბარტყზე და ეს უარყოფითი გავლენა უფრო აშკარად აღინიშნება მაღალი (0,8) საბურველის ქვეშ ჩამოყალიბებულ თხელ ნიადაგებზე არსებულ ფესვის ნაბარტყის რაოდენობაზე. მაღალი სიხშირის თხელ ნიადაგებზე ყველა ხნოვანების ფესვის ნაბარტყის რა-

ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზემოთხსენებულ ობიექტებზე არსებულ ფესვის ნაბარტყის რაოდენობას. ცუდი განახლება მაღალი სიხშირის თხელ ნიადაგებზე აშკარად აღინიშნება 11 წელზე მეტი ხნოვანების ნაბარტყზე, სადაც მისი რაოდენობა 250 ძირს ჰა-ზე არ აღემატება.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ძელქვის ფესვის ნაბარტყის რაოდენობა დამოკიდებულია როგორც ძელქვის საბურველის შეკრულობაზე, ისე ნიადაგის სისქეზე. თხელ და განუვითარებელ ნიადაგზე ფესვის ნაბარტყის რაოდენობა ისევე მცირდება, როგორც ძელქვის საბურველის მაღალი (0,8) შეკრულობის პირობებში.

### ლიტერატურა:


1. ი. აბაშიძე - ძელქვა კახეთში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, N 1-2, 1947 .
2. ი. აბაშიძე - დენდროლოგია. მეორე ნაწილი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1948.
3. მ. ექვთიმიშვილი - კახეთის ძელქვა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. VIII, 1948.
4. ნ. კეცხოველი - საქართველოს მცენარეული საფარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1959.
5. ვ. გულისაშვილი - ზოგადი მეტყევეობა. გამომცემლობა ,,განათლება", თბილისი 1974.
6. გ. გიგაური - საქართელოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბილისი 2000.
7. Л. И. Прилипко - Лесная Ростительность Азер-баиджана. из-во АН Аз СССР, Баку 1954.


*Дж. Ломидзе, М. Гоготишвили, ГТУ*

## Естественное возобновление Дзельквы в различных микроекологических условиях

### РЕЗЮМЕ


***Ключевые слова:*** *Корневые отпрыски, Естественное возобновление, Древостой, Дзельква граболистная.*

В статье рассматривается ареал распространения Дзельквы Граболистной в Восточной Грузий. Итоги исследования различных ученных по данному вопросу, а также особенности естественного возобновления дзельквы граболистой в различных почвенно-климатических условиях.

Установлено что, Дзельква очен требователна к почвенным условиям. На сухих и избиточно увлажненых почвах не растет. Хорошо переносит известковые почвы. Размножается семенами, порослью от пня и корневыми отпрысками. Всхожесть семян очень низкая. По нашим исследованиям доказано, что на територий заповедника Бабанеури, естественное возобновление дзельквы происходит корневыми отпрысками. К тому же возобновление зависит от сомкнутости полога, древостоя и глубины почвы .


***J. Lomidze, M. Gogotishvili, GTU***

## Zelkova Renewal Through Different Micro Ecological Conditions

### SUMMARY


There are discussed various characteristics of Hornbeam-like Zelkova renewal through different soil conditions. It is ascertained, that on the territory of Babaneuri Government forest reserve,natural renewal process of Zelkova carpinifolia is mostly running by means of roots shoots, besides that, its natural renewal is depended on the density of tree Stand and the depth of a soil. The best experience of Zelkova renewal is fixed on the deep (60sm) soils with the stand density of tree -- 0.4.

***key words:*** *Zelkova carpinifolia, Natural renewal, stand density.*

# $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობის მასიური კრისტალების თერმული გაფართოებისა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ტემპერატურული ცვლილებები

*ავთანდილ სიჭინავა, იაშა ტაბატაძე,*
*ია ყურაშვილი, გიორგი დარსაველიძე*
*სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*

*საკვანძო სიტყვები: სილიციუმი, თერმული გაფართოება, მიკროსისალე, ძვრის მოდული.*

დილატომეტრული გაზომვებითა და გრეხითი ქანქარის რხევების სიხშირისა და მილევის ლოგარითმული დეკრემენტის რეგისტრაციის მეთოდით შესწავლილია $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობების მასიური კრისტალების ფარდობითი წაგრძელების, ძვრის მოდულისა და რელაქსაციური პროცესების აქტივაციური მახასიათებლების ტემპერატურული სპექტრები. გაანალიზებულია ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ცვლილებების მექანიზმები.

სილიციუმ-გერმანიუმის სისტემის მასიური მონო- და პოლიკრისტალური შენადნობები ხასიათდებიან ნახევარგამტარულ ხელსაწყოთმშენებლობაში პრაქტიკულად გამოყენების მაღალი პერსპექტივით. Si-Ge სისტემის შენადნობების ფართომასშტაბური პრაქტიკული გამოყენება გაძნელებულია არსებული ტექნოლოგიური და ფუნდამენტური კვლევითი სამუშაოების აშკარად არასაკმარისი მოცულობის და სიღრმის გამო, პრაქტიკულად შეუსწავლელია მასიური Si-Ge სისტემის მასიური კრისტალების სტრუქტურაში დისლოკაციური წარმოშობის დეფექტების კრისტალოგეომეტრიული და ენერგეტიკული მახასიათებლები, ნახევარგამტარული მასალების სხვადასხვა ტიპის სტრუქტურული დეფექტების თერმული მდგრადობისა და ელექტრული აქტიურობის ცვლილების მექანიზმები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია პოლიკრისტალური $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობის თერმული გაფართოებისა და ძვრის მოდულის ტემპერატურული დამოკიდებულებების კვლევის შედეგები. საცდელი მასიური კრისტალები მიღებულია ჩოხრალსკის მეთოდით EQ-SKJ-50CZ სისტემის სადნობ ღუმელში.

საწყის მდგომარეობაში მსხვილმარცვლოვანი $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობის ფარდობითი წაგრძელების ტემპერატურული დამოკიდებულება 200-260°C და 450-550°C ტემპერატურულ შუალედებში ხასიათდება წრფივად ზრდისაგან გადახრებით. შუალედურ 260-450°C ტემპერატურულ ინტერვალში ფარდობითი წაგრძელების ზრდა არაწრფივია. ტემპერატურის შემცირების პირობებში მიღებული შედეგები პრაქტიკულად ემთხვევა გახურების პროცესში ფარდობითი წაგრძელების ტემპერატურულ დამოკიდებულებას. ეს ადასტურებს აღნიშნულ ინტერვალებში ფარდობითი წაგრძელების არაწრფივი გადახრების არაჰისტერეზისული ტიპის ცვლილებებს.

მოწვა ვაკუუმში (~$10^{-4}$ ტორი) ~50°C ტემპერატურაზე 3სთ-ის განმავლობაში ~30°C–ით აფართოებს ფარდობითი წაგრძელების პირველ შუ-ალედს დაბალი ტემპერატურების მიმართულებით, ამასთან ერთად ფიქსირდება მეორე ტემპერატურული შუალედის მკვეთრად შემცირება და გრაფიკზე მკაფიო ღუნვა 500°C ტემპერატურების არეში.

რადგანაც საკვლევი შენადნობის მიკროსტრუქტურა შეიცავს მაღალი კონცენტრაციის ჟანგბადსა ($5{\cdot}10^{17}$-$1{\cdot}10^{18}$სმ$^{-3}$) და დისლოკაციებს მოსალოდნელია ლოკალურ არეებში აღნიშნული დეფექტების კონფიგურაციული და კონცენტრაციული ცვლი-

ლებები, რაც თავის მხრივ, განაპირობებს დეფექტების მოძრაობის აქტივაციური მახასიათებლების ცვლილებებს. დისლოკაციების სტრუქტურასა და მინარევების მრავალფეროვან კომპლექსებზე მკვეთრი თერმული ზემოქმედების მიზნით განხორციელდა 1050°C ტემპერატურაზე 5 სთ. განმავლობაში მოწვის შემდგომი წრთობა. ნაწრთობ მდგომარეობაში მთლიანად აღსდგა ფარდობითი წაგრძელების არაწრფივი ხასიათის ცვლილება ორივე ტემპერატურულ შუალედში, 600-700°C ინტერვალში გამოვლინდა ახალი არაწრფივა ცვლილება, რომელიც თერმულად არა მდგრადია, რადგანაც შედარებით ხანმოკლე მოწვა ვაკუუმში 600°C ტემპერატურაზე 0,5სთ-ის განმავლობაში აღნიშნულ ეფექტს მთლიანად ახშობს.




**ნახ.1. პოლიკრისტალური $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობის ფარდობითი წაგრძელების ტემპერატურული დამოკიდებულება**

როგორც ცნობილია [1,2] Si და Si-Ge კრისტალების მაღალ ტემპერატურებზე მოწვა და ამის შემდგომი გაცივება სხვადასხვა სიჩქარით მნიშვნელოვნად ცვლის წერტილოვანი დეფექტების და დისლოკაციების ურთიერთქმედების ხასიათს. პირველყოვლისა ხორციელდება ჟანგბადის შემცველი რთული კომპლექსების დაშლა და მათი დიფუზიური გადანაწილება კრისტალის მოცულობაში. ასეთ პირობებში დისლოკაციების დიდი უმრავლესობა თავისუფლდება ბლოკირების ცენტრებისაგან, ხოლო კრისტალის მოცულობაში გადანაწილებული მინარევების მნიშვნელოვანი ნაწილი ელექტრულად აქტიურდება. მართლაც მაღალ ტემპერატურაზე მოწვისა და წრთობის შემდეგ ვლინდება დენის მატარებლების კონცენტრაციის ზრდის ტენდენცია.

აღნიშნული ხასიათის ელექტრული მახასიათებლების ცვლილებები არამკვეთრადაა წარმოჩენილი მაღალ ტემპერატურებზე (T>1000°C) საცდელი Si-Ge შენადნობის ხანგრძლივი მოწვის შემდეგ სხვადასხვა სიჩქარით გაცივების შემთხვევებში. ასევე სუსტად ვლინდება დისლოკაციური წარმოშობის რელაქსაციური სინაგანი ხახუნის მაქსიმუმების აქტივაციური მახასიათებლების შემცირების ტენდენციები (ცხრ.1). ცხრილში წარმოდგენილია $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობში გრეხითი რხევების ~1ჰც სიხშირეზე გამოვლენილი შინაგანი ხახუნის რელაქსაციური მაქსიმუმების აქტივაციური მახასიათებლები. აგრეთვე მოცემულია ფიქსირებულ ტემპერატურებზე ძვრის მოდულის აბსოლუტური სიდიდეები. ძვრის მოდულის მნიშვნელობები განსაზღვრულია ეტალონთან შედარების მეთოდით [3].

სტრუქტურულად-მგრძნობიარე ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენილი ცვლილებები დამახასიათებელია სილიციუმისა და სილიციუმგერმანიუმის მასიური კრისტალებისთვის. რასაც განაპირობებს გაცივების პირობებში 450-500°C ტემ-პერატურულ ინტერვალში სილიციუმისა და ჟანგბადის $SiO_4$–ის ტიპის დონორული კომპლექსების ფორმირება მათი წარმოქმნის ალბათობა მაღალია საცდელი შენადნობის დაბალი სიჩქარეებით გაცივების პირობებში. საკვლევი Si-Ge შენადნობი ხასიათდება დენის მატარებელი ხვრელების დაბალი კონცენტრაციით (~$10^{13}$სმ$^{-3}$), რაც გამორიცხავს დისლოკაციების ელექტრონული მდგომარეობის, ზმებისა და დისლოკაციების ძვრადობის ცვლილებებს. ექსპერიმენტულად გამოვლენილი ელექტროფიზიკური, მექანიკური რელაქსაციური და თერმული თვისებების ტემპერატურული დამოკიდებულებების თავისებურებანი უმეტესწილად განპირობებულია ჟანგბადის შემცველი კომპლექსების დაშლა-აღდგენით, რასაც თავის მხრივ, შეუძლია გამოიწვიოს დისლოკაციების მოძრაობის აქტივაციური მახასიათებლების ცვლილებები.

პოლიკრისტალური $Si_{0,98}Ge_{0,02}$ შენადნობის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები

ცხრილი N1

| საცდელი Si-Ge შენადნობის მდგომარეობა | რელაქსაციური მაქსიმუმების ტემპერატურა, °C | აქტივაციის ენერგია, ევ | სიხშირის ფაქტორი, წმ$^{-1}$ | ძვრის მოდული | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გაზომვ. ტემპერ., °C | აბსოლუტ. მნიშვნ., კგ/მმ$^2$ |
| საწყისი | 80-100 | 0,90 | $1\times10^{14}$ | 20 | 4800 |
| | 180-200 | 1,35 | $5\times10^{13}$ | 120 | 4700 |
| | 450 | 1,75 | $8\times10^{12}$ | 230 | 4550 |
| | 540 | 1,90 | $5\times10^{12}$ | 350 | 4300 |
| | 600 | 2,10 | $2\times10^{12}$ | 500 | 4180 |
| | 680 | 2,35 | $8\times10^{11}$ | 650 | 4000 |
| მოწვა, 900°C, 5სთ. | 80-100 | 0,90 | $6\times10^{13}$ | 20 | 4750 |
| | 180-200 | 1,35 | $2\times10^{13}$ | 120 | 4600 |
| | 430 | 1,70 | $7\times10^{12}$ | 230 | 4400 |
| | 525 | 1,80 | $4\times10^{12}$ | 350 | 4240 |
| | 580 | 2,00 | $1\times10^{12}$ | 500 | 4050 |
| | 670 | 2,20 | $7\times10^{11}$ | 650 | 3850 |
| წრთობა, 1050°C | 800-100 | 0.80 | $3\times10^{13}$ | 20 | 4600 |
| | 180-200 | 1,30 | $6\times10^{12}$ | 120 | 4450 |
| | 420 | 1,60 | $3\times10^{12}$ | 230 | 4260 |
| | 510 | 1,70 | $1\times10^{12}$ | 350 | 4150 |
| | 570 | 1,85 | $8\times10^{11}$ | 500 | 3900 |
| | 660 | 1,95 | $3\times10^{11}$ | 650 | 3700 |

ლიტერატურა:


1. К.Рейви. Дефекты и примеси в полупроводниковом кремнии. М.:Мир. 1984. 472с.
2. Кекуа М.Г.. Э.В. Хуцишвили, Твердые растворы полупроводниковой системы , Тбилиси, Мецниереба, 1985, 175с.
3. Криштал М.А.,Головин С.А. Внутреннее трение и структура металлов, . М.: Металлургия, 1978, 380с.



***A.Sichinava, I. Tabatadze, I.Kurashvili, G.Darsavelidze***

***Sukhumi I. Vekua Institute of Physics and Technology***


**TEMPERATURE CHANGES OF THERMAL EXPANSION AND PHYSICAL-MECHANICAL CHRACTERISTICS OF THE BULK CRYSTALS OF $Si_{0,98}Ge_{0,02}$ ALLOY**


**SUMMARY**

***Key words:*** *Silicon, Thermal expansion, Microhardness, Shear moduls*.

Temperature spectra of relative elongation, absolute values of shear modulus and activation characteristics of relaxation processes have been studied by methods of dilatometry and registration of frequency and logarithmic decrements of torsion oscillations damping. Mechanisms of structural-sensitive characteristics changes under the influence of thermal treatment at high temperatures have been discussed.



***А. В. Сичинава, Я.М.Табатадзе, И.Р.Курашвили, Г.Ш.Дарсавелидзе***

***Сухумский физико-технический институт им. И.Н.Векуа***


**ТЕМПЕРАТУРНАЯ ЗАВИСИМОСТЬ ТЕРМИЧЕСКОГО РАСШИРЕНИЯ И ФИЗИКО-МЕХАНИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК МАССИВНЫХ КРИСТАЛЛОВ СПЛАВА $Si_{0,98}Ge_{0,02}$**


**РЕЗЮМЕ**

***Ключевые слова:*** *Кремний, термическое расширение, микротвёрдость, модуль сдвига.*

Методами дилатометрии и регистрации собрстрвенной частоты и логарифмического декремента затухания колербаний крутильного маятника исследованы температурные спектры относительного удлинения, абсолютной величины модуля сдвига и активационные характеристики релаксационных процессов. Обсуждены механизмы изменения указанных структурно-чувствительных характеристик под влиянием термической обработки при высоких температурах.

# ზედაპირების დამუშავების გავლენა Si+1,5%G შენადნობის ძვრის დინამიურ მოდულზე

*ავთანდილ სიჭინავა, ია ყურაშვილი,*
*გიორგი ჩუბინიძე, გიორგი დარსაველიძე*
*სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*

*საკვანძო სიტყვები: სილიციუმი, გერმანიუმი, ძვრის მოდული, დეფორმაცია, დისლოკაცია, ორეულები.*

გრეხითი ქანქარის რხევების ~1ჰც სიხშირის დიაპაზონში შესწავლილია ზედაპირის დამუშავების ხარისხის გავლენა *Si*+1,5%*Ge* შენადნობის ძვრის დინამიური მოდულის იზოქრონული მოწვის ტემპერატურულ დამოკიდებულებაზე. 200-450°C ტემპერატურულ ინტერვალში გამოვლენილია დინამიური განმტკიცება და გაანალიზებულია წერტილოვანი, წრფივი და პლანარული დეფექტების ურთიერთქმედების მექანიზმები იზოქრონული მოწვის პირობებში.

ნახევარგამტარი მასალების მასიური კრისტალებისაგან განსაზღვრული ფორმისა და ზომების ნიმუშების მომზადება (ჭრა, ხეხვა, პოლირება, მოწამვლა და ა.შ) იწვევს მათი ზედაპირული ფენების ძლიერ დეფორმაციას, რომელიც 10-50 მკმ სიღრმემდე ვრცელდება. ასეთ პირობებში მოსალოდნელია ფიზიკური თვისებების მნიშვნელოვანი ცვლილებები. ნაშრომებში [1,2] შესწავლილია მონოკრისტალური სილიციუმის ზედაპირის დამუშავების ხარისხის გავლენა ძვრის დინამიური მოდულის სიდიდესა და გრეხითი რხევების ენერგიის შთანთქმის ტემპერატურული სპექტრების მახასიათებლებზე. აღნიშნული ცვლილებების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია სილიციუმის კრისტალების მექანიკურად დამუშავებული ზედაპირების სტრუქტურაში ფაზური გარდაქმნების ტიპის პროცესების განვიარება [3].

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ჩოხრალსკის მეთოდით მიღებული პოლიკრისტალური Si+1,5%Ge შენადნობის მიკროსტრუქტურა და ძვრის დინამიური მოდულის კვლევის შედეგები. კვლევის ობიექტი ხასიათდება თანამედროვე ნახევარგამტარულ ხელსაწყომშენებლობაში გამოყენების მაღალი პერსპექტივებით.

ჭრის, ხეხვის, მექანიკური და ქიმიური პოლირების მეთოდებით დამზადებული საცდელი ნიმუშების ზომებია 0,6×0,6×25მმ³. პარალელეპიპედის ფორმის თითოეული ნიმუშის ყველა ზედაპირი ერთნაირ პირობებშია დამუშავებული. ოპტიკურ მიკროსკოპზე NMM-800RF/TRF განხორციელდა მეტალოგრაფიული კვლევები.

საცდელი ნიმუშების სტრუქტურა პოლიკრისტალურია. მისი შემადგენელი მარცვლების ზომები ფართო საზღვრებშია განაწილებული (0,01-1,0მმ). მარცვლები არაწესიერი მრავალკუთხედის ფორმისაა. მარცვლების გამყოფი საზღვრების გასწვრივ გამოვლენილია არათანაბრად განაწილებული სხვადასხვა ზომის მოწამვლის ფიგურები. მათი უმრავლესობა დისლოკაციური წარმოშობისაა. ზოგიერთი მარცვლის შიდა სტრუქტურაში შეინიშნება ჯგუფებში გაერთიანებული ორეულები. ზოგიერთ შემთხვევაში პლანარული დეფექტები მარცვლების გამყოფ საზღვრამდე არიან გავრცელებული (ნახ.1).



ა) ×400



ბ) ×400

ნახ.1. Si+1,5%Ge შენადნობის მიკროსტრუქტურა
ა) მარცვლის საზღვრებთან ბლოკირებული პარალელურად ორიენტირებული ორეულები ბ) დეფორმაციის ხაზების გასწვრივ განაწილებული წერტილოვანი დეფექტები

ორეულების გასწვრივ გამოვლენილია მწკრივებში და უწესრიგოდ განაწილებული მოწამვლის ფიგურები. მაღალი კონცენტრაციის დეფექტების მრავალსახეობა, არათანაბარი განაწილება ფორმირებულია კრისტალიზაციის პროცესში ინტენსიური თერმული ძაბვების ზემოქმედების პირობებში.

ოთახის ტემპერატურაზე ეტალონთან შედარების მეთოდით განისაზღვრა გრეხითი ქანქარის ვერტიკალურ ღერძზე დამაგრებული ეტალონური და საცდელი ნიმუშების ძვრის მოდულის მნიშვნელობები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1. თანმიმდევრული მექანიკური ხეხვითა და სხვადასხვა დისპერსულობის ალმასის პასტით პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდული ამაღლებულია. მისი სიდიდე იზრდება პოლირების სიწმინდის გაზრდით. მაღალი სიწმინდით პოლირებული ნიმუშების ზედაპირების ქიმიური დამუშავებით კიდევ უფრო მაღლდება ძვრის მოდულის მნიშვნელობები.

**Si+1,5%Ge შენადნობის ნიმუშების ზედაპირების დამუშავების გავლენა ძვრის დინამიურ მოდულზე**

**ცხრილი N1**

| ნიმუშების ზედაპირების მდგომარეობა | ძვრის მოდული, კგ/მმ² | | | |
|---|---|---|---|---|
| | საწყისი | მოწვარი, 600°C, 2სთ | მოწვარი, 750°C, 2სთ | მოწვარი, 900°C, 2სთ |
| 1მკმ ალმასის პასტით პოლირებული | 3900 | 4150 | 4250 | 4400 |
| 0,25მკმ ალმასის პასტით პოლირებული | 4200 | 4500 | 4600 | 4700 |
| 0,25 მკმ ალმასის პასტითა და ქიმიურად პოლირებული | 4400 | 4500 | 4700 | 4900 |

მაღალ ტემპერატურებზე ვაკუუმში მოწვამ გამოავლინა ყველა სხვადასხვა ხარისხით პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდულის ზრდის ტენდენცია. ძვრის მოდულის ამაღლება მკაფიოდ არის წარმოჩენილი 900°C ტემპერატურაზე თერმულად დამუშავებულ ნიმუშებში. ძვრის მოდულის მაქსიმალური სიდიდით ხასიათდება ქიმიურად პოლირებულ ნიმუში, რომელიც წინასწარ 0,25მკმ დისპერსულობის ალმასის პასტით არის მექანიკურად პოლირებული. ცნობილია [4], რომ 600-900°C ტემპერატურულ ინტერვალში თერმული დამუშავებით სილიციუმის კრისტალის მოცულობაში დისლოკაციური სტრუქტურის ცვლილება ნაკლებადაა მოსალოდნელი. ასეთი თერმული დამუშავებით შესაძლებელია დისლოკაციების ძვრადობის შემცირება დისპერსულ ფაზებსა და კომპლექსებზე დამუხრუჭების მექანიზმით. მოწვის გავლენით დისლოკაციური სტრუქტურის ბლოკირებით შესაძლებელია სტრუქტურულად-მგრძნობიარე ძვრის მოდულის ამაღლება. მაღალ ტემპერატურებზე მოწვით მნიშვნელოვნად მცირდება ზედაპირულ ფენებში ფორმირებული დეფექტების კონცენტრაცია, რაც ასევე წარმოადგენს ძვრის მოდულის ზრდის მიზეზს. ზედაპირული დეფექტების წვლილის დასადგენად შესწავლილია იქნა იზოქრონული მოწვის გავლენა ძვრის მოდულის სიდიდეზე.

SiGe შენადნობის სხვადასხვა სიწმინდით პოლირებული ზედაპირების დეფექტებით მდიდარ სტრუქტურაში ტემპერტურის გავლენით მოსალოდნელია ფაზური გარდაქმნის ტიპის პროცესების განვითარება. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საცდელი SiGe შენადნობის სხვადასხვა სიწმინდით პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდულის იზოქრონული მოწვის ტემპერატურაზე დამოკიდებულების კვლევა. იზოქრონული მოწვა განხორციელდა ფიქსირებულ ტემპერატურებზე 20წთ-ის განმავლობაში. ნახ.2-ზე წარმოდგენილია მექანიკურად და ქიმიურად პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდულის დამოკიდებულება იზოქრონული მოწვის ტემპერატურაზე.

1) 1მკმ დისპერსულობის ალმასის პასტით პოლირებული, 2) 0,25მკმ დისპერსულობის ალმასის პასტით პოლირებული, 3) 0,25მკმ დისპერსულობის ალმასის პასტითა და ქიმიურად პოლირებული.

ნახაზიდან ჩანს, რომ 250-350°C ტემპერატურულ ინტერვალში 1მკმ დისპერსულობის ალმასის

პას-ტით პოლირებულ ნიმუშებს ახასიათებთ ძვრის დინამიური მოდულის ზრდა. მოწვის ტემ-პერატურის ამაღლება ავლენს ძვრის მოდულის შემცირებას. 0,25მკმ დისპერსულობის ალმასის პასტით პოლირებული ნიმუშების ქიმიური დამუშავება HF+$HNO_3$ ხსნარში იწვევს განსხვავებული ხასიათის ძვრის მოდულის ტემპერატურულ ცვლილებებს. ამაღლებულ ტემპერატურებზე ძვრის მოდულის მატება გადადის ნაჯერობის მდგომარეობაში და მისი მნიშვნელობა უცვლელია 550°C ტემპერატურამდე.




ამრიგად, საცდელი ნიმუშების ზედაპირების სხვადასხვა ხარისხით დამუშავება ავლენს ძვრის მოდულის განსხვავებული კანონზომირებებით დამოკიდებულებებს იზოქრონული მოწვის ტემპერატურაზე.

ყველა საცდელი ნიმუშის ძვრის მოდული ავლენს რხევის ამპლიტუდისაგან დამოკიდებულებას. მაღალი სიწმინდით პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდულის ამპლიტუდური დამოკიდებულება შესუსტებულია, მაგრამ არ ქრება. ასეთი ცვლილებები დამახასიათებელია დისლოკაციებისა და წერტილოვანი დეფექტების ატმოსფეროების ურთიერთქმედებისთვის. საცდელ ნიმუშებში წერტილოვან დეფექტებს წარმოადგენენ ვაკანსიები, ტექნოლოგიური მინარევების ატომები (ჟანგბადი, ნახშირბადი, აზოტი) და მათი კომპლექსები. რომლებიც ფორმირდებიან ნიმუშების ზედაპირულ ფენებში მექანიკური და თერმული ზემოქმედების პირობებში.

მასიური Si+1,5%Ge შენადნობის ტემპერატურა ალმასის დისკზე ჭრის, ხეხვისა და პოლირების პროცესებში შეადგენდა 25-30°C. ასეთ პირობებში მექანიკური დამუშავება იწვევს მყიფედ მსხვრევასა და ზედაპირულ ფენებში მაღალი კონცენტრაციით ვაკანსიების წარმოქმნას. მათი დიფუზია სწრაფად მიმდინარეობს კრისტალის სტრუქტურაში არსებული წრფივი და პლანარული დეფექტების ბირთვების მახლობლობაში. ახლადწარმოქმნილი და არსებული სტრუქტურების კონცენტრაციისა და ურთიერთქმედების ინტენსივობის ფართო საზღვრებში ცვლილებები განაპირობებენ სხვადასხვა სიწმინდით პოლირებული ნიმუშების ძვრის მოდულის სიდიდეებს შორის განსხვავებას ოთახის ტემპერატურაზე.

გახურების პროცესში მოსალოდნელია ვაკანსიებისა და კვანძთაშორისი Si, Ge და მინარევების ატომების კომპლექსების ფორმირება, ლოკალიზებულ არეებში კრისტალური მესრის დეფორმაციის შემცირება და დისლოკაციური დეფექტების მოძრაობის შეზღუდვა [5]. ასეთი ხასიათის ცვლილებები განაპირობებენ მექანიკურ განმტკიცებას, რაც ცხადად გამოვლენილია ძვრის მოდულის ამაღლებით 200-450°C ტემპერატურებზე. მასიური SiGe შენადნობების ნიმუშების ზედაპირების მდგომარეობის გავლენის მექანიზმების სრული ანალიზისათვის აუცილებელია ელექტროფიზიკური, მექანიკური და თერმული თვისებების კომპლექსური კვლევა დეფორმაციისა და ტემპერტურის ფართო დიაპაზონებში.

## ლიტერატურა:

1. Олейнич-Лысюк А.В., Бешлей Н.П., Фодчук И.М. Физика и Техника Полупроводников, 2003,т.37,11,с. 1337-1340.
2. Олейнич-Лысюк А.В., Гуцуляк Б.И., Фодчук И.М. Физика и Техника Полупроводников, 2005, т.39,7, с.769-771.
3. Баталов Р.И., Баязитов Р.М., Хуснуллин Н.М., Теруков Е.И., Кудоярова В.Х., Мосина Г.Н., Андреев Б.А., Крыжков Д.И. Физика Твердого тела, 2005, т.47,1.с.5-8

4. Александров Л.Н., Зотов М.И., Стась В.Ф. Сурин Б.П. Физика и Техника Полупроводников, 1984,т.18,1,с.72-75.
5. Бадылевич М.В., Блохин И.В., Головин Ю.И., Дмитриевский А.А., Карцев С.В., Сучкова Н.Ю., Толотаев М.Ю. Физика и Техника Полупроводников, 2006, т.40, 12.с.1409-1411.

***А. В. Сичинава, И.Р.Курашвили, Г.Г.Чубинидзе, Г.Ш.Дарсавелидзе***

*Сухумский физико-технический институт им. И.Н.Векуа*

### Влияние обработки поверхности на динамический модуль сдвига сплава Si+1,5%Ge

**РЕЗЮМЕ**

***Ключевые слова:*** *кремний, германий, модуль сдвига, дислокация, двойник*

На частотах 1Гц крутильного маятника изучено влияние степени обработки поверхности сплава Si+1,5%Ge на динамический модуль сдвига в зависимости от температуры изохронного отжига. В области температур изохронного отжига 200-450°C выявлено динамическое упрочнение. Обсуждены механизмы взаимодействия точечных, линейных и планарных дефектов в условиях изохронного отжига.

**A.Sichinava, I.Kurashvili, G.Chubinidze, G.Darsavelidze**

*I. Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology*

### Influence of surface treatment on the dynamic shear modulus of Si+1,5%Ge alloy

**SUMMARY**

***Keywords:*** *Silicon, Germanium, Shear modulus, deformation, dislocation, twins.*

Influence of surface treatment degree of Si +1,5%Ge alloy on the dynamic shear modulus dependence on the isochronal annealing has been studied at 1Hz frequency of torsion oscillations of pendulum. In 200-450°C temperature interval of isochronal annealing dynamic hardening has been revealed. The Interaction mechanisms of point, linear and planar defects in conditions of isochronal annealing have been discussed.

# ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის ძირითადი ამოცანები

*ოთარ შონია, იოსებ ქართველიშვილი, ლევან ყოლბაია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საკვანძო სიტყვები: ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, ავტომატიზებული სისტემა, ძირითადი ამოცანები.*

ნაშრომში წარმოდგენილია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის ძირითადი ამოცანები. თითოეული ამოცანა გათვალისწინებულია სისტემის გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად და ყველა მათგანი დახასიათებულია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებებით.

**შესავალი.** თანამედროვე ცხოვრება შევიდა თავისი განვითარების ისეთ სტადიაში, რომ ნებისმიერი სფერო, პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად საჭიროებს ეფექტური მეთოდების შემუშავებას და თანამედროვე ტექნიკური სისტემების დაპროექტებას, რომლებიც დასაშვები სიზუსტით მარტივად, სწრაფად და კომპიუტერული დროის უმნიშვნელო დანახარჯებით უზრუნველყოფენ დასმული ამოცანების გადაწყვეტას. კომპიუტერისა და პროგრამირების მეთოდების განვითარებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ამოცანა, რომელიც მოითხოვს ავტომატიზებული სისტემის შექმნას. აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს გამოკვლევის აქტუალურ სფეროს და დღესდღეობითაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ავტომატიზებული სისტემის ძირითადი ამოცანების შემუშავება იწყება მონაცემების ხელით დამუშავების პროცედურების გამოკვლევით, რათა შეს-წავლილი და განზოგადებული იქნას ის სირთულეები, რომელსაც აწყდება მომხმარებელი. ასეთი გამოკვლევა ზოგადი ხასიათისაა და მდგომარეობს სიძნელეების გამოვლენაში და არა მათი მიზეზის დადგენაში. თავდაპირველად ხდება მართვის არსებული პროცედურების ზოგადი გამოკვლევა, ხოლო შემდგომში მოხდება მართვის იმ თითოეული ამოცანის ცალ-ცალკე შესწავლა, რომლის ავტომატიზაციაც არის გათვალისწინებული.

**ძირითადი ნაწილი.** ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა წარმოადგენს რთულ ობიექტს, რომელიც საჭიროებს ახალ მათემატიკური და თეორიტიკული მეთოდების კვლევას, ავტომატიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნას და კანონშემქმოედებითი და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელმაც შემდგომ პერსპერქტივაში შეიძლება წარმოშვას თეორიული ინფორმატიკის დამოუკიდებელი მიმართულება. ჩამოთვლილი ფაქტორები განსაზღვრავენ ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის სტრუქტურის ანალიზისა და ახალი მეთოდებისა და საშუალებების (პროგრამული კომპლექსი) შემუშავების სფეროში კვლევის აქტუალობას, რათა აღმოჩენილ იქნას პოტენციურად საშიში სიტუაციები კანონშემქმედებითი ნორმების შეუსრულებლობის თვალსაზრისით.

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის მიზანია ახალი მეთოდების გამოვლენა, რომელიც მოწოდებულია აღმოაჩინოს კანონშემოქმედებით საქმიანობაში, სამართლებრივი აქტების იურიდიულ-ტექნიკური გაფორმების პროცესში, კომპიუტერულ საცნობარო-სამართლებრივ სისტემებში პოტენციურად საშიში სიტუაციები, სამართლებ-

რივი კოლიზიები და წინააღმდეგობები, ნორმატიული აქტების დუბლირება. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა ავტომატიზებული ანალიზისა და ურთიერკავშირის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენებით.

პოტენციურად საშიში სიტაუცია ნიშნავს კანონშემოქმედებითი პროცესის წესებისა და ნორმების გაუთვალისწინებლობას, პოტენციურად საშიში კრიტერიუმების საფუძველზე ზოგიერთი დოკუმენტისა და მათი ,,შემოგარენის" ურთიერთკავშირის პოტენციურად საშიში თვისებების დადგენას, რაც ნიშნავს კანონშემოქმედებითი პროცესის წესებისა და ნორმების შეუსაბამობას და რომლებიც მიმაგრებულია სპეციალური სახის დოკუმენტებში. პოტენციური საშიშროების კრიტერიუმები გულისხმობს წესებს, რომლებიც განსაზღვრულია ექსპერტთა ჯგუფების მიერ იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე ან ემპირიულად, ფორმულირებულია გამოხატვის ფორმით თეორიულ-მრავალმხრივი ლოგიკის ენაზე. რაც შეეხება ნორმათა კოლიზიას - სამართლებრივი კოლიზია გულისხმობს შემთხვევას, როდესაც იდენტური სამართლებრივი პრობლემა სხვადასხვაგვარად რეგულირდება ორი ან მეტი ნორმატიული აქტით, რა დროსაც უპირატესობა ენიჭება იერარქიით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. იერარქიის ერთი და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა.

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების (ნსდ) ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის მიზნების მიღწევა გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- კანონშემოქმედებით პროცესში დღეისთვის არსებული პრობლემების მიმოხილვა;
- სამართლებრივი აქტების იურიდიულ-ტექნიკური გაფორმება და გადაწყვეტის მეთოდების ძიება;
- იმ მოდელების შემუშავება, რომლებიც აღწერენ ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებს და მათი სხვადასხვა სახის ურთიერთკავშირს;
- დოკუმენტების ურთიერთკავშირის სტრუქტურის პოტენციურად საშიში ადგილების კრიტერიუმების ფორმალიზაცია ლოგიკურად გამოსახული ფორმით;
- ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის ტექსტში ურთიერთკავშირის აღმოჩენის ალგორითმისა და ურთიერთ- დაკავშირებული სტრუქტურის აგებისა და ანალიზის ალგორითმის შემუშავება;
- სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება და რეალიზაცია, კანონშემოქმედების რეალურ პირობებში მისი დანერგვა და აპრობაცია;
- ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარე შეტევებისგან.

ძირითადი ამოცანების სტრუქტურა მოცემულია (ნახ.1)-ზე.

ავტომატიზებული სისტემის ძირითადი ამოცანების საფუძველზე, საჭიროა განისაზღვროს და ჩამოყალიბებული იქნეს სისტემის ალგორითმები, მოხდეს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და დი-ალოგური პროცედურების დამუშავება და შეიქმნას ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსი.

თითოეული ალგორითმისთვის დადგენილი უნდა იქნას შემავალი და გამომავალი მონაცემები, შეიქმნას მონაცემთა ბაზები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ალგორითმებით გათვალისწინებული ვიზუალიზაციისა და ანალიზის პროცესები (ნახ.2).

სისტემისთვის შემუშავებული იქნება დიალოგური პროცედურები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მომხმარებელსა და სისტემას შორის ურთიერთობების ორგანიზაცია და ისეთი მიმდევრობით არის შერჩეული, რომ ეფექტურად ხორციელდება გარკვეული ფუნქციები, როგორიცაა: მონაცემთა ნაკრების შექმნა, განახლება, ცვლილებების შეტანა, მიმართვა, ამოკითხვა, გადამუშავება, გამოტანა და სხვა.

აღნიშნული პროცედურების ჩატარების შემდეგ დამუშავდება ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსი და მისი სტრუქტურა. შექმნილი იქნება პროგრამული კომპლექსის კლასები, კონსტრუქტორები, პროცედურები, ფუნქციები და მეთოდები.




ნახ. 1. ნსდ-ს ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ძირითადი ამოცანები




ნახ. 2. ავტომატიზებული სისტემის დაპროექტების ძირითადი ეტაპები

**დასკვნა:** ჩამოყალიბებულია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ძირითადი ამოცანები. მოყვანილია ძირითადი ამოცანების სტრუქტურული სქემა და თითოეული მათგანი დახასიათებულია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებებით.

***Шония О., Картвелишвили И., Колбая Л.***
*Грузинский Технический Университет*

## Основные задачи автоматизированных систем визуализации и анализа взаимосвязей нормативно-правовых документов

**РЕЗЮМЕ**

В труде представленны основные задачи визуализации и анализа взаимосвязей нормативно-правовых документов. Приведена структурная схема основных задач и каждая из них охарактеризована своим функциональным назначением.

***Shonia Otar, Kartvelishvili Ioseb, Kolbaia Levan***
*Georgian Technical University*

## The main task of normative-legal document intercommunication visualization and analysis of automated system.

**SUMMARY**

The work presents main task of normative-legal document intercommunication visualization and analysis. Provides structural scheme of main task and each of them is described by its functional purpose.

### ლიტერატურა:

1. ჩოგოვაძე გ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია ო. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება, თბილისი 2001.
2. შონია ო., შეროზია თ. ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება. სტუ, თბ., 2008.

# არქიტექტურა
# АРХИТЕКТУРА
# ARCHITECTURA

## მწვანე სახურავები – ეკოლოგიური რევიტალიზაცია და სოციალური პროგრამები

*მედეა მელქაძე,*
*არქიტექტურის დოქტორი, სტუ,*

*საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, მწვანე სახურავი, ექსტენსიური, ინტენსიური, საცხოვრისი.*

**პრეამბულა.** ბოლო ათწლეულები თანამედროვე სამყაროს ჰიპერურბანიზაციითაა ნიშანდებული. სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში არის საფუძველი ბუნებრივი გარემოს სივრცის შევიწროვება-შემცირებისა და ანტროპოგენული გარემოს აგრესიული გაფართოვებისა.

ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზის მქონეა. საქართველოში სოფლების დაცლა ჩვენი ქვეყნის ბოლო 24 წლის სოციალურ-ეკონომიკური ვნებათაღელვისა და ბოლო ათი წლის განმავლობაში სახელმწიფოს აგრარული ქვეყნის სტატუსისადმი, რბილად რომ ვთქვათ, ინდეფერენტული დამოკიდებულების შედეგია.

ერთი კია, რომ სტატისტიკით ისეთი სუპერ სახელმწიფოები, როგორიც აშშ და ჩინეთია ამ პროცესების საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს. პროგნოზით, განვითარებული ქვეყნების 80% და განვითრებადი ქვეყნების 50% ქალაქებში იცხოვრებს. ყოველ წელს ჩინეთში 400 მილიონი ადამიანით იზრდება ქალაქის მოსახლეობა.

**განსჯა.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოში ეკოლოგიის ბალანსის აღდგენისთვის ერთ-ერთ აქტუალურ ვექტორს წარმოადგენს ე. წ. მწვანე სახურავების საკითხი. ისმის კითხვა - რა ფენომენია მწვანე სახურავი? პასუხი – მის მახასიათებლებს წარმოადგენს ყველა ის კომპონენტი, რასაც მდგრადი არქიტექტურა გულისხმობს:

1. შენობების ენერგოეფექტურობა;
2. კომფორ-ტული მიკრო ჰავის შექმნა;
3. განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა;
4. სითბულრი აირების ემისიის შემცირება:

და შდეგად: - სუფთა, ჯამრთელი გარემოს შექმნა ეკოლოგიური რევიტალიზაციის გზით.

შემოგთავაზებთ მცირე ექსკურსს ნიუ-იორკისა და პარიზის მაგალითზე. და შემდგომ იგივე კონტექსტში განვიხილავთ საქართველოს რეალობის პრობლემებს.

**ნიუ-ორკი.**მე- 20-ე საუკუნის 70-იან წლებში ნიუ-ორკის ეკოლოგიურმა დაბინძურებამ პიკს მიაღწია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ბრონქსში მდინარე ბრონქსის არსებობის შესახებ მოსახლეობამ არაფერი იცოდა, რადგან მისი ნაპირები ამოქოლილი იყო ნაგავსაყრელის რამდენიმე ათეული მეტრის მთებით.

ბრონქსის მოსახლეობამ მდინარე იხილა მას შემდეგ, რაც ქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ნაგავსაყრელების გაუქმებისა და ნაგვის

მთების მოჭრისა. 25 წლის განმავლობაში დაგროვილი ნაგვის გატანის შემდეგ ტერიტორიას დააფარეს პოლიეთილენის აპკი და გამოიყვანეს მასში მილები მეთანის გამოტუმბვის მიზნით და შექმნეს 1000 მ² პარკი.

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის მერია ახდენს 5 მილიარდი დოლარის ინვესტირებას ცენტრალურ პარკის რეაბილიტაციისათვის. ბრუკლინის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი მილიონი ხის ძირის ჩარგვის პროგრამით აპირებს სათბური გაზების ეფექტის შემცირებას. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ რამდენიმე წლის წინ ნიუ-ორკის 8000 სახურავი იყო გამწვანებული, ახლა მისი გამწვანებული სახურავების ჯამური ფართი 4-ჯერ მეტია ნიუ-ორკის ცენტრალურ პარკზე, რომელიც გადაჭიმულია 341 ჰა-ზე.

**პარიზი.** იგივე სიტუაციას აქვს ადგილი პარიზში. პარიზის სახურაების 80 ჰა გამწვანდა, რამაც სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებასთან ერთად მოახდინა პარიზის ბუნებრივი გარემოს გაჯანმრთელება,

რას იძლევა ეს ქმედებები, როგორც გარემოს გაჯანსაღების პროცესი? ბრონქსში პეპლები გაჩნდა; სახურავებზე მდელოები შეიქმნა, პარიზის მწვანე სარტყელში კი მოხდა ფაუნისა და ფლორის აღდგენა, დაკარგული ცხოველების დაბრუნება. სენაში გაჩნდა თევზი. მწვანე სახურავებზე კოლექტიური ბაღების გაჩენამ პარიზში, ისე როგორც ნიუ-იორკსა და მსოფლიო სხვა ქალაქებში გადაწყვიტა სოციალური პრობლემები. მოხდა ადამიანური ურთიერთობების აღდგენა-განვითარება და მოსახლეობის დასაქმება, თუ როგორ ამას ქვევით აღვნიშნავთ.

**მაგრამ ეს იდეა უფრო სიღრმისეული ფილოსიფიისა და პოლიტიკის მატარებელია. თუ ფსიქოლოგიურად ბუნებრივი ლანდშაფტი ამცირებს სტრესს და უქმნის ადამიანს ჰარმონიულად სრულფასოვანი არსებობის საშუალებას, ეს ჰარმონია სრულად დარღვეულია ქალაქურ სივრცეში. შესაბამისად, მწვანე სახურავების იდეა სოციალურ-ეკონიმიკური პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაც გახდა. მაგალითად: ბრონქსში და ნიუ-ორკის სხვა სახურავებზე მოეწყო ორგანული გრუნტის გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ბაღჩები), ყვავილების ფერმები, სკები და სხვა, რაც წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთ ნიშას, ეკონომიკური ფონის გაჯანმრთელების ხარისხის გაზრდით.**

სანამ საქართველოზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ მწვანე სახურავების **ტექნიკო-ეკოლოგიური მაჩვენებლები**

მწვანე სახურავები იყო შემუშავებული 30 წლის წინ გერმანიაში.

მწვანე სახურავები აუმჯობესებს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას:

1. ისინი ამცირებენ დანახარჯებს ენერგომატარებლებზე ასრულებენ რა თბოიზოლაციის როლს. შესაბამისად მცირდება დანახარჯები გათბობა-გაგრილებაზე 19%-ით;

2. მწვანე სახურავები არის წყალგაუმტარი მემბრანა ექსტენსიური და ინტენსიური სახის ნიადაგის „ტორტით" შსაბამისი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით:

- სტანდარტულ სახურავებზე ზაფხულში სითბო თუ 50-70 გრადუსამდე იზრდება, მწვანე სახურავები გამოყოფს რა ტენს ორთქლის სახით, ამცირებს ტემპერატურას 35 გრადუსამდე. შესაბამისად მცირდება ტემპერატურა სათავსშიც;
- მწვანე სახურავი კარგი ამრეკლავი თვისებისაა და იცავს კონსტრუქციას ულტრა იისფერი სხივებისა და მავნე ელექტრომაგნიტური გამოსხივებისაგან;
- მწვანე სახურავი ქმნის ხმის კარგ იზოლაციას, ამცირებს ხმაურის ფონს შენობაში დაახლოებით 40 დეციბალით;
- ქალაქის სახურაების 20%-ით გამწვანება იწვევს ტემპერატურის დაკლებას 3 გრადუსით. ძლიერი წვიმების დროს მწვანე სახურავი აკავებს წყლის 50%-ს, ამცირებს ქალაქების დატბორვას, ფილტრავს წყალს მტვრისა და ნაგვისგან, იცავს სანიაღვრე კანალიზაციას დაბინძურებისა და გაჭედვისაგან. ახდენს წვიმიანისეზონისასნამეტიწყლისშეგროვებას და გაფილტრულის გამოყენებას სხვადასხვა

დანიშნულებისა და მორწყვისათვის;

- გლობალური დათბობის გამო, მძიმე აირების განეტრიალება ხდება მწვანე სახურავების ფოტოსინთეზის შედეგად გამოყოფილი ჟანგბადით და ამით ხდება ეკოლოგიური ბალანსის აღდგენა;
- მემბრანული მწვანე სახურავები სხვადასხვაა. მისი მიწის სისქე მერყეობს 5 სმ-დან 5 მეტრამდე, გააჩნია დანიშნულებას.

**განფასება.** ექსტენსიური გამწვანების – 5 სმ-დან 0,5 მ–მდე 1 კვ.მ ფასია - 29-35 ევრო

ინტენსიური გამწვანება -0,5 მ–დან 5მ–მდე 1 კვ.მ ფასია 52 ევრო.

**სტატისტიკა:**

1. გერმანიის დუისბურგის უნივერსიტეტის მონაცემებით 1000 კვ.მ ექსტენსიური სახურავისა შთანთქავს 8 კგ. მტვერს.
2. კანადის ტორონტოს მონაცემებით მავნე გაზები მცირდება 5 – 10 %-ით.
3. სინგაპურის მონაცემებით, მწვანე გადახურვის სიახლოვეს მცირდება გოგირდის დიოქსიდი 37 %-ით და 21 %-ით მხუთვი გაზის რაოდენობა ჰაერში.
4. დეტროიტის (მიჩიგანშის აშშ) გადახურვების 20% მწვანეა და წელიწადში ანეიტრალებს 889 ტონა აზოტის ოქსიდს.
5. მიჩიგანის უნივერსიტეტის მონაცემებით სახურავების საერთო რაოდენობიდან მწვანე გადახურვების 20% შემთხვევაში ეკოლოგიური ეფექტი 17000 ხის ბიოლოგიური აქტივობის ტოლფასია.

რაც შეეხება საქართველოს. დღეს ჩვენი ქვეყანა ამ ტექნოლოგიების ათვისების და გამოყენების სივრცეში, რბილად რომ ვთქვათ პირველ ნაბიჯებს დგავს. ისმის კითხვა, რა სოციალური ნიშაა, ის სადაც თითქოს და, ძვირად, ღირებული ტექნოლოგიები, შიძლება იყოს გამოყენებული?

1. პირველი სოციალური საცხოვრისების პროგრამა;
2. არსებული საცხოვრებელი უბნები: გლდანი, თემქა, და ა. შ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რევიტალიზაცია – სოციალური ადაპტაცია;

როგორ მოხდება გაღებული ხარჯების ამოღება – პერსპექტივაში, თუ მყისიერად? სავარაუდოთ, ორივე-მიმართულებით. თუ ჩვენ ავიღებთ ერთი კვარტალის **Google,** ვნახავთ, რომ სახურავების და გამწვანების ფართი პარიტეტულია. სინამდვილეში კი, მიწის დონეზე, ასფალტირებული გზებისა და ეზოების ფართი რამდენჯერმე მეტია გამწვანების ფართზე. გოოგლში მწვანე ნარგავების, ხის ვარჯი ვიზუალურად ფარავს გზების სიბრტყეს და ცრუ შთაბჭდილებას ტოვებს.

- გამწვანებული სახურავები არამარტო ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების კუთხითაა აქტუალური, არამედ მათი მოსახლეობისათვის ნაკვეთებად დარიგების კუთხითაც, რაც მეტად აქტუალურია სოციალურ საცხოვრისებში, როგორც სოციალური პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდოლოგია. ეს ნაკვეთები არის საშუალება, რამდენიმე ოჯახის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის კუთხით. ბათუმისათვის კი მწვანე სახურავების ერთ–ერთი ტექნოლოგიური მახასიათებელი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, წარმოადგენს მუსონული წვიმების წყლის ფილტრაციის და შემცირებული რაოდენობით,, სანიაღვრე კოლექტორებში ჩაშვების ეფექტით, რაც გადაჭრის ბათუმის სანიაღვრე –კანალიზაციის შლამით დატრომბვასა და წყლის ნაკადებით ქალაქის სამანქანო და ფახმავალთა ინფრასტრუქტურის დატბორვის პრობლემას, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშვნული მწვანე სახურავების **ტექნიკო-ეკოლოგიური მაჩვენებლები ჩამონათვალში** „ძლიერი წვიმების დროს მწვანე სახურავი აკავებს წყლის 50%-ს, ამცირებს ქალაქების დატბორვას, ფილტრავს წყალს მტვრისა და ნაგვისგან, იცავს სანიაღვრე კანალიზაციას დაბინძურებისა და გაჭედვისაგან. ახდენს წვიმიანი სეზონისას ნამეტი წყლის შეგროვებას და გაფილტრულის გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებისა და მორწყვისათვის“, რაც ძალიან აქტუალურის აჭარის რეგიონისა და კონკრეტულად ბათუმისათვის.

*Medea Melqadze*

**Green roof, ecologies revitalization and social programs**

**SUMMARY**

It is common knowledge that ecology not only represents a problem in only one field, but overlaps almost all spheres of human life.

The architecture, as a major factor determining the space-anthropogenic system for organizing living and healthy environment of a human being, represents one of the most critical elements in the entire environmental policy.

Given the above, the topic of roofs is one of the most top priority aspects in the US, as well as other countries worldwide.

One needs to mention that the policy of "green roves" is particularly outstanding in New York. It is known that the aggregate size of green roves in New York is four times larger than the central park of the mega police with 341 hectares.

The recent amendment into Law on Urban Planning in Germany stipulated that both developers as well as municipalities are obligated to ensure the revitalization of existing and/or new roofs – reorganize roofs – into small green areas.

In this context, the remit of our review is to answer a question, as to what is the situation in present day Georgia and in particular in Tbilisi?

*Медея Мелкадзе*

**Зелнные крыши, экологическая ревитализация и социальные программы**

**РЕЗЮМЕ**

Известно, что тема экологии стала интердисциплинарной.

Архитектура, как организация пространства, определяет здоровую среду обитания для человека.

Исходя из этого, тема перекрытия – зелённых крыш - одна из приоритетных в мире.

В данное статье мы предлагаем информационный колаж американской и европейской практики и соответственно даём рекомендации для отечественного применения. Речь идет о хорошо известной технологии интенсивных и экстенстивных зеленных перекритиях.

Также в статье ставится целесообразность внедрение данной технологии в архитектурную политику социальных жилищ в грузии, как способ решения проблемы жилья и трудоустроиства перемещенных лиц в нашей стране.

# ქუჩის ხელოვნური განათების არქიტექტურულ-მხატვრული მნიშვნელობა

*ქეთევან სალუქვაძე, არქიტექტურის დოქტორი*
*შოთა გელაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი*

*საკვანძო სიტყვები:* *ქუჩა. განათება, ქალაქი, კომპოზიცია, შეთანაწყობა;*

დღეს XXI- საუკუნეში თანამედროვე ქალაქის იერსახის შესაქმნელად მნიშვნელოვანია არა მარტო სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები, ამავდროულად არქიტექტურულ-მხატვრული და ესთეტიკური ღირებულებები. სწორედ ქალაქის მხატვრულ-ესთეტიკურ სახეს ენიჭება განსაკუთრებული როლი, ხალხის მასებზე ემოციური ზემოქმედების, მათი აღზრდისა და ორგანიზების საქმეში.

სინათლე არქიტექტურულ გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, ბუნებრივი განათება ყოველთვის იყო გამოყენებული არქიტექტორების მიერ არქიტექტურული მოცულობის გამოხატვის გაძლიერებისათვის მაგრამ განსაკუთრებით გართულდა სიტუაცია, როდესაც გამოჩნდა ღამის ხელოვნური განათება და განსაკუთრებით მისი თანამედროვე საშუალებები. ელექტროენერგიის და მისი დანადგარებისა თუ საშუალებების სწრაფმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა არქიტექტურისა და შუქგანათების სინთეზი. ღამის განათება გვაძლევს საშუალებას, ხაზი გაუსვათ ქალაქის განაშენიანების თავისებურებებს, ლოკალიზება მოვახდინოთ ქალაქის თავისებურ აქცენტებზე და შევქმნათ ჰარმონიული დამოკიდებულება ღამით მოძრავ ადამიანსა ქალაქის ქუჩებსა თუ მოედნებს შორის.{3}

დღეს მსოფლიოში არ არსებობს ღამის განათების აწყობილი თეორია სადაც გათვალისწინებული იქნება ესთეტიური და ფუნქციური მოთხოვნები. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ქალაქის განათების ერთიანი კომპოზიციური სისტემის შექმნა ხშირად წინააღმდეგობას ქმნის ეკონომიურ და ტექნიკურ ფაქტორებთან.

ღამის განათება მრავალ საუკუნეს ითვლის. მსოფლიოს ხალხები სახალხო დღესასწაულების, კარნავალ-მასკარადების და სხვა გასართობი სანახაობების დროს იყენებდნენ ილუმინაციის სხვადასხვა საშუალებებს: კოცონებს, ფეიერვერკებს, ფარნებს, ჩირაღდნებს და სხვა. უკვე XX საუკუნის დასაწყისში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება საჭირო გახდა არამარტო საყოფაცხოვრებო მიზნით, არამედ ქალაქის ქუჩების,მაღაზიების ვიტრინების, რეკლამების და სხვადასხვა ელემენტები გასანათებლად. ისეთ განვითარებულ ქვეყნებში როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა, მალევე დაინახეს ის შესაძლებლობები, რომლებიც ტექნიკური საშუალებებისა და ელექტროენერგიის წყაროების ერთობლივი გამოყენებით დაეხმარებოდა ქალაქმგეგმარებლებსა და არქიტექტორებს ახალი სიტყვა ეთქვათ ქალაქის მხატვრულ ესთეტიური იერსახის შექმნის საქმეში.{4}

დღეს ქალაქის ცხოვრება მრავალმხრივია არა მარტო დღისით, არამედ საღამოს და ღამის საათებშიც. მოძრაობა ქუჩებში, სხვადასხვა სახის დასვენების სახეები, საზოგადოებრივ-კულტურული, საბანკო-სავაჭრო დაწესებულებები, ინფორმაცია, პროპაგანდა და სხვა გარკვეულ წილად ხორციელდება ხელოვნური განათების მეშვეობით. განათებული წერტილები და ლაქები, რთული გრძივი და განივი ნახატები, დიდი ზომის სიბრტყეები და ა.შ. - ეს არასრული ჩამონათვალია განათების იმ ხელოვნური ფორმებისა, რომლებიც გამოიყენება დიდი ქალაქების ქუჩებსა და მოედნებზე.{1}

ქალაქ თბილისის განათება საღამოს და ღამის საათებში XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო 1863 წლიდან ქუჩების განათება ჯერ სანთლებით, 1881 წლიდან ნავთის, ხოლო შემდეგ კი გაზის ფანრების საშუალებით ხორციელდებოდა. პირველად ქუჩების განათება დენის საშუალებით 1898 წელს და-

იწყო, როდესაც ამუშავდა პირველი თბოელექტრო სადგური. ქუჩებზე არსებული გასანათებელი წყაროებისბრაოდენობა 1870-1921 წლებში 887-დან 1500-მდე მერყეობდა. საბჭოთა პერიოდში 1921-1940 წლებში მათი რიცხვი 10-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა, ხოლო II მსოფლიო ომის შემდგომ მათი რიცხვი განუსაზღვრელად იზდება. ამასთანავე ტექნიკური პროგრესის შესაბამისად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და სისტემებიც.

2004 წლიდან ქალაქი იწყებს განათების ახალი პერიოდს. ქალაქის მესვეურები, განათების სპეციალისტები, არქიტექტორ-ურბანისტები და დიზაინერები იწყებენ ახალ, ენერგიულ ეტაპს, რათა მთელი ქალაქი, ქუჩები, მოედნები იქნას კარგად განათებული და ამით კიდევ უფრო შეეწყოს ხელი ღამის ქალაქის შესანიშნავ სურათს, რაც საშუალებას მისცემს არამარტო ქალაქის მოქალაქეებს სწორად-ესთეტიურად აღიქვან ქალაქი, ხაზი გავუსვათ ქალაქის განაშენიანების თავისებურებებს, ლოკალიზება მოვახდინოთ ქალაქის თავისებურ აქცენტებზე და შევქმნათ ჰარმონიული დამოკიდებულება ღამით მოძრავ ადამიანსა ქალაქის ქუჩებსა თუ მოედნებს შორის.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ საკითხების სრული გადაწყვეტა არსად არ არის, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი და კარგი მაგალითი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ქალაქის ღამის განათების გარკვეული პრინციპები სადაც მიღწეული იქნება არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობის მაღალი დონე.{2}

ქუჩებისა და მოედნების განათება არის ყველა ქალაქის განათების ძირითადი და აუცილებელი ელემენტი. ქალაქის განათების მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ქალაქის ტრანსპორტისა და ფეხმავალთა მოხერხებული და უსაფრთხო მოძრაობა საღამოს და ღამის საათებში. ამისათვის უნდა განათდეს ქუჩების ტროტუარები, ტრანსპორტის მოძრაობის გზები, აგრეთვე შუქნიშნები და სიგნალიზაციის მაჩვენებლები. მხოლოდ ამ ელემენტების ერთობლივი მუშაობით შესძლებელია ყოველგვარი მოძრაობა ღამის ქალაქში.

იმისათვის რომ მივიღოთ განათების სწორი სისტემა აუცილებელია ვიცოდეთ გზის საფარველის პროფილის სიკაშკაშის საშუალო მონაცემი და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის მაჩვენებელი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აუცილებელია ვიცოდეთ აგრეთვე გასანათებელი მოწყობილობების განთავსების სიმაღლე, უფრო ეკონომიური განათების წყაროების შერჩევა და მათი გამოყენებისას ავტომატური საშუალებების სწორი მართვა.

ქუჩების ტროტუარების განათების დონე ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე სამანქანო სავალი ნაწილის, რადგან აქ განთავსებული შენობა-ნაგებობების და მათი შესასვლელების, ვიტრინებისა და რეკლამების სხვადასხვა მაჩვენებლების და ა.შ. ელემენტების არსებობა ახდენს ქუჩის ამ ნაწილის განათების მეტ სიკაშკაშეს. ეს ფაქტი ხშირად ხელს უშლის ავტომძღოლებს მოძრაობისას. ქუჩების განათების ძირითადი ამოცანაა შეიქმნას საკმაოდ მკაფიო ხილვადობა როგორც ტროტუარებზე, ასევე ტრანსპორტის სავალ ნაწილზეც, მაგრამ ამას ემატება აგრეთვე ქუჩაზე არსებული შენობა-ნაგებობების ვერტიკალური სიბრტყეების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ქუჩაზე არსებული მწვანე ნარგავების და სხვა ელემენტების განათება.

თანამედროვე ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტისა და ფეხმავალთა ნაკადების ინტენსივობის ზრდა იწვევს აგრეთვე ქუჩებში მაჩვენებლებისა და სიგნალიზაციის ელემენტების მკვეთრ ზრდასაც. ქუჩის გასანათებელ მაჩვენებლებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო და მინიმალური განათება, ხოლო სხვა სახის მაჩვენებლებსა და სიგნალიზაციის ელემენტებს ეს არ მოეთხოვებათ. ისინი მკვეთრად უნდა გამოირჩეოდნენ ღამის ქალაქის განათების რთულ სისტემაში. ქუჩის გასანათებელი მოწყობილობების სინათლე მიმართული უნდა იყოს ქვევით, ზოგ შემთხვევებში გვერდით, მაგრამ არა ზევით. მხედველობა მით უფრო მაღალია რაც უფრო მაღალია გზის საფარის სიკაშკაშე და იგი დამოკიდებულია განათების დონესა და არეკვლის კოეფიციენტზე.

მთელს მსოფლიოში, ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს კვლევები ამ მიმართულებით კერძოდ ჰოლანდიაში, შეერთებულ შტატებში, ფინეთში და ა.შ. ჩიკაგოში ჩაატარეს გამოკვლევა: ერთი და იგივე ქუჩის გარკვეულ მონაკვეთში განათებულობა შეცვალეს სამჯერ. ყველაზე მეტად განათების შემთხვევაში ავარიები იყო ორჯერ ნაკლები ვიდრე ყველაზე ნაკლებად განათების შემთხვევაში, ფინეთში კი სწორად ორგანიზებული ქუჩის განათებისას სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი 30% – ით ნაკლები აღმოჩნდა.

მცირე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას ქალაქის ხელოვნური ღამის განათება ხორციელდება ფრაგმენტალურად ქალაქის, რაიონის ან ქუჩის არქიტექტურულ-ურბანული გადაწყვეტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ როგორც ქალაქების, ქუჩების ღამის პერიოდში სრულფასოვნად გასანათებლად, საჭირო და აუცილებელია განათების კომპლექსური კომპოზიციური სისტემის შექმნა მთელი ქალაქისათვის, ხელოვნური განათების სისტემის გადაწყვეტა სასურველია მრავალმხრივად გაანალიზებულ ფუნქციონალურ საფუძველზე დაყრდნობით მოხდეს. ქალაქის ღამის განათებისას უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც არ შეუშლიან ხელს ქალაქის კომფორტულ ცხოვრებას. ქალაქში უნდა შეიქმნას ისეთი სურათი, რომლის ესთეტიურ-მხატვრული სახეიმუშავებს მნახველზე იდეოლოგიურად და ფსიქოლოგიურად.

იმისათვის, რომ ხელოვნური განათების კომპლექსური შეთანაწყობა მოხდეს ქალაქის იერსახესთან, მთლიანი განათების სისტემების პროექტირებისას საჭიროა რაიონების, ქუჩების, მოედნების, ბაღ-პარკების, წყლის სარკეების და ა. შ. ცალკეული გადაწყვეტების ურთიერთკავშირები. ვფიქრობთ, რომ ხელოვნური განათების პროექტირებისას აუცილებელია არქიტექტორების, ურბანისტების, დიზაინერების, მხატვრების, ელექტრო-ტექნიკისა და საინჟინრო სპეციალისტების ჩართულობა აღნიშნულ სფეროში, რათა სწორად იქნას განხორციელებული და მიღებული საინტერესო შედეგით, რაც ერთობ მნიშვნელობანია ქუჩის ხელოვნური განათების არქიტექტურულ-მხატვრული მნიშვნელობისათვის.

### ლიტერატურა:


1. ბაგრატიონ-დავითაშვილი გ. ელოშვილი დ. - დიზაინი, ტრადიცია და თანამედროვეობა. თბილისი. 2005. გვ. 100 (გვ. 62-84);
2. Орфинский В. П. – Закономерности развития архитектуры. Стройиздат. Ленинград. 1987. ст. 208.
3. Дамский А. И. – Электрический свет в архитектуре. Литература по строительству. Москва. 1970. ст. 140. (ст. 5, 53-54, 76-77.)
4. Страутманис И. А. – Информативно-эмоциональный потенциал архитектуры. Стройиздат. Москва. 1978. ст. 120



### RESUME

This article discusses the main features of the street with artificial lighting, which contributes to the appearance of modern architecture to create an exciting environment. Presents a historical overview (in the example), and reflects the current situation. Represented in the form of a recommendation to the correct functional solutions. Small recommendation in the correct functional solutions. In order to make the city look artificial lighting complex coordination of the design of the lighting systems need districts, streets, squares, gardens and parks, and a water mirror. . Relationships between the individual solutions.



### РЕЗЮМЕ

В сатье рассмотрены те основные характеристики искусственного освещения улиц, которые способствуют созданию интересного внешнего вида современной архитектурной среды. Представлен исторический обзор и отображен сегодняшний день. В виде небольшой рекомендации представлены пути правильного функуционального решения. Для того, чтобы искуссственное освещение комплексно сливалось с внешним видом города, при проектировании всей системы освещения необходима взаимосвязь отдельных решений районов, улиц, площадей, садов-парков, водных зеркал и т.д.

# ბუნებრივი გამწვანების მნიშვნელობა ინტერიერში („სარგებლობა, სიმყარე, სილამაზე“)

*ქეთევან სალუქვაძე, არქიტექტურის დოქტორი*
*ნატალია კოპალიანი, ეკონომიკის დოქტორი*

*საკვანძო სიტყვები:* *გამწვანება, მიკროკლიმატი, ფილტრაცია, მწვანე დეკორი.*

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა საკითხები. საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ამ პრობლემებისადმი გამოიკვეთა მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც კაცობრიობის წინაშე წამოიჭრა გარემოს დაცვის პრობლემა და აშკარა გახდა ადამიანის საქმიანობის ზოგიერთი მავნე შედეგისაგან მისი დაცვის აუცილებლობა.

არქიტექტურის კავშირი ბუნებასთან განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც, იგი არის არა მხოლოდ ადამიანის ესთეტიკურ მისწრაფებათა ნაყოფი, არამედ პრაქტიკული აუცილებლობასაც ითავსებს,რადგან მისი მიზანი ხომ ადამიანის არსებობისთვის საჭირო ხელოვნური გარემოს შექმნაა. ამიტომ არქიტექტურა ყოველ ეპოქაში, თავისი განვითარების მთელ მანძილზე, წარმოადგენდა ხელოვნების, საინჟინრო მეცნიერებისა და საამშენებლო ტექნოლოგიების მტკიცე შენაერთს. ამის შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნეში წერდა დიდი რომაელი არქიტექტორი და თეორეტიკოსი ვიტრუვიუსი, როდესაც არქიტექტურის არსს ხედავდა ფორმულაში „სარგებლობა, სიმყარე, სილამაზე“. ეს შეხედულება დღესაც სავსებით აქტუალურია.

XX საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ქალაქების ტექნოგენური ევოლუციის, შედეგად კი ადამიანისა და ბუნების, არქიტექტურისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობის საკითხებში ეკოლოგიური კრიზისის ნიშნები. ანთროპოგენული პროცესები, რომლებიც ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს, მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ადამიანის ყოფითი გარემო სამეცნიერო კვლევების, სერიოზული შესწავლის, დისკუსიებისა და მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების საგანი გახდა. {3}

დღეს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მზარდი ტენდენციების პირობებში, განუზომლად მატულობს. ცხადია, რომ კაცობრიობა დედამიწის გარდაქმნის გადამწყვეტი ფაქტორია, თუმცა მისი ნეგატიური პროცესის საჭირო მიმართულებით წარ-მართვა – ბუნების კანონების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ამიტომ ჭეშმარიტების შემცველია ფრაზა: „ადამიანი განაგებს ბუნებას მანამდე, ვიდრე ანგარიშს უწევს მის კანონებს.“ ბუნების განვითარების კანონები კი მის თვითგანვითარებას იწვევს.

კაცობრიობის განვითარება ბუნებასთან განუწყვეტელ ურთიერთობაში ხორციელდება. ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა მატერიალური რესურსი, რომელიც ბუნებაზე ზემოქმედებით უნდა მიიღოს. ბუნებისა და საზოგადოების ეს ურთიერთქმედება რთული და წინააღმდეგობრივია, რომელიც ადამიანის ევოლუციის კვალდაკვალ თანდათანობით იცვლებოდა. {2}

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შენობათა ინტერიერში შიგა სივრცის მიკროგარემოს ბუნებრივი საშუალებებით ეკოლოგიური ოპტიმატიზაციის მიღწევა. სადაც გამწვანებას, როგორც ბუნებრივ რესურსს ერთ ერთი წამყვანი როლი ენიჭება, ბუნების ფრაგმენტების ჩართვა ინტერიერში ერთ-ერთი უძველესი და ძლიერი გამომსახველობითი ხერხია. ცხადია ინტერიერის და ბუნების ურთიერთკავშირის ხასიათი, ფორმა და ხარისხი უნდა პასუხობდეს შენობის დანიშნულებას.

ბუნებრივია არქიტექტორისთვის დაპროექტების საწყის სტადიამდე ჩნდება მომავალი შენობისა და მისი ინტერიერის სახე, ხასიათი, ანალიზდება სოციალური დაკვეთა, განისაზღვრება ინტერიერის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე ტექნიკურ შესაძლებლობებსა და არქიტექტურულ-სტილისტურ თავისებურებებზე, კლიმატურ პირობებსა და ადგილობრივ ეროვნულ ტრადიციებზეა დამოკიდებული.

უდავოა ის ფაქტი, რომ ცოცხალი ბუნება მშვენივრად ეწერება ნებისმიერი დანიშნულებისა თუ სტილის ინტერიერში. ზოგადად ადამიანის მოთხოვნილება ბუნებრივი განათების, განიავებისა თუ გამწვანების მიმართ, კანონზომიერს ხდის მათ ჩართვას ინტერიერის კომპოზიციაში. ინტერიერში ცოცხალი ბუნების ელემენტები- ზამთრის ბაღების, გამწვანებული ლოჯიების, ტერასების თუ სხვა სახით შემოდის, რასაც თავსი მხრივ არა მარტო ესთეტური, არამედ ინტერიერის მიკროკლიმატის გამაჯანსაღებელი მნიშვნელობაც აქვს.

ბუნებრივი გამწვანების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა თანამედროვე ინტერიერებში, სხვადასხვა ზედაპირების (კედელი, ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კარები, ავეჯი) მოსაპირკეთებელად მასიურად გამოიყენება არაბუნებრივი, სინთეტიკური მასალები. ამ მასალების გამოყენება და მათ მიერ ჰაერში გაბნეული ტოქსიკური ნივთიერებები თავისთავად, ინტერიერის მიკროკლიმატის მნიშვნელოვნად გაუარესებას განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ინტერიერში კომფორტული მიკროკლიმატის შექმნას.{6}

საყურადღებოა, რომ ინტერიერში ბუნებრივი გამწვანების ელემენტების მიკროკლიმატის გაუმჯობესების მიზნით შეტანა და მათი ბუნებრივი ფილტრების სახით გამოყენება, დღეისათვის მსოფლიოში ერთ ერთ ახალ ტენდენციას წარმოადგენს. ეს მიმართულება ყოველდღიურად უფრო და უფრო პოპულალური ხდება.

ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება ადამიანის საარსებო მიკროგარემოსა და ემოციური გუნებაგანწყობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. მცენარეთა სხვადასხვა კომპოზიციები ამშვენებენ ოთახებს და დადებითად მოქმედებენ ჩვენს ემოციებზე. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, რაც შეიძლება ვიცოდეთ ინტერიერის ბუნებრივი გამწვანების შესახებ.

ინტერიერის ბუნებრივ გამწვანებას რიგი თავისებურებები გააჩნია, კერძოდ ის გარკვეულ უნარებს, ცოდნას, დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. აქვე უნდა ითქვას ინტერიერის ბუნებრივი გამწვანების დადებითი მხარეების უპირატესობებიც. ინტერიერიში ბუნებრივი გამწვანებით შექმნილი გარემო სასიამოვნოა, როგორც ვიზუალური ისე ესთეტიური თვალსაზრისით. ცნობილი ფაქტია რომ ცოცხალი მცენარეები ჰაერიდან შთანთქავენ ნახშიროჟანგს და გარემოს ჟანგბადით აჯერებენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გონივრულად უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის საარსებო მიკროგარემოს გაუმჯობესებოსათვის. {2}

ინტერიერის მიკროკლიმატზე ბუნებრივი გამწვანების ფაქტორის ზემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესოა ამ მიმართულებით ჩატარებული ჩვენთვის ცნობილი მცირერიცხოვანი კვლევის შედეგები. კერძოდ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ციმბირის ბოტანიკური ბაღის СО РАН (ЦСБС) მეცნიერთა ჯგუფი 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ეკოტენდენციათა კუთხით შეისწავლიდნენ ინტერიერის ბუნებრივ გამწვანებაში გამოყენებულ ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეთა მიკროგარემოს გამაჯანსაღებელ თვისებებს. ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ბუნებრივი გამწვანების გამოყენებით მათ მიერ შემუშავებული იქნა რიგი რეკომენდაციები ინტერიერში ჰაერის გაჯანსაღებისა და ესთეტურად ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად, ასევე განისაზღვა ინტერიერის დიზაინის ეკოტენდენციებიც. {5}

კვლევით დადგენილი იქნა, რომ შენობებში სადაც ინტერიერის დიზაინერი ფიტონციდნურ მცენარეებს იყენებს, ჰაერში პატოგენურ მიკრო-

ორგანიზმთა რაოდენობა საშუალოდ 50%-ით და მეტადაც მცირდება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მცენარეთა სხვადასხვა სახეობებს ინტერიერის ჰაერის სტუქტურაში შეუძლიათ სხვადასხვა ქიმიური დაბინძურების კონცენტრაცია 20-30% -ით შეამცირონ.{7}

კვლევებით გამოვლენილი იქნა, რომ ჰაერში მოსაპირკეთებელი მასალების მიერ გამოყოფილი ნივთიერებები, მცენარეთა ფოთლების ზედაპირებსა და ფესვების მიმდებარედ ილექებიან. მათგან ნაწილს თავად მცენარე ზრდა-განვითარებისათვის იყენებს, ხოლო ნაწილს ე.წ. ის ბაქტერია სიმბიოტები იყენებენ, რომლებიც მცენაეთა ფესვებზე ბინადრობენ. {3}

მეცნიერებმა ასევე ერთმანეთს შეადარეს ინტერიერის მიკროკლიმატის ჰაერისა და გარე ჰაერის შემადგენლობა და შედეგად დაადასტურეს რომ ინტერიერის ჰაერი ოთხჯერ უფრო დაბინძურებულია და შვიდჯერ უფრო ტოქსიურია ვიდრე გარეთ.

კვლევებითვე დადასტურდა, რომ ინტერიერში გამოყენებულ გამწვანების, როგორც ბუნებრივი ფიტოფილტრების ეფექტურობა, რიგ შემთხვევაში უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ჰაერის ტექნიკური და ქიმიური საშუალებებით გამწენდი მოწყობილობებისა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო თუ საცხოვრებელი მიკროკლიმატის ხარისხის შეფასებისას ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფაქტორს, მაგრამ მცენარეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასა და გარემოს ესთეტიურ აღქმაზე. რითაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ადამიანის ემოციურ განწყობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე.{4}

საყურადღებოა ის ურთიერთკავშირები, რომლებიც ერთის მხრივ ინტერიერის მიკროგარემოს და მეორეს მხრივ გარე გარემოს შორის არსებობს. კერძოდ, ისეთი ასპექტები, როგორიცაა ელექტროენერგიის მოხმარება, ვენტილაცია, ნივთიერებათა ემისსია, ზოგიერთი მასალის რადიოქტიური ველი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ცოცხალი მცენარეების და წყლის ბუნებრივი სახით გამოყენება განიხილება არა, როგორც დეკორის ცალკეული ელემენტები, არამედ როგორც ერთი მთლიანობა სხვა მაჩვენებლებთან ერთიანობაში. [5]

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას. {1}

კვლევებით დამტკიცებულია ასევე, რომ ბუნებრივი გამწვანება გავლენას ახდენს შრომის ორგანიზებულობაზე. ამცირებს დაღლილობას, დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, უფრო ნაკლებად წარმოიშობა კანის დაავადებები, ხველა და პირში სიმშრალე. იმის გამო, რომ დღისით მცენარეები ჟანგბადს გამოიმუშავებენ და აორთქლების შედეგად ზრდიან ჰაერის სინოტივეს.

ამდენად, აშკარაა ინტერიერში ცოცხალი მცენარეების, როგორც ერთგვარი ბიოფილტრი-ს მნიშვნელოვანი როლი. საფუძველს მოკლებული არაა ის მოსაზრება, რომ კაცობრიობამ თანამედროვე დონეზე განვითარება მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ გარს ცოცხალი მცენარეული სამყარო ერტყა, რომელიც მას ყველაფერს აძლევდა, რაც კი მის არსებობისთვის იყო საკმარისი. მცენარეთა როლი არც სადღეისოდ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა და გაცილებით შესამჩნევი გახდა, ისინი ჩვენთვის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და ესთეტიკური სიამოვნების წყაროს წარმოადგენენ. {4}

სწორედ დღეს XXI-საუკუნეში გაჩნდა ახალი ტერმინი „მწვანე დეკორი“, რომელიც თავისი უნიკალური თვისებისა და მნიშვნელობის გამო დღითიდღე იძენს აქტუალობასა და პოპულარობას.

## ლიტერატურა:


1. Бэкс М. Цветы в интерьере — М: ТОО «Внешсигма»,1997.324 стр.
2. Филин В.А. Что для глаза хорошо, что для глаза. / Филин В.А // Здоровье детей. 2005. № 16 Москва. Стройиздат 1987, 186 стр.
3. Психологический словарь. Под редакцией В.В. Давыдова, А.В. Запорожца, Б.Ф. Ломова. Москва. 1998. 123-216 стр.
4. კერესელიძე ა.ს.ადამიანი და მცენარეული ბუნების სილამაზე.1975წ 208გვ11./21 стр.
5. www.mygarden.ge
6. გოგიჩაიშვლის ბ. დისერტაცია - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსა-პოვებლად ბიოლოგიის მეთოდების სფეროში. (1959წელი) 145გვ 17/24стр.
7. ისაკაძე შ. "დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები". გამოცემის ადგი-ლი: თბილისი. 2009 წელი 312გვ21.45 стр.


## SUMMARY


Following from the above, we can conclude that the properly selected interior natural vegetation is an important factor. The results may also be caused to the existence of life and the quality of work at any corner in the interior of the green facilitates improvement. They reduce the tension of the fiber in the eyes of the load. This article discusses importance of the interior with natural greenery, present and future perspective. Widely represented in the analysis and the results of research conducted in this direction, which emphasizes the importance of the article.


## РЕЗЮМЕ


Исходя из вышесказанного, мы можем заключить, что естественное озеленение правильно подобранного интерьера здания является важным фактором. Указанные результаты могут быть обусловлены и тем, что существование зеленого уголка в любом интерьере способствует улучшению жизни и качества работы. Они уменьшают оптическое напряжение, в результате этого нагрузку на глаза.

В статье рассмотрены важность естественного озеленения интерьера, настоящее и будущая перспектива. Широко представлены анализ и результаты проведенных в этом направлении, исследований, которые подчеркивают актуальность статьи.

# ჰომოგენური და აგრესიული ვიზუალური ველები ურბანიზებულ გარემოში

*ნინო ხაზეიშვილი, არქიტექტურის დოქტორი, პროფ., სტუ*
*ზურაბ კიკნაძე, არქიტექტურის დოქტორი, პროფ., სტუ*
*მარიამ ხაზეიშვილი, დოქტორანტი, სტუ*

თანამედროვე ადამიანის ყოფითი გარემო ითავსებს ბუნებრივ გარემოს ე.წ. დედა ბუნებას – ტრადიციულად ცნობიერებაში აღბეჭდილ პეიზაჟებს; ხელოვნურად გარდაქმნილ გარემოს ე.წ. მეორე ბუნებას – კულტურულ ლანდშაფტს, პარკებს, ბაღებს და ა.შ.; და ხელოვნურად შექმნილ გარემოს ე.წ. მესამე ბუნებას – საგნობრივ სამყაროს, შენობებს, ნაგებობებს.

განვითარების პროცესში ტიპიური ვიზუალური ქმედება იყო მზერა ლამაზი ბუნებრივი პეიზაჟების: ღრუბლების, მთების, ტყეების, ზღვების მდინარეების, ორიგინალურად შეფერილი ცხოველების, ფრინველების და ა.შ. თანაბრად ლაგდებოდა დადებითი სენსორული ქმედების გარკვეული სტანდარტები: გამომხატველი შენობები და საკულტო ნაგებობები, ჭარბი დეკორით მორთული ტანსაცმელი, ყოფითი თუ საბრძოლო ინსტრუმენტები, ჭურჭელი და ა.შ.

ქალაქების ურბანიზაციის პროცესში, ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია “საწარმოო ეიფორია”, ახალბედა “საკვამურების ესთეტიკა”, რუხი ფერის ბატონობა. ადამიანის გარემომცველი ურბანული გარემო - ქალაქი ყოველგვარ სილამაზეს მოკლებული ჭუჭყიანი ღატაკი უბნებით, უსახური ნაცრისფერი სახლებით, დაბინძურებული ჰაერით, უხეში ხმაურით უკვე აღარ აკმაყოფილებდა სენსორული ქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. დღეს ბევრი რამ ამ “სამრეწველო ესთეტიკისა” უკვე უარყოფილია. თუმცა მაინც შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ სტიქიური ურბანიზაციის შედეგად გარემო გახდა “აგრესიული” მრავალი მილიონი წლის მანძილზე ბუნებრივი გარემოს მიმართ ევოლუციურად ადაპტირებული გრძნობის ორგანოებისთვის.

თანამედროვე ქალაქის მკვიდრი უპირველესად ხედავს ბრტყელ ზედაპირებს - ფასადებს, მოედნებს, ქუჩებს, ამ სიბრტყეების ურთიერთგადაკვეთას - მართ კუთხეებს. ბუნებაში კი მართი კუთხეებით დაკავშირებული სიბრტყეები საკმაოდ იშვიათია. ქალაქის კოლორისტიკაში დომინირებს მონოტონური ნაცრისფერი, ბეტონის და ასფალტის ფერი, ბუნებაში კი მომწვანო და თვალისთვის უფრო სასიამოვნო ფერებია (განსაკუთრებით თბილ კლიმატურ რეგიონებში). ქალაქში ბევრი მსგავსი, განმეორებადი დეტალებია, ბუნებრივი წარმონაქმნების თავისებურებად კი გვევლინება დეტალების კოლოსალური სიუხვე, მაგ. არ არის იდენტური ფოთლები, ბუჩქები და ა.შ. ამრიგად აშკარაა, რომ კარგად ორგანიზებული ხელოვნური გარემო ვალდებულია მიუახლოვდეს ბუნებრივს, ჰარმონიულად შეერწყას ლანდშაფტს, შეინარჩუნოს და განავითაროს რელიეფის პლასტიკური მთლიანობა და თვითმყოფადობა.

საზოგადოდ, ურბანიზირებული გარემოს სახე და მისი მდგომარეობა (ვიდეოეკოლოგია) ეკოლოგიური უსაფრთხოების ისეთივე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როგორიც დაბინძურებული ჰაერი და წყალი, ხმაური და რადიაციის მაღალი მაჩვენებელი. თანამედროვე ქალაქებში, იქ სადაც სოციალურ–ეკონომიური განვითარების ბობოქარი ტემპი იწვევს სივრცის მრავალფუნქციურ დატვირთვას და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებს, დიდი რაოდენობით სწორი ხაზები, მართი კუთხეები, დიდი ზომის სტატიკური ზედაპირები, მწირი ფერთა გამა, ჰომოგენური და აგრესიული ვიზუალური ველები გვევლინებიან გარემოს დამაბინძურებელ ფაქტორებად.

ჰომოგენურ ვიზუალურ ველში ხილული

ელემენტები ან საერთოდ არ არსებობენ ან მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ბუნებაში იგი წარმოდგენილია მაგ. არქტიკის, ანტარქტიდის უზარმაზარი თოვლიანი სივრცეებით. ურბანიზირებულ გარემოში კი ერთგვაროვანი უზარმაზარი ზედაპირებით, მოასფალტებული გზებით, შენობების შიშველი გვერდებით, მინის ფასადებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ მასალის გამოყენებით მიღწეულია გამჭვირვალობისა და გარემოს სარკული არეკვლის ეფექტური შედეგები) და ა.შ.

როგორც ცნობილია, მთელ ხილულ სივრცეს ადამიანი იკვლევს ავტომატურად საკადების საშუალებით (ციკლურად განმეორებადი თვალის სწრაფი მოძრაობებით). ჰომოგენურ ვიზუალურ ველში გლუვი მოსაპირკეთებელი მასალებით და პრიმიტიული არქიტექტურული მოცულობებით შედგენილი სწორი კონტურები და ნაგებობათა დიდი ერთფეროვანი სიბრტყეები არ აძლევენ თვალებს საყრდენს, თვალები ცოცავენ და ვერაფერს „ეჭიდებიან" ყოველი მომდევნო საკადის შემდეგ, ვერ პოულობენ დეტალებს მხედველობის ფიქსაციისთვის, შედეგად ქრება ვიზუალური ინფორმაციულობა. ეს სიტუაცია შეიძლება შევადაროთ შეგრძნებას, როცა ადამიანი დგამს ნაბიჯს და ვერ გრძნობს საყრდენს. მსგავსად თვალიც 3 წმ.–ის განმავლობაში დაახლოებით ათჯერ "ვარდება უფსკრულში". ამასთან, თვალთა იძულებითი მოძრაობების ამპლიტუდა მკვეთრად იზრდება. სრულფასოვნად ვერ მუშაობენ თვალის ბადურაზე არსებული ფოტორეცეპტორებიც ე.წ. on და off სისტემები, რომლებიც აქტივირდებიან სინათლის ჩართვა გამორთვისას და საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში (მაგ. თეთრ-შავი ან შავ-თეთრი), რაც ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან საკადამდე და მის შემდეგ მხედველობა რჩება ჰომოგენური ვიზუალური ველის ფარგლებში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასეთ გარემოში დარჩენა იწვევს ''ვიზუალურ შიმშილს'' და ფსიქოლოგიურ დისკომფორტს.

ჰომოგენურისგან განსხვავებით აგრესიულ ვიზუალურ ველში თანაბრად გადანაწილებულია ერთნაირი ელემენტების სიმრავლე. ცნობილია, რომ ობიექტების აღქმის პროცესში ადამიანი იყურება ორივე თვალით - ეს ბინოკულარული მხედველობის ფუნქციაა, საგნების მოცულობითი, სიღრმისეული ხედვაა. მისი ძირითადი ამოცანაა მარჯვენა და მარცხენა თვალიდან გამომავალი ორი გამოსახულების შერწყმის გზით მიიღოს ერთიანი ვიზუალურისახეტვინისმხედველობითცენტრებში. ეს მიიღწევა დასათვალიერებელ საგანზე ორივე თვალის მხედველობის ხაზების ერთდროული მიმართვით - თვალის კონვერგენციით. სწორედ ის ვერ მუშაობს ყოველთვის აგრესიული ველის აღქმის პროცესში. მაგ. დიდი რაოდენობით იდენტური ფანჯრების მქონე მრავალსართულიანი შენობის მზერისას შეიძლება შეიქმნას უჩვეულო სიტუაცია: მარჯვენა თვალი ხედავდეს ერთ ფანჯარას, მარცხენა კი მეორეს. ამ დროს თვალები ვერ ახერხებენ "ჩაიჭირონ" ერთი ფანჯრა და მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი საკადების ამპლიტუდა. შედეგად, ადამიანი ვერ ახდენს საგნის იდენტიფიკაციას კონკრეტულ მომენტში, ვერ პოულობს თუ რომელი ფანჯარა დააფიქსირა საკადამდე და რომელი მისი დასრულების შემდეგ, მაშინ როცა ტვინის მხედველობით ცენტრებში ხდება შერწყმა ერთ ხილულ გამოსახულებად - ერთ ფანჯარად. ტვინმა იცის, რომ თვალები არ კონვერგირებენ ერთ ფანჯარაზე, მათი მხედველობითი ღერძები პარალელურია და არსებითად არ უნდა გამოჩენილიყო ერთიანი სახე, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ის არის. ეს იწვევს ორი სისტემის არათანხვედრას, რომელთაგან ერთი აწვდის ტვინს სიგნალს - "ყველაფერი წესრიგშია", ხოლო მეორე - "არ არის აუცილებელი რომ იყოს". ჭეშმარიტი ვითარების გასარკვევად ტვინი იძულებულია გადაარჩიოს უამრავი შესაძლებლობა ე.ი. ამოხსნას უჩვეულო თავსატეხი. გარდა ამისა იქ, სადაც მზერა ხშირად კვეთს საზღვრებს, მაგ. თეთრ კედლებს და შავ ფანჯრებს ე.წ. on და off სისტემები იძულებულნი არიან იმუშაონ მაღალი დატვირთვით, წარმოქმნან სიგნალების დიდ ნაკადი თვალის ბადურიდან ტვინის მხედველობითი ცენტრების მიმართულებით. თუმცა ეს ნაკადი არ ატარებს დიდ ინფორმაციულობას, რადგან

აგრესიული ვიზუალური ველის მთელი მოცულობა ნათელია ერთი შეხედვითაც.

ადამიანი ხშირად ვერც კი გრძნობს და აცნობიერებს ჰომოგენური და აგრესიული ვიზუალური ველების მავნე ზემოქმედებას, რადგან ეს ქმედება მიმდინარეობს ქვეცნობიერ დონეზე, ხოლო მისი შედეგები გაწელილია დროში და გაფანტულია სივრცეში. ექსპერიმენტული და სტატისტიკური მონაცემები გვამცნობენ, რომ თანამედროვე არქიტექტურა, რომელსაც შემოაქვს ქალაქში ჰომოგენური და აგრესიული ვიზუალური ველები არღვევს ადამიანის ყოფითი გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, იწვევს ვიდეოდაბინძურებას, სადაც სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებენ მხედველობის მექანიზმები და ტვინის ნერვული უჯრედები, თვალები ვერ უკეთებენ ობიექტებს იდენტიფიცირებას და ლოკალიზებას სივცეში, რაც იწვევს სტრესს, ნეგატიურ განცდას, ფსიქოფიზიოლოგიურ აშლილობას და დაძაბულობას. ამდენად, მიზანშეწონილია არქიტექტურული პროექტირების პროცესშივე იქნას გათვალისწინებული მხედველობითი აღქმის მთელი რიგი ფაქტორები და კანონზომიერებანი.

## ლიტერატურა:


1. ხ. ფარქოსაძე., პერცეპტუალური დასწავლა ადამიანის მხედველობის სისტემაში., ბიოლოგიის დოქტ. აკად. ხარისხის მოსაპ. წარმოდგენილი დისერტაცია., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი., თბ. 2010
2. Филин В.А. Закономерности саккадической деятельности глазодвигательного аппарата. Автореферат дис. д-ра биол. наук М:1987г. 44 с.
3. Гибсон Г. Экологические процессы зрительного восприятия. М: Прогресс 1988, 380 с.
4. Грегори Р. Глаз и мозг (перевод с англ.) М: Прогресс. 1970. 272 с.
5. Филин В.А. Видеоэкология. М: ТАСС-Реклама, 1997. 317 с.



***Нино Хабеишвили,***
*Доктор архитектуры, Профессор, ГТУ*
***Зураб Кикнадзе, Доктор архитектуры,***
*Профессор, ГТУ*
***Мариам Хабеишвили,***
*Докторант, ГТУ*


## Гомогенные и Агрессивные визуальные поля в городской среде


### РЕЗЮМЕ

Говоря об экологических проблемах, как правило, имеется в виду только загрязненный воздух и вода, чрезвычайно высокый уровнь шума и радиации. Хот,я визуальная сторона городской среды и ее состояние является одним из важнейших факторов обеспечения экологической безопасности.

Визуальная среда многих городов и поселков с каждым годом ухудшается. В современных городах голые стены зданий, большие стеклянные поверхности, многоэтажные дома с многочисленными окнами и т.д. создают гомогенные и агрессивные визуальные поля, где глаза не в состоянии идентифицировать объекы и локализовать их в пространстве. Эта неблагоприятная визуальная среда нарушает психику и провоцирует человека к агрессивным действиям и насилию.



***Nino Khabeishvili,*** *Ph.D., Professor, GTU*
***Zurab Kiknadze,*** *Ph.D., Professor, GTU*
***Mariam khabeishvili,*** *Doctoral Studies, GTU*


## Homogeneous and Aggressive Visual Fields in an Urban Environment


### SUMMARY

When speaking about ecological problems usually is meant only of polluted air and water, extremely high noise and radiation level. But the visual face of urban environment and its condition are one of the major factors of environmental security.

Visual environment of many cities and towns became worse year after year. In modern cities and towns bare walls of buildings, large glass surfaces, many-storied houses with numerous windows etc. creates homogeneous and aggressive visual fields, where the eyes are not able to identify the object and localize in space. this unfavourable visual environment violates the psyche and provokes a person to aggressive actions and violence.

# ქუჩის ხელოვნების ემოციური, სოციალური დატვირთვა და ადგილი ურბანული გარემოს ვიზუალური აღქმის კონტექსტში

*ნინო ხაზეიშვილი, არქიტექტურის დოქტორი, პროფ., სტუ*
*ზურაბ კიკნაძე, არქიტექტურის დოქტორი, პროფ., სტუ*
*მარიამ ხაზეიშვილი, დოქტორანტი, სტუ*

ქუჩის ხელოვნება – Street art – მკაფიოდ გამოხატული ურბანული სტილია. მის ჟანრულ პალიტრაში ტრადიციულად შედის: გრაფფიტი (სპრეი არტი), ტრაფარეტები, სტიკერები და პლაკატები, კედლის გრანდიოზული წარწერები (მურალები), ვიდეო პროექცირება, სკულპტურული ინსტალაციები და ა.შ.

სთრით–არტში მნიშვნელოვანია ყოველი დეტალი, წვრილმანი, ჩრდილი, ფერი, ხაზი. აქ მხატვარი ქმნის საკუთარ სტილიზებულ ლოგოტიპს – „უნიკალურ ნიშანს" და გამოსახავს მას ქალაქის ლანდშაფტის ამა თუ იმ მონაკვეთზე. ყველაზე მთავარი მასში არა ტერიტორიის მითვისება, არამედ მაყურებელის დიალოგში „ჩათრევა" და მისთვის სხვადასხვა სიუჟეტური პროგრამის ჩვენებაა. მისი ყველაზე გავრცელებული და ცნობილი სახის – გრაფფიტის ისტორია ლეგენდის მიხედვით 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იწყება, როცა მუშა კილროიმ დეტროიტში დამზადებულ, ბომბებით სავსე ყველა ყუთზე გააკეთა წაერწერა, რომ ის იყო აქ – „Kilroy was here". ევროპაში დაბომბვას გადარჩენილმა ჯარისკაცებმაც დაიწყეს მსგავსი ფრაზების დაწერა კედლებზე. მოგვიანებით, „ვირუსის" ამ პირველ გამოვლინებას შეუერთდა კორნბრედის წარწერები ფილადელფიაში (1950–1960 წ.წ.). მხატვარმა ქულ ერლთან და ტოპ ქათთან ერთან „აიღო" მთელი ქალაქი. ეს სამეული ქმნიდა გრაფფიტს სრული გაგებით და საფუძველს უყრიდა ამ მიმდინარეობას.

ამავე პერიოდში რაიტერებმა (ქუჩის მხატვრებმა) დაიწყეს არა მხოლოდ ხატვა, არამედ მთელი ობიექტების აღმართვა სახელდახელო საშუალებებით. გამოჩნდა პირველი ინსტალიაციები, რომლებსაც სტუდიის მხატვარი ჯონ ბალდესარი და მისი მეგობარი იოზეფ ბოისი არაკანონიერად ასრულებდნენ ქუჩებში, რაც ძალიან სწრაფად იპყრობდა პუბლიკის და პრესის ყურადღებას.

1960–იანი წლების ბოლოს მოძრაობა ფილადელფიიდან შევიდა ნიუ–იორკში. ყველაფერი დაიწყო მანხეტენში, კვარტალ „Washington Heights"–ში. ნიუ–იორკის მაცხოვრებლები გრაფფიტს ძირითადად ხედავდნენ ღარიბი კვარტლების კედლებსა თუ მეტროს გასასვლელებში და აღიქვამენ მას, როგორც საფრთხისა და დაცემის მაგალითს. სახელებისა და ლოზუნგების ამოკაწვრა ასოცირდებოდა – ვანდალების მიერ, საკუთარი ინდივიდუალობის გამოსახატავად შესრულებულ, უგემოვნებო და აგრესიულ აქტთან. 1970 წლამდე ნიუ–იორკის მაცხოვრებელთა უმეტესობა ვერ იტანდა გრაფფიტს და უყურებდა მას, როგორც უკანონო ქმედებას. დროთა განმავლობაში გრაფფიტი შეიცვალა და ნელ–ნელა მოიპოვა აღიარება საზოგადოებაში, მაგრამ მასთან ერთად დაწესდა მკაცრი სანქციები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ყოველივე ამან ბიძგი მისცა გრაფფიტის ხელოვნების გასვლას მთელ ქალაქში. ზეწოლა ახდენდა მნიშვნელოვან და ზოგჯერ ფატალურ ეფექტს ბევრი რაიტერის მხატვრულ შემოქმედებაზე. თუმცა ყველა როდი ეგუებოდა ამ ფაქტს, ხდებოდა განვითარების ახალი გზების ძიება, ჩნდებოდა მრავალრიცხოვანი განშტოებები. გრაფფიტის მიმდევრები პირობითად დაიყვნენ: ბომბერებად და რაიტერებად. ბომბერს პატივისცემის მოპოვება შეეძლო – სახიფათო ადგილას შესრულებული ნახატების რაოდენობისა და ინდივიდუალური ხელწერის ხარჯზე; რაიტერი კი უპირატესობას ანიჭებდა ხატვის ხანგრძლივ და მშვიდ პროცესს. 1970–იან წლებში მოძრაობას გაეხსნა „მეორე სუნთქვა" და საქალაქო ხელოვნების ეს

ახალი ესთეტიკური ენა გახდა კულტურული ინსტანციების გარკვეული ყურადღების ობიექტი - კრიტიკოსებიდან გალერეებამდე. 1980–იანი წლების დასაწყისში მოხდა ახალგაზრდა რაიტერების მხატვრებად აღიარება. პირველი „ქუჩის მხატვრები“, ცნობილი მხატვრების: ჟან–მიშელ ბასკიას, ჯოზეფ კოშუტის, უილიამ ბერროუზის, ნენ გოლდინის, ენდი უორჰოლის და ლოურენს ვაინერის გვერდით, წარმატებით ფენდნენ თავიანთ ნამუშევრებს ნიუ–იორკის საუკეთესო გალერეებში თუ ევროპის ცნობილ მუზეუმებში.

დღეს ამ მოძრაობას აქვს „ქუჩის ხელოვნების“ სტატუსი, რომელიც გვხვდება ყველგან – ქუჩაში, რეკლამაში, ტანსაცმელზე თუ სხვადასხვა ყოფით საგნებზე. იგი შეგნებულად იცავს წონასწორობას ხელოვნებისა და ვანდალიზმის, თავისუფალი თვითგამოხატვისა და აღვირახსნილი ხულიგნობის, ნებედართულისა და დანაშაულებრივის, ესთეტიკურისა და სამართლებრივი ველის ზღვარზე.

სთრით–არტი ეს ბუნტის პათოსური ესთეტიზაციაა, ამბოხებაა არა ცალკეული სისტემური ხარვეზის, კონკრეტული პერსონაჟის ან ინსტიტუტის კორუმპირებულობის წინააღმდეგ, არამედ გამოსვლაა ყველაფრის და ყველას – კაპიტალისტური წყობის, ექსპლუატაციის, რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობის, პოლიციის მხრიდან სისასტიკის და მსხვილი დეველოპერების თვითნებობის, უმუშევრობის სტაბილურად ზრდის, სოციალური დაუცველობის და ა.შ. წინააღმდეგ. ეს აჯანყებაა პროგრამის, თანმიმდევრული რიტორიკის და მკაფიო ადრესატის გარეშე, რომელიც მიმდინარეობს სტიქიურად, კონკრეტულ მომენტში, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაუფორ-მებლად. როგორც ხელოვნების ფორმა და შეხედულებების გამოხატვის საშუალება მოქნილია, ყოვლისმომცველია და თავისუფალია ცენზურისგან. ეს ერთგვარი ანონიმური ვიზუალური დიალოგია მწერალსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის. ავტორები, როგორც წესი, იმალებიან ფსევდონიმების, მეტსახელების, კოდების და სიმბოლოების მიღმა.

ჟანრული მრავალფეროვნების მიუხედავად, სთრით–არტში ჭარბობს მსხვილი კორპორატიული კაპიტალის ფინანსური ინტერესების გამომსახველი არსებული სიმბოლური წყობის შემარყეველი საერთო იდეოლოგიური და სტრატეგიული ინსტალაცია. სოციალური პრაგმატიკის თვალსაზრისით მას შეუძლია შეასრულოს: პოლიტიკური შეტყობინების ფუნქცია, მომენტალურად გამოეხმაუროს სიახლეების ველის აქტურალურ მოვლენებს; კრიმინალური შიფრის ფუნქცია, მიუთითოს ბანდიტური გარჩევების წარმართვის ადგილზე, შეინახოს ხსოვნა დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ან მათსა და სამართალდამცავთა შორის ბრძოლაზე; და ბოლოს, სუბკულტურული გზავნილის ფუნქცია, რომელიც კეთდება არაფორმალური ახალგაზრდული დაჯგუფებების (პანკები, ემო, ანტიფა, რეპერები, სკინხედები) მისამართით, მათივე თუნდაც გასაიდუმლოებული სიმბოლიკის გამოყენებით.

ქუჩის მხატვარი – მუდმივად იცვლის თავ-ისი კრეატიული ძალის მოდების წერტილს, რეგულარულად გადადის ერთი მეგაპოლისიდან მეორეში, კონტინენტიდან კონტინენტზე. ასე მაგალითად, ცნობილმა სთრით–არტისტმა Above–მ 2002 წლიდან 2010 წლამდე მოასწრო მუშაობა პარიზში, ბერლინში, რეიკიავიკში, ლოს–ანჯელესში, სიეტლში, რიო–დე–ჟანეიროში, კუბაში და ა.შ. მუდმივ გეოგრაფიულ "ჯირითში" აიგო ბენკსის, BLU–ს, მაიკლ კირბის ვარსკვლავური კარიერებიც. ასეთი ნომადიზმი არა მარტო მთელი მსოფლიოს დაპყრობის სურვილის და საკუთარი მანერის თავისებურების ყველგან რეკლამირების შედეგია, არამედ არის ინტერნაციონალობაზე სთრით–არტის ფუნდამენტირებული ხაზის გამოვლინება. მხატვრულმა იერიშმა ერთ ქუჩაზე უნდა მოიპოვოს მსოფლიო გამოხმაურება.

ქუჩის ხელოვნება მიისწრაფის შეარჩიოს ქალაქის ინფრასტრუქტურის ის ფრაგმენტები, რომლებიც ატარებენ პოლიტიკური ტრაგედიის ან ეთნიკური კონფლიქტების ანაბეჭდს. არსობრივად სთრით–არტი ხელყოფს სიმბოლურ "ხსოვნის ადგილებს", რომლებიც თანამედროვე კულტურული ცნობიერებისთვის, გარკვეულ წილად, წარმოადგენენ

ხელახალ ტრამვებს. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო სთრით–არტი მიმართავს კოლექტიური მეხსიერების ტრავმატულ ასპექტებს, უმეტეს შემთხვევებში ის მუშაობს აქტუალური თანამედროვეობით. თავისი არსით სთრით–არტი ქმნის თანამედროვე ცხოვრების დიზაინს, შესრულებულს არა პროფესიული, სპეციალურად განსწავლული ადამიანების მიერ, არამედ უსახელო თვითნასწავლთა ძალისხმევით, რომლებიც საქალაქო სივრცეს ექცევიან, როგორც პოლიგონს. იმის მიხედვით ჭარბობს ამ დიზაინში საპროტესტო თუ გასართობი შემადგენელი, შეიძლება საუბარი პოლიტიკურ სთრით–არტზე ან მის სარეკლამო–კომერციულ ვარიანტზე.

ქუჩის ხელოვნების ფენომენისადმი საზოგადოების დამოკიდებულება დღესაც არ არის ერთგვარი. ზოგისთვის ეს კვლავ ვანდალიზმით აღსავსე აქტია, რაც ქალაქის ესთეტიკური სახის და ქონების გაფუჭებასთან ასოცირდება; ზოგისთვის კი საყოველთაო სივრცეში, ნებისმიერ თემაზე საკუთარი განცდების გახსნილად გამოხატვის შესანიშნავი საშუალებაა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სთრით–არტი არ არის გათვლილი კონკრეტული მნახველისთვის, მის სანახავად არ არის საჭირო დრესკოდი, ბილეთი ან სახელდახელოდ გამოგზავნილი მოსაწვევი, ის ეკუთვნის სოციუმს, ანუ დგას იქ, სადაც ხელოვნება ყოველდღიურად უნდა იდგეს.

## ლიტერატურა:


1. Дмитрий Голынко-Вольфсон., Стрит-арт: теория и практика обживания уличной среды., Художественный журнал, №81. 2006.
2. Чистякова М.Г., Стрит-арт в контексте вызовов современности., Барнаул., Известия Алтайского госуниверситета., №2/1 (70), 2011.
3. Орлова Э.А., Субкультуры в структуре современного общества. Субкультурные объединения молодежи., М., 1987.
4. Медведева О. П., Искусство граффити., Ростов-на-Дону., 2005.
5. Шмелева Т.В., Неинституциональная коммуникация в современном городе., Тезисы. Коммуникационная инфраструктура современного города., 2012.



***Нино Хабеишвили,*** *Доктор архитектуры, Профессор, ГТУ*

***Зураб Кикнадзе,*** *Доктор архитектуры, Профессор, ГТУ*

***Мариам Хабеишвили,*** *Докторант, ГТУ*


## Эмоциональное, социальное, нагрузка уличного искусство и его место в городской среде в контексте визуального восприятия

### РЕЗЮМЕ


Уличное искусство являеться сложным социальным вопросом. В течение многих десятилетий его присутствие вызывало оживленные обсуждения среди жителей современныхгородов.Главнаяидеяэтогоискусства борьба против правил и несправедливости.

Уличное искусство впитывает все тенденции и трудности повседневной жизни и для их интерпретации использует все средства. Здесь каждый пустяк - тень, цвет, линия, деталь важна. Художник создает свой стилизованный логотип - «уникальный знак» и превращает улицы в область авангардного искусства и в платформу самовыражения.



***Nino Khabeishvili,*** *Ph.D., Professor, GTU*

***Zurab Kiknadze,*** *Ph.D., Professor, GTU*

***Mariam khabeishvili,*** *Doctoral Studies, GTU*


## Emotional, social, load of street art and its place in the urban environment in the context of visual perception

### SUMMARY


Street art is a complex social issue. For decades, its presence has fueled intense debate among residents of modern cities. The main idea of this art is fighting against rules and injustice.

Street art absorbs all tendencies and difficulties of everyday life and for their interpretation uses all means. Here every trifle - shadow, colour, line, detail is important. The artist creates his own stylized logotype - “unique sign” and transform streets into the areas of avant-garde art and the platform of self-expression.

# არქიტექტურული „პარალელები“

*ნინო იმნაძე, აკად. დოქტორი, სტუ*

*საკვანძო სიტყვები: ავანგარდი, „ქაღალდის არქიტექტურა“, ფორმადწარმოქმნა, კონცეფცია, ისტორია.*

არქიტექტურის თეორეტიკოსისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ობიექტებზე ვიზუალური დაკვირვებით იპოვოს პირველსაწყისი წყარო შთაგონებისთვის. ასეთი კვლევის შედეგად ხშირად ვაწყდებით არქიტექტურულ პარალელებს. ცნობილია, რომ მსოფლიო არქიტექტურის ისტორია წარმოადგენს ურთიერთგავლენების რთულ სურათს, აქედან გამომდინარე **არქიტექტურული პარალელების გაჩენალოგიკურია, თუმცა პარადოქსულიც.** ეს არის სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ნაგებობების არსებობა, სადაც ასოციაციების დონეზე შეიცნობა იდეის გავლენა, ან ეს პროცესი ატარებს უშუალოდ კონკრეტული გადაწყვეტების გამეორების ხასიათს. აქედან გამომდინარე პროექტირებაში შეინიშნება არქიტექტურული ფორმის ფრაგმენტულობა და „სერიულობა“. „სერიულობა“ ფართო გაგებით „გამეორებადი ხელოვნებაა“,როდესაც ჩნდება ორიგინალის მთელი რიგი იმიტაციები, უკვე აღარავის ახსოვს პირველსაწყისი, რომელზედაც უმბერტო ეკო წერდა: „თავის დროზე ს. კუბრიკის ფილმს „კოსმიური ოდისეა“-ს მაყურებელი აღფრთოვანებით უყურებდა, დღეს კი მისი ნახვისას იმედგაცრუებული რჩება. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფილმის შემდეგ გაკეთდა სხვა მეტად დახვეწილი ფილმები, რომელმაც კულტურული მეხსიერებიდან წაშალა პირველსაწყისი წყარო შთაგონებისთვის“[1,გვ.76]. თუმცა მსგავსი განდევნა და დავიწყება არ ემუქრება კლასიკურ ხელოვნებას.

არქიტექტურაში მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ავანგარდი როგორც პირველწყარო არქიტექტურული ფორმის ძიებისთვის პირდაპირი მინიშნებით ასახვა ჰპოვა დღევანდელ არქიტექტურაზე.ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ აქ ლაპარქკია პირდაპირ სესხებაზე.მეტიც, „ქაღალდის არქიტექტურად“ წოდებული პერიოდი (1917-1925 წ.წ.) აღმოჩნდათანამედროვე არქიტექტურის დასაწყისის დასაწყისი. ჯერ კიდევ 1981 წელს მ. ბარხინი თავის ნაშრომში “Метод работы зодчего: Из опыта советской аритектуры 1917-1957 гг.” წერდააბჭოთა არქიტექტორების ნამუშევრების, განსაკუთრებით კი „ვხიტემასის“ სტუდენტების პროექტების გავლენაზე მსოფლიო არქიტექტურაზე, (რომელიც დღემდე გრძელდება), „რამდენად დიდხანს ცხოვრობენ არქიტექტურული იდეები? რამდენად ხანგრძლივია ამ იდეების ზემოქმედება სხვა თაობების ნამუშევრებზე? რა უნდა მოხდეს ისეთი ობიექტური, რომ 30, 40, 50 წლის შემდეგ წარსულის ჩანაფიქრები აღმოჩნდეს ახლობელი? არც საბერძნეთი და ეგვიპტე,არც რომი ან აღორძიება - ისინი „მუდმივია“, რატომ გახდა ეს არც ისე შორეული ისტორიული „მემკვიდრეობა“ ასეთი ახლობელი ახალგაზრდა თაობისთვის, რომლებიც ეძებდნენ „სიახლეს“ და „სიმძაფრეს““. [2, გვ. 16] აქ შეიძლება არსებობდეს ორი შესაძლო მიზეზი: მსგავსი იდეები გაჩნდა დამოუკიდებლად, რადგან პარალელიზმი აზროვნებაში დასაშვებია და ვიზუალურად მასმედიის საშუალებით, მოხდა მასლის გავრცელება სხვადსხვა ქვეყნებშიდა მეორე მათში ჩადებული იყორაღაც უფრო მეტი ვიდრე მხოლოდ ფორმა.მ. ბარხინს თავის ნაშრომში, მოყავს რამოდენიმე მაგალითი. ივან ლეონიდოვის სადიპლომო პროექტის „ლენინის სახელობის ინსტიტუტის“ სივრცულ-მოცულობითი წყობა პირდაპირ არის ციტირებული 1939 წელს, ათი წლის შემდეგ, ნიუიორკის საერთაშორისო გამოფენაზე აგებულ ცენტრალურ ნაგებობაში „ტრილონი და ნახევრად სფე-რო“.ასევე ადარებს ლე კორბუზიეს ცნობილ კაპელა რონშანს (1950-2955წწ.) ვხუტემასის სტუდენტის ვ. პეტროვის პროექტთან[2, 198].შესაძლოა ასეთი დამთხვევა შემთხვევითია, თუმცა

ერთი რამ ნათელია: თანამედროვე არქიტექტურის ხუთი პრინციპის ჩამომყალიბებელი, „მანქანური ესთეტიკის" მქადაგებელი ლე კორბუზიე, ფორმის კრიზისში აღოჩნდა. ორი ათეული წლით ადრე, „რაციონალიზმის" ლიდერის ნ. ლადოვსკის და ვ. კრინსკის სახელოსნოში, ვხუტემასში,სადაც გან-საკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არქიტექ-ტურის მხატვრულ პრობლემას და აღქმის ფსიქო-ემოციურ საკითხებს, არქიტექტურული ფორმის ძიების პროცეში, ჩამოყალიბდა ფორმისპლასტიური კონცეფცია, სწორედ მასში კოებუზიემ დაინახა ფორმის ფილოსოფია, რომელმაც უკვე შემდგომში დასაბამი დაუდო პლასტიურ ტენდენციებს არქი-ტექტურაში. ორივე პროექტის შედარებისას გა-მოვლენილი მსგავსება, მხოლოდ მოცულობათა პლასტიკაშია, თუმცა ლე კორბუზიეს იდეა გა-ცილებით უფრო ღრმაა. კაპელის არქიტექტურაში სამი ელემენტია მნიშვნელოვანი: გარე და შიგა სივრცეების ინტეგრაცია, შიგა სივრცის გამოყოფა გარესგან და არქიტექტურული ორგანიზმის კავ-შირი ლანდშაფტთან. ასეთ შეთავსებას კორბუ-ზიემ დაარქვა „აკუსტიკური არქიტექტურა". [3,23] იგი აღნიშნვდა: „არქიტექტურა უტილი-ტარულის საზღვრებს გარეთაა, არქიტექტურაში ფიზიკა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, არქიტექ-ტურაში გრძნობები თავად შემოქმედებითი პრო-ცესია, პროპორცია - მასის და ხაზის ურთიერთ-დამოკიდებულებაა, კონსტრუქცია არქიტექტურის საყდენია, ის შემოქმედებაშია, ეს დამოკიდებულება პლასტიურია."[2,198]

კიდევ ერთი არქიტექტურული პარალელი დაკავშირებულია კაპელა რონშანთან. ლე კორ-ბუზიემ შექმნა მიმართული სინათლის წყაროები, ე.წ.„სინათლის კანიონები", აქ ავტორი აშკარად კ.მელნიკოვის გავლენის ქვეშ ექცევა. კ. მელნიკოვმა სამი ათეული წლით ადრე, თავის საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შექმნა მიმართული სინათ-ლის წყაროები, რომელსაც „შუქის სიმფონია" უწოდა. ცილინდრული ფორმის შენობაზე ასიმეტ-რიულად გაბნეული 48 ხუთკუთხა ფორმის ღი-ობებიდან შემოსული მზის სხივებით იქმნება ფანტასტიური „ფერთა მუსიკა". მელნიკოვისეული ეფექტი შეიცნობა ალვარო აალტოს არქიტექტურა-ში. შედარებითი ანალიზი ცხადყოფს მათ შორის პოზიციების პრინციპულ სიახლოვეს. ორივესთვის მნიშვნელოვანი იყო ფსიქო-ემოციურად საინტე-რესო სივრცის შექმნა, ისინი ქმნიდნენ „ სინათლის არქიტექტურას".

კ. მელნიკოვი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისმა იდეამდასაბამი დაუდოკონცეფციას „სივრცისპოეზია"და უნებლიედ გახდა პირ-ველწყარო არაერთი არქიტექტურული ნაწარმო-ებისთვის.

1931 წელს ლე კორბუზიე მიწვეული იყო მოს-კოვში, საბჭოებისსასახლეზე გამოცხადებულ კონ-კურსში მონაწილეობის მისაღებად. მისმა პროექტმა მიიქცია ყურადღება კომპოზიციური გადაწყვეტის სიახლით. სიახლე მდგომარეობდა ნაგებობის გარეთ გამოტანილ უზარმაზარ სივრცით კონსტრუქციაში, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო გამჭვირვალე მინის მოცულობა. გაშიშვლებული კონსტრუქციის ჩონჩხის გამოტანა და მისი მხატვრულ ელემენტად წარმოდგენა აახლოებს ამ იდეას ვ. ტატლინის, ვ. ვესნინის, ი. ლეონიდოვის ნამუშევრებთან. ასეთი გავლენა მხოლოდ ცალმხრივი არ ყოფილა. იმ დროის კრიტიკა ხაზგასმით აღნიშნავდა რუსი ავანგარდისტების იდეების სიახლოვეს ლე კორბუზიესთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა თავისებურ ლექსიკონს, რომლისგანაც შეიძლებოდა იდეების, ფორმების და ხერხების დასესხება. ლე კორბუზიეს მიერ ჩამოყალიბებული თანამედროვე არქიტექტურის „ხუთი პრინციპის" ფილოსოფია და „სახლიეს მანქანაა საცხოვრებლისთვის"კონცეფციის კონკრეტული ფორმების გავლენა ნათლად ჩანს მ. გინზბურგის, ი. ნიკოლაევის, ა. ბუროვის და ა. ვესნინის პროექტებზე. თავი იჩინა სტილიზაციის და კოპირების ტენდენციებმა, რომელიც იმ პერიოდშიელ. ლისიცკის მიერ გაკრიტიკებული იყო და „შემოქმედებით გაღატაკებად იყო მიჩნეული."

განსაკუთრებით საინტერესოა კ.მელნიკოვის იდეის „ტრანსფორმირებადი დარბაზების", რომე-ლიც მის მიერ განხორციელებული იყო „რუსაკოვი

სახელობის კლუბში“ (1929 წ.), შემდგომი განვითარება. სამი გამოწეული მოცულობა, ამფითეატრებით უერთდება დარბაზის ძირითად მოცულობას აივნების საშუალებით. მათ შეუძლიათ იმუშაონ, როგორც აუდიტორიები, ძირითადი დარბაზიდან დამოუკიდებლად მოძრავი კედლების საშუალებით. 40 წლის შემდეგ ამ იდეის გამეორებას ვხვდებით პ. რუდოლფის და ჟ. აიზენურის იდეალური თეატრის (1962 წ.) პროექტში. მსგავსი ისტორია გამეორდა კ. მელნიკოვის სხვა იდეაზეც, რომელსაც ვხვდებით „დულევის“ სახელობის ქარხნის კლუბში (1927-1928 წწ.) ამ ნაგებობის მეორე სართულზე მდებარეობს მრგვალი აუდიტორია, რომელიც მოძრავი კედლის საშუალებით ტრანსფორმირდება სამაყურებლი დარბაზის აივნად ან აუდიტორიად. ეს იდეა გამეორდა ქ.ფენიქსში (ამერიკა) როსმენ და კ. არქიტექტურული ჯგუფის მიერ დაპროექტებულ სკოლაში.

1924 წელს ელ ლისიცკის კონცეპტუალრი პროექტი „ჰორიზონტალური ცათამბრჯენი“ არაერთი არქიტექტურული „გამეორების“ მიზეზი გახდა. თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემოქმედებით გააზრებასთან გვაქვს საქმე. ეს იდეა განხორციელდა 1966 წელს ქ. რომში ჯ. ა. სამონას პროექტით აშენებულ „დეპუტატთა პალატის“ ნაგებობაში. სრულიად მოულოდნელი გახდა ის შემოქმედებით აღმოჩენა, რომლის საფუძველსაც „ჰორიზონტალური ცათამბრჯენი“, როგორც სივრცული სტრუქტურაწარმოადგენდა 1974 წელს ქ. თბილისში არქიტექტორების გ. ჩახავა, ზ. ჯალაღანია, ა. კომბერგი მიერ განხორციელებულ ყოფილი ტრანსპორტის სამინისტროს შენობაზე. გამონაკლის არ წარმოადგენს არც რემ კუალჰაასის და სტივენ ჰოლლის შემოქმედება.ცნობილია, რომ ჰოლანდიელმა არქიტექტორმა რემ კუუალჰასმა სპეციალურად იმოგზაურა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ ენახა ი. ლეონიდოვის ნამუშევრები. თავადაც აღნიშნავდა, რომ განიცდიდადა ი. ლეონიდოვის, და არა მარტო ლეონიდოვის ასევე ტატლინის, მელნიკოვის, ლისიცკის, ჩერნიხოვის გავლენას. კუუალჰასმა სწორედ მათგან ისწავლა და შემდგომ შემოქმედებითად გაამდიდრა უბრალო გეომეტრიული ფიგურების: წრე, კვადრატი, ოთხკუთხედი  სივრცულ მოცულობებად გადაქცევა, მა-თი ტრანსფორმაციით საინტერესო კომპოზიციების შექმნა, შეუთავსებელი ელემენტების ერთმანეთიდან შეთავსება და მხატვრულ ნაწარმოებად გარდაქმნა, სილამაზის კატეგორიამდე აყვანა, და ბოლოს თანამედროვე არქიტექტურის მომავალი განვითარების გზების დასახვა. კუალჰასისი პირველი საკონკურსო ურბანული პროექტები - 1982წ. როტერდამის მოქნილი ქალაქგეგმარებითი სქემები ლადოვსკის პარაბოლური სტრუქტურების ინტერპრეტაციებს წარმოადგენენ. ზაჰა ჰადიდი, შემოქმედებითი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მალევიჩის ბლოკ-კომპოზიციების, ტექტონიკების ძლიერ გავლენასგანიცდიდა. ჯენქსის თქმით ზაჰა ჰადიდის შემოქმედების წყარო მალევიჩის მისტიკურ სუპრემატიზმთანაა ახლოს. მათ ასლებზე, ქმნიდა საკუთარ არქიტექტურას. ბერნარდ ჩუმი, ლისიცკის და ჩერნიხოვის გავლენის ქვეშ არის და ეს მკვეთრად იგრძნობა მის ნამუშევრებში, რასაც თავადვე არ უარყოფს. გერის ნამუშევრებში ლეონიდოვის და მაპის აღდგენის, ხელახალი რეპრეზენტაციის მცდელობა იგრძნობა.დღეს კი კუალჰასის, ეიზენმანის, ლიბესკინდის, ზაჰას, რენცო პიანოს, ნორმან ფოსტერის სამეტყველო ენის ამოცნობას ვახდენთ სხვათა შემოქმედებაში.

ი. ლეონიდოვის მიერ ფორმულირებული იდეა ე. წ. კარკასული საცხოვრებელი, აწყობილი წინასწარ დამზადებული ელემენტებით განხორციელდა კიშო კუროკავას კაპსულურ არქიტექტურაში ე. წ. „ნაკაგინის სახლი“. ლადოვსკი გვთავაზობდა დასრულებული საცხოვრებელი უჯრედის მოცულობებით ნებისმიერი ტიპისსაცხოვრებელი სახლის აწყობას დაწყებული ინდივიდუალური სახლიდან დამთავრებული მრავალსართულიანი სახლებით.

ვფიქრობთ, ძნელია მოიძებნოს არქიტექტურის ისტორიაში ისეთი პერიოდი როდესაც ასე მოკლე დროში გამოვლენილიყო პრინციპულად ახალი ფორმადწარმოქმნელი იდეები. ეს უზარმაზარი

თავის დროზე განუხორციელებელი მემკვიდრეობა გახდა ახალი თანამედროვე სტილის მყარი საფუძველი. დეკონსტრუქტივიზმი მკაფიოდ გამოკვეთილი ინოვაციური ხასიათით მჭიდროდ და ორგანულადაა დაკავშირებული პოსტრევოლუციურ კონსტრუქტივიზმთან. დეკონსტრუქტივისტები შემოქმედებით წყაროს კონსტრუქტივისტების და სუპრემატისტების ნამუშევრებში, განსაკუთრებით კი მათ ჩანახატებში ეძებს. „დეკონსტრუქტივიზმი" დაჟინებით აცხადებს, რომ იგი აღმოცენდა დერიდას ფილოსოფიაზე, რეალურად კი მისი ორიგინალი უკვე არსებობს - მიმდინარეობა „რაციონალიზმი", მკაფიოდ გამოვლენილი ლიდერებით: ნ. ლადოვსკი და ვ. კრინსკი. მსგავსი სიტუაციაა სხვა ასევე ინოვაციურ სტილთან „ჰაი-ტექთან" დაკავშირებით. თუ კი შევადარებთ ძმ. ვესნინების რედაქციის შენობის ესკიზს რენცო პიანოს და როჯერსისი „პომპიდუს ცენტრს" დაპროექტების მეთოდებს შორის მსგავსება აშკარაა და შესაძლოა ნოვატორობა მარტივ იმიტაციად გადაიქცეს. თუმცა ამით არ კნინდება ნაგებობა, რადგან ამ შემთხვევაში შემოქმედებით გააზრებასთან გვაქვს საქმე.

„უბრალო კრისტალურად მკაფიო ფორმები, მოციმციმე მინის სიბრტყეები, დენადი ღია სივრცეები გვანცვიფრებენ უჩვეულობით, ეს სიახლეა და თითქოს გვიწინასაწრმეტყველებდა გონების და პროგრესის ეპოქის დადგომას" [3] ეს სიტყვები მის ვან დე როეზე ითქვა, რომელიც იკვლევდა მინის კედლების არეკვლის თავისებურებებს, შენობის მატერიალური გარსების გაქრობის შესაძლებლობებს, მან შეძლო მინისგან და ფოლადისგან შეექმნა ნოვატორული ნაგებობები. სინამდვილეში კი შექმნა არა „საფუძველი მომავალი განვითარებისთვის" არამედ საფუძველი მიმბაძველობისთვის. მისის მიმდევრებმა ვერ შეძლეს მასზე მაღლა დადგომა და დაიწყეს მისი გამეორება და კოპირება. დედამიწის ყველა კუთხეში გაჩნდა ჩიკაგოს „ორეულები", „სიგრემის" ცუდი კოპიები. მისის სუფთა სტრუქტურა მოდური გახდა და გადაიქცა შტამპად.

არქიტექტურული პარალელები ჩნდება მაშინ, როდესაც ფომადწარმოქმნის ძიების ერთი მეთოდი, როგორც ხერხი ინტერპრეტაციებისთვის ხდება გამეორებადი. ამის ნათელი მაგალითია ამერიკელი არქიტექტორის პიტერ ეიზენმანის, შვეიცარიელი არქიტექტორები ჰერცოგ დე მეირონის, იაპონელი არქიტექტორის ტოიო იტოს და გერმანელი არქიტექტორის იურგენ მეიერის შემოქმედება. შენობის გარსიის გააზრებას საფუძვლად უდევს მსგავსი კონცეფცია, თუმცა ინტერპრეტირებთ მოწოდებული და ფორმულირებულია სხვადასხვანაირად. მეირისთვის შენობა წარმოადგენს „კონვერტს", რომლის შიგნით მოთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულიების ნაგებობა, თუმცა გარსი ერთი და იგივე პრინციპზეა აგებული. ამისთვის გამოყენებულია შავ-თეთრი „ორნამენტული პრინტი", რომელიც ზოგადად გვხვდება კონვერტის შიდა გვერდზე სწორედ მათი მრავალჯერადი არქიტექტურული ინტერპრეტაციით იქმნება სხვადასხვა ფუნქციის და დანიშნულების შენობათა ფასადები, შედეგად შენობები სტრუქტურულად ერთმანეთს გავს და „სერიული" ხდება. მეიერისგან განსხვავებით ჰერცოგ დე მეირონი, პიტერ ეიზენმანი და ტოიო იტო ორნმენტულ ზედაპირს იყენებენ კონკრეტულად ერთი ნაგებობისთვის, ინდივიდუალურია და რჩება კულტურულ მეხსიერებაში.

თანამედროვე ქართულ არქიტექტურის გამორჩეული ნაგებობები, როგორიცაა: თბილისის პროკურატურა ასოცირდება არა ერთ ცნობილ ნაგებობასთან, „ახალი ნათებაში" ზაჰა ჰადიდის არქიტექტურულ გრამატიკასთან, ბიზნეს ცენტრი ლერმონტოვის ქუჩაზე - დანიელ ლიბესკინდის ენობრივ კოდთან. თუმცა, ყოველი კონკრეტული ნაგებობის შემთხვევაში არქიტექტურული ფორმის განვითარებას და შემოქმედებით გააზრებას ვხვდებით, აქ არ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ფორმის „გამეორებაზე".

როგორც ამ მცირე მაგალითებიდან ჩანს იმიტაციით მოხდა „პირველადი ნიმუშების" განვითარება. ეს მიღწევები დამყარებულია არა მარტო

ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, არამედ ინტელექ-ტუალურ სრულყოფილებაზეც და მივიღეთ ფორ-მის გამეორების არაერთი წარმატებული ნიმუში. თუმცა ყველა შემთხვევაში პირველსაწყისი დავი-წყებულია. გამოდის, რომ უახლესი არქიტექტურის წარმატებები დაფუძნებულია ავანგარდის შემოქ-მედებით აღმოჩენებზე ანუ „პარაზიტია“. იმისთვის, რომ ეს ურთიერთობა სწორად იყოს წაკითხული უ. ეკო შესაძლებელად მიიჩნევს გამოვიყენოთ პრინციპი **„ინტერპრეტაცია და ტრანსფორმაცია“**.[1.] მსჯელობა კი ავაწყოთ ორ ოპოზიციაზე - „გამეორ-ება-ინოვაცია“, ანუ თუ ფორმა გამეორებადია მასში ჩადებულია ინოვაცია - სიახლე და ინფორმაცია. მოდერნიზმისთვის გამეორება ასოცირდება ხელო-ბასთან და ***n*** რაოდენობის ტყუპების გაჩენასთან. ასევე უნდა განვასხვავოთ გამეორება და კოპირება ერთმანეთისგან. ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ავტორების მიერ მოწოდებულია მცირედი გან-სხვავებებით, ეს უკვე აღარ არის კოპირება და პლა-გიატი. ამდენად, რთულდება საზღვრის გავ-ლება პირველსაწყისსა და გამეორებას შორის, სწორედ ამის ნათელი მაგალითია ინდოელი არქიტექტორის გრაფიკულად შესრულებული შედარებითი ანა-ლიზი, სადაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად რთულია პირველსაწყისის დადგენა.თუმცა, არის საშიშროება, რომ ამ მსჯელობამ აბსურდამდე მიგვიყვანოს.

განხილულ მაგალითებში მსგავსება შესაძლოა შემთხვეითია, რადგან პარალელიზმი აზროვნე-ბაში დასაშვებია. მსგავსი ანალიზის სრულყოფა თანამედროვე არქიტექტურის ღრმად მცოდნე ადამიანისთვისაა შესაძლებელი, რომლისთვისაც ამათუ იმ შემოქმედის ხელწერის ამოცნობა სირ-თულეს არ წარმოადგენს. და მარტივად შეუძლია პირველსაწყისის ამოცნობა. ეს ერთგვარი გონებრივი თამაშია, რომლის მიზანიც არ წარმოადგენს ამა თუ იმ არქიტექტურის შემოქმედებით ძიებებში ეჭვის შეიტანას.

არქიტექტურის ისტორია ეს არ არის მხოლოდ ფორმის, სტილის, კონცეფციის ისტორია, რაღაც ერთი ეპოქის ან ერთი ერის კუთვნილება, არამედ უზარმაზარი პოტენციალის მატარებელი შემოქმედებითი საწყობი, იდეების ბანკი. საწყისთან დაბრუნება ხდება ფორმადწარმოქმნელი ძიებების კრიზისის მომენტშიც. ერთი პირველი საწყისი იდეიდან, როგორც საფუძველი, აღმოცენდება ახალი მხატვრული ფორმა, მიმდინარეობა ან კონცეფცია და იწყება საწყისიდან ფორმადწარმომქმნელი იდეების ტრანსფორმაცია და დეკონსტრუქცია.

## ლიტერატურა:


1. 1. Э. Умберто парадоксы интерпретации Европейскийгуманитарный Университет А.Р. Усмановам Минск Изд. Пропилей 2000 (стр. 76)
2. 2. М. Г. Бархин “Метод работы зодчего” М. Строиздат, 1981
3. 3. Гидион “Пространстба время архитектура” М.Строиздат, 1984, стр. 23


*Нино Имнадзе*

## Архитектурные паралели


**РЕЗЮМЕ**

Для теоретика архитектуры, при анализе творческих концепции важно найти первоисточник для вдохновкня. В резултате визуального анлиза, исследователь сталкивается с архитектурными паралелями. Известно что, история архитектуры представляет сабой сложную картину взаимовлияний, отсуда логично появление архитектурных параллелей хотя, это можно показатсяпарадоксальным.Этовозникновение в разных странах аналогичных объектов, где на уревне ассоциации выявляется влияние или повторение конкретных решений, идей или архитектурной формы. Поетому в проектирований наблюдается “серийность”

и “фрагментность” архитектурной формы. “Серийность” в широком смысле “вторичное искусство” когда он появляется то забывается первоисточник.

В данной статьи, данн анализ таких форматворческих идей которые были тирожированы в разные эпохи и трансформировалис в иные идеи. Возможно такие сравнение случаиныб так как паралелизм в мышление допускается. В статье автор не ставит цели внести сомнение в творческие поиски архитекторов. Это расматриваетса как вид умственной игры.

*Nino Imnadze*

**Parallels in Architecture**

**SUMMARY**

For the architectural researcher, during the visual observation to find the start of source for inspiration. Research results often faced architectural parallels. It is known that the history of the world architecture is a complex of the interactions. Consequently it is logical to emergence architectural parallels. It is similar structures in the different countries, where the idea conceived by the association level or process wears in a repeat of the concrete solutions. Therefore, in the design observed fragmentation and “similaris” of the architectural form. “Similaris” in the “broad sense” is a “repeated art”. When the original appears in a whole series of imitations, been forgotten the origin.

In this article, is analysi that architectural formaiking ideas, that have been transformed in a different ides in different times. Perhaps such a comparison not real, because thinking is allowed. The author does not aim to introduce doubt into the architects creative research. It is considered as a kind of mental game.